ფილოსოფიის ინსტიტუტი

სერგი ავალიანი

სავლე ნერეთელი

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი
1973

1
1 (47.922) (092 წერეთელი)
ა 297

მონოგრაფიაში გადმოცემულია ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის საველე წერეთლის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა; მთავარი ყურადღება აქვს დათმობილი მის დიალექტიკურ-ლოგიკურ კონცეფციას, რომელიც ცნობილია უსასრულო დასკვნის თეორიის სახელწოდებით. წიგნის სხვადასხვა თავებში განხილულია ს. წერეთლის გამოკვლევების შედეგები დიალექტიკური მატერიალიზმისა და ფილოსოფიის ისტორიის დარგებში.

მონოგრაფია ნავარაუდევია მათთვის, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების, კერძოდ, მისი ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენლის ს. წერეთლის ფილოსოფიური მემკვიდრეობით.

1—5—1
121—1973 აღრ.
М—607

© გამომცემლობა „მეცნიერება“ 1973

წინასიტყვაობა

სავლე წერეთელი თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების ბრწყინვალე წარმომადგენელია; სულ რაღაც სამი ათეული წლის მანძილზე მოღვაწეობით მან გაამდიდრა ქართული ფილოსოფიური ლიტერატურა პირველხარისხოვანი ნაშრომებით ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით, დიალექტიკური ლოგიკის სფეროში. მისი მეცნიერული შემოქმედების უმთავრეს შედეგს უსასრულო დასკვნის დიალექტიკურ-ლოგიკური თეორია წარმოადგენს. ამ თეორიაზეა აგებული ს. წერეთლის ყველა ფილოსოფიური გამოკვლევა, მასზე როგორც ძაფზე, ასხმულია მისი ავტორის ფილოსოფიური შეხედულებანი.

ს. წერეთლის ფილოსოფიური მოღვაწეობის ისტორია ამავე დროს უსასრულო დასკვნის თეორიის ჩასახვის, სრულქმნისა და ჩამოყალიბების ისტორიასაც წარმოადგენს. ეს თეორია კრისტალიზებულია ავტორის უკანასკნელ წიგნში „დიალექტიკური ლოგიკა" (1965), ხოლო მისი ყველა დანარჩენი წიგნი ამ ნაშრომის მოსამზადებელი საფეხურებია, მისი წინაისტორიაა. ამიტომ, არსებითად, ს. წერეთელმა მხოლოდ ერთი წიგნი დაწერა, დანარჩენები კი ამ წიგნის (უსასრულო დასკვნის თეორიის) ევოლუციური სვლის ეტაპებია. სწორედ ამაში ჩანს ს. წერეთლის სიდიადე, მისი სინთეზური აზროვნების ძალა და დადასტურება.

სწორედ ამიტომ წინამდებარე წიგნში, რომელშიც გადმოცემულია ს. წერეთლის ცხოვრებისა და ფილოსოფიური მოღვაწეობის ძირითადი მომენტები, ძალიან მოკლედ, ზოგადად განხილულია უსასრულო დასკვნის თეორიის ევოლუციური ეტაპების შემადგენელი ძირითადი ნაშრომები, ე. ი. ის ნაშრომები, რომლებიც წინ უსწრებდნენ და გარკვეულად ამზადებდნენ „დიალექტიკურ ლოგიკას", როგორც ს. წერეთლის მთავარ ფილოსოფიურ თხზულებას. ამასთანავე ს. წერეთლის ნაშრომები განხილულია არა იმდენად ქრონოლოგიურად, ისტორიული პრინციპის ზუსტი დაცვით, რამდენადაც

ლოგიკურად, ვინაიდან ეს უფრო შეესაბამებოდა მათი ავტორის აზროვნების სტილს.

უსასრულო დასკვნის თეორიის გადმოცემის პროცესში (მესამე თავი) ვისარგებლეთ თვითონ ს. წერეთლის ერთ-ერთი გამოუქვეყნებელი სტატიით, რომელშიც მისი მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი შედეგებია განხილული; ხსენებული სტატიის შინაარსი მნიშვნელოვნად გავაფართოვეთ და შევავსეთ „დიალექტიკური ლოგიკის“ საფუძველზე. ვისაც ს. წერეთლის მარტოოდენ უსასრულო დასკვნის თეორიის გაცნობა სურს, მას შეუძლია წინამდებარე წიგნის მესამე თავის წაკითხვით დაკმაყოფილდეს.

ს. წერეთლის ფილოსოფიური თვალსაზრისის გადმოცემისას მის აზრთა მსვლელობას ფეხდაფეხ მივდევდით, რათა მკითხველისათვის ნათელი ყოფილიყო ამ დიდებული მეცნიერის არა მხოლოდ თეორია, არამედ აგრეთვე მისი აზროვნების ლოგიკური სტილიც. ს. წერეთლის თხზულებებიდან ამოწერილი ციტატების სიუხვე, რასაც მკითხველი ამ წიგნში შეხვდება, რაც შეიძლება მკაცრი სიზუსტის მოთხოვნილებამ განაპირობა. ჩვენ შევეცადეთ, რომ ს. წერეთლის ფილოსოფიური შეხედულებანი გადმოგვეცა თვითონ ავტორის სიტყვებით, მისი ლოგიკური და თუნდაც გრამატიკული სტილის შენარჩუნებით.

წინამდებარე წიგნი არ წარმოადგენს ს. წერეთლის ფილოსოფიური შეხედულებების ან თუნდაც მისი უსასრულო დასკვნის თეორიის ანალიზს; მასში არ არის მოცემული რაიმე კომენტარი, ს. წერეთლის ან მისი ოპონენტების შეხედულებების თუნდაც მცირეოდენი შეფასება. ასეთი რამ ჩვენს მიზანს არ წარმოადგენდა და თვით საჭირო შემთხვევაშიც კი მისგან თავს ვიკავებდით. ს. წერეთლის უსასრულო დასკვნის თეორიის კრიტიკული განხილვა, მისი შეფასება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა; ჩვენ კი ფაქტები, მხოლოდ ფაქტები გადმოვეცით და მეტი არაფერი. ეს არის გადმოცემის ობიექტივისტური მეთოდი, რომელიც შეიძლება საკმარისი არ იყოს, მაგრამ აუცილებელი ეტაპია ამა თუ იმ თეორიის კრიტიკული ანალიზისათვის, მის მოსამზადებლად. ჩვენც სწორედ ამ აუცილებელი ეტაპით შემოვიფარგლეთ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, მართალია, ამ წიგნში გადმოცემულია ს. წერეთლის ფილოსოფიური შეხედულებანი რაც შეიძლება სრულად, მაგრამ მისი წაკითხვა მაინც ვერ შეცვლის თვითონ ს. წერეთლის გამოკვლევების გაცნობას. წინამდებარე წიგნი შეიძლება გამოდგეს ს. წერეთლის ფილოსოფიური შეხედულებების, უმთავრესად, უსასრულო დასკვნის თეორიის შესავლად, ხოლო მისი ღრმა

და საფუძვლიანი შესწავლა ს. წერეთლის ფილოსოფიური მემკვიდრეობის უშუალოდ გაცნობის გარეშე შეუძლებელია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ამ წიგნის პირველი თავის დასაწერად მეტად მნიშვნელოვანი ცნობები მომაწოდეს: ს. წერეთლის დედამ — ოლღა წერეთელმა, მეუღლემ — არიადნა წერეთელმა, დამ — ნინა წერეთელმა, პროფ. ვ. კობახიძემ, პროფ. დ. რამიშვილმა, დოც. ს. სახაროვმა, რესპ. დამსახ. მასწავლებლებმა: არქ. კანდელაკმა, ურავის საშუალო სკოლის დირექტორმა ალ. ჯაფარიძემ, ს. წერეთლის სახ. ბუგეულის საშუალო სკოლის დირექტორმა ქ. გიორგობიანმა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას მოვახსენებ. მინდა აგრეთვე მადლობა გადავუხადო ს. წერეთლის მოწაფეებს: ფილოსოფიის მეცნ. დოქტორს ნ. ჭავჭავაძეს, პროფ. გ. თევზაძეს, დოც. გ. ბაჩულაშვილსა და დოც. თ. ბუაჩიძეს, რომლებმაც წაიკითხეს ამ წიგნის ცალკეული ნაწილები და თავიანთი შენიშვნებით ხელი შეუწყვეს მის სრულქმნას დასაბეჭდად მომზადების პროცესში.

თავი პირველი

ცხოვრება და მოღვაწეობა

როგორც კი მგზავრი ქ. ამბროლაურს ოთხი-ხუთი კილომეტრით გასცილდება ქუთაისის მიმართულებით, მაშინვე შეამჩნევს რიონის მარცხნივ მთის კალთებზე შეფენილ სოფლებს; ერთ-ერთი მათგანია სოფ. ჯვარისა (ამჟამად შრომა), სადაც დაიბადა და აღიზარდა სახელოვანი ქართველი მეცნიერი სავლე ბენედიქტეს ძე წერეთელი.

ჯვარისაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ გვარს წერეთელი წარმოადგენს; ეს გვარი იმერეთში ძველთაგან (XIV საუკუნიდან) გავლენიან თავად-აზნაურთა შტოს ქმნიდა, მაგრამ ძნელია გენეალოგიური კავშირის დადგენა იმერეთისა და რაჭის წერეთლებს შორის; რაჭველი წერეთლები, განსხვავებით იმერელი წერეთლებისაგან, მარტოოდენ აზნაურის ტიტულით სარგებლობდნენ, თუმცა ისინიც რევოლუციამდე მდიდარი და გავლენიანი ბეგატონეები იყვნენ. წერეთელთა გვარი ჯვარისაში სამ სხვადასხვა უბანს ქმნის, რომლებიც სოფლის სხვადასხვა მხრითაა განლაგებული. ზოგიერთ მათგანს შერქმეული სახელებიც აქვთ („ნადროსიაშვილები", „ქველიაშვილები"), ზოგს კი — არა. წერეთლების ამ უკანასკნელ შტოს ეკუთვნის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, რომლის წინაპრები სოფლის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ.

ს. წერეთლის ბაბუა ვარდენი და ბებია დაფინი (ქავთარაძის ქალი) უაღრესად კეთილშობილი ადამიანები იყვნენ და მთელ სოფელში პატივისცემით სარგებლობდნენ. ამ ძველ ოჯახში ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ წიგნისა და მწიგნობრობისადმი, სათუთად ინახავდნენ და კითხულობდნენ რუსთაველის, ბარათაშვილის, გურამიშვილისა და კლასიკური ქართული მწერლობის სხვა შესანიშნავ ნიმუშებს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მხატვრული ლიტერატურისა და, კერძოდ, ქართული კლასიკური მწერლობის სიყვარული ს. წერეთელმა მშობლების ოჯახში შეიძინა.

XIX საუკუნის მიწურულში ვარდენ წერეთელი მდიდარი აზნაური იყო; მას თბილისში საკმაოდ შემოსავლიანი რესტორანი, ხოლო სოფელში დიდი მამული ჰქონდა, რაც საშუალებას აძლევდა ხელგაშლით ეცხოვრა და თანაც დიდი სიმდიდრისათვის მოეყარა თავი; მაგრამ, ერთი მხრივ, ხშირმა სტუმრიანობამ, ხოლო, მეორე მხრივ არამტკიცე პოლიტიკურმა და ეკონომიურმა ვითარებამ მიმდინარე საუკუნის დამდეგს ერთბაშად შეარყია ერთ დროს მდიდარი ვარდენ წერეთლის ეკონომიური მდგომარეობა და სრულ გაკოტრებამდე მიიყვანა. ოჯახი ვალებში ჩაეფლო, შემოსავლის წყარო ხელიდან გამოეცალა, ხოლო უძრავი (და, ნაწილობრივ, მოძრავი) ქონება საჯარო ვაჭრობის წესით გაიყიდა. ამის შემდეგ ოჯახში სიღარიბე დამკვიდრდა, რაც მომავალი ფილოსოფოსის ახალგაზრდობის განუყრელი თანამგზავრი გახდა.

ვ. წერეთლის ვაჟმა ბენედიქტემ ცოლად შეირთო კულაშელი თავადის ერმილე მიქელაძის ქალიშვილი ოლღა, რომლის მამა ლეჩხუმიდან რაჭაში (სოფ. ტოლა) იყო ჩამოსიძებული და აგრეთვე მდიდარ მემამულედ ითვლებოდა. იგი ერთხანს გიმნაზიაში სწავლობდა და თავისი დროისათვის მწიგნობარი კაცის სახელი ჰქონდა მოპოვებული. ე. მიქელაძის მეუღლე (ს. წერეთლის ბებია დედის მხრივ) ასეთივე გავლენიანი მემამულის საჩინო ყიფიანის ქალიშვილი იყო. 1907 წლის 19 იანვარს (ახალი სტილით პირველ თებერვალს) ბენედიქტე და ოლღა წერეთლებს შეეძინათ პირველი ვაჟიშვილი, რომელსაც სახელად საელე დაარქვეს. სიყრმის შვილს კიდევ ორი ქალ-ვაჟი შეემატა: იოველი (პედაგოგი, აწ გარდაცვლილი) და ნინო (ამჟამად მეცნიერი მუშაკი).

ეპოქა, რომელშიც ს. წერეთელი დაიბადა, პოლიტიკური და ეკონომიური თვალსაზრისით მეტად რთული იყო; რუსეთის პირველი რევოლუცია ახლახან დამარცხდა და ქვეყანაში საშინელი რეაქცია მძვინვარებდა. ერთი წელიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც სისხლიანი ჯალათის ალიხანოვის რაზმებმა ულმობლად დაარბიეს რაჭის მოსახლეობა იმ რევოლუციური გამოსვლების საპასუხოდ, რასაც აქ ადგილი ჰქონდა პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. 1906 წლის იანვრის ბოლოსა და თებერვლის დამდეგს დამსჯელი რაზმი სასტიკად გაუსწორდა რევოლუციური მოძრაობის მონაწილეებს. ცეცხლს მისცეს სოფ. ხვანჭკარა (დაწვეს 46 სახლი), აგრეთვე აქტიურ რევოლუციონერთა სახლები რაჭის მთელ რიგ სოფლებში, მათ შორის ჯვარისაშიც. მიუხედავად ამისა, რაჭის რევოლუციონერები ჯერ კიდევ შეუპოვრად განაგრძობდნენ თავიანთ საქმეს: ტყეებს შეფარებული წითელრაზ-

მელები ბრძოლას არ წყვეტდნენ და ხალხს მეფის მთავრობის დამ-ხობისაკან მოუწოდებდნენ. შეშინებული რაჭის მაზრის უფროსი კაპიტანი შტოლჰაუერი ქუთაისის გუბერნატორს შეიარაღებული ძალების გაზრდას სთხოვდა. რეაქციამ სულ მალე იმძლავრა, რევო-ლუცია დროებით დამარცხდა. გადარჩენილი რევოლუციონერები სოფლიდან გადაიხვეწნენ. შიში სუფევდა ვ. წერეთლის ოჯახშიც, ვი-ნაიდან ყველამ იცოდა, რომ მისი ცოლისძმა რევოლუციურად გან-წყობილი ადამიანი იყო და ბოლშევიკებს მფარველობდა. მართალია, ალიხანოვის რაზმების რისხვას ვ. წერეთლის სახლობა გადაურჩა, მაგრამ საერთო ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება მკვეთრად აისახა მის ოჯახში.

შვიდი წლის საკლე მშობლებმა სოფ. ქედისუბნის საეკლესიო-სამრევლო სასწავლებელში მიაბარეს, სადაც მან ერთი წელი და-ჰყო. სასწავლებლის მიზანს ძირითადად წერა-კითხვის დაუფ-ლება წარმოადგენდა. სამრევლო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ს. წერეთელი შეჰყავთ ამბროლაურის რაიონის სოფ. ბუგე-ულის ორკლასიან სასწავლებელში, რომელიც ოქტომბრის რევოლუ-ციის შემდეგ (ს. წერეთლის სწავლის პერიოდში) ოთხკლასიან ს-ქალაქო სასწავლებლად გადაკეთდა. ეს სკოლა ჯერ კიდევ მაშინ ქვემო რაჭის (ამბროლაურის რაიონის) ერთ-ერთ საუკეთესო სას-წავლებელს წარმოადგენდა. იგი გაიხსნა გასული საუკუნის უკანას-კნელ მეოთხედში კერძო ბინაზე ერთკლასიანი სასწავლებლის სახით, რომელსაც ცნობილი პედაგოგი დავით მდივანი ხელმძღვანელობდა.

1892 წელს იქ, სადაც ამჟამად ს. წერეთლის სახელობის ბუგე-ულის საშუალო სკოლის ძველი შენობა დგას[1], დაიწყო სკოლის მშე-ნებლობა; სკოლა მომდევნო წელს დიდი ზეიმით გაიხსნა. ამასთან დაკავშირებით აღნიშნული სასწავლებელი გადაკეთდა ორკლასიან სკოლად ხუთწლიანი პროგრამით, რაც იმ დროისათვის რაჭის პირო-ბებში დიდი მოვლენა იყო.

ბუგეულის სკოლაში სხვადასხვა დროს ასწავლიდნენ კარგი სპეციალისტები, ფართო განათლებისა და მოწინავე იდეების მატა-რებელი მასწავლებლები: ამჟამად ცნობილი ჟურნალისტი ვანო წულუკიძე, დავით წულუკიძე, ფართოდ განათლებული პედაგოგი-მღვდელი სიმონ ჭელიძე (რომელმაც აკაკი წერეთლის პატივსაცე-მად გამართულ ვახშამზე რაჭაში მოგზაურობის დროს შესანიშნავად ითამადა), მათემატიკის მასწავლებელი მიხეილ კორძახია, ვალერი-

---

[1] ამჟამად ს. წერეთლის სახ. ბუგეულის საშუალო სკოლა ახალ შენობაშია.

ან ავალიანი და სხვ. ამ სკოლაში სხვადასხვა დროს სწავლობდნენ, ზოლო შემდეგ ხანგრძლივად ასწავლიდნენ დალოსტი ნიკოლაიშვილი (ამჟამად პენსიონერი, ლენინის ორდენოსანი), რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ქეთევან გიორგობიანი, რომელიც ოცდაათ წელზე მეტია, რაც ბუგეულის საშუალო სკოლას უცვლელად ხელმძღვანელობს და სხვ. გარდა ს. წერეთლისა, ბუგეულის საშუალო სკოლაში აღიზარდა ბევრი სასახელო ადამიანი, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა სფეროში.

უფრო გვიან ს. წერეთელი დიდი სიყვარულით იგონებდა მათემატიკის მასწავლებელს მ. კორძახიას, რომელიც კარგი პედაგოგი, ერუდირებული სპეციალისტი და თავისი სოფლის დიდი მოამაგე იყო. იგი — 1905 წლის რევოლუციის მონაწილე — რეაქციის წლებში სამეგრელოდან გამოიქცა და 1908 წელს რაჭას შეაფარა თავი, სოფ. ბუგეულში დაჯახდა, სკოლის ხელმძღვანელობა იკისრა და ამ საქმეს გარდაცვალებამდე (1921) ემსახურებოდა. მისი თაოსნობით ბუგეულის სკოლა კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდა; შეემატა საკლასო ოთახები, გაშენდა ხეხილის ბაღი, სკოლის გარშემო დარგეს აკაციები, ფიჭვის ხეები და სხვ.

ს. წერეთელმა იმთავითვე სწავლისადმი დიდი ინტერესი გამოამჟღავნა; ყველა საგანს წარჩინებით სწავლობდა, მაგრამ განსაკუთრებით უყვარდა მათემატიკა; იქნებ ეს იყო პირველი ნიშანი აბსტრაქტული აზროვნების უნარისა, რაც მან უფრო გვიან ესოდენ სრულყოფილად გამოავლინა.

პერიოდი, რომელშიც ს. წერეთელი ბუგეულის სკოლაში სწავლობდა, პოლიტიკური, ეკონომიური და იდეოლოგიური ძვრების ეპოქა იყო. ჯერ კიდევ ბავშვის ცნობიერებაში ღრმად აღიბეჭდა სიტყვები: „რევოლუცია“, „ნიკოლოზის ჩამოგდება“, „მენშევიკები“, „გასაბჭოება“, „ახალი დროება“ და სხვ., რომელთა შინაარსი მას ნათლად არ ესმოდა. იგი ხედავდა, რომ გარემო თანდათან გადასხვაფერდა, უფროსები უკვე სხვას და სხვაგვარად ლაპარაკობენ; ბევრმა მათგანმა თითქოს ხასიათი გამოიცვალა; წინათ ჩუმი და წყნარი ადამიანები ახლა ხმამაღლა ლაპარაკობენ, კამათობენ, უცხაურ თემაზე დავობენ; ხშირად იმართება კრებები, ვიღაცას ირჩევენ, ყველას პირზე „კენჭი“ აკერია; სხვები კი ჩურჩულებენ, რაღაცის ეშინიათ და ერთმანეთს უნდობლად ზვერავენ. პატარა სავლე გატაცებით სწავლობს ისტორიას; იცის რა არის რევოლუცია, ხალხის მღელვარება; ყმაწვილის ცნობიერება ნელ-ნელა ნათლდება; ხედავს მსგავსებას წიგნში წაკითხულსა და თვალით ნახულს შო-

რის. მისი სიმპათიები „ახალი დროების“ მხარეზეა; მის მეხსიერებაში ნათლად ჩარჩენილი წარსული შიმშილისა და სიცივის სიმბოლოა; მშობლები დღედაღამ შრომობენ, სიღარიბე კი კვალდაკვალ სდევთ. მისი ბავშვური ცნობიერება მომავლისაკენაა მიმართული. ახლა უკვე ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მომავალზე! უბრალო ადამიანები მას იმედის თვალით უყურებენ, ზოგიერთები კი — შიშითა და ძრწოლით; მაგრამ ყველა მაინც მომავალზე ფიქრობს. რევოლუცია ხომ აწმყოს მსხვრევისა და მომავლის დამკვიდრების საშუალებაა.

1923 წელს ს. წერეთელმა წარჩინებით დაამთავრა ბუგეულის სასწავლებელი. იმავე წელს იგი შედის ონის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში, რომელიც ერთი წლის შემდეგ ათწლიან საშუალო სკოლად გადაკეთდა (უფრო გვიან — ცხრაწლედად). სკოლა გიმნაზიის ტიპის საქალაქო სასწავლებელს წარმოადგენდა, რომელშიც სწავლება მაღალ დონეზე იდგა. ამ სკოლასთანაა დაკავშირებული ს. წერეთლის ცნობიერების ჩამოყალიბება, მისი ფიზიკური და სულიერი ძალების, ინტერესებისა და მისწრაფებების გამოკვეთა. ამჟამად ეს სკოლა ს. წერეთლის მასწავლებლის აკად. კ. ბაქრაძის სახელს ატარებს.

ონის საშუალო სკოლა შესანიშნავი კადრებით იყო დაკომპლექტებული; ამ პერიოდში მას ხელმძღვანელობდა საკმაოდ ერუდირებული და დიდი ტაქტის მქონე პედაგოგი ისტორიკოსი ვალერიან ჯაფარიძე, რომელიც გაკვეთილებს ლექციური მეთოდით ატარებდა. ქვეყანაში არსებული რევოლუციური სიტუაცია სრულიად აშკარად აისახებოდა ახალგაზრდა მასწავლებლის ლექციებსა და საუბრებში. იგი გატაცებით ლაპარაკობდა საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციაზე, რობესპიერსა და მარატზე, ვოლტერსა და რუსოზე. ბავშვები აღტაცებით უსმენდნენ მგზნებარე მასწავლებელს, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა თავისი პროფესია და რომლის პათოსით აღსავსე საუბრებს ისინი სულ სხვა სამყაროში გადაჰყავდა. ყმაწვილები მისგან ითვისებდნენ არა მხოლოდ იდეებს, არამედ იდეალებსაც, იზრდებოდა და ფაქიზდებოდა არა მხოლოდ ცოდნა, არამედ სულიც.

ქართული მწერლობის სიყვარულს ს. წერეთელი ჯერ კიდევ ოჯახში და ბუგეულის სკოლაში ეზიარა; მაგრამ აქ მას უფრო ფართო ასპარეზი ელოდებოდა; ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მათე გორდეზიანი საფუძვლიანად ფლობდა ძველი და ახალი ქართული მწერლობის ისტორიას; ყოფილი დეკანოზი, რომელმაც სიჭაბუკის წლებში ქართული მწერლობისა და, საერთოდ,

ქართველი ერის დიდი სიყვარული ‘ძეიძინა, მოსწავლეებში პატრიოტულ გრძნობებს ნერგავდა. მკაცრი, მაგრამ კეთილი იყო ახალგაზრდობის განათლების სულიერი მოძღვარი; ინტელექტუალური პროგრესის მქადაგებელს ნიჭის აღმოჩენისა და დაფასების უნარიც ჰქონდა, რასაც კარგად გრძნობდა ს. წერეთელი.

ქართული ლიტერატურის სიყვარულს კიდევ უფრო აღვივებდა ისტორიის მასწავლებელი ცნობილი ქართველი მწერალი ია ეკალაძე. მწერალი-პედაგოგი დიდი ენთუზიაზმით მუშაობდა მოსწავლეებთან, არ იფარგლებოდა არც სასწავლო პროგრამით და არც გაკვეთილებით.

ს. წერეთლის მათემატიკური ნიჭი კიდევ უფრო გაიფურჩქნა თავისი საქმის კარგი მცოდნე პედაგოგის შალვა მოსიძის გავლენით. მომავლის სასწორი თითქოს მათემატიკისაკენ იხრებოდა; ჰაბუკს ხშირად ხედავდნენ ქაღალდითა და ფანქრით ხელში მათემატიკის მასწავლებელთან, რომელიც დაუზარებლად სრულყოფდა მოსწავლეთა ცოდნას.

მოსწავლეებს ძალიან უყვარდათ გერმანიიდან (ქ. ჰალე) ახლად დაბრუნებული ახალგაზრდა მასწავლებელი არქიფო კანდელაკი, რომლის თავისუფალი საუბრები მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა თემაზე მოსწავლეებს დიდ სულიერ საზრდოს აძლევდა. არქ. კანდელაკი ს. წერეთლის ახლო ნათესავი იყო (დედის მხრიდან), მაგრამ მასწავლებლისა და მოსწავლის სიახლოვეს მაინც ინტელექტუალური საფუძვლები ჰქონდა. ცოტა გვიან მასწავლებელმა და მოწაფემ როლები შეცვალეს; 1937 წელს არქ. კანდელაკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გახდა, რომელსაც ლექციებს ფილოსოფიაში მისი ყოფილი მოსწავლე, იმ დროს უკვე დოცენტის მოვალეობის შემსრულებელი სავლე წერეთელი უკითხავდა.

მომავალი მეცნიერის აღზრდაში დიდი წვლილი შეიტანეს იურისტმა და მკვლევრმეტყველმა ალ. წერეთელმა, გრ. ჯაფარიძემ (ამჟამად პროფესორი, ბიოლოგი), აბელ კიკვიძემ (ამჟამად პროფესორი, ისტორიკოსი), ფიზიკის მასწავლებელმა ვანო ჯაფარიძემ, რუსული ენის მასწავლებელმა ზინაიდა გიორგობიანმა და სხვ.

ონის სასწავლებელშიც, ისევე როგორც ბუგეულის სკოლაში, ს. წერეთელი წარჩინებით სწავლობდა. მისი მეტყველება სხარტი და ლოგიკური იყო; ხმარობდა მოკლე ფრაზებს, მაგრამ აზრს კი სრულყოფილად გამოთქვამდა. მის მკაცრ ლოგიკურ მსჯელობასა და ზუსტ აზროვნებას აღტაცებაში მოჰყავდა არა მარტო მოსწავლეები,

არამედ მასწავლებლებიც. „ს. წერეთელი — იგონებს მისი ყოფილი მასწავლებელი არქ. კანდელაკი — ონის საშუალო სკოლის სინდისი და სიამაყე იყო; ჩვენ მას ისეთი პატივისცემით ვეპყრობოდით, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელს, ჩვენს კოლეგას და არა როგორც მოსწავლეს".

ს. წერეთელს დიდ ნიჭთან ერთად თან დაჰყვა საოცრად კეთილი ხასიათი, რაც მას ადამიანობის ნიმუშად ხდიდა. იგი იყო იდეალური ადამიანი, სპეტაკი, ბავშვივით უმანკო პიროვნება, რომელმაც არ იცოდა, რაა შური, ანგარება ან სხვა ქვენა გრძნობები. მისთვის უცხო იყო პატივმოყვარეობა, ქედმაღლობა, ყოყოჩობა, გამოირჩეოდა თავმდაბლობით, არ უყვარდა შექება — მისი დამსახურების აღნიშვნა — ყოველთვის ამჯობინებდა ჩრდილში დგომას, უჩუმრად, უხმაუროდ აკეთებდა საქმეს; მას სძულდა რეკლამები, კარიერიზმი. ასეთი იყო ახალგაზრდობაშიც; ამიტომ უყვარდათ იგი, უყვარდათ მასწავლებლებსაც და მოსწავლეებსაც, ნათესავებსაც და შორეულ ნაცნობებსაც.

ონის საშუალო სასწავლებელში ს. წერეთლის გარშემო შეიკრიბნენ ცოდნის შეძენით განსაკუთრებულად დაინტერესებული ახალგაზრდები. მათ შორის ოთხი ყმაწვილი გამოირჩეოდა: ვალერიან კობახიძე (ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრის პროფესორი), ალექსანდრე ჯაფარიძე (ამჟამად ამბროლაურის რაიონის სოფ. ურავის საშუალო სკოლის დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი), თევდორე ბიძიშვილი (შემდეგში ინჟინერი, აწ გარდაცვლილი) და ბარნაბ ლაშხი (შემდეგში გეოლოგი, საფეიქრო ინსტიტუტის ფილიალის დირექტორი, აწ გარდაცვლილი). ამ ჯგუფის სული და გული, აღიარებული ბელადი ს. წერეთელი იყო. ისინი მტკიცედ დამეგობრდნენ, ერთად კითხულობდნენ წიგნებს, მსჯელობდნენ წაკითხულის შესახებ, კამათობდნენ, დაობდნენ თეორიულ საკითხებზე. მათი მეგობრობა ბოლომდე წმინდა და მყარი დარჩა.

ონის სკოლას საკმაოდ მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. მაგრამ იგი ცოდნას მოწყურებულ ყმაწვილებს მაინც არ აკმაყოფილებდა. სულ მალე ონის ცენტრში ახალი წიგნის მაღაზია გახსნა ფრიად განათლებულმა, მწიგნობარმა და კეთილმა ადამიანმა სპ. ჭელიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ 1904 წელს ბათუმში გამოსცა ნ. ბარათაშვილის ლექსები საკუთარი კრიტიკული წერილით. მეგობრები მაშინვე წიგნის მაღაზიას ესტუმრნენ. მათ მამაშვილური ღიმილით შეეგება ჩასუქებული და ნაადრევად გაჭაღარავებული სპ. ჭელიძე. მასპინძელი ტკბილი და ენაწყლიანი გამოდგა; იგი ახალგაზრდებს

დიდხანს ესაუბრა ქართული მწერლობის ღირსებებზე, მეცნიერების დიდ მნიშვნელობაზე და კიდევ უფრო გააძლიერა მათში ცოდნის წყურვილი. საუბრის დასასრულს მანპინძელმა თაროდან ერთი ახალი წიგნი ჩამოიღო და სავლეს გაუწოდა; ჭაბუკმა ჩამოართვა, წიგნის ყდას დახედა და ამოიკითხა: „შალვა ნუცუბიძე. ლოღიკა". გამყიდველმა უზომოდ შეაქო წიგნიც და მისი ავტორიც და ყმაწვილებს მისი წაკითხვა ურჩია. სავლემ წიგნი შეიძინა. ასე დაიწყო ს. წერეთლის მეცნიერული გზა ფილოსოფიაში საერთოდ და, კერძოდ, ლოგიკაში. მისი პირველი მეგზური იყო წიგნებით მოვაჭრე რაჭველი სპირიდონ ჭელიძე, ხოლო იდეური მოძღვარი — ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე შალვა ნუცუბიძე.

მან სახლში დაბრუნებისთანავე დაიწყო „ლოღიკის" კითხვა და სულ ორიოდე დღეში დაამთავრა. ამ წიგნმა ახალგაზრდა სავლეს ცნობიერებაზე დაახლოებით ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც თორმეტი წლის აინშტაინზე ევკლიდური გეომეტრიის პრინციპების გაცნობამ. იგი მოხიბლა მისთვის სრულიად ახალმა მეცნიერებამ, რომლის მსგავსს საშუალო სკოლაში არც ერთ საგანს არ სწავლობდა. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო გააძლიერა შ. ნუცუბიძის „ფილოსოფიის შესავლის" წაკითხვამ.

ეს სწორედ ის პერიოდია, როდესაც გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი, ენციკლოპედიური განათლებისა და ფენომენალური ნიჭის მქონე მეცნიერი შ. ნუცუბიძე სათავეში ჩაუდგა თანამედროვე ქართული ფილოსოფიური აზროვნების აღორძინების საქმეს და კიდევ უფრო გაამდიდრა ისედაც მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული ფილოსოფიური ლიტერატურა ახალი ნაშრომებით ჯერ ქართულსა და რუსულ, ხოლო შემდეგ გერმანულ ენებზე. შ. ნუცუბიძის ზემოხსენებულმა წიგნებმა გარდატეხა მოახდინა ს. წერეთლის ცნობიერებაში. ამიერიდან მისმა დიდმა ნიჭმა იპოვა თავისი საგანი და საბოლოოდ განისაზღვრა მისი მიმართულება: იგი ფილოსოფიისთვისაა დაბადებული და მთელი ენერგია მის სამსხვერპლოზე უნდა მიიტანოს.

ფილოსოფიური წიგნებისა და პრობლემების რიცხვი სწრაფად გაიზარდა. „ბიძია სპირიდონი" ახალი წიგნებით ამარაგებდა ყმაწვილებს; აქვე შეიძინეს ი. მეჩნიკოვის თხზულება „ეტიუდები ადამიანის ბუნების შესახებ", რომელიც სავლემ სამ დღეში სულმოუთქმელად წაიკითხა, წიგნის წაკითხვის შემდეგ მეგობრებს თავი მოუყარა, წაკითხულის შინაარსი გაარჩია და დისკუსია გამართა. ყმაწვილები დიდხანს დაობდნენ სიკვდილისა და უკვდავების შესახებ. შემდეგ კი სავლეს რჩევით ეს თხზულება ყველამ წაიკითხა.

იმავე პერიოდში ს. წერეთელი თავის მეგობრებთან ერთად გაეცნო სხვა ფილოსოფიურ წიგნებსაც, მაგალითად, კ. კაპანელის „სოციალური ესთეტიკის საფუძვლებს". ზოგიერთ მათგანს ძლიერ მოსწონდა პოეტური სტილი და სიტყვაკაზმულობა; სავლე კი ძირითადად ლოგიკურ პარადოქსებსა და აპორიებზე მსჯელობას ამჯობინებდა.

ხუთმა მეგობარმა ერთგვარი „არალეგალური" ფილოსოფიური სკოლა ჩამოაყალიბა. სკოლის მეთაური, ცხადია, ს. წერეთელი იყო. გაკვეთილების შემდეგ ისინი იკრიბებოდნენ სახლში, ხოლო ზაფხულობით სოფ. ღარის მჟავე წყლებთან, ჩამოსხდებოდნენ მინდორზე, გადაშლიდნენ წიგნსა და ერთად მსჯელობდნენ ფილოსოფიურ საკითხებზე. უმეტესწილად მეგობრები სავლეს თაოსნობით ლოგიკურ პარადოქსებსა და ძენონის აპორიებს არჩევდნენ.

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ს. წერეთელი, მისი სიყრმის მეგობრების გადმოცემით, ჩამოყალიბებული ფილოსოფიური მოაზროვნე იყო. „იგი თითქოს ფილოსოფიისათვის იყო დაბადებული, — იგონებს პროფ. ვ. კობახიძე, — ს. წერეთელი ყველა საკითხს, რომელიც ჩვეულებრივი საუბრის დროს წამოიჭრებოდა, ფილოსოფიური კუთხით განიხილავდა, ყოველთვის ფილოსოფიაზე გადადიოდა. მისთვის ფილოსოფიური აზროვნება იმდენად დამახასიათებელი იყო, რომ ჩვენ — მის მეგობრებს — თვითონ მოწაფეობის წლებშიც კი ეჭვი არ გვეპარებოდა, რომ იგი გამოჩენილი ფილოსოფოსი გახდებოდა".

ცხადია, მეგობრებს არც ახალგაზრდული ცხოვრების იერი აკლდათ; ისინი ხუმრობდნენ, ცელქობდნენ, ნადირობდნენ და თევზაობდნენ კიდეც. ნადირობა ს. წერეთელმა ჯერ კიდევ ონის საშუალო სკოლის პერიოდში დაიწყო, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე მის ყველაზე მეტად საყვარელ სპორტს წარმოადგენდა. იგი იყო შესანიშნავი მონადირე ჯერ კიდევ ჭაბუკობის წლებში. ხუთი ახალგაზრდა ძმებივით შეეთვისა ერთმანეთს. მათი ურთიერთობა ყოველთვის წმინდა და ფაქიზი იყო. მათგან ს. წერეთელი ყველაზე მაღალი, წარმოსადეგი იყო, ხოლო თ. ბიძიშვილი — ყველაზე დაბალი. სწორედ ამიტომ მეგობრებმა პირველს დონ-კიხოტი შეარქვეს, მეორეს კი — სანჩო პანსა. უფრო გვიან, სამხედრო სამსახურში, იაპონიის ფრონტზე მყოფი სავლე „სანჩოს" სწერდა: „დანაპირები შეგისრულე; შენთვის კუნძული დავიპყარი და მალე გუბერნატორად დაგნიშნავო".

ასე გავიდა სწავლითა და ჭაბუკური ოცნებით აღსავსე სამი წელი, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა ს. წერეთლის მეხსიერე-

ბაში. საშუალო სკოლის დამთავრების დრო მოახლოვდა; მეგობრები სწავლის გაგრძელებაზე ფიქრობენ. სწორედ ესაა ს. წერეთლის ოცნებაც. მას არა აქვს მამის ოჯახიდან დიდი დახმარების იმედი, მაგრამ სიღარიბე არ აშინებს; ცოდნის წყურვილი ყველაფერს ჩრდილავს, ხოლო ცოდნის მიმართულება კი მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი: მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფია უნდა ისწავლოს; სხვა არჩევანი მისთვის არ არსებობს. ერთხელ მას, სტუდენტს, შეხვდა მისი ყოფილი მასწავლებელი არქ. კანდელაკი, რომელმაც მშვენივრად იცოდა სავლეს მშობლების ეკონომიური მდგომარეობა; როდესაც ყოფილმა მასწავლებელმა შეიტყო, რომ სავლე უნივერსიტეტში ფილოსოფიას სწავლობს, გაკვირვებულმა უთხრა: „ჩემო სავლე, ფილოსოფია მდიდარი კაცის საქმეა; შენთვის კი აჯობებდა უფრო პრაქტიკული დარგი — ექიმობა ან ინჟინრობა — აგერჩიაო". სავლემ უპასუხა: „რაც არ მაინტერესებს, მას ხელს ვერ მოვკიდებ; შეიძლება ვერც აქ გავაკეთო რაიმე, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე და მე ამ გზას არ გადავუხვევ". ჭაბუკი სიტყვის კაცი გამოდგა; მას არასოდეს მიუტოვებია ახალგაზრდობაში შეთვისებული რწმენა.

ს. წერეთლისათვის ცხადი იყო, რომ უნივერსიტეტში შესვლა და ისიც ფილოსოფიის (მაშინ სიბრძნისმეტყველების) ფაკულტეტზე ბევრ შრომას მოითხოვდა. ამ მიზნით იგი დამატებით სწავლობს, დღედაღამ მეცადინეობს, მისაღები გამოცდებისათვის ემზადება. „ხუმრობა ხომ არ არის — ეუბნება იგი მეგობრებს — ჩვენ მოგველის ივანე ჯავახიშვილსა და შალვა ნუცუბიძესთან შეხვედრა; იქ თავის შერცხვენა არ შეიძლება". მართლაც, არც ერთი დღე არ გაუცდენია, არც ერთი საათი უქმად არ დაუკარგავს. საფუძვლიანი ცოდნით დაამთავრა საშუალო სასწავლებელი და კიდევ უფრო საფუძვლიანად მოემზადა გამოცდებისათვის.

1926 წლის ზაფხულის დამლევს ცხრამეტი წლის ჭაბუკმა ხურჯინი მხარზე გადაიგდო, რომელშიც უმთავრესად ონში შეძენილი წიგნები ეწყო და ტყიბულის გზით თბილისისაკენ გასწია. ეს იყო დიდი გზის დასაწყისი, რომელზეც ორმოც წელს ასე სახელოვნად მიდიოდა. ჯიბეში ედო გიგუცა ბიძიას (სავლეს მამიდის ქმრის) მიერ ნაჩუქარი ოცდახუთი მანეთი.

*

*

1926 წელს ს. წერეთელი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე. ერუდირებულ-

მა აბიტურიენტმა ბრწყინვალედ ჩააბარა მისაღები გამოცდები. ცნობილი ქართველი მათემატიკოსი გიორგი ნიკოლაძე აღტაცებული იყო ს. წერეთლის საფუძვლიანი ცოდნით მათემატიკაში და კიდეც შესთავაზა, რომ სწავლა გაეგრძელებინა არა სიბრძნისმეტყველების, არამედ მათემატიკის განხრით. მაგრამ ჭაბუკის გადაწყვეტილება უკვე საბოლოო იყო, თუმცა იგი მათემატიკისადმი ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდა. ამ მხრივ მის იდეალს ლაიბნიცის გენია წარმოადგენდა, რომელიც მათემატიკურ განსწავლულობას ფილოსოფიურ სიბრძნესთან აერთიანებდა.

დაიწყო სტუდენტობის წლები, წლები შემოქმედებითი შტუდირებისა და ინტელექტუალური დავაჟკაცებისა, დაუცხრომელი შრომისა და შეუდრეკელი მისწრაფებებისა.

სულ მალე ს. წერეთელი შ. ნუცუბიძის ლექციების მსმენელი, ხოლო შემდეგ მისი მოწაფე გახდა. პროფესორს უყვარდა ნიჭიერი სტუდენტი და მას თავის საუკეთესო მოწაფედ თვლიდა. სიცოცხლის უკანასკნელი წლები სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში გაატარა, ინსტიტუტს კი წლების მანძილზე მისი ყოფილი მოწაფე ს. წერეთელი ხელმძღვანელობდა.

სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე, გარდა აკად. შ. ნუცუბიძისა, ს. წერეთლის მასწავლებლები იყვნენ მ. გოგიბერიძე, კ. ბაქრაძე, ს. დანელია და სხვ.

მ. გოგიბერიძე (1897—1949) უაღრესად განათლებული ფილოსოფოსი იყო; 1919—1922 წლებში იგი სწავლობდა ბერლინისა და მარბურგის უნივერსიტეტებში დიდ გერმანელ ფილოსოფოს ნ. ჰარტმანთან. მარბურგის უნივერსიტეტში მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ს. მაიმონის ფილოსოფიაზე. 1925 წლიდან იგი მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტად, ხოლო 1930 წლიდან — პროფესორად. მის კალამს ეკუთვნის მრავალი გამოკვლევა ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში, განსაკუთრებით ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებზე.

კ. ბაქრაძე (1898—1970) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კურსდამთავრებული იყო. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე იგი მიემგზავრება გერმანიაში (1922), სადაც ფრაიბურგისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტებში უსმენს XX საუკუნის გამოჩენილ ფილოსოფოსებს: ედ. ჰუსერლს, მ. ჰაიდეგერს, კრონერს, რიკერტსა და სხვ. 1925 წლიდან კ. ბაქრაძე თბილისის უნივერსიტეტის ასისტენტია, 1929 წლიდან — დოცენტი, ხოლო 1930 წლიდან — პროფესორი. კ. ბაქრაძე იყო უაღრესად განათლე-

ბული, ფართოდ ერუდირებული მეცნიერი, ნათელი აზროვნების მქონე მკვლევარი, რომელმაც მრავალი ნაშრომი დატოვა ქართულსა და რუსულ ენებზე, აღზარდა მრავალრიცხოვანი მოწაფე (მათ შორის ს. წერეთელიც), ითვლებოდა ფორმალური ლოგიკის დიდ სპეციალისტად მთელ საბჭოთა კავშირში. 1969 წელს იგი აირჩიეს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად.

ს. დანელია (1888—1963) უფროსი თაობის ფილოსოფოსთა რიცხვს ეკუთვნოდა; იგი სწავლობდა ხარკოვისა და მოსკოვის უნივერსიტეტებში. 1922 წელს მიიწვიეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტად. 1927 წელს ამავე უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ნაშრომზე „ქსენოფანე კოლოფონელის მსოფლმხედველობა“ (თბილისი, 1925). ს. დანელია იყო ბრწყინვალე მცოდნე ანტიკური ფილოსოფიისა და რუსული ფილოლოგიისა, შესანიშნავად იცოდა რუსული, ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები, დატოვა პირველხარისხოვანი გამოკვლევები ანტიკურ ფილოსოფიაში. მისი წიგნები „ანტიკური ფილოსოფია. სოკრატის წინ“ (თბილისი, 1926), „სოკრატის ფილოსოფია“ (თბილისი, 1936) და სხვა ცალკეული სტატიები ანტიკურ ფილოსოფიაზე თამამად შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ ამ დარგში საუკეთესო გამოკვლევებს მსოფლიო ფილოსოფიურ ლიტერატურაში. პროფ. ს. დანელიამ ერთბაშად დიდ სიმაღლეზე აიყვანა ფილოსოფიის ისტორიის სწავლების საქმე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

აქედან ცხადია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს ს. წერეთელს ყველა პირობა ჰქონდა, რომ ღრმად და საფუძვლიანად დაუფლებოდა ფილოსოფიურ მეცნიერებას.

გარდა ფილოსოფიისა, ს. წერეთელი დაინტერესებული იყო სხვა მეცნიერებებითაც; კერძოდ, იგი ესწრებოდა ცნობილი მეცნიერების გრ. წერეთლისა (საბერძნეთის ისტორია) და ა. რაზმაძის (მათემატიკა) ლექციებს, სწავლობდა ბერძნულსა და გერმანულ ენებს, ეცნობოდა მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იგი ორიგინალში კითხულობდა პლატონის, არისტოტელესა და კანტის თხზულებებს.

სტუდენტობისა და ასპირანტობის წლებში ს. წერეთელი მძიმე მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდა; თუმცა მშობლების მზრუნველი თვალი განუწყვეტლად მისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ მათ მაინც არ შეეძლოთ ასე თუ ისე ნორმალური პირობები შეექმნათ სტუდენტი შვილისათვის. სავლეს განსაკუთრებით აწუხებდა უბინაობა; შემოდგომაზე, როდესაც საზაფხულო არდადეგებიდან

სოფლიდან თბილისში ბრუნდებოდა, ბინა ყოველთვის ხელახლა საძებარი ჰქონდა. ბოლოს მშობლებმა ბარნოვის ქუჩაზე შეიძინეს პატარა (13 კვ. მეტრი) სარდაფი, რომელიც თავშესაფარს უფრო წარმოადგენდა, ვიდრე საცხოვრებელ ბინას. ოთახი ბნელი და ნესტიანი იყო, იატაკი ცემენტისა; არ ჰქონდა ფანჯარა. ბეჯითი სტუდენტი დღისითაც კი წიგნს ნავთის ლამპის შუქზე კითხულობდა; სტიპენდიით შეძენილი ფილოსოფიური წიგნები სინესტისაგან ობდებოდა. ოთახში პატარა ოთხკუთხედი მაგიდა და ორიოდე სკამი იდგა. აქ. ცხოვრობდა სამი და-ძმა, სამივე სტუდენტი. მიუხედავად ასეთი პირობებისა, სავლე შეუპოვრად შრომობდა, ფიქრობდა განყენებულ თემებზე, აბსტრაქტულ სინამდვილეზე. მისი უშუალო კონკრეტული სინამდვილე ხომ ესოდენ უბადრუკი იყო! მეგობრები მას ბერძენ ფილოსოფოსს დიოგენე სინოპელს ადარებდნენ, რომელიც, გადმოცემის თანახმად, კასრში ცხოვრობდა და ფილოსოფოსობდა.

1930 წელს ს. წერეთელმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილება (მაშინ სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი უკვე აღარ არსებობდა) ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით და მიენიჭა უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულის ყველა უფლება.

*
* *

უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება ს. წერეთელს არ აკმაყოფილებდა; მას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მთელი თავისი ცხოვრება ფილოსოფიური კვლევა-ძიებისათვის შეეწირა. სტუდენტობის წლებში მან თავი გამოიჩინა, როგორც ნიჭიერმა, წარჩინებულმა ახალგაზრდამ, რის გამოც პროფესორ-მასწავლებლების სიყვარული დაიმსახურა. სწორედ ამიტომ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისთანვე პროფ. მ. გოგიბერიძემ მას შესთავაზა ასპირანტურაში სწავლის გაგრძელება ფილოსოფიის ისტორიის განხრით. პროფ. შ. სიხარულიძის გადმოცემით, რომელიც მაშინ ასპირანტურის განყოფილებას განაგებდა, პროფ. მ. გოგიბერიძემ მასთან მიიყვანა სანდომიანი ახალგაზრდა — ს. წერეთელი — შესთავაზა ასპირანტურაში მიღება და დასძინა: „ეს ახალგაზრდა ისე ნიჭიერია, რომ მალე მე და კიდევ ბევრ სხვას გვაჯობებსო“.

მისაღები გამოცდების ჩატარებამდე შედგა ასპირანტურაში შემსვლელთა წინასწარი გასაუბრება იმ დროს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩამოყალიბებული პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორთან ი. ვაშაყმაძესთან, რომელიც ფილოსოფიის სპეციალისტი იყო-

გასაუბრებაზე, რომელსაც პროფ. მ. გოგიბერიძე ესწრებოდა, ს. წერეთელმა ფილოსოფიის საფუძვლიანი ცოდნა გამოავლინა. სავლემ შეიტანა საბუთები ასპირანტურაში და დაიწყო მზადება მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად.

დადგა გამოცდების დღეც; საგამოცდო კომისიაში მონაწილეობდნენ პროფ. მ. გოგიბერიძე, კ. სულაქველიძე და გ. კვიცარიძე; კომისიას კი ი. ვაშაყმაძე ხელმძღვანელობდა. ს. წერეთელმა გამოცდები ბრწყინვალედ ჩააბარა; მისმა ცოდნამ ფილოსოფიის ისტორიაში ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მ. გოგობერიძე და ი. ვაშაყმაძე უზომოდ კმაყოფილები იყვნენ. „ასე ღრმად ფილოსოფიის ისტორია გამომცდელებმაც კი არ ვიცითო“ — ეუბნებოდა ი. ვაშაყმაძე ერთ-ერთ ნაცნობს. დოც. ს. სახაროვის გადმოცემით, ი. ვაშაყმაძემ სავლეს მეტსახელად „გენიოსი“ შეარქვა.

ასპირანტურაში ს. წერეთელი სამ წელს ირიცხებოდა (1931—1934): ამ პერიოდში მან შეისწავლა ყველა მნიშვნელოვანი ფილოსოფიური თხზულება და კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ცოდნა ფილოსოფიაში. ს. წერეთლის ოთახში სქელ საერთო რვეულებში ჩაწერილი კონსპექტების „მთა“ იდგა. პროფ. ს. დანელია, რომელმაც ერთხელ ს. წერეთლის ბინა ინახულა, განცვიფრებული დარჩა მომავალი მეცნიერის შრომისმოყვარეობით.

ს. წერეთლის ინტელექტუალურ განვითარებაზე განსაკუთრებული როლი ითამაშა შ. ნუცუბიძის ცნობილმა ფილოსოფიურმა სემინარებმა, რომლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ს. წერეთელი იყო. ამ სემინარებში მან მიიღო არა მხოლოდ დიდი ცოდნა, არამედ ფილოსოფიური პრობლემების კვლევა-ძიების დიდი გამოცდილებაც. ამ სემინარების ყოფილი მდივანი დოც. ფ. გოკიელი ასე ახასიათებს ზემოხსენებულ ფილოსოფიურ სემინარებს: „მისმა (შ. ნუცუბიძის — ს. ა.) ბრწყინვალე ლექციებმა და მისი ხელმძღვანელობით წარმოებულმა სემინარებმა შთანერგეს ჩვენში ცოდნის დიდი წყურვილი და სიყვარული, ის მისწრაფება მეცნიერული აზროვნებისა და მუშაობისადმი, რაც გადაიქცა ცხოვრების მამოძრავებელ სტიმულად იმათთვის, ვინც ფილოსოფიური აზროვნება ძირითად სასიცოცხლო საქმედ დაისახა და იმათთვისაც, ვინც შემდეგ სულიერი ინტერესი მეცნიერების სხვა სფეროებზე გადაიტანა“[1].

ახალგაზრდა ასპირანტის ნიჭი შეუმჩნეველი არ დარჩენია დიდ მეცნიერს; პროფ. დ. რამიშვილის — შ. ნუცუბიძის სემინარების ერთ-ერთი მსმენელის — გადმოცემით, ს. წერეთელი სხვებზე მეტად

---

[1] შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, შალვა ნუცუბიძე, თბილისი, 1969, გვ. 10—11.

იყო დაახლოებული შ. ნუცუბიძესთან და ამ უკანასკნელსაც ნიჭიერი ასპირანტი გამორჩეული ჰყავდა.

ასპირანტურაში ყოფნის პერიოდში მან კიდევ უფრო ღრმად შეისწავლა, ერთი მხრივ, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომები — მარქსისტული ფილოსოფია — ხოლო, მეორე მხრივ, კლასიკური ფილოსოფიური მემკვიდრეობა, რის გამოც იგი სამართლიანად ითვლებოდა ფილოსოფიის ისტორიისა და, საერთოდ, ფილოსოფიური პრობლემების ბრწყინვალე მცოდნედ.

მაგრამ არც ერთი ძველი ფილოსოფოსი ისე არ იზიდავდა ს. წერეთელს, როგორც ჰეგელი; იგი თვეობით კითხულობდა დიდი გერმანელი ენციკლოპედისტის თხზულებებს ორიგინალში, კითხულობდა დინჯად, მაგრამ გატაცებით; ბუნდოვანი ფრაზები თანდათან ნათლდებოდნენ ახალგაზრდა ფილოსოფოსის გონებაში. მას აკვირვებდა ჰეგელის მომდევნო ეპოქის მოაზროვნეთა გულგრილობა ამ გენიოსისადმი. მას ხომ, კ. მარქსის თქმისა არ იყოს, „მკვდარი ძაღლივით“ ეპყრობოდნენ და აბუჩადაც კი იგდებდნენ! რაოდენ დიდია მარქსი, რომელმაც თავი ჰეგელის მოწაფედ გამოაცხადა და შიგნიდან დასძლია იგი. ს. წერეთელიც ხომ თავის თავს ჰეგელის მოწაფედ თვლის, უფრო სწორად — მოწაფის მოწაფედ; კ. მარქსი მისი დიდი მასწავლებელია, რომელმაც შეინარჩუნა და განავითარა ყოველივე დიადი, რაც ჰეგელში იყო. ესაა დიალექტიკური მოძრაობის კონცეფცია, განვითარების იდეა, რომელიც ახალგაზრდა ფილოსოფოსს სავლე წერეთელს ძალიან იტაცებდა. ჰეგელის საფუძვლიანი ცოდნის გარეშე ს. წერეთელი ვერ შეიმუშავებდა უსასრულო დასკვნის თეორიას და, მაშასადამე, ვერც ს. წერეთელი იქნებოდა. ჰეგელმა ხომ პირველმა შექმნა დიალექტიკური ლოგიკა იდეალიზმის პოზიციებზე.

ასპირანტობის წლებში ს. წერეთელმა კიდევ უფრო მტკიცედ შეისწავლა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, განსაკუთრებით კ. მარქსისა და ვ. ი. ლენინის თხზულებანი. არც ერთმა მისმა ქართველმა თანამედროვემ ფილოსოფოსთა შორის ისე საფუძვლიანად არ იცოდა კ. მარქსის „კაპიტალი“ და „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, როგორც ს. წერეთელმა. კიდევ მეტიც, მისი ერუდიცია კ. მარქსის ზემოაღნიშნული თხზულებების დარგში პოლიტიკური ეკონომიის სპეციალისტებსაც კი ანცვიფრებდა. ეს ერუდიცია აშკარად ჩანს ს. წერეთლის მთელ ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში, განსაკუთრებით მისი პირველი პერიოდის მეცნიერულ ნაშრომებში.

ასპირანტურაში სწავლის დროს საბოლოოდ ჩამოყალიბდა ს.

წერეთლის მეცნიერული მოღვაწეობის პროფილი. მას ჯერ ფილოსოფიის ისტორია, კერძოდ, ანტიკური ფილოსოფია იზიდავდა და ვიწრო სპეციალობაც ამ მიმართულებით მიიღო. მაგრამ ს. წერეთელს უფრო მეტად პრობლემები იტაცებდა; მისთვის ფილოსოფიურ-ისტორიული ერუდიცია პრობლემების პოზიტიური კვლევის საშუალება იყო და მეტი არაფერი. „ფილოსოფიის ისტორია უნდა შევისწავლოთ არა ფილოსოფიის ისტორიისათვის, — წერს იგი, — არამედ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ღრმად შესწავლისა და განვითარებისათვის"[2]. ასე უდგებოდა ს. წერეთელი ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. მისი „ანტიკური ფილოსოფია", რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა, შემოქმედებითი მუშაობის პაუზებშია დაწერილი (იგი დროის მიხედვით უფრო ადრე დაიწერა, ვიდრე „დიალექტიკური ლოგიკა" და „დასაბუთების საწყისი"). ს. წერეთელი ხშირად იგონებდა პროფ. მ. გოგიბერიძის სიტყვებს: „ჩემი „ფილოსოფიის ისტორია" საზაფხულო არდადეგების დროს აგარაკზე დავწერე; დღეში ერთ ფილოსოფოსს ვწერდიო".

მიუხედავად ამისა, ს. წერეთელმა ასპირანტურის კურსი ფილოსოფიის ისტორიის განხრით დაამთავრა. მაგრამ ამ დროს მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა ვიწრო სპეციალობის შეცვლა. სწორედ 1934 წლიდან იგი ხელს ჰკიდებს დიალექტიკური ლოგიკის პრობლემების დამუშავებას, რაც მას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ შეუწყვეტია და რომელიც დაგვირგვინდა 1965 წელს ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფიით „დიალექტიკური ლოგიკა". როდესაც ვკითხულობთ ს. წერეთლის საკანდიდატო დისერტაციას „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში", რომელზეც იგი 1934—1936 წლებში მუშაობდა, აშკარად ვხედავთ მისი უკანასკნელი ნაშრომის ავტორს, ნაშრომისა, რომელშიც განვითარებული და სრულყოფილი სახით წარმოდგენილია ახალგაზრდა მეცნიერის დისერტაციაში გატარებული იდეები.

სიყრმის მეგობრები კვლავ არ ივიწყებდნენ ერთმანეთს; მათ ერთდროულად (1930 წელს) დაამთავრეს უმაღლესი სასწავლებელი და სხვადასხვა ასპარეზზე შეუდგნენ მოღვაწეობას. რაჭისაკენ გაემგზავრა ალ. ჯაფარიძე, რომელსაც მეგობრებმა გულთბილი გაცილება მოუწყვეს. გადაიღეს სამახსოვრო სურათი, რომლის ერთი ცალი ალ. ჯაფარიძეს რაჭაში გაუგზავნეს. სურათზე ს. წერეთელის წარწერაა: „არა იმიტომ, რომ დახედოს და მოგვიგონოს, არამედ იმიტომ, რომ მოგვიგონოს და დახედოს". იქვეა ბ. ლაშხის ლექსი „მეგობრებს", რომელიც ს. წერეთელმა ზეპირად იცოდა:

[2] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1968, გვ. 36.

„ჩვენ ხომ თავიდან გვძულდა მონური
ქედის მოხრა და სნეული ნიკი,
მე დღესაც შემრჩა გრძნობა ონური
არწივთა მთებში გაზრდილი ბიჭის.

რა ვუყოთ მერე, რომ მოხდა ასე,
რომ გადაჯგუფდნენ ასე ძალები,
თქვენ ხომ სხვა საქმის ინჟინრები ხართ,
მე — ინჟინერი მინერალების“.

ასპირანტურის პირველი კურსიდან (1931) ს. წერეთელი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ როგორც ასისტენტი, ხოლო შემდეგ როგორც დოცენტი და პროფესორი. ამიერიდან მისი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშირდა უნივერსიტეტს, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას, რომელსაც იგი, როგორც საყვარელ პროფესიას, გარდაცვალებამდე ემსახურებოდა.

საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობა ს. წერეთელმა უშუალოდ ასპირანტურის ბოლო კურსზე დაიწყო, ხოლო დაამთავარა 1936 წლის 4 ოქტომბერს. დაცვა შედგა წელიწადნახევრის შემდეგ 1938 წლის 5 მარტს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე. ოფიციალურ ოპონენტად გამოვიდა პროფ. მ. გოგიბერიძე. სადისერტაციო თემა იყო „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში“. დისერტანტმა საძიებელი ხარისხი მოიპოვა.

ამ პერიოდში ს. წერეთელი უკვე დოცენტის მოვალეობას ასრულებს (1934 წლიდან), ხოლო ერთი წლის შემდეგ მას დოცენტად ირჩევენ. სამეცნიერო ხარისხისა და წოდების ოფიციალურად დამსაატესტაციო კომისიამ ს. წერეთელს მიანიჭა ფილოსოფიის მეცტკიცება კი ცოტა გვიან მოხდა (1938 წლის 22 ივნისს უმაღლესმა ნიერებათა კანდიდატის ხარისხი, ხოლო ერთი წლის შემდეგ — დოცენტის წოდება).

1936 წელს ს. წერეთელმა ცოლად შეირთო მარკოზ მეტრეველის ქალიშვილი არიადნა, რომელიც ბოლომდე დარჩა დიდებული მეუღლის ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, მეგობარი და პატივისმცემელი. 1938 წელს მათ შეეძინათ უფროსი ვაჟი — გელა (ამჟამად კიბერნეტიკის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი), ხოლო შემდეგ — ალექსანდრე (ამჟამად ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი) და ბენედიქტე (ამჟამად ქიმიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი).

1938 წელს ს. წერეთელი საცხოვრებლად გადავიდა ფალიაშვი-

ლის ქ. № 17, სადაც მან თითქმის ორი ათეული წელი გაატარა. ეს ბინა არსებითად ერთადერთი წესიერი ოთახისაგან შედგებოდა. მეორე სართულისაკენ მიმავალ კიბეს ჯერ ბნელ სამზარეულოში შეეყავდით, იქიდან კი ასევე ბნელ სააბაზანოში, რომელიც სასადილო ოთახად იყო გადაკეთებული. ერთადერთი ნორმალური საცხოვრებელი ოთახი ქუჩას გადაჰყურებდა. აქ იდგა ს. წერეთლის სამუშაო მაგიდა და წიგნების კარადები. მაგიდის ზემოთ ჩარჩოებში მოთავსებული იყო პლატონისა და არისტოტელეს სურათები. სწორედ ამ ბინაში ჩაისახა ს. წერეთლის უსასრულო დასკვნის თეორია და დაიწერა მისი პირველი მეცნიერული ნაშრომები დიალექტიკური ლოგიკის დარგში. უფრო გვიან ს. წერეთელი საცხოვრებლად გადავიდა პეკინის (ყოფილი ლისის) ქ. № 2, ხოლო სულ უკანასკნელად — რიგის ქ. № 3.

1940 წელს ს. წერეთელი შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში.

1938—1941 წლებში ს. წერეთელმა გამოსაცემად მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია და დაწერა რამდენიმე გამოკვლევა; დასაბეჭდად წარდგენილი სტატიების ნაწილი სამამულო ომის წლებში გამოქვეყნდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში", ხოლო დისერტაციის გამოქვეყნება ავტორმა გადაიფიქრა. ამზადებდა რა გამოსაცემად, ს. წერეთელმა გადაამუშავა და დააზუსტა საკანდიდატო დისერტაცია, შეავსო ახალი მასალებით. დისერტაციის ერთ-ერთი ეგზემპლარის თავფურცელზე ცნობილი ქართველი ისტორიკოსის პროფ. ს. ჯანაშიას წარწერაა: „ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგეს პროფ. მ. გოგიბერიძეს! გთხოვთ თქვენს წერილობით დასტურს წარმოდგენილი ნაშრომის დაბეჭდვის შესაძლებლობის შესახებ. ს. ჯანაშია. I. III. 1940". ამავე თავფურცელზე მეორე წარწერა გვაუწყებს, რომ პროფ. მ. გოგიბერიძეს შესაძლებლდ მიაჩნია გამოქვეყნდეს ს. ჭერეთლის საკანდიდატო დისერტაციის მხოლოდ პირველი 82 გვერდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს „დასკვნა-დასაბუთების თეორიის ისტორიისათვის". მაგრამ ს. წერეთელს უმეტესწილად აინტერესებდა არა დასკვნა-დასაბუთების თეორიის ისტორია, რომლის დაბეჭდვის ნებართვას პროფ. მ. გოგიბერიძე იძლეოდა, არამედ დისერტაციის ის ნაწილი, რომელშიც მოცემული იყო ახალი ლოგიკის გზების ძიება, რაც შემდეგ ესოდენ არსებითი გამოდგა ს. წერეთლის მეცნიერული მოღვაწეობისათვის. ასეთ ვითარებაში ს. წერეთელმა გადაიფიქრა თავისი საკანდიდატო დისერტაციის გამოცემა და იგი არც დაბეჭდილა.

გამოსაცემად მომზადებული საკანდიდატო დისერტაციის წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ 1939 წლის დასასრულს ს. წერეთელს უკვე მზად ჰქონდა ვრცელი ნაშრომი, რომლის ერთ-ერთ თავად საკანდიდატო დისერტაციას თვლიდა. დასაბეჭდად წარდგენილ ნაშრომს თან ერთვის 24 გვერდიანი დასკვნები, საიდანაც უდავო ხდება, რომ ავტორი ინტენსიურად ეძებს ახალ თეორიას, ცდილობს ლოგიკურის ბუნების ახლებურ დაფუძნებას; მაგრამ დაიწყო დიდი სამამულო ომი და ახალგაზრდა მეცნიერის ეს შემოქმედებითი კვლევა-ძიება რამდენიმე წლით გადაიდო.

სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან ს. წერეთელი არმიაში გაიწვიეს (1941 წლის 1 ივლისს). მან რამდენიმე თვე დაჰყო თბილისის პირველ ფეხოსანთა სკოლაში, რომელიც საბრძოლო მომზადებას გადიოდა, ხოლო 1942 წლის გაზაფხულზე მოქმედ არმიაში წაიყვანეს.

მდგომარეობა მეტად დაძაბული იყო; მიუხედავად იმისა, რომ გერმანელი ფაშისტები სასტიკად დამარცხდნენ მოსკოვთან და ყოველი ფეხის ნაბიჯზე საბჭოთა არმიისა და ხალხის გააფთრებულ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ, ისინი მაინც წინ მოიწევდნენ. ცეცხლის ალში იყო გახვეული მთელი ყირიმი; ვერაგი მტერი კავკასიას უახლოვდებოდა, სამშობლოს განსაცდელი ემუქრებოდა.

ომის სუსხი, ცხადია, თბილისშიც აღწევდა; ახალგაზრდები ფრონტზე მიდიოდნენ, ქალები და ხანდაზმული მამაკაცები ფაბრიკებსა და ქარხნებში გმირულად შრომობდნენ. არ იყო საკმარისი სურსათი, პური, ნავთი; ქალაქში შუქშენიღბვა შემოიღეს; ყავისფერი გახდა უნივერსიტეტის თეთრი შენობა, რათა ბარბაროსებს თვალში არ მოხვედროდა. დაცარიელდა უმაღლესი სასწავლებლები, ცარიელდებოდა თვითონ ქალაქიც; ვისაც შეეძლო სოფელში მიდიოდა, სწავლას დროებით წყვეტდა.

უნივერსიტეტის ბევრმა პროფესორ-მასწავლებელმა ფარაჯა ჩაიცვა და ფრონტზე წავიდა. მათ შორის იყო ს. წერეთელიც. თბილისში მეუღლე და ორი შვილი (მესამე — უმცროსი — მალე უნდა დაბადებულიყო), ხოლო სოფელში მშობლები დარჩა. ჯარში წავიდა უმცროსი ძმაც — იოველი.

ს. წერეთელი სხვადასხვა დროს მონაწილეობდა ჩრდილო კავკასიის, IV უკრაინის, III ბელორუსიის და I შორეული აღმოსავლეთის ფრონტებზე დივიზიისა და ბრიგადის პოლიტგანყოფილების

აგიტატორად. პირველად მან მონაწილეობა მიიღო სოფ. ფსხუს (აფხაზეთი) განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, რომელშიც ჩაბმული იყო საბრძოლოდ ახლად მომზადებული ბატალიონი (ყოფილი თბილისის I ფეხოსანთა სკოლა). შემდეგ ს. წერეთელი მონაწილეობს ყუბანის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. 276-ე დივიზია, რომელშიც იგი ჩრდილო კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა, „ტემრიუკის დივიზიად“ იწოდებოდა, ვინაიდან მან თავი ისახელა ქ. ტემრიუკის განთავისუფლების დროს. მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა საბჭოთა მეომრებს; ერთხელ სოფ. სვისტელნიკოვოში ერთი საათის განმავლობაში სდევნიდა ფაშისტების სამი თვითმფრინავი ორ ჯარისკაცს, რომელთაგან ერთ-ერთი სავლე იყო. ხშირად სასწაულს ჰგავდა მისი გადარჩენა.

მიუხედავად ცხარე ბრძოლებისა, ფარაჯიან ფილოსოფოსს ერთი დღითაც კი არ მიუტოვებია ფილოსოფიაზე ფიქრი. როდესაც ტყვიები დროებით ზუზუნს წყვეტდნენ, იგი კვლავ ფილოსოფიას უბრუნდებოდა, გონებაში ფილოსოფიური პრობლემები ამოტივტივდებოდნენ. იქნებ ეს უცნაურად ჩანდეს, მაგრამ სავლე თვითონ ფრონტზეც კი წიგნებს ეძებდა, კერძოდ, ფილოსოფიურ წიგნებს და თუ სადმე ხელში ჩაიგდებდა, გატაცებით კითხულობდა. ერთხელ ფრონტის ხაზზე სანგარში მჯდომი ფილოსოფოსი ისე გაიტაცა კანტის თხზულების კითხვამ (რომელიც მას როგორღაც ხელთ ჩაუვარდა), რომ დიდხანს ვერც კი შეამჩნია შემთხვევით თავზე წამოდგარი ქართველი კაცი კ. მესხი (შემდეგში ჟურნალისტი, რომელმაც ეს ეპიზოდი საგაზეთო სტატიაში აღწერა). მაგრამ ფრონტზე წიგნები, მით უმეტეს ფილოსოფიური, ცხადია, ძალიან იშვიათად იშოვნებოდა და არც წიგნების კითხვის დრო იყო. ფარაჯიან ფილოსოფოსს კი პროფესიონალური ინტერესი აწუხებს. „ნეტავ რა ხდება ახლა ფილოსოფიურ ფრონტზე!“ — ფიქრობს იგი ნამდვილ ფრონტზე მყოფი. „თუ გრიშა კალანდარიშვილი (ს. წერეთლის მეგობარი, შემდეგში ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი — ს. ა.) ნახო, — წერს იგი თავის დას ფრონტიდან — საყვედური უთხარი; რატომ წერილებს არ მწერს?! მან იცის თუ რა არის ახალი ჩემს დარგში და მოიწეროს“.

ყირიმის ოპერაციის დამთავრების შემდეგ სამხედრო ნაწილი, რომელშიც ს. წერეთელი ირიცხებოდა, ბელორუსიის მესამე ფრონტს შეუერთდა. სავლემ ბრძოლით გაიარა ბელორუსია, ლიტვა, აღმოსავლეთი პრუსია, მონაწილეობდა ქ. კენიგსბერგის (ახლანდელი კალინინგრადი) აღებაში და ბრძოლით მივიდა ნავსადგურ პილაუმდე. 1945 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარებმა ქ. კენიგსბერგი აი-

ღეს. კენიგსბერგი კანტის ქალაქია. აქ დაიბადა კანტი, ოთხმოცი წელი გააატარა ამ ქალაქში და არც ერთხელ მის ფარგლებს არ გასცილებია. აქ, ამ ქალაქში, მარტოდმარტო ებრძოდა XVIII საუკუნის გენია ფილოსოფიის ურთულეს პრობლემებს. სწორედ ამიტომ აქ ს. წერეთელს ყველაფერი კანტს აგონებს; იგი გულმოდგინებით აკვირდება ყველაფერს, ეძებს კანტის საფლავს, სურს იპოვნოს სახლი, სადაც ცხოვრობდა დიდი ფილოსოფოსი; მაგრამ მაშინ კანტის სახლისა და საფლავის პოვნაზე ლაპარაკი ზედმეტი იყო. იგი საქართველოში წერილს გზავნის: „კანტის საფლავს ვეძებ და ვერ მიპოვნიაო". წერილი დანიშნულების ადგილზეა. შინ იციან, რომ კანტი კენიგსბერგში დაიბადა და იქვე გარდაიცვალა. მაშასადამე, სავლე კენიგსბერგშია.

1945 წლის 8 აგვისტოს ს. წერეთელი შორეული აღმოსავლეთის პირველ ფრონტზეა და იმპერიალისტურ იაპონიასთან ომის დაწყების პირველივე დღიდან ბრძოლაში ებმება. ნაწილი, რომელშიც იგი ირიცხებოდა, ათ დღეს იბრძოდა. მტერი დანებდა. როგორც ცნობილია, 2 სექტემბერს იაპონიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციის აქტს.

საბრძოლო დამსახურებისათვის ს. წერეთელი დაჯილდოვდა წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებით და ოთხი მედლით. იგი ატარებდა მაიორის წოდებას.

როგორც კი სამამულო ომი დამთავრდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შუამდგომლობა აღძრა ს. წერეთლის დაბრუნების შესახებ. განსაკუთრებით აქტიურობდა უნივერსიტეტის რექტორი აკად. ნ. კეცხოველი, რომელიც ს. წერეთლის ნიჭის პატივისმცემელი იყო. 1946 წლის თებერვალში ს. წერეთელი დემობილიზებულ იქნა და მშობლიურ უნივერსიტეტს დაუბრუნდა.

*

ერთგან ს. წერეთელი წერს: „დიდი ფილოსოფოსები თეორიული აზროვნების გმირებს წარმოადგენენო"; ეს ითქმის თვითონ ს. წერეთელზეც. იგი, მართლაც, ფილოსოფიური აზროვნების გმირი, მისთვის თავდადებული რაინდი იყო, რომლისთვისაც მეცნიერება ყველაფერზე მაღლა იდგა. „მეცნიერულ მუშაობაზე უკეთესი არაფერია ამ ქვეყანაზე" — წერდა ჯერ კიდევ სამხედრო სამსახურში მყოფი ფილოსოფოსი თავის დას. ს. წერეთელი მეცნიერებისათვის იყო დაბადებული და ყველა სხვა ინტერესი მეცნიერულ ინტერესებთან შეპირისპირებაში უკან იხევდა, უკანა რიგში დგებოდა.

ბუნებრივია, რომ დემობილიზაციის პირველი დღეებიდანვე ს. წერეთელმა განაახლა თითქმის ხუთი წლის წინ შეწყვეტილი მეცნიერული მუშაობა. პირველად დიდ სიძნელეებს წააწყდა, წუხდა: „ყველაფერი დამვიწყებიაო", მაგრამ ენერგიულმა და ინტენსიურმა შრომამ სულ მალე ნაყოფი გამოიღო; ყველაფერი ძველებურად აღდგა, აღდგა უფრო მაღალ საფეხურზე, „განვითარებული სახით", როგორც მას უყვარდა გამოთქმა.

მუშაობის რეჟიმი მკაცრი და მტკიცე იყო; დღის 12 საათამდე შინ კითხულობდა ან წერდა; ეს დრო მისთვის ყველაზე უფრო ნაყოფიერი იყო. შემდეგ მიდიოდა ფილოსოფიის ინსტიტუტში, ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, ხოლო დღის მეორე ნახევარში შედარებით მსუბუქ საქმეს აკეთებდა.

მაგრამ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ს. წერეთლის მეცნიერული მუშაობა არასოდეს არ იყო რეგლამენტირებული; იგი ხომ არაჩვეულებრივად შრომისმოყვარე მეცნიერი, დაუცხრომელი მაძიებელი იყო, რომლის ცხოვრების მიზანს და ყველაზე ძლიერ გატაცებას მეცნიერება წარმოადგენდა. სხვას ყველაფერს მისთვის მხოლოდ იმდენად ჰქონდა ფასი, რამდენადაც ამ მიზნის მიღწევის საშუალება იყო. „მე არაფერი არ მინდა, გარდა მეცნიერული მუშაობისა" — წერდა იგი 1953 წელს ამ სტრიქონების ავტორს. მან მართლაც თავისი ცხოვრება მეცნიერების სამსხვერპლოზე მიიტანა, ყოველთვის ინტენსიურად მუშაობდა, როგორც საწერ მაგიდასთან, ასევე ქუჩაში მიმავალი, ლექციების კითხვის, თუ ნაცნობ-მეგობრებთან, მოწაფეებთან საუბრის დროს: მისი გონება ყოველთვის ფილოსოფიურ პრობლემებს დასტრიალებდა, მისი ყოველი სიტყვა, ფრაზა, ფილოსოფიური შინაარსით იყო გამსჭვალული. ს. წერეთლის დაუშრეტელი ენერგია, მეცნიერის სხვა თვისებებთან ერთად, განცვიფრებას იწვევდა მის ნაცნობებში. ამ დიდებული მეცნიერის ყოველი ახალი ნაშრომი არა მარტო განვლილი კვლევა-ძიების შედეგი იყო, არამედ მომავალი მუშაობის პროგრამასაც წარმოადგენდა. მას განზრახული ჰქონდა შეექმნა მონოგრაფიების სერია ფილოსოფიის აქტუალურ პრობლემებზე, განსაკუთრებით დიალექტიკური ლოგიკის დარგში, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა შეწყვიტა მისი ინტენსიური, ესოდენ ნაყოფიერი მუშაობა.

არსებობენ ორი ტიპის მოაზროვნეები: ანალიზური და სინთეზური; პირველს ძალიან დიდი, ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა აქვს; იგი ნამდვილი ერუდიტია, შესანიშნავად ეხერხება სხვისი ნაზრევის გაგება, გაანალიზება, შეთვისება; მიუხედავად ამისა, მას საკუთრის შექმნა არ შეუძლია, ახალს არაფერს არ ქმნის, შემოქმედებითი აზ-

როვნების უნარი არა აქვს. არსებითად რომ ვთქვათ, ასეთი მოაზროვნე არ არის მეცნიერი, თუმცა იგი მეცნიერების განვითარებაში დიდ როლს ასრულებს. სულ სხვაა სინთეზური გონების მოაზროვნე: მან შეიძლება პირველზე ნაკლები იცოდეს, მაგრამ ყოველთვის ახალს ქმნის, ახალს ეძებს. ძველის ცოდნა მისთვის მიზანი კი არ არის, არამედ ახლის შექმნის საშუალებაა. მეცნიერება სწორედ სინთეზური აზროვნების უნართანაა დაკავშირებული, მეცნიერული აზროვნება სინთეზური აზროვნებაა.

მაგრამ კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ სინთეზური გონება შეერთებულია მეცნიერულ-ისტორიულ ერუდიციასთან. სწორედ ასეთი იყო ს. წერეთელი. იგი სინთეზური გონების მოაზროვნე იყო, რომელსაც ამასთანავე სოლიდური ფილოსოფიურ-ისტორიული ცოდნაც გააჩნდა. სწორედ ამიტომ მისი ნაშრომები ლოგიკის დარგში გამოკვლევებია და არა ტრადიციული ლოგიკური კონცეფ-ციის თუნდაც ორიგინალური გადმოცემა. მხოლოდ სინთეზური გონების მოაზროვნეს შეეძლო უსასრულო დასკვნის თეორიის შექმნა, თეორიისა, რომელიც ს. წერეთლის მთელი მეცნიერული შემოქმედების არსებას წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნის თეორია ამ წიგნის მესამე თავში საკმაოდ ვრცლად, დეტალურად იქნება გადმოცემული. ამ თეორიას ს. წერეთელი ოცდაათი წლის მანძილზე ამუშავებდა და თითქმის ყველა მისი ნაშრომი, ფილოსოფიის რა დარგსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, პირდაპირ ან არაპირდაპირ უსასრულო დასკვნის თეორიას ემსახურება. მისი დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის თეორია და, პირიქით, უსასრულო დასკვნის თეორია სხვა არაფერია, თუ არა დიალექტიკური ლოგიკა. ს. წერეთელი სისტემატიკოსი ფილოსოფოსი იყო; იგი ყველა ფილოსოფიურ პრობლემას — თუნდაც ფილოსოფიის ისტორიას — უსასრულო დასკვნის თეორიის თვალსაზრისით განიხილავდა. ამდენად მისი მეცნიერული ნაშრომები არსებითად ერთ იდეას ემსახურება, ერთ ძაფზეა ასხმული, რის გამოც ს. წერეთლის აზროვნების ლოგიკური სტილი, მანერა იოლი გამოსაცნობია. ასეთია ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი.

ზოგჯერ ს. წერეთელს საყვედურობდნენ (და საყვედურობენ), რომ უსასრულო დასკვნის მთავარი აზრი (სახელდობრ, უარყოფის გზით დასაბუთება; კატეგორიალური ზოგადის უარყოფის შეუძლებლობა, მაგალითად, ჭეშმარიტებისა) ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში (მაგ., სოკრატესა და სოკრატელებთან) იყო ცნობილი და, მაშასადამე, იგი ახალს არაფერს შეიცავსო. მიუთითებენ აგრეთვე იმაზე, რომ რეფლექსურობის იდეა (უარყოფის გზით თვითდადგენა)

სრულყოფილად ჰეგელმა ჩამოაყალიბა და ა. შ. ეს ყველაფერი ს. წერეთლისათვის, ცხადია, კარგად ცნობილი იყო. მაგრამ უდავოა, რომ არც უსასრულო დასკვნის თეორია არსებობდა ანტიკურ ფილოსოფიაში და არც ჰეგელს შეუქმნია მატერიალისტური მოძღვრება აზრის ლოგიკური ფორმების მოძრაობა-განვითარებაზე. ეს ს. წერეთლის დამსახურებაა, რასაც მას ვერავინ წაართმევს.

ს. წერეთლის აზროვნება თავისი არსებით დიალექტიკური იყო, რომელსაც იგი აზროვნების უმაღლეს ფორმად თვლიდა. მისი მეცნიერული შემოქმედება არა მარტო არსებითად ემყარებოდა მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიას, სახელდობრ, დიალექტიკური მატერიალიზმის ძირითად დებულებებს, არამედ მის უშუალო კონკრეტიზაციასაც კი წარმოადგენდა ლოგიკის პრობლემებზე. ამდენად ის, რაც ს. წერეთელმა გააკეთა, მთლიანად მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დაცვასა და პროგრესს ემსახურებოდა.

დაუღალავმა შრომამ, რომელსაც ახლად დემობილიზებული ს. წერეთელი ეწეოდა, მალე ნაყოფი გამოიღო: მან არა მარტო აღადგინა ძველი ცოდნა, არამედ მნიშვნელოვან შედეგებასაც მიაღწია. საკმარისია ითქვას, რომ სულ რაღაც წელიწადნახევრის შემდეგ მას უკვე მოპოვებული ჰქონდა უსასრულო დასკვნის ცნება. ამას ადასტურებს მის მიერ 1947 წლის დეკემბერში წაკითხული მოხსენება „დასკვნის პრობლემისათვის", რომლის ტექსტი ორი წლის შემდეგ (1949) ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების" პირველ ტომში დაიბეჭდა. აქ მოცემული იყო ს. წერეთლის ლოგიკური კონცეფციის ძირითადი დებულება, რომლის გაშლასა და დასაბუთებას ემსახურებოდა მომდევნო პერიოდის თითქმის ყველა მისი მეცნიერული გამოკვლევა.

მაგრამ ს. წერეთლის ლოგიკური კონცეფციის ასე თუ ისე სრული ვარიანტი წარმოდგენილი იყო წიგნში „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის" (1952), რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების" IV ტომის სახით დაიბეჭდა. ოთხი წლის შემდეგ (1956) გამოქვეყნდა ამ წიგნის მეორე, მნიშვნელოვნად გადამუშავებული და შევსებული გამოცემა „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ". ეს წიგნი წინა გამოცემის უბრალო განმეორებას კი არ წარმოადგენს, არამედ წინგადადგმული ნაბიჯია ს. წერეთლის ლოგიკური კონცეფციის შემდგომი სრულყოფის მიმართულებით.

ვეებერთელა მონოგრაფია „დიალექტიკური ლოგიკა", რომელიც ქართულ ენაზე 1965 წელს გამოქვეყნდა (ავტორის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე), ს. წერეთლის გედის სიმღერა იყო.

ეს წიგნი, რომელიც მთელი მისი ოცდაათწლიანი სამეცნიერო მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებასა და დამთავრებას წარმოადგენს, ერთ-ერთი სისტემატური გამოკვლევაა დიალექტიკური ლოგიკის დარგში. ამ ნაშრომში, სადაც თანამიმდევრულად და ავტორისათვის ჩვეული ლოგიკური სიმკაცრით დამუშავებულია დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი პრინციპები, ს. წერეთელმა თითქმის სრულყოფილად ჩამოაყალიბა დიალექტიკური ლოგიკა, დაადგინა მთელი რიგი, მანამდე უცნობი კანონები და კატეგორიები დიალექტიკური ლოგიკისა (ე. წ. ლოგიკურის კატეგორიები), გაარკვია აზრთა ლოგიკური ფორმების დიალექტიკური ბუნება, მოგვცა ორიგინალური ცდა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის ცნობილი პრობლემის გადაწყვეტისა, დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან დეტალურად განიხილა ლოგიკური დასაბუთების მეთოდები და კიდევ უფრო გააღრმავა თავისი კონცეფცია დასაბუთების საწყისის შესახებ, რომელიც დამუშავებული იყო 1963 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „დასაბუთების საწყისი". ძნელია მოიძებნოს საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში მეორე ნაშრომი, რომელსაც დიალექტიკური ლოგიკის განვითარებისათვის ამ წიგნის ტოლფასი ღირებულება ჰქონდეს.

ბუნებრივია, რომ ს. წერეთელი ითვლებოდა დიალექტიკური ლოგიკის დიდ სპეციალისტად მთელ საბჭოთა კავშირში; მის ფართო ფილოსოფიურ ერუდიციას, ღრმა მეცნიერულ ნიჭს, მისი გამოკვლევების მეცნიერულ ღირებულებას აღიარებდნენ არა მხოლოდ თანამოაზრენი, არამედ ისინიც, ვისთვისაც მიუღებელი იყო ს. წერეთლის ლოგიკური კონცეფცია.

ს. წერეთლის „დიალექტიკური ლოგიკა" მარტოოდენ მეცნიერულ გამოკვლევას კი არ წარმოადგენს, არამედ დიალექტიკური ლოგიკის კურსსაც, რომელსაც მისი ავტორი ლექციების სახით კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებთან. უმთავრესად პედაგოგიური მოსაზრებებით იყო გამოწვეული წიგნის მოცულობის გაზრდა (ქართული გამოცემა 50 ნაბეჭდ თაბახს, ე. ი. 800 გვერდს შეადგენს). ამასთანავე ს. წერეთელი ოცნებობდა ამ თხზულების მეორე, მოკლე, მაგრამ მკაცრი ლოგიკური სტილით გამოცემაზე. „მთელი წიგნის შინაარსის გადმოცემა სულ რაღაც 20 თაბახზე შეიძლებაო", — ამბობდა იგი ხოლმე. მაგრამ ამის განხორციელება მან ვერ მოასწრო; „დიალექტიკური ლოგიკის" რუსული თარგმანი უცვლელად გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ 1971 წელს.

ს. წერეთელი „დიალექტიკური ლოგიკის“ გამოქვეყნებას დიდ მნიშვნელობას აძლევდა; იგი აშკარად ხედავდა, რომ თანამედროვე ლოგიკა სხვა გზით მიდის; როგორც ძველი, ისე ახალი თაობის ლოგიკოსთა უმრავლესობამ მათემატიკური ლოგიკის გზა აირჩია. თვითონ კი დიალექტიკური ლოგიკის პრინციპების ყველაზე სერიოზული დამცველი იყო. მაგრამ მარტოობა მას არც აშინებდა და არც ეთაკილებოდა, ვინაიდან მტკიცედ სწამდა დიალექტიკური ლოგიკის მომავალი.

მართლაც, ს. წერეთელი არსებითად მარტო იყო, მარტო თავის იდეებთან; მას თანაუგრძნობდნენ, გარს ეხვეოდნენ, გულწრფელად პატივს სცემდნენ, მაგრამ მაინც მარტო იყო, არც ერთი მისი მოწაფე მასწავლებლის გზით არ მიდიოდა; ეს მან კარგად იცოდა, წუხდა, თან ეამაყებოდა, რომ მარტოდმარტო ლომივით ებრძოდა იდეებს. კიდევ მეტიც, იგი აშკარად ხედავდა იდეურ სხვადასხვაობას თავის მოწაფეებთან, მაგრამ ეს არც უკვირდა, არ უჯავრდებოდა, პირიქით, კიდეც უხაროდა, იცოდა, რომ ნამდვილი მოწაფე მასწავლებელს არასოდეს არ იმეორებს, მოაზროვნე ყოველთვის თავისი გზით მიდის.

თუ ს. წერეთლის ლოგიკურ თეორიას ონტოლოგიური თვალსაზრისით შევხედავთ, ვნახავთ, რომ იგი აბსულუტურის თეორიაა; მართლაც, ს. წერეთელი ყველგან აბსოლუტურს ეძებდა, მეცნიერული შემეცნება აბსოლუტურის შემეცნებად მიაჩნდა. ამით აიხსნება მისი ბრძოლა თანამედროვე პოზიტივისტების, განსაკუთრებით რასელის წინააღმდეგ. ეს, ერთი მხრივ, სრულიად გასაგებია; ისეთ შემოქმედს, როგორიც ს. წერეთელი იყო, ჰქონდა უფლება ეტარებინა „განსაკუთრებული აზრი“ თანამედროვე ფილოსოფიური განვითარების შესახებ.

ს. წერეთლის უკანასკნელი წიგნი არის „დიალექტიკური ლოგიკა“; თუმცა „ანტიკური ფილოსოფია“ ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა (რედ. გ. თევზაძე), მაგრამ იგი გაცილებით ადრე (და მრავალი წლის მანძილზე) იწერებოდა, ვიდრე მისი მთავარი თხზულება. ამ წიგნის დაწერით ს. წერეთელმა ერთგვარი ხარკი გადაუხადა თავის ახალგაზრდულ გატაცებას ანტიკური ფილოსოფიით. გარდა ამისა, ამ წიგნის დაწერა პედაგოგიური მოსაზრებებითაც იყო ნაკარნახები. იგი წლების მანძილზე კითხულობდა ლექციების კურსს ფილოსოფიის ისტორიაში საერთოდ და განსაკუთრებით ანტიკურ ფილოსოფიაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. ერთხანს მისმა მსმენელებმა ფილოსოფიის ისტორიის ლექციების კურსის გამოსაცემად მომზადებაც კი

სცადეს. მაგრამ ს. წერეთელმა ეს საქმე სხვას ვერ მიანდო. მისი „ანტიკური ფილოსოფია“ უაღრესად საინტერესო ნაშრომია, რომელიც თამამად შეიძლება გვერდით ამოვუყენოთ ამავე სახელწოდებით დაწერილ საუკეთესო წიგნებს.

ს. წერეთლის ლოგიკური კონცეფცია ერთ მთლიან თვალსაზრისს წარმოადგენს, რომელიც უსასრულო დასკვნის ცნებით გამოიხატება. სწორედ ამაში გამოვლინდა ქართველი მეცნიერის სინთეზური აზროვნების ძალა და თავისებურება. იგი ხომ ყველაფერში ერთიანობას, მთლიანობას, სინთეზს ეძებდა, მონიზმისაკენ მიისწრაფოდა. ამ მხრივ XX საუკუნის ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში იგი სპეციფიკური მოვლენა იყო; მან თითქოს მემკვიდრეობად მიიღო მისი დიდი მასწავლებლის შ. ნუცუბიძის შემოქმედებითი აზროვნების უნარი, მაგრამ ეს უნარი მან ერთი თვალსაზრისის, ერთი იდეის განხორციელებას მოახმარა; მომავალი თაობები ს. წერეთელს, შ. ნუცუბიძისაგან განსხვავებით, ვერ შეხვდებიან ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში, სხვადასხვა ფილოსოფიური პრობლემების ანალიზის დროს; მას უმთავრესად ფილოსოფიის ერთ დარგში, სახელდობრ დიალექტიკურ ლოგიკაში შეხვდებიან, მაგრამ შეხვდებიან ღრმა, საფუძვლიან მოაზროვნეს, რომელიც თავისი სიდიადით და ორიგინალობით მოხიბლავს მკითხველს.

•

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ ს. წერეთელი ერთბაშად ავიდა მეცნიერული კარიერის კიბეებზე. იგი დაბრუნებისთანავე დანიშნეს ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად და აღადგინეს ფილოსოფიის ისტორიის კათედრის დოცენტად. ამასთანავე იგი მიიწვიეს ახლად გახსნილი საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში (ინტიტუტი გაიხსნა 1946 წლის 1 აპრილს) ლოგიკის განყოფილების ხელმძღვანელად (1946 წლის 8 ივნისი), ხოლო 1947 წლის 20 აპრილიდან განაგებს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის განყოფილებას ამავე ინსტიტუტში. ერთი წლის შემდეგ, 1948 წლის 12 ივნისს, მას ნიშნავენ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო სამი დღის შემდეგ შეთავსებით აბარებენ ფილოსოფიის ისტორიის კათედრას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამრიგად, ს. წერეთელი ერთბაშად ებმება სამეცნიერო, პედაგოგიურსა და ორგანიზაციულ მუშაობაში; შესაბამისად იზრდება მისი ავტორიტეტი; მის სიტყვებს ყურს უგდებენ არა მარტო სამეცნიერო წრეებში, არამედ პარტიულსა და

სახელმწიფო ორგანოებშიც, ითვლება ფილოსოფიის საუკეთესო სპეციალისტად და, როგორც სკკპ წევრსა და სამამულო ომის მონაწილეს, ანდობენ ყველაზე პასუხსაგებსა და საპატიო საქმეს.

ასევე სწრაფად იზრდება ს. წერეთლის პოპულარობა უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებში. ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებს იგი გამორჩეული ჰყავდათ; იგი იყო უაღრესად თავმდაბალი, სტუდენტებს მეგობრულად ეპყრობოდა, დაუზარებლად ეხმარებოდა ყველას, ვისაც ცოდნის შეძენის სურვილი ჰქონდა, მთელი მონდომებით ცდილობდა ფილოსოფიური ინტერესის გაღვივებას ახალგაზრდა თაობაში, შთააგონებდა ადამიანებს ფილოსოფიის სიყვარულსა და პატივისცემას.

ს. წერეთლის ლექციები უნივერსიტეტში აზრის, ინტელექტის ზეიმი იყო; მაღალი შუა ხნის მამაკაცი ზარის დარეკვის უმალვე საპროფესოროდან გამოდიოდა და აუდიტორიისაკენ მიემართებოდა; შედგებოდა კათედრაზე, ჯიბიდან ამოიღებდა სიგრძეზე ორად გაკეცილ ფურცელს, რომელზეც ლექციის გეგმა იყო ჩანიშნული და იწყებოდა ფილოსოფიური ბჭობა; მის ლექციებში იგრძნობოდა არა მხოლოდ დიდი ცოდნა, არამედ აგრეთვე დიდი პედაგოგიური ტაქტიც. ზოგჯერ მას წერის სტილსა და ფილოსოფიურ ენას უწუნებდნენ, აბსტრაქტულობას და ბუნდოვანებას აბრალებდნენ; მაგრამ ნამდვილად კი მის ლექციებში გაუგებარი არაფერი იყო; პირიქით, ფილოსოფიის ურთულეს პრობლემებს ნათელს, გასაგებს ხდიდა. სწორედ ამიტომ აუდიტორია ყოველთვის მსმენელებით იყო სავსე; მის ლექციებს ესწრებოდნენ არა მხოლოდ სხვა კურსის, არამედ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებიც.

მაგრამ ს. წერეთლის მოღვაწეობა სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ძირითადად დაკავშირებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტთან, რომელსაც იგი მრავალი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა. მართალია, ფილოსოფიის ინსტიტუტის გახსნაში ს. წერეთელს უშუალო მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ იგი იყო ამ ინსტიტუტის — რესპუბლიკის ფილოსოფიური მუშაობის ცენტრის — ნამდვილი შემქმნელი და ორგანიზატორი, რომელმაც არა მარტო თავის გარშემო შემოიკრიბა საუკეთესო ფილოსოფიური ძალები, არამედ აგრეთვე აღზარდა და გამოაწრთო ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკთა თაობა, რომელიც შემდეგ ინსტიტუტის ბირთვად იქცა. ბევრ სამეცნიერო ნაშრომს, რომელიც 1948 წლიდან თითქმის ორი ათეულის წლის მანძილზე ფილოსოფიის ინსტიტუტში შესრულდა, აშკარად ატყვია ამ ინსტიტუტის ფაქტობ-

რივი ფუძემდებლის ს. წერეთლის მაღალი ნიჭისა და ფართო შემოქ-
მედებითი უნარის კვალი.

როდესაც ს. წერეთელი სათავეში ჩაუდგა ფილოსოფიის ინს-
ტიტუტს (1948), მაშინ ეს სამეცნიერო დაწესებულება სულ რამ-
დენიმე თანამშრომლისაგან შედგებოდა. ბუნებრივია, რომ ახლად
გახსნილ ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობაც არ იდგა სათანადო
დონეზე; მაგრამ სულ მოკლე ხანში ს. წერეთელმა ინსტიტუტის
მუშაობა საფუძვლიანად გარდაქმნა; 1949 წლიდან დაიწყო ფილო-
სოფიის ინსტიტუტის „შრომების" გამოცემა, იბეჭდება მონოგრა-
ფიული გამოკვლევები, ინსტიტუტი შეივსო ახალგაზრდა მეცნიერი
მუშაკებითა და ასპირანტებით, რეგულარული ხასიათი მიეცა სამე-
ცნიერო სესიებს და ა. შ. ს. წერეთელმა გაამდიდრა და გააფართოვა
ინსტიტუტის სამეცნიერო მუშაობის სფერო, წარმართა იგი აქტუა-
ლური ფილოსოფიური პრობლემების დამუშავების მიმართულებით.
უწინარეს ყოვლისა, ს. წერეთლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს
ის, რომ ამჟამად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის
ინსტიტუტი აღიარებულია ერთ-ერთ წამყვან ფილოსოფიურ ცენტ-
რად მთელ საბჭოთა კავშირში. ს. წერეთლის მოწაფეები და თანამშ-
რომლები მუშაობენ რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო და კულ-
ტურულ დაწესებულებებში, ხოლო ზოგიერთი რესპუბლიკის ფარ-
გლებს გარეთაც. ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ არა მარ-
ტო ფილოსოფიური, არამედ საერთოდ იდეოლოგიური მუშაობის
მრავალ დარგში.

ამ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან ერთად ს. წერეთელმა
კიდევ უფრო გააძლიერა საკუთარი მუშაობა ფილოსოფიური პრო-
ბლემების, განსაკუთრებით, დიალექტიკური ლოგიკის კვლევის მი-
მართულებით. ჯერ კიდევ 1947 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის
პირველ სამეცნიერო სესიაზე წაკითხულ მოხსენებაში მან უსასრუ-
ლო დასკვნის მეცნიერული ცნება ჩამოაყალიბა. ამ მოხსენების ტექ-
სტი დაიბეჭდა ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების" პირველ ტომ-
ში (1949) სათაურით: „დასკვნის პრობლემისათვის". ამის შემდეგ ს.
წერეთელი ზედიზედ აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს, ცალკე წიგ-
ნებსა და მონოგრაფიულ გამოკვლევებს ფილოსოფიის აქტუალურ
პრობლემებზე, ძირითადად, დიალექტიკური ლოგიკის დარგში. 1950
წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების" მეორე ტომში მან
ერთდროულად სამი სამეცნიერო სტატია გამოაქვეყნა. ერთ-ერთ
მათგანში სრულიად ორიგინალურად გაიაზრა დიალექტიკის ნიშნე-
ბისა და კანონების ურთიერთკავშირი (ამ ნაშრომის ძირითად დებუ-

ლებს ქვემოთ გადმოვცემთ), რაც შემდეგ დიალექტიკურ-ლოგიკურ გამოკვლევებში გამოიყენა. ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების“ თითქმის ყველა ტომში, რომელიც ს. წერეთლის რედაქციით გამოვიდა, დაბეჭდილია ამ შესანიშნავი მოაზროვნის ერთი სტატია მაინც (ზოგჯერ მეტიც). მისი ნაშრომები იბეჭდებოდა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში“, საკავშირო ჟურნალში „Вопросы философии“, სახელმძღვანელოებში, რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებში და სხვ. ყველა ნაშრომს ატყვია ავტორის დიდებული ნიჭის კვალი, დიდი ფილოსოფიური ერუდიცია და სინთეზური აზროვნების უნარი.

1952 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების“ IV ტომის სახით დაიბეჭდა ს. წერეთლის პირველი მონოგრაფია (და, საერთოდ, მისი პირველი წიგნი) „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“. ამ წიგნში, როგორც აღვნიშნეთ, თითქმის დასრულებული სახით მოცემულია ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია -- ცნებასრულო დასკვნის თეორია. ავტორის მომდევნო პერიოდის ნაშრომები არსებითად აქ ჩამოყალიბებული იდეების შემდგომ გაშლასა და განვითარებას წარმოადგენენ; სწორედ ამიტომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო გამოკვლევაა დიალექტიკური ლოგიკის დარგში.

ამ მონოგრაფიის მანქანაზე გადაბეჭდილი ეგზემპლარი ს. წერეთელმა სადოქტორო დისერტაციად წარადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ოპონენტებმა აკად. შ. ნუცუბიძემ, პროფ. კ. ბაქრაძემ, პროფ. ლ. გოკიელმა და დოც. გ შუშანაშვილმა, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მაღალი შეფასება მისცეს ს. წერეთლის სადოქტორო დისერტაციას. მაგალითად, აკად. შ. ნუცუბიძე თავის რეცენზიაში წერდა: „ს. წერეთლის ნაშრომი დიდ და სერიოზულ მოვლენას წარმოადგენს ლოგიკის მეცნიერების განვითარებაში. იგი დაწერილია დიდი ერუდიციით და, რაც მთავარია, დიდი გონებრივი სიძლიერითა და სიმახვილით. ბევრი რამ ამ ნაშრომში მიგნებულია სრულიად უტყუარად; მხოლოდ ის, რაც სადავო შეიძლება იყოს, მაინც ძლიერადაა გაკეთებული და ასეთსავე სიძლიერის შთაბეჭდილებას ახდენს“.

ფილოსოფიაში სადოქტორო დისერტაციის დაცვა იმ დროს ნამდვილი სენსაცია იყო; არა იმიტომ, რომ დოქტორანტს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებდნენ, არამედ იმიტომ, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე საქართველოში არ ყოფილა დაცული არც ერთი სადოქტორო დისერტაცია ფილოსოფიის განხრით. შ. ნუცუბიძე ჯერჯერობით უკანასკნელი იყო, ვინც თბილისის სახელ-

მწიფო უნივერსიტეტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი (1927). ათი წლის შემდეგ (1937) დისერტაციის დაცვა სცადა პროფ. კ. ბაქრაძემ, მაგრამ მის წინააღმდეგ ამოქმედდნენ არამეცნიერული ინტერესებით აღფურვილი ძალები და დისერტანტმა საძიებელი ხარისხი ვერ მოიპოვა.

ს. წერეთლის სადოქტორო დისერტაციის დაცვა სრულიად მოულოდნელად ჩაიშალა; იგი ჩაშალეს ს. წერეთლისადმი მტრულად განწყობილმა ადამიანებმა, რომლებმაც დისერტანტს უსაფუძვლო იდეოლოგიური ბრალდებანი წაუყენეს. ამ ბრალდებათა საფუძველზე 1953 წლის 28 იანვარს ს. წერეთელი მოხსნეს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.

მაგრამ ვითარება თანდათან შეიცვალა; ს. წერეთლის მტრებმა მეტს ვერაფერს მიაღწიეს; სიმართლემ საბოლოოდ გაიმარჯვა; ს. წერეთელს მოუხსნეს ყველა ბრალდება, 1957 წლის 11 დეკემბრიდან ს. წერეთელი კვლავ ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორია.

როგორც კი ძველ უფლებებში აღდგა, ს. წერეთელი მაშინვე შეუდგა მისი პირველი წიგნის ხელახლა გამოცემას. 1956 წელს გამოქვეყნდა ამ წიგნის მეორე, შევსებული და საფუძვლიანად გადამუშავებული გამოცემა სათაურით: „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ", რომელშიც ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია კიდევ უფრო ღრმად და განვითარებული სახით წარმოსდგა.

ეს ნაშრომი ს. წერეთელმა რუსულ ენაზე თარგმნა და სადოქტორო დისერტაციად წარადგინა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში (მოსკოვი). დაცვა შედგა 1957 წლის 26 მარტს. ოფიციალური ოპონენტები იყვნენ: პროფ. კ. ბაქრაძე (თბილისი), პროფ. გ. კურსანოვი (მოსკოვი) და პროფ. ვ. ჩერტკოვი (მოსკოვი). დისერტაციის დაცვა მაღალ მეცნიერულ დონეზე ჩატარდა და ს. წერეთელმა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა. 1958 წლის 15 თებერვალს უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ს. წერეთლისათვის ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება, ხოლო იმავე წლის 22 მარტს ს. წერეთელს პროფესორის წოდება მიეკუთვნა.

ინტენსიური სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მიუხედავად ს. წერეთელი არ ივიწყებს საყვარელ სპორტს — ნადი-

რობას, რასაც იგი ჯერ კიდევ ჭაბუკობისას, სახელდობრ, ონის საშუალო სასწავლებელში სწავლის წლებში შეეჩვია; ამ პერიოდში იგი ხშირად ნადირობდა ამავე სასწავლებლის მოწაფე, ელიზბარ მინდელთან (ამჟამად პროფესორი, მეტალურგი), რამაც ისინი კიდეც დაამეგობრა. მათ მეგობრობას ინტელექტუალური საფუძვლებიც ჰქონდა: ელ. მინდელი — ონის საშუალო სასწავლებლის ერთ-ერთი ნიჭიერი და პერსპექტიული მოსწავლე — გატაცებული იყო მათემატიკით; სავლესაც უყვარდა მათემატიკა; მიუხედავად ამისა, ორი მეგობრის ინტელექტუალური განვითარება სულ სხვადასხვა გზით წარიმართა: პირველი ტექნიკური დარგის მეცნიერებათა გამოჩენილი სპეციალისტი, სახელოვანი მეცნიერი დადგა, მერე კი — ფილოსოფოსი.

ახალგაზრდობაში შეთვისებული ნადირობის ტრფიალი ს. წერეთელს ბოლომდე გაჰყვა; იგი ახლო მეგობრებთან ერთად თითქმის ყოველ კვირა დღეს მიდიოდა სანადიროდ. ექსკურსიებზე არ დადიოდა, მაგრამ ნადირობის წყალობით თითქმის მთელი საქართველო შემოვლილი ჰქონდა. მაგრამ ნადირობით გატაცება მას ძვირად დაუჯდა; ერთხელ, დუპელზე ნადირობის დროს მეგობრის თოფიდან გასროლილმა საფანტმა მარჯვენა თვალი გაუფუჭა. ვინაიდან დაზიანებული თვალის გადარჩენა შეუძლებელი იყო, იგი დათანხმდა ექიმ-ოფთალმოლოგებს, რომ მარჯვენა თვალი ამოეღოთ.

1958 წელს ს. წერეთელი, როგორც ცნობილი საბჭოთა ფილოსოფოსი, მიწვეული იყო XII საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესზე ვენეციაში, სადაც მან გერმანულ ენაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ". მოხსენებაში გარკვეული იყო უსასრულო დასკვნასთან დაკავშირებული ლოგიკური აუცილებლობის საკითხი. კერძოდ, ავტორი ამტკიცებდა, რომ ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა მაშინ გვაქვს, როდესაც რაიმეს უარყოფა მასვე ასაბუთებს (ე. ი. უსასრულო დასკვნის აუცილებლობა). მოხსენების ტექსტი გამოქვეყნდა გერმანულ ენაზე 1960 წელს XII საერთაშორისო ფილოსოფიური კონგრესის მასალებში.

1961 წელს ს. წერეთელი მიწვეული იყო ქ. ვარშავაში ლოგიკისა და მეთოდოლოგიის საკითხებზე გამართულ კოლოქვიუმზე, სადაც წარდგენილ იყო მისი მოხსენება „დასაბუთების საწყისის შესახებ", თუმცა კოლოქვიუმის მუშაობაში მას უშუალო მონაწილეობა არ მიუღია. ეს მოხსენება საფუძვლად დაედო მის ვრცელ მონოგრაფიულ გამოკვლევას „დასაბუთების საწყისი", რომელიც 1963 წელს ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. ეს წიგნი უსასრულო დას-

კვნის თეორიის შემდგომ გაშლასა და დასაბუთებას ემსახურება (წიგნის ძირითადი შინაარსი გადმოცემული იქნება მომდევნო თავში).

ს. წერეთლის ცხოვრების უკანასკნელი წლები კიდევ უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული ფილოსოფიის ინსტიტუტთან. იგი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტის სამეცნიერო და ორგანიზაციულ საქმიანობას, ზრდიდა ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკებს, კითხულობდა მოხსენებებს სამეცნიერო სესიებზე და კვლავ ახალგაზრდული ენერგიით მუშაობდა. 1959—1965 წლებში მან სამი სქელტანიანი წიგნი და რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა. მისი დამსახურება ღირსეულად დააფასა პარტიამ და მთავრობამ. ს. წერეთელი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით, მიანიჭეს რესპუბლიკის დამსახურებული მეცნიერის წოდება, განზრახული იყო მისი არჩევა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელის განხორციელება არ მოხერხდა; დიდებული მეცნიერი გარდაიცვალა მანამდე, ვიდრე აკადემიაში მორიგი არჩევნები შედგებოდა.

ს. წერეთლის ხელმძღვანელობით ფილოსოფიის ინსტიტუტის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა; ამ ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოცემულ წიგნებსა და სტატიებს ჯერ კიდევ ს. წერეთლის სიცოცხლეში სერიოზულ ანგარიშს უწევდნენ მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთაც. ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ შესრულებული ზოგიერთი ნაშრომი უცხო ენაზე ითარგმნა ან უცხო ენაზე გამოვიდა. ინსტიტუტის თანამშრომლები მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებზე, მათ გამოკვლევებს ეცნობოდნენ უცხოელი მეცნიერები. ყოველივე ეს ამ ინსტიტუტის დედაბოძის — სავლე წერეთლის — პირდაპირი ან არაპირდაპირი დამსახურება იყო.

ფილოსოფიის ინსტიტუტში მრავალი წელი გაატარა აკად. შ. ნუცუბიძემ; ფენომენალური ნიჭი, გენიალობამდე მისული ინტუიცია, მჭევრმეტყველი და თანამედროვე ქართველ ფილოსოფოსთა პატრიარქი შალვა ნუცუბიძე გიგანტივით ჩანდა ფილოსოფიის ინსტიტუტში. ვერავინ შეკადრებდა სიტყვის შებრუნებას მაშინაც კი, როდესაც ყველა გრძნობდა, რომ ბატონი შალვა მართალი არ იყო. უსაზღვრო იყო ს. წერეთლის პატივისცემა ამ სახელოვანი მეცნიერისა და დიდებული მამულიშვილისადმი; მის შესახებ ყოველთვის დიდი მორიდებითა და მოწიწებით ლაპარაკობდა; ჭაბუკობის ჟამს შეთვისებული პატივისცემა და სიყვარული თავისი იშვიათი მასწავლებლისა ს. წერეთელმა ბოლომდე შეინარჩუნა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობა ს. წერეთელს დიდ დროსა და

ენერგიას ართმევდა, დროს კი ყველაზე მეტად უფრთხილდებოდა. ამიტომ იგი მოითხოვდა დირექტორის მოვალეობისაგან განთავისუფლებას, მაგრამ მისი შემცვლელი არავინ ჩანდა და ასეთი შეცვლა ინსტიტუტის საქმიანობისათვის მხოლოდ საზიანო შეიძლება ყოფილიყო. მართალია, ს. წერეთელი არ იყო დიდი ორგანიზატორი (ამას თვითონაც აღიარებდა), მაგრამ ინსტიტუტში მაინც სრული წესრიგი სუფევდა; მისი დიდი ავტორიტეტი თავისთავად ასრულებდა ორგანიზატორის ფუნქციას.

* * *

ს. წერეთლის, ერთი მხრივ, დიდი ნიჭი, შეერთებული დიდ პედაგოგიურ ტაქტთან, ხოლო, მეორე მხრივ, მისი არაჩვეულებრივი ადამიანური თვისებები, რაც მას ადამიანობის ნიმუშადაც კი ხდიდა, განაპირობებდა მისი პატივისმცემლებისა და მოწაფეების სიუხვეს. ს. წერეთელი ამ მხრივ ბედნიერი ადამიანი იყო; მას განუწყვეტლად თავს ადგა მეგობრებისა და მოწაფეების გულწრფელი სიყვარულისა და პატივისცემის შარავანდედი; მისი მრავალრიცხოვანი აღზრდილები დიდებული მასწავლებლის ნიჭისა და შემოქმედების თაყვანისმცემლები იყვნენ.

ზემოთ უკვე ვილაპარაკეთ ს. წერეთლის სიყრმის მეგობრებზე, რომლებთანაც გულწრფელი ურთიერთობა მას ბოლომდე გაჰყვა; ს. წერეთელს ჰყავდა შედარებით უფრო გვიან შეძენილი მეგობრებიც, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი პროფ. გრ. კალანდარიშვილს ეჭირა. მათ სიახლოვეს ისიც განაპირობებდა, რომ პროფ. გრ. კალანდარიშვილი, ისევე როგორც ს. წერეთელი, ლოგიკოსი იყო: ისინი ხშირად საუბრობდნენ ლოგიკისა და საერთოდ, ფილოსოფიის პრობლემებზე. სავლეს მოსწონდა გრ. კალანდარიშვილის არაჩვეულებრივად კარგი მეხსიერება, მისი ფილოსოფიური ერუდიცია და, რაც მთავარია, „ფილოსოფიური ეროსი".

სამი ათეული წლის მეგობრობა აკავშირებდათ ერთმანეთთან ს. წერეთელსა და დოც. პ. გუჯაბიძეს. მათი მეგობრობა ყოველთვის სუფთა და ფაქიზი იყო, აგებული ურთიერთსიყვარულსა და პატივისცემაზე. ს. წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პ. გუჯაბიძე წერდა: „პროფ. ს. წერეთელში შერწყმული იყო დიდი ინტელექტი და არაჩვეულებრივად ბრწყინვალე ადამიანობა, მოქალაქეობრიობა. ყველამ, ვისაც მასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, კარგად იცის, თუ რა შესანიშნავი ადამიანური თვისებებით იყო იგი აღჭურვილი. მადლიერი, მზრუნველი და მოსიყვარულე შვილი, მშობელი. მეგობარი. ეს დიდი მეცნიერი განსაცვიფრებლად თავმდაბალი იყო. ჩვენი ახლო ურთიერთობის 30 წლის განმავლობაში არც

ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ სავლე წერეთელს თავისი მეცნიერული მოღვაწეობის გადაფასება მოეხდინოს; პირიქით შეიძლება ითქვას, რომ იგი უფრო მეტად თავისი თავის შეუფასებლობას იჩენდა. იგი ყოველთვის ჩრდილში ყოფნას არჩევდა, არ უყვარდა თავის თავზე ლაპარაკი, გამოჩენა, წინა პლანზე დადგომა. უნდა გენახათ, როგორ უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, ბავშვივით წითლდებოდა, როცა მის მეცნიერულ მიღწევებზე ვინმე ობიექტურ აზრს გამოთქვამდა. ასეთ შემთხვევაში იგი არა მარტო საყვედურის გამომხატველ გამომეტყველებას მიიღებდა მოლაპარაკეს მიმართ, არამედ შეეცდებოდა ამ საკითხზე ლაპარაკიც შეწყვეტილიყო. არც ერთხელ არ მსმენია მისგან ისეთი ჩვეულებრივი გამოთქმაც კი როგორიცაა, მაგალითად, „მე ეს გავაკეთე", „მე კარგი წიგნი დავწერე" „მე ამდენი და ამდენი ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი აღვზარდე" და სხვა ასეთი. ეს იმ დროს, როცა მას სრული უფლება ჰქონდა სხვაზე გაცილებით მეტი ეთქვა... ს. წერეთლისათვის მეგობრობა არ ნიშნავდა ძმაბიჭობას, რომელთა შორის ყოველი ნებისმიერი ურთიერთობა არის დასაშვები; იგი მეცნიერების წმინდა პრინციპებს მეგობრულ გრძნობებს არ უმორჩილებდა. სავლე წერეთელზე სავსებით სამართლიანად გავრცელდა ცნობილი ბერძნული გამოთქმა: „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ ჭეშმარიტება კიდევ უფრო მეტად". სავლე ყოველთვის მზად იყო უაღრესად რეალური დახმარება გაეწია მეგობრისათვის, მოწაფისათვის, მაგრამ არასოდეს არავითარ პრინციპულში არ დაუთმობდა, არ აპატიებდა უვიცობას, მეცნიერულ უდარდელობას. სავლე წერეთელი მეგობრობის საფუძველზე აგებულ თანამოაზრეობას კი არ ეძებდა, არამედ, პირიქით, თანამოაზრეობაზე აგებული მეგობრობის ნამდვილი მოტრფიალე იყო"[3].

დოც. ს. სახაროვი ს. წერეთელთან დაახლოებული იყო ჯერ კიდევ ასპირანტობის წლებიდან; ამის შემდეგ მათი ურთიერთობა ბოლომდე არ შეწყვეტილა.

ს. წერეთელი მეგობრობდა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ თ. ჯაფარიძესთან, რომელიც მისი ახლო ნათესავი იყო და რომლის აზრს მედიცინაში დიდად აფასებდა. მიუხედავად პროფესიონალური განსხვავებისა, მათ ყოველთვის გულითადი, გულწრფელი მეგობრობა აკავშირებდათ.

ს. წერეთელს განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა პროფ. კ. ბაქრაძესთან, რომელიც სტუდენტობის წლებში მისი მასწავლებელი

---

3 იხ. კრებული „სავლე წერეთელი", თბილისი, 1967, გვ. 37—38.

იყო და რომლის ღვაწლს იგი ყოველთვის აფასებდა. კ. ბაქრაძე ს. წერეთლის მუდმივი ოპონენტი იყო; ისინი ხშირად კამათობდნენ როგორც სამეცნიერო სხდომებზე, ასევე პრესაში. მაგრამ თვალსაზრისების პრინციპული დაპირისპირებულობა ურთიერთპატივისცემას ხელს არ უშლიდა. ტყუილად კი არ უწოდებდნენ არაკეთილმოსურნე ადამიანები მათ კამათს „ბრძოლას ერთ ოჯახში".

ს. წერეთელი დიდად აფასებდა აკად. ა ბოჭორიშვილის მოღვაწეობას, განსაკუთრებით მის ფილოსოფიურ ერუდიციას. ამ ორი მეცნიერის ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდა მას შემდეგ, რაც აკად. ა. ბოჭორიშვილი სათავეში ჩაუდგა ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილებას (ამჟამად ფილოსოფიური ანთროპოლოგიის განყოფილება).

მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ს. წერეთლისა და პროფ. ლ. გოკიელის მეგობრობა. ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი კავშირი ორი მეცნიერისა, აგებული თანამოაზრეობასა და სათუთ კრძნობებზე. მათ შორის ახლო ურთიერთობა ჯერ კიდევ სამამულო ომის დაწყებამდე დამყარდა, რაც განსაკუთრებით განმტკიცდა მას შემდეგ, როდესაც ს. წერეთელი უსასრულო დასკვნის იდეამდე მივიდა (1947—1949), რომლის გავლენით პროფ. ლ. გოკიელმა ე. წ. „ძირეული დასკვნების" თეორია შექმნა. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში პროფ. ლ. გოკიელი თვითონ მიუთითებს იმ „დიდი გავლენის" შესახებ, რომელიც მასზე ს. წერეთლის უსასრულო დასკვნის თეორიამ მოახდინა. ეს ორი მეცნიერი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს (განსაკუთრებით ფილოსოფიის ინსტიტუტში, როდესაც ლ. გოკიელი ლოგიკის განყოფილებას განაგებდა) და ამა თუ იმ ლოგიკურ პრობლემას ერთობლივად განიხილავდნენ. ს. წერეთლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ლ. გოკიელი წერდა: „სავლე იყო ჩემი უახლოესი მეგობარი. მე იმით ვარ ბედნიერი, რომ ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გავატარე მჯიდრო შემოქმედებით და მეგობრულ ურთიერთობაში ისეთი განსაკუთრებული ნიჭისა და ნათელი გონების მქონე, ისეთ ზნეობრივად აბსოლუტურად უმწიკვლო ადამიანთან, როგორიც იყო ძვირფასი სავლე; ჩვენ ერთად ბევრი სასიამოვნო, შემოქმედებითი სიხარულის წუთები გაგვიცდია, მაგრამ ერთად ბევრი სიმწარეც გვიგემია. სავლე გმირულად და ვაჟკაცურად იტანდა მასზე წარმოებულ შემოტევებს და ერთი წუთითაც არ უღალატნია იმისათვის, რაც ღრმად სწამდა; ის იყო ნამდვილი რაინდი მეცნიერებაში და ჭეშმარიტი ფილოსოფოსის განსახიერება. ამ სუფთა ოქროს ზოდში სხვა არაფერი იყო გარეული. სავლე წერეთლისთანა მეცნიერები მრავალ ათეულ წლებში მხოლოდ

ერთეულები იბადებიან"[4]. როდესაც ს. წერეთლის გარდაცვალება შეიტყო, პროფ. ლ. გოკიელმა თქვა: „უმჯობესი იყო მე მოვმკვდარიყავიო". ამით ყველაფერია ნათქვამი.

მაგრამ იშვიათია ისეთი შემთხვევა, რომ მეცნიერს იმდენი მოწაფეები ჰყავდეს და ისეთი პატივისცემით სარგებლობდეს, როგორიც ს. წერეთელი იყო. თუ მისი ლოგიკური კონცეფციის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, მაშინ ს. წერეთელს არც ერთი მოწაფე არ ჰყოლია, ვინაიდან არავის არ გაუგრძელებია ის გზა, რომელიც ს. წერეთელმა დაიწყო; ყველამ თავისი ადგილი მონახა, საკუთარი მიმართულება აირჩია, რაც ს. წერეთელს კიდეც მოსწონდა, ეამაყებოდა. მაგრამ, მეორე მხრივ, ს. წერეთელი როგორც მოაზროვნე, ფილოსოფოსი და როგორც ადამიანი მრავალი ახალგაზრდის იდეალი იყო: მისგან სწავლობდნენ არა მხოლოდ ფილოსოფიას და ფილოსოფოსობას, არამედ ადამიანობასაც. ამ ფართო აზრით ს. წერეთელს მრავალი მოწაფე ჰყავდა; ყველა ცდილობდა მისგან რაიმე ესწავლა, ბაძავდნენ მას, ბაძავდნენ მუშაობის სტილში, წერის მანერაში, კეთილშობილებაში; ცდილობდნენ მასთან დაახლოებას, საუბარს, თავისი დიდი პატივისცემის გამოხატვას.

თვითონ ს. წერეთელიც ძალიან ახლოს იდგა ახალგაზრდა თაობასთან; ამ დიდ მეცნიერთან განსაკუთრებით დაახლოებული მოწაფეები მასწავლებლის ოჯახში შინაურულადაც კი იყვნენ მიღებული, რომელთაც იგი საათობით ესაუბრებოდა ფილოსოფიის ურთულეს პრობლემებზე, აღვიძებდა და აძლიერებდა მათში შემოქმედებითი მუშაობის ინტერესს, შთააგონებდა მეცნიერებისათვის თავგანწირვას, წვრთნიდა და აფაქიზებდა მათ სულსა და გონებას. ზოგჯერ ბატონი სავლეც ესტუმრებოდა თავის უახლოეს მოწაფეებს, რაც ამ უკანასკნელთათვის დიდი ოჯახური ზეიმი და ბედნიერება იყო. მაგრამ მიუხედავად ესოდენ ახლობელი ურთიერთობისა, არასოდეს იშლებოდა საზღვარი მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის; იცოდნენ რა თავიანთი მასწავლებლის ფასი, ს. წერეთელის აღზრდილები ყოველთვის უაღრესად მოკრძალებული იყვნენ მასწავლებლისადმი, სათუთად ეპყრობოდნენ მას, უმსუბუქებდნენ წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ მძიმე შრომას და დიდ უხერხულობას გრძნობდნენ იმ შემთხვევაში, როდესაც მათთვის მინდობილი მცირე დავალების შესრულებისათვის ეს დიდბუნებოვანი ადამიანი მისთვის ჩვეული გულწრფელობით მათ გადაჭარბებულ მადლობას უხდიდა. მართლაც, ს. წერეთელი, როგორც ადამიანი და მეცნიერი, უაღრესად სულგრძელი იყო; მას, როგორც

[4] იხ. კრებული „სავლე წერეთელი", გვ. 32.

არავის, შეეძლო სხვისი დამსახურების ღირსეულად დაფასება და შეცდომების პატიებაც.

მაგრამ ამასთანავე ს. წერეთელი უღრეესად მომთხოვნი იყო როგორც თავისი თავის, ასევე სხვისადმი, განსაკუთრებით მოწაფეებისადმი. იგი არავის აპატიებდა უდარდელობას, მეცნიერებისადმი ზერელე, განსაკუთრებით, უტილიტარისტულ დამოკიდებულებას. ადამიანი, რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება მეცნიერულ კვლევა-ძიებას შესწირა, ამასვე მოითხოვდა სხვისაგან; მას აინტერესებდა თავისი აღზრდილების აზროვნების მიმართულება, სწორედ ამიტომ ხშირად საკუთარ საქმეებს გადადებდა და მთელი დღეები და კვირები კითხულობდა თავის მოწაფეების სადისერტაციო ნაშრომებს, წიგნებსა და სტატიებს. ამასთანავე იგი თავს არავის ახვევდა თვის აზრს; თუ ავტორი თავის შეხედულებას დასაბუთებულად იცავდა, ეს მას კიდეც მოსწონდა და მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, გზას ულოცავდა ავტორს თუ დისერტანტს; იგი ყველა ავტორისაგან დამოუკიდებლობას მოითხოვდა და არა ავტორიტეტებისადმი მორჩილებას, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში შემოქმედებით მუშობაზე ლაპარაკი ზედმეტია.

თვითონ ს. წერეთელი იშვიათი ავტორი იყო, რომლის ნაწერები გამოირჩევიან არა მარტო გონებრივი სიღრმით, არამედ აგრეთვე ლოგიკური სიმკაცრითა და სიზუსტით. იგი დიდად აფასებდა რედაქტორის მუშაობას და უკმაყოფილებას გამოთქვამდა ზოგიერთი ავტორის თუ რედაქტორის მიმართ, როდესაც ეს უკანასკნელი ამა თუ იმ წიგნის გამოცემის საქმეს უპასუხისმგებლოდ ეპყრობოდა. მე ამაში განსაკუთრებით ღრმად დავრწმუნდი ს. წერეთლის უკანასკნელი ფუნდამენტური მონოგრაფიის „დიალექტიკური ლოგიკის" დასაბეჭდად მომზადების პროცესში, რომლის რედაქტორობა დიდებულმა მეცნიერმა მე მომანდო.

ს. წერეთლის, როგორც მეცნიერისა და ადამიანის, დიდბუნებოვნებას ისიც ადასტურებს, რომ იგი შემწყნარებელი იყო საწინააღმედგო თვალსაზრისისა, თუ ხედავდა, რომ ეს თვალსაზრისი მეცნიერების ინტერესებს ემსახურება, მის განვითარებას უწყობს ხელს. მისი მოწაფე ან თუნდაც მეგობარი შეიძლება ყოფილიყო ისეთი ადამიანიც, რომელიც მის ლოგიკურ კონცეფციას დიამეტრულად უარყოფდა. ს. წერეთლის არაჩვეულებრივი შემწყნარებლობის უნარის ილუსტრაციად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი ხელს უწყობდა მათემატიკური ლოგიკის სპეციალისტების მომზადებას, თუმცა ცნობილია მისი უარყოფითი დამოკიდებულება მათემა-

ტიკური ლოგიკის ლოგიკად აღიარების მიმართ (ამ საკითხს წინამდებარე ნაშრომის მესამე თავში განვიხილეთ). ამის გაკეთება შეეძლო არა მხოლოდ დიდებულ მეცნიერს, არამედ აგრეთვე უაღრესად კეთილშობილური თვისებებით აღჭურვილ ადამიანს, სწორედ ისეთს, როგორიც ს. წერეთელი იყო.

ხანგრძლივმა ინტენსიურმა შრომამ თანდათან გატეხა ს. წერეთლის ჯანმრთელობა; ორგანიზმის არასაკმაო ფიზიკურმა დატვირთვამ, რაც გონებრივი შრომის მუშაკებისათვის ჩვეულებრივი მოვლენაა, უარყოფითი შედეგები გამოიწვია ჯერ კიდევ ადრეულ ასაკში. ყოველივე ამას ზედ დაერთო სისხლის პათოლოგიური ცვლილებანი, კერძოდ, პროთრომბინის მომატება, რაც მის სიცოცხლეს საშიშროებას უქმნიდა.

1966 წლის ზაფხული თბილისში არაჩვეულებრივად ცხელი იყო; ყველა, ვისაც წასვლა შეეძლო, ქალაქს ტოვებდა. ს. წერეთელმა, ოჯახთან ერთად, ივლისის თვე თბილისში გაატარა; მეუღლე წლის დამდეგიდან განუწყვეტლად ავადმყოფობდა; ასეთ პირობებში, ცხადია, ძნელი იყო მგზავრობაც და, მით უმეტეს, ისეთ გარემოშიც ცხოვრება, სადაც ავადმყოფი ექიმის სისტემატურ მეთვალყურეობას მოკლებული იქნებოდა.

თვითონ ს. წერეთლის ჯანმრთელობაც შერყეული იყო და სისტემატურ კონტროლს საჭიროებდა. იგი თითქმის ყოველთვიურად ამოწმებდა სისხლის შემადგენლობას და პროთრომბინის მომატების შემთხვევაში სათანადო მედიკამენტებს მიმართავდა. იმ ზაფხულზე კი, საუბედუროდ, ასეთი შემოწმება არ ჩაუტარებია და არც რაიმე წამალი მიუღია. გული კი ჩვეულებრივზე მეტად აწუხებდა, საერთო სისუსტეს გრძნობდა და ნერვიული სისტემაც ზომაზე მეტად გადაღლილი იყო.

ივლისის მესამე დეკადაში საშუალო ვაჟი — ალექსანდრე — დაქორწინდა და ახალგაზრდები რიგაში გაემგზავრნენ, უფროსი ვაჟი — გელა — კიევში იმყოფებოდა, ხოლო უმცროსი — ბენედიქტე — ასპირანტურაში შესასვლელად ემზადებოდა და მთელი დღე მოუცლელი იყო.

სავლემ და მისმა მეუღლემ დასასვენებლად რაჭაში წასვლა გადაწყვიტეს; 7 აგვისტოს სოფ. ღარში (ქ. ონის მახლობლად) მივიდნენ. მესამე დღეს, 9 აგვისტოს დღის 12 საათსა და 30 წუთზე

ს. წერეთელი გულის ინფარქტით გარდაიცვალა. 11 აგვისტოს ს. წერეთლის ნეშტი თბილისში ჩამოასვენეს; ხოლო 13 აგვისტოს დიდი პატივით დაკრძალეს ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

იმავე დღეს გაზეთმა „Известия"-ამ მეტად გულთბილი სიტყვებით აუწყა საბჭოთა საზოგადოებრიობას ს. წერეთლის გარდაცვალება. მცირე ზომის ნეკროლოგში გაზეთი წერდა: «Ушел из жизни крупный философ, специалист в области диалектической логики, директор Института философии Академии наук Грузинской ССР Савле Бенедиктович Церетели. Его работы по диалектической логике и истории философии представляют большой вклад в разработку этой важной области марксистской философии и в особенности в разработку ленинского философского наследия.

Большой труженик С. Б. Церетели был чутким товарищем, удивительно скромным человеком, заботливым воспитателем молодых научных кадров. Все, кто близко знал его, навсегда сохраняет в своей памяти светлый образ ученого коммуниста».

ფილოსოფიის ინსტიტუტში არავის წარმოედგინა სავლეს გარეშე ინსტიტუტის არსებობა. მისი საწერი მაგიდა დირექტორის კაბინეტში კედელს მიეკრა და გლოვის ნიშნად გაუქმდა. იქვე კედლიდან იყურება ს. წერეთლის სურათი — საოცრად დინჯი, თავდახრილი და ჩაფიქრებული.

1967 წლის პირველ თებერვალს ს. წერეთლის ნათესავები, მეგობრები, მოწაფეები და პატივისმცემლები მის საფლავთან შეიკრიბნენ, რათა აღენიშნათ დიდებული მეცნიერისა და შესანიშნავი ადამიანის დაბადებიდან 60 წლისთავი. ამ დროისათვის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოსცეს წიგნაკი „სავლე წერეთელი", რომელშიც შევიდა ნ. ჭავჭავაძის, ს. ავალიანის, ა. ბოჭორიშვილის, ლ. გოკიელის, გ. ბაჩულაშვილის, პ. გუჯაბიძის, მ. ჭელიძის, გ. თევზაძისა და თ. ბუაჩიძის სტატიები; მათში სხვადასხვა კუთხით დახასიათებულია ს. წერეთლის პიროვნება და აზროვნება.

იმავე წელს ამ სტრიქონების ავტორის ინიციატივით ამბროლაურის რაიონის სოფ. ბუგეულის საშუალო სკოლას ს. წერეთლის სახელი მიეკუთვნა. ამასთან დაკავშირებით 1967 წლის 27 მაისს ს. წერეთლის სახელობის ბუგეულის საშუალო სკოლაში გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა სკოლის დირექტორმა, დამსახურებულმა მასწავლებელმა ქეთევან გიორგობიანმა. მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს ს. წერეთლის მეგობრებმა, მოწაფეებმა, რაიონის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

1968 წლის10 თებერვალს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა ს. წერეთლისადმი მიძღვნილი უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტის, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტისა და ფილოსოფიის დარგში სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის რესპუბლიკური საბჭოს გაერთიანებული სამეცნიერო სესია: სესია შესავალი სიტყვით გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა აკად. ი. ვეკუამ. მოსმენილ იქნა ნ. ჭავჭავაძის, ა. ბოჭორიშვილის, ლ. გოკიელის, გ. თევზაძის, ს. ავალიანის, მ. ჭელიძის, გ. ბაჩულაშვილის, ო. გაბიძაშვილის, მ. ბაკურიასა და მ. ნემსაძის მოხსენებები. მოგონებებით გამოვიდნენ: შ. ნუცუბიძე, კ. ბაქრაძე, ვ. კობახიძე.

იმავე წელს გამოქვეყნდა ს. წერეთლის წიგნი „ანტიკური ფილოსოფია“ (რედაქტორი გ. თევზაძე), ხოლო 1971 წელს — მისი მთავარი ნაშრომი „დიალექტიკური ლოგიკა“ რუსულ ენაზე (რედაქტორი ნ. ჭავჭავაძე, თარგმანი ვ. დეკანოზიშვილისა).

ასე დასრულდა ცხოვრების გზა შესანიშნავი ადამიანისა, ფუნდამენტური მოაზროვნისა; „დიდი ქალაქის აშენება უფრო ადვილია, ვიდრე ერთი დიდი მეცნიერის აღზრდაო“ — იტყოდა ხოლმე ს. წერეთელი. ეს სიტყვები ზუსტად შეიძლება თვითონ მასზე განმეორდეს. ს. წერეთლის გარდაცვალება დიდხანს დარჩება აუნაზღაურებელ დანაკლისად: მისი მეცნიერული მემკვიდრეობა კი დიდხანს შეინახავს ავტორის სახელს ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.

თავი მეორე

უსასრულო დასკვნის თეორიის ევოლუცია

§ 1. ახალი ლოგიკური თეორიის ძიებაა

აჯამებდა რა თავისი ფილოსოფიური მოღვაწეობის შედეგებს, ს. წერეთელი „დიალექტიკური ლოგიკის“ წინასიტყვაობაში წერდა: „ამ ნაშრომით ერთგვარად დავასრულე ის მუშაობა, რომელიც დავიწყე 1934 წელს, როდესაც ვამზადებდი საკანდიდატო დისერტაციას (დაცულ იქნა 1938 წ.), რომლის თემასაც შეადგენდა დასაბუთების რედუქციული მეთოდები. მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით, უკუქცევითი ლოგიკური კავშირების შესწავლამ მიმიყვანა უსასრულო ლოგიკურის, უსასრულო დასკვნის ცნებამდე, რომლის შესახებ პირველად მოხსენება გავაკეთე ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე 1947 წელს (მოხსენების თეზისები დაიბეჭდა ქართულსა და რუსულ ენებზე). ეს მოხსენება სათაურით „დასკვნის პრობლემისათვის“ გამოქვეყნდა 1949 წელს „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომებში“, ტ. 1. სწორედ აქ იქნა პირველად გამოთქმული უსასრულო დასკვნის განსაზღვრება შემდეგი სახით: „დაუბოლოებელი არის ის, რომლის უარყოფაც მას ასაბუთებს“ (დასახელებული „შრომები“, გვ. 132). უსასრულო დასკვნის ცნება უფრო სრულად იქნა წარმოდგენილი ნაშრომებში: 1952 წ. „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის“ (თავი II) და 1956 წ. „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ“, მეორე თავი („ლოგიკურის განსაზღვრებისათვის“). სწორედ უსასრულო დასკვნის ცნების თვალსაზრისით იქნა გასწორებული ანგარიში ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკურ ლოგიკასთან ნაშრომში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში“ (1959). უსასრულო დასკვნის ცნება კიდევ უფრო განვითარებული სახით წარმოსდგა ჩემს წიგნში „დასაბუთების საწყისი“ (1963). წინამდებარე მონოგრაფია აჯამებს და ავითარებს მთელ ამ მუშაობას; მასში მო-

ცემულია დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ცდა სწორედ უსასრულო დასკვნის ცნების საფუძველზე"[1].

როგორც ვხედავთ, ს. წერეთელი თვითონ მიუთითებს თავისი ფილოსოფიური ევოლუციის ძირითად მომენტებზე; ეს ევოლუცია დაიწყო მისი საკანდიდატო დისერტაციით „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში", რომელზე მუშაობა მან დაამთავრა 1936 წლის 4 ოქტომბერს. ეს ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ პროგრამასა და ამ პროგრამის განხორციელების დასაწყისს, რომელსაც მისი ავტორი სამი ათეული წლის მანძილზე სრულყოფდა. მასში ემბრიონული ფორმით, თუმცა ძალიან მკრთალად, მოცემულია უსასრულო დასკვნის თეორია, ე. ი. ის თეორია, რომელიც ს. წერეთლის მეცნიერული მოღვაწეობის გვირგვინს წარმოადგენს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი პოლემიკურ ხასიათს ატარებს (გაკრიტიკებულია პლატონის, არისტოტელეს, ზიგვარტის, პაულერის, ჰუსერლის, ნუცუბიძისა და კანტის დასკვნა-დასაბუთების რედუქციული თეორიები), რაც მის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს. ახალგაზრდა მკვლევარს არ აკმაყოფილებს ძველი ლოგიკური კონცეფციები, კრიტიკულად განიხილავს მათ და ცდილობს ახალი ლოგიკური თეორიის აგებას, რომელშიც ძველი თვალსაზრისები მექანიკურად კი არ იქნება უკუგდებული, არამედ საფუძვლიანად გარჩეული და მათი რაციონალური მარცვალი გამოყენებული. ამდენად ს. წერეთლის საკანდიდატო დისერტაცია „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში" წარმოადგენს ძველ ლოგიკურ თეორიებთან ანგარიშის გასწორებასა და ახალი თეორიის ძიებას.

განსაკუთრებით საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის შესავალი და დასკვნა, სადაც მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების სახელმძღვანელო დებულებების ანალიზის საფუძველზე მოცემულია ორიგინალური მოსაზრებანი დასკვნა-დასაბუთების პროგრესული თეორიის შექმნის მიმართულებით. სხვადასხვა (როგორც ძველი, ასევე თანამედროვე) თეორიების კრიტიკული განხილვის შედეგად ავტორი აჩვენებს, თუ როგორი უნდა იყოს ახალი ლოგიკური თეორია, თუმცა ამ უკანასკნელის დაფუძნება სადისერტაციო ნაშრომის ამოცანას სრულიადაც არ წარმოადგენს.

ძველი ლოგიკური თეორიები, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომში, „Vorgeschichte-ს ლოგიკური თეორიებია"; ისინი ჭეშმარი-

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, 1965, გვ. 5.

ტი ლოგიკური თეორიის წინაისტორიას მიეკუთვნებიან, რომლებმაც, თუმცა საფუძველი მოუმზადეს ნამდვილ ლოგიკურ მეცნიერებას, მაგრამ ლოგიკურის ბუნება არსებითად მაინც ვერ გაარკვიეს. მათი უმრავლესობა „უკუსვლის თეორიებია", რედუქციული ბუნებისაა, სადაც ლოგიკურის განვითარებას მოჩვენებითი ხასიათი აქვს, ვინაიდან ის, რაც განვითარების შედეგად უნდა მოგვეცეს, წინასწარდაშვებულად იგულისხმება. ამ თეორიებში არც შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნამდვილ განვითარებას, ვინაიდან რედუქციულობის გამო წმინდა ანალიზურობა გვაქვს და, მაშასადამე, ნახტომების გზით განვითარება გამორიცხულია.

ძველ ლოგიკურ თეორიებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ჰეგელის თვალსაზრისს, რომელიც რეგრესული თეორიების რიცხვს კი არ მიეკუთვნება, არამედ პროგრესულ თეორიას წარმოადგენს[2]. მიუხედავად ამისა, ჰეგელის დასკვნა-დასაბუთების თეორიაც Vorgeschichte-ს თეორიაა[3], ვინაიდან იდეალიზმმა დაამახინჯა ლოგიკური დასკვნა-დასაბუთების ბუნება; სწორედ ამიტომ ს. წერეთელი თვლის, რომ „მატერიალისტური დიალექტიკის დასკვნა-დასაბუთების პრობლემების განხილვა საჭიროებს დიდ მოსამზადებელ სამუშაოებს", რომელთაგან „ყველაზე მნიშვნელოვანია ჰეგელის დიალექტიკის განხილვა"[4]. ეს ამოცანა ს. წერეთელმა შეასრულა უფრო გვიან, კერძოდ, 1959 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში".

დასკვნა-დასაბუთების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია, ამტკიცებს ს. წერეთელი საკანდიდატო დისერტაციაში, „უნდა იყოს ისტორიულის ასახვა... ისტორიული განვითარების ნიადაგზე უნდა იყოს მოცემული დასკვნა-დასაბუთებაში (რაც არსებითია ლოგიკაში) წინსვლის ჭეშმარტი თეორია".[5] ავტორი თვლის, რომ „ნამდვილი ლოგიკური პროცესის — ნამდვილი დასკვნა-დასაბუთების თეორიის შექმნა — ნამდვილი ისტორიის თეორიის შექმნას ემყარება, ე. ი. ემყარება ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიას. ამიტომ მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის დასკვნა-დასაბუთების თეორიაა ნამდვილი ლოგიკური თეორია"[6]. ეს თეორია „წინსვლის თეორიაა", რომელშიც დასკვნა-დასაბუთებას პრო-

[2] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, რეგრესული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში, თბილისი, 1936, ხელნაწერი (საკანდიდატო დისერტაცია), გვ. 174.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 2.

[4] ი ქ ვ ე, გვ. 179—180.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 1.

[6] ი ქ ვ ე, გვ. 2.

გრესული ხასიათი აქვს; იგი პრინციპულად განსხვავდება Vorgeschichte-ს რედუქციული თეორიებისაგან, რომლებიც „უკუსვლის თეორიებს“. ე. ი. რეგრესული დასკვნა-დასაბუთების თეორიებს წარმოადგენენ.

ამოდის რა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესაბამისი დებულებებიდან, ს. წერეთელი თვლის, რომ „ლოგიკური პროცესი დასკვნა-დასაბუთების პროცესია, რომელშიც ისტორიული პროცესი — სინამდვილის განვითარების პროცესი — აისახება“[7]. მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიაში არსებული „ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპი არის ნამდვილი წინსვლითი ლოგიკის, ნამდვილი განვითარების ლოგიკის პრინციპი“[8]. „ნამდვილი დასკვნის პროგრესული თეორია უნდა იყოს ისტორიულობის ამსახველი და ახლის წარმოშობის, არა მარტო ძველის აღდგენის თეორია“, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად, პლატონთან[9]. დასკვნა-დასაბუთების ნამდვილი თეორია ახალს უნდა იძლეოდეს და არა ძველს აღადგენდეს: წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკურში შეუძლებელი იქნება განვითარება. სწორედ ამიტომ „მხოლოდ ნამდვილი დიალექტიკის ნამდვილი განვითარების ნიადაგი იძლევა დასაბუთების წინსვლის თეორიის შემუშავების აუცილებელ და საკმარის პირობებს“[10] დასასრულ, ავტორი კატეგორიულად აცხადებს, რომ „დასკვნა-დასაბუთება არ უნდა იყოს სხვა რაიმე, თუ არა ისტორიულის ამსახველი წინსვლითი პროცესი. ამას მოითხოვს ლენინის ასახვის თეორია“[11].

მაგრამ რა დამოკიდებულება უნდა ვივარაუდოთ ახალ დასკვნა-დასაბუთების თეორიასა, რომელსაც პროგრესული ხასიათი აქვს და ისტორიულის ასახვას წარმოადგენს, და ძველ რედუქციულ თეორიებს შორის? წინსვლის პროცესი ლოგიკურში მთლიანად გამორიცხავს თუ არა უკუსვლის პროცესს? ს. წერეთელი ამ კითხვას უარყოფითად პასუხობს. „მარქსთან და ლენინთან — წერს იგი — წინსვლის პროცესი უკუსვლის მომენტსაც გულისხმობს, რადგან საფუძველთა გამოკვლევისას და საერთოდ ყოველი მომენტის განვითარებაში წარსულის არსებითის ნიადაგზე და მისი საკუთარ თავში მოხსნილი სახით ტარებით იძლევა ახალს“[12]. ამრიგად, წინსვლა

---

[7] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, რეგრესული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში, გვ. 2.

[8] ი ქ ვ ე, გვ. 5.

[9] ი ქ ვ ე, გვ. 32.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 199.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 200.

[12] ი ქ ვ ე, გვ. 180.

უკუსვლის მომენტსაც გულისხმობს, რადგან „რაიმეს ახსნა ამ რაიმეს საფუძვლის მონახვაა“[13]. სწორედ ამიტომ პროგრესულ დასკვნაში „პროცესი არის თავის საწინააღმდეგოში, როგორც თავის საფუძველში გადასვლის პროცესი; ეს არის მოხსნის საშუალებით წინსვლის პროცესი“[14]. კერძოდ, „საფუძვლის ხასიათი განსაზღვრავს შედეგის ხასიათს, იმ შედეგის, რომელიც ახალს და უფრო მაღალს, თავისებურ სირთულეს წარმოადგენს საფუძველთან შედარებით, ამავე დროს არის საფუძვლის შინაარსის ამოწურვა; ამდენად ამ წინსვლაში უკანდაბრუნების მომენტიც მოხსნილი სახით იგულისხმება“[15].

ამ დებულების საილუსტრაციოდ ავტორი აანალიზებს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თვალსაზრისს, კერძოდ, კ. მარქსის სახელმძღვანელო დებულებებს თხზულებიდან „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის; შესავალი“. იგი აჩვენებს, რომ წინსვლის პროცესი უკუსვლის მომენტსაც შეიცავს, ამიტომ დასკვნა-დასაბუთების ნამდვილი, ჭეშმარიტი თეორია, რომელიც დიალექტიკურ-მატერიალისტურ თეორიას წარმოადგენს, ძველი თეორიების კრიტიკული დაძლევის შედეგია. „სწორედ აი, ამ თვალსაზრისით — ნამდვილი წინსვლითი თეორიის თვალსაზრისით — და გულისათვის არის საინტერესო ძველ ფილოსოფოსთაგან არა მარტო არისტოტელე, არამედ პლატონიც“[16]. იმისათვის, რათა ახალი ლოგიკის აუცილებლობა დასაბუთდეს, საჭიროა ნაჩვენები იქნას ძველი თეორიების უშედეგობა, მათი უუნარობა პრობლემის მეცნიერული გადაჭრისა. სწორედ ამის ჩვენებას ისახავს მიზნად ს. წერეთლის საკანდიდატო დისერტაცია; იგი არის ძველთან ანგარიშის გასწორების (მისი დადებითი მომენტების შენარჩუნებით) და ახლის ძიების საყურადღებო ცდა.

რეგრესული დასკვნა-დასაბუთების თეორიების კრიტიკულ ანალიზს ს. წერეთელი იწყებს პლატონის ფილოსოფიის განხილვით, ვინაიდან თვლის, რომ „დასაბუთების რეგრესიულობის თვალსაზრისით პლატონს პირველი ადგილი უჭირავს“[17]. აქ დაწვრილებით გარჩეულია პლატონის დიალექტიკა, განსაკუთრებით დიალოგ „პარმენიდეს“ მიხედვით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ინტერესი ამ თხზულებისადმი ს. წერეთელს არასოდეს დაუკარგავს. ამას ადას-

---

13 იქვე, გვ. 8
14 იქვე, გვ. 186.
15 იქვე, გვ. 188.
16 იქვე, გვ. 6.
17 იქვე.

ტურებს მის მიერ პლატონის „პარმენიდეს“ დეტალური ანალიზი წიგნში „ანტიკური ფილოსოფია“, რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა.

პლატონთან, ამტკიცებს ს. წერეთელი, დასკვნა-დასაბუთების პროცესში ტიპიური უკუსვლაა, რის გამოც მას ანალიზური ხასიათი აქვს. „პლატონის იდეალიზმის რეგრესიულ გზას საბოლოოდ უარყოფს მხოლოდ ნამდვილი მატერიალიზმის — დიალექტიკური მატერიალიზმის — ისტორიულობის ამსახველი დასკვნა-დასაბუთების პროგრესული თეორია“[18]. ეს თეორია სინთეზური ბუნებისაა და განვითარებასაც ნახტომების ხასიათი აქვს. იგი ისტორიულის ამსახველია, ახლის მიღების თეორიაა და არა მარტოოდენ ძველის აღდგენისა.

ის, რაც პლატონის დასკვნა-დასაბუთების თეორიის შესახებ ითქვა, არსებითად შეიძლება განმეორებულ იქნას ყველა რედუქციულ თეორიაზე ძველი დროიდან თანამედროვეობის (მაგ., შ. ნუცუბიძის ალეთოლოგიური რეალიზმის) ჩათვლით. მართალია, ეს თეორიები ახალი ლოგიკის თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა, მაგრამ რაკი საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტას ვერ იძლევიან, ამიტომ ისინი ნამდვილი ლოგიკის წინაისტორიას შეადგენენ.

„ნამდვილი ახალი ლოგიკა“, რომლის ქვეშ ს. წერეთელი დიალექტიკურ ლოგიკას გულისხმობს, ასაბუთებს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობას[19]. ამასთანავე მას უსასრულობის პრობლემა აინტერესებს, იგი „ეძებს უსასრულობის ახსნის გზებს“ და „არ ქვეითდება ემპირიამდე და ცდამდე“; ახალი ლოგიკა არ ეხება ინდივიდუალურ, ემპირიულ საგნებსა და მოვლენებს, ვინაიდან ეს უკანასკნელი დაბოლოებულის, სასრულის სფეროა, რომელიც უსასრულობის საშუალებით უნდა აიხსნას. ამ უკანასკნელის ძიება ახალი ლოგიკის კომპეტენციაში შედის, რაც მას კვლავ „კერძო საგანთა ახსნისათვის“ ესაჭიროება. „ახალ ლოგიკა — წერს ავტორი — ეძებს უსასრულობის ახსნის გზებს, ცხადია, კერძო საგანთა ახსნისათვის, მაგრამ სრულიადაც არ ქვეითდება ემპირიამდე და ცდამდე“[20]. ამ დებულებას, რომელსაც ავტორი ყოველგვარი განმარტების გარეშე გვთავაზობს, უაღრესად პრინციპული მნიშვნელობა აქვს ლოგიკის საგნისა და მისი ბუნების გაგებისათვის. ახალი ლოგიკა უსასრულობის ლოგიკაა და, ცხადია, მას ემპირიული ხასია-

---

18 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, რეგრესული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში, გვ. 32.

19 ი ქ ვ ე, გვ. 82.

20 ი ქ ვ ე, გვ. 92.

თი არ შეიძლება ჰქონდეს; მიუხედავად ამისა, იგი მნიშვნელობს ემპირიულისათვის, სასრული საგნებისა და მოვლენების სამყაროსათვის, „კერძო საგანთა ახსნისათვის“, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალ ლოგიკას უფრო ღრმა, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ემპირიულსა და კერძო-მეცნიერულ შემეცნებას. საყურადღებოა, რომ ეს აზრი ს. წერეთელმა განავითარა და სისრულით წარმოადგინა თავის უკანასკნელ თხზულებაში „დიალექტიკური ლოგიკა“.

ახალი ლოგიკისაგან განსხვავებით, ტრადიციული სილოგისტური ლოგიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი, „ზერელეა“, „სილოგისტური დასკვნა... ზერელე კავშირს“ წარმოადგენს[21] და, მაშასადამე, სინამდვილის სიღრმეს ვერ სწვდება. დასკვნის ახალი თეორია ამ „ზერელობის“ მომხსნელი უნდა იყოს.

ს. წერეთლის საკანდიდატო დისერტაცია „რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიები ლოგიკაში“ საინტერესოა აგრეთვე როგორც ახალგაზრდა მკვლევარის განსწავლულობის დამადასტურებელი დოკუმენტი. ნაშრომში ჩანს ავტორის არა მხოლოდ დიდი ერუდიცია ფილოსოფიის ისტორიისა და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ფილოსოფიური მემკვიდრეობის დარგში, არამედ აგრეთვე კრიტიკული აზროვნების მკაფიო უნარიც, რაც ს. წერეთელმა ბოლომდე შეინარჩუნა.

როგორც ირკვევა, მომდევნო წლებში ს. წერეთელმა თავისი საკანდიდატო დისერტაციის მნიშვნელოვანი ნაწილი გადაამუშავა, გაფართოვა და დასაბეჭდად მოამზადა. ამ მიზნით დაწერილია ორგვერდიანი წინასიტყვაობა, რომელსაც აზის თარიღი: 10 ნოემბერი, 1939 წ. ე. ი. აღნიშნული წინასიტყვაობა შედგენილია სამი წლის შემდეგ სადისერტაციო ნაშრომის დამთავრებიდან (1936). წინასიტყვაობაში ს. წერეთელი ლაპარაკობს რაღაც „ვრცელ ნაშრომზე“, რომლის ერთ-ერთ თავად მის საკანდიდატო დისერტაციას თვლის. ამ ვრცელი გამოკვლევის მიზანს, ავტორის აზრით, „დასაბუთების ბუნების გარკვევა“ წარმოადგენს.

ს. წერეთელი თვლის, რომ „დასკვნისა და დასაბუთების ცალ-ცალკე განხილვა ფორმალი ლოგიკის, და, საერთოდ, არადიალექტიკური ლოგიკისათვისაა დამახასიათებელი“. თვითონ კი, დგას რა ფორმალური ლოგიკის საპირისპირო თვალსაზრისზე, ლაპარაკობს „დასკვნა-დასაბუთებაზე“ და არა დასკვნასა და დასაბუთებაზე ცალ-ცალკე. ეს იდეაც უფრო სრულყოფილად წარმოდგენილია წიგნში „დიალექტიკური ლოგიკა“. აქ ნათლად ჩანს ს. წერეთლის

---

21 ი ქ ვ ე, გვ. 181.

აზროვნების ერთი ხაზი; ის, რის დასაბუთებასაც იგი თავისი მეცნიერული მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ცდილობდა, დაასაბუთა მეცნიერული მოღვაწეობის ბოლოს.

მაგრამ თავის საკანდიდატო დისერტაციის ძირითად მიზანს ს. წერეთელი მაინც ძველი ლოგიკის კრიტიკაში ხედავს; „შრომის საბოლოო მიზანს წარმოადგენს — წერს იგი — დაასაბუთოს შეუძლებლობა ძველი ლოგიკურისა". ეს იყო აუცილებელი ეტაპი ახალი — დიალექტიკურ-ლოგიკური — კონცეფციის ჩამოყალიბებისათვის, რაც ს. წერეთელმა შემდგომი პერიოდის ნაშრომებში განახორციელა.

ს. წერეთელი ძველი ლოგიკის კრიტიკას ამჯერად მხოლოდ ერთი ასპექტით აწარმოებს; კერძოდ, იგი აჩვენებს ძველი დასკვნა-დასაბუთების ლოგიკური თეორიების რეგრესულ ხასიათს და ამაში ხედავს მის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს. „დასკვნისა და დასაბუთების რეგრესიული თეორიები — წერს იგი ზემოხსენებულ წინასიტყვაობაში — ძველი ლოგიკის საზღვარს, უარყოფას, ნაკლს გვაწოდებენ. ძველი ლოგიკა, საბოლოო ანგარიშში, რეგრესის გზას დაადგა. ამიტომ რეგრესიული თეორიების განხილვა ამავე დროს მთელი ძველი ლოგიკის კრიტიკაც იქნება პრინციპულად".

„დასაბუთების რეგრესიულობა — განაგრძობს ს. წერეთელი — ყველაზე ნათლად ჰეგელშია მოცემული, მაგრამ მასში ამავე დროს განუყრელად მოცემულია — ესაა სწორედ იქ არსებითი — ცდა დასაბუთების პროგრესული თეორიისა, დიალექტიკისა; ამიტომ ჰეგელის განხილვა ხსენებული თვალსაზრისით უნდა მოხდეს მატერიალისტურ დიალექტიკაში დასაბუთების ბუნების გაშუქების უშუალო შესავალში და სათანადო დაპირისპირებაში". ეს ამოცანა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს. წერეთელმა შეასრულა ამ წინასიტყვაობის დაწერიდან ოცი წლის შემდეგ წიგნში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში" (1959).

გამოსაცემად მომზადებულ სადისერტაციო ნაშრომს თან ახლავს ერთგვარი რეზიუმე სათაურით: „რეგრესიულ დასკვნა-დასაბუთების თეორიები და დასაბუთების პრინციპისათვის მატერიალისტურ დიალექტიკაში", რომელსაც აზის თარიღი: 4 თებერვალი, 1937 წ. აქ, გარდა დისერტაციაში ჩატარებული კვლევის შედეგების შეჯამებისა, მოცემულია ზოგიერთი საინტერესო დებულება უსასრულო დასკვნის თეორიის ევოლუციის თვალსაზრისით. კერძოდ, ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ „დასაბუთების პროცესი უნდა იყოს და არის ახლის წარმოშობის და მოცემის დასაბუთების პროცესი" და არა წინასწარდაშვებულის მიღება. ძველი ლოგიკა რეგრესული

დასკვნა-დასაბუთების ლოგიკაა, ახალი კი — პროგრესული დასკვნა-დასაბუთებისა; მაგრამ ახალი ლოგიკა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას ემყარება, მოხსნილი სახით შეიცავს რეგრესული დასკვნა-დასაბუთების მეთოდებს. აქ საკმაოდ ნათლად ჩანს ის, რასაც ს. წერეთელი გვიანდელი პერიოდის ნაშრომებში ამტკიცებდა: დიალექტიკური ლოგიკა მომენტის სახით შეიცავს ფორმალურ ლოგიკასო.

„ნამდვილი წინსვლითი პროცესი — ამტკიცებს ს. წერეთელი ზემოხსნებულ რეზიუმეში — არის დაბოლოებულთა ბრძოლის უსასრულო ხაზზე წინააღმდეგობის გზით დაუბოლოებლობის დაუბოლოებელი განხორციელების პროცესი. ისტორიულის ამსახველი ლოგიკურის საფუძველს წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს, ვინაიდან ასეთია თვითონ ისტორიული. ასეთი ლოგიკურის უარმყოფელი თეორიები რეგრესიული დასკვნა-დასაბუთების თეორიებს შეადგენენ; ხოლო პროგრესიული თეორიის არსებას წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს“. ასეთ პროგრესულ თეორიად ს. წერეთელი მატერიალისტური დიალექტიკის თეორიას თვლის. აქაც ნათლად ჩანს უსასრულობის (დაუბოლოებლობის) და, საერთოდ, ლოგიკურის იმ გაგების სილუეტი, რომელიც მან უფრო გვიანდელი პერიოდის ნაშრომებში ჩამოაყალიბა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. წერეთელი „ნამდვილი წინსვლითი ლოგიკის“ ძირითად პრინციპად „ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპს“ თვლის. სწორედ ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთობის საკითხს მან სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა[22]. ეს ნაშრომი არსებითად საკანდიდატო დისერტაციას ემყარება და მისი ძირითადი დებულებების გაშლასა და განვითარებას წარმოადგენს ისტორიულისა და ლოგიკურის ურთიერთობის კვლევის მიმართულებით. სწორედ ამიტომ იგი, ისევე როგორც თვითონ საკანდიდატო დისერტაცია, ახალი ლოგიკური თეორიის ძიების პერიოდს მიეკუთვნება.

მეცნიერული კომუნიზმის თეორია, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომში, „ნამდვილი ისტორიის თეორიაა“, ხოლო ნამდვილი ისტორიის გამომხატველი თეორია ლოგიკურად ისეთივე სტრუქტურისა უნდა იყოს, როგორც თვითონ ისტორიაა, რომელსაც ეს

---

22 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულების საკითხისათვის კ. მარქსის მოძღვრებაში, „სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, ტ. XIV, 1940.

თეორია გამოხატავს და შეესაბამება. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელმა კ. მარქსმა ისტორიული სინამდვილის ლოგიკური თეორია შექმნა, ე. ი. შექმნა ისეთი თეორია, რომელიც „ნამდვილი მატერიალური სინამდვილის მოძრაობას თავის თავში გამოხატავს"[23]. ეს არის მატერიალისტური დიალექტიკის თეორია, რომელიც იმავე დროს ლოგიკურ თეორიასაც წარმოადგენს.

ძველი ლოგიკა არა მარტო არ გამოხატავდა, არ ასახავდა ისტორიულს, არამედ „სწორედ მის საწინააღმდეგო პრინციპს ემყარებოდა". ეს იყო პრინციპი იგივეობისა და წინააღმდეგობის შეუძლებლობისა, რის გამოც ასეთი ლოგიკური თეორია ისტორიულის ამსახველი ვერ იქნებოდა, ვინაიდან „ისტორიულის ამსახველი ლოგიკური თეორიის პრინციპი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონია"[24]. სწორედ ამიტომ ძველ ლოგიკაში დარღვეული იყო ისტორიულისა და ლოგიკურის ერთიანობის პრინციპი, ლოგიკური თეორია არ იყო ისტორიული სინამდვილის ამსახველი თეორია.

როგორც ვხედავთ, აქ ს. წერეთელი უბრალოდ კი არ იმეორებს მის საკანდიდატო დისერტაციაში გამოთქმულ იდეებს, არამედ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს წინ ახალი ლოგიკური თეორიის ძიების მიმართულებით. ახალი ლოგიკის ძიების ძირითად პრინციპად, განსხვავებით ძველი, ფორმალური ლოგიკისაგან, იგი წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს თვლის და, მაშასადამე, ამით, ერთი მხრივ, მტკიცე ზღვარს ავლებს ძველსა (ფორმალურსა) და ახალ ლოგიკას შორის, ხოლო, მეორე მხრივ, ამ უკანასკნელის არსებას, მის ბირთვს, მისი სტრუქტურის განმსაზღვრელ პრინციპს აჩვენებს. სწორედ ამიტომ ზემოაღნიშნულ დებულებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს ს. წერეთლის შემდგომი ლოგიკური გამოკვლევებისათვის, ვინაიდან დიალექტიკის სწორედ ამ ერთ-ერთ ძირითად კანონზე, რომელსაც ვ. ი. ლენინი „დიალექტიკის დედაარსს", მის ბირთვს უწოდებს, ააგო ს. წერეთელმა თავისი უსასრულო დასკვნის თეორია.

შეიძლება თქვან, რომ ეს კონცეფცია იდეალისტურ ნიადაგზე ჰეგელმა დაამუშავა[25], ხოლო მეცნიერულად და მატერიალისტური თეორიის საფუძველზე ჩამოაყალიბეს მარქსმა, ენგელსმა და ლენინმა; სწორედ ამიტომ აქ ს. წერეთელი თითქოს არაფერ შუაშია.

---

23 ი ქ ვ ე, გვ. 1.

24 ი ქ ვ ე.

25 დიალექტიკური ლოგიკა იდეალიზმის პოზიციებზე შექმნა ჰეგელმა, მაგრამ სწორედ იდეალიზმმა გააყალბა მისი ლოგიკური თეორია, რის გამოც იგი მარქსისტული ფილოსოფიისათვის მიუღებელი აღმოჩნდა (გარდა „რაციონალური მარცვლისა", რომელსაც ჰეგელის დიალექტიკურ-ლოგიკური თეორია შეიცავს).

მართლაც, ის გარემოება რომ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის“ კანონი საფუძვლად დაედო დიალექტიკურ ლოგიკას, კარგად იყო ცნობილი ს. წერეთლის მოღვაწეობის დაწყებამდეც; მაგრამ ს. წერეთელმა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ამ სახელმძღვანელო დებულებების საფუძველზე შექმნა უსასრულო დასკვნის თეორია. სწორედ ეს წარმოადგენს მისი მეცნიერული შემოქმედების გვირგვინს, მისი მოღვაწეობის შედეგსა და მონაპოვარს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ს. წერეთელი არა მარტო საკანდიდატო დისერტაციაში, არამედ აგრეთვე მომდევნო პერიოდის გამოკვლევებშიც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა წარმოებისა და მოხმარების დიალექტიკური ურთიერთობის ანალიზს, რომელიც მოცემულია კ. მარქსის თხზულებაში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (შესავალი). ამ ნაშრომში, როგორც ცნობილია, კ. მარქსი ამტკიცებს, რომ წარმოება მისი ურთიერთუარმყოფელი და ურთიერთდამდგენი მომენტების (საკუთრივ წარმოება, განაწილება, გაცვლა, მოხმარება) ერთიანობაა, რომელშიც თვითონ წარმოება გაბატონებულს, გარეგადამწვდომს წარმოადგენს. წარმოება და მოხმარება ერთმანეთს უპირისპირდებიან და ამ დაპირისპირებაში კიდეც ადგენენ ერთმანეთს; წარმოება ადგენს თავის თავს თავისი საპირისპიროს — თავისი უარყოფის — მოხმარების საშუალებით. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მოხმარების შემთხვევაშიც. სწორედ აქ არის ე. წ. nervus propandi („გამღიზიანებელი ნერვი“), რომელმაც ს. წერეთელი მიახვედრა, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ახალი ლოგიკური კონცეფციის შექმნა, კერძოდ უსასრულო დასკვნის თეორიის ჩამოყალიბება. ამის შესახებ თვითონ ს. წერეთელი მიუთითებს თავისი უკანასკნელი მონოგრაფიის „დიალექტიკური ლოგიკის“ ერთ-ერთ შენიშვნაში. ეხება რა კ. მარქსის თხზულების ზემოაღნიშნულ ადგილს, იგი წერს: „სწორედ ამ გარემოების გარკვევის გზით მივედი ლოგიკური უსასრულობის ცნებამდე“[26]. ეს ერთხელ კიდევ ცხადყოფს ს. წერეთლის ლოგიკური კონცეფციის დიალექტიკურ-მატერიალისტურ ხასიათს.

ახალი ლოგიკა, რომელსაც ს. წერეთელი თავის სტატიაში „ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულების საკითხისათვის კ. მარქსის მოძღვრებაში“ (ისევე როგორც საკანდიდატო დისერტაციაში) ჯერჯერობით „ნამდვილ ლოგიკას“ უწოდებს, კ. მარქსმა განახორციელა „კაპიტალში“, სადაც, ვ. ი. ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გამოყენებულია ერთი მეცნიერების მიმართ ლოგიკა,

---

[26] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 211.

დიალექტიკა და შემეცნების თეორია მატერიალიზმისა"[27]. „კაპიტალის" ლოგიკა პრინციპულად ახალი ლოგიკაა, რომელშიც „ცნების განვითარება არსის განვითარებას გადმოგვცემს"[28].

ლოგიკური, ამტკიცებს ს. წერეთელი, ვერ იქნება ისტორიულის ამსახველი, თუ აბსტრაქტული ზოგადიდან ამოვალთ; ამ შემთხვევაში როგორც ზოგადიდან კერძოს მიღება (დედუქციას), ასევე პირიქით, კერძოდ ან ზოგადის მიღების ცდა (ინდუქცია) ისტორიულობას ვერ ასახავს, ვინაიდან „აქ აზრთა თანმიმდევრობა სულ სხვა წესით მიდის, ვიდრე ისტორიულში". ისტორიულობა დროის გარეშე შეუძლებელია; იქ მთავარია დროში განვითარება. ხოლო ჩვეულებრივ დედუქციასა და ინდუქციას ასეთი შინაარსი არა აქვს. ნამდვილი ლოგიკა უნდა დაიწყოს „ნამდვილი ზოგადით" და არა აბსტრაქტული ცნებით; შედეგად კი ასევე „ნამდვილი ერთეული" მიიღება. ამ პრინციპზეა აგებული „კაპიტალის" ლოგიკა, რომელშიც ს. წერეთელი დიალექტიკური ლოგიკის პრინციპების განხორციელებასა და მის კონკრეტულ გამოყენებას ხედავს.

წინააღმდეგობის პრინციპი, რომელსაც „ნამდვილი ლოგიკა" ემყარება, წინსვლა-განვითარების წყაროს წარმოადგენს. წინსვლა საწინააღმდეგოში გადასვლის გზით ხორციელდება, რაც, იმავე დროს, საფუძვლისაკენ სვლის პროცესს წარმოადგენს. „პ რ ო ც ე ს ი ა რ ი ს თ ა ვ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო შ ი, რ ო გ ო რ ც თ ა ვ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ე ლ შ ი გ ა დ ა ს ვ ლ ი ს პ რ ო ც ე ს ი; ე ს ა რ ი ს მ ო ხ ს ნ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ი თ წ ი ნ ს ვ ლ ი ს პ რ ო ც ე ს ი"[29]. ამ დებულებას ს. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავს. იმიტომ, რომ მას უკვე კარგად ესმის მისი კარდინალური მნიშვნელობა ახალი ლოგიკური თეორიის აგებისათვის. წინსვლა-განვითარება, რომელსაც შინაგანი წინააღმდეგობა განაპირობებს, საფუძვლისაკენ სვლას წარმოადგენს. აქ უკვე ნათლად ჩანს უსასრულო დასკვნის სილუეტი, დასკვნისა, რომელიც რეფლექსურობით ხასიათდება.

ლოგიკურის მოძრაობა-განვითარება რეალური თვითმოძრაობის ცნებისეული გამოხატულებაა. „ეს თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა წარმოადგენს ერთობლიობას, რომელშიც წევრები-საფეხურები განსხვავებული არიან და წინააღმდეგობის გადაწყვეტის საშუალებით ერთის გაშლას წარმოადგენენ განვითარებაში"[30].

---

27 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 38, გვ. 326.

28 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ისტორიულისა და ლოგიკურის... თსუ „შრომები", ტ. XVI, 1940, გვ. 2.

29 ი ქ ვ ე, გვ. 4.

30 ი ქ ვ ე, გვ. 4—5.

ისტორიულის ამსახველი ლოგიკური, ცხადია, არ იქნება ისტორიულის განმეორება, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკურისათვის სპეციფიკას დაკარგავდა. ისტორიულის ამსახველი კატეგორიები ლოგიკურ წესს ექვემდებარებიან; ეს ლოგიკური, როგორც დიალექტიკურ-ისტორიულის ასახვა, დიალექტიკურ-ლოგიკურია. ასეთი უნდა იყოს ნამდვილი ლოგიკური.

ლოგიკურის დასაწყისი, ამტკიცებს ს. წერეთელი, დიალექტიკურ-აბსტრაქტულია, მარტივია; მისგან უნდა დაიწყოს სხვა და სწორედ ამიტომ მასში უნდა იყოს მოცემული ის ბუნება, რაც მისგან გამომდინარეში უფრო განვითარებული ფორმით იქნება წარმოდგენილი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ნამდვილი ლოგიკურის დასაწყისი წინააღმდეგობის შემცველი უნდა იყოს. მისგან რაიმეს მიღება უკვე მასში არსებული წინააღმდეგობის შემდგომი გაღრმავება იქნება. „დასწყისი, უმარტივესი, უძირითადესის გამომთქმელი — წერს ს. წერეთელი, — უნდა იყოს იმ წინააღმდეგობის ხასიათის, რომლის საშუალებითაც არსება მოვლენებში გაიშლება და თავისი თავის ამოწურვისაკენ განვითარდება. დასაწყისის წინააღმდეგობა გაღრმავდება და ამ გაღრმავების საფეხურები და ფორმები კატეგორიების თანამიმდევრობით იქნება გადმოცემული“[31].

ახალ ლოგიკურ კონცეფციას, რომელიც გატარებულია კ. მარქსის თხზულებაში „კაპიტალი“, ს. წერეთელი აქაც, საკანდიდატო დისერტაციის კვალდაკვალ, „ლოგიკის პროგრესულ თეორიას“ უწოდებს და თვლის, რომ მანამდე არსებული ლოგიკური თეორიები, ჰეგელის დიალექტიკის რაციონალური მარცვლის გამოკლებით, რეგრესულ თეორიებს წარმოადგენენ, რის გამოც ისინი წინაისტორიას მიეკუთვნებიან; ნამდვილ ისტორიას კი მარქსისტული მოძღვრება ქმნის[32].

ს. წერეთლის ზემოაღნიშნული ორი ნაშრომი, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ იძლევა რაიმე გარკვეული კონცეფციის არსებობის მტკიცების საფუძველს. ამ გარემოებას თვითონ მისი ავტორიც აღნიშნავდა საკანდიდატო დისერტაციის დასკვნაში. მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებების ანალიზი ახალი პროგრესული ლოგიკის შესახებ, წერდა იგი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს „ჩვენ ამით მატერიალისტური დიალექტიკის დასკვნა-დასაბუთების პრობლემებიც დავამუშავეთ. არა, ეს მეტად რთულ რაიმეს წარმოადგენს“[33]. როგორც ვხედავთ, ამ ნაშრომებს მისი ავტორი უყურე-

---

31 ი ქ ვ ე, გვ. 8.

32 ი ქ ვ ე, გვ. 13.

33 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, საკანდ. დისერტაცია, გვ. 179.

ბდა როგორც მოსამზადებელ სამუშაოს და არა როგორც თუნდაც ასე თუ ისე დასრულებული კონცეფციის შემცველ გამოკვლევებს. სწორედ ამიტომ მათში ნეგატიურს (კერძოდ, ძველი ლოგიკური თეორიების კრიტიკას) უფრო ვხვდებით, ვიდრე პოზიტიურ მსჯელობას ახალი ლოგიკის სტრუქტურის შესახებ. მხოლოდ ამჟამად, როდესაც ს. წერეთლის ლოგიკური თვალსაზრისი უკვე ცნობილია, შეგვიძლია დავინახოთ ამ უკანასკნელის ჩანასახები ავტორის პირველი პერიოდის ნაშრომებში. სწორედ ამიტომ ეს ნაშრომები ახალი ლოგიკური თეორიის ძიების პერიოდს მიეკუთვნებიან და, მაშასადამე, ს. წერეთლის ფილოსოფიური მემკვიდრეობის მკვლევარისათვის მარტოოდენ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

ახალი ლოგიკური თეორიის პირველი ვარიანტის შექმნამდე ათ წელზე მეტი დრო გავიდა; ეს პერიოდია საკანდიდატო დისერტაციის დაწერიდან (1936) საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის პირველ სამეცნიერო სესიამდე (1947), რომელზეც ს. წერეთელმა მოხსენება წაიკითხა ახალი ლოგიკური თეორიის შესახებ. ეს წლები ს. წერეთლის ცხოვრებაში სავსე იყო დაძაბული მეცნიერული კვლევა-ძიებით, ძველის კრიტიკული გადამუშავებისა და ახალი თვალსაზრისის ჩამოყალიბებისაკენ მისწრაფებით. ეს ინტენსიური მუშაობა, როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, დროებით შეწყვიტა სამამულო ომმა. უსასრულო დასკვნის თეორიის მომავალმა ავტორმა სამხედრო სამსახურში თთიქმის ხუთი წელი დაჰყო.

§ 2. უსასრულო დასკვნის ცნების დაფუძნება

ნაშრომი, რომელშიც ს. წერეთელმა პირველად ჩამოაყალიბა უსასრულო დასკვნის ცნება, გამოქვეყნდა 1949 წელს სათაურით: „დასკვნის პრობლემისათვის“[34]. ამ ნაშრომის ძირითადი იდეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საჯარო პაექრობის საგანი გახდა ჯერ კიდევ 1947 წლის 27 დეკემბერს ფილოსოფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე, სადაც ს. წერეთელმა ამავე თემაზე წაიკითხა მოხსენება (მოხსენების თეზისები დაიბეჭდა ქართულსა და რუსულ ენებზე). თუ წინა პერიოდის ნაშრომები უმეტესწილად პოლემიკურ ხასიათს ატარებდა და ძველი ლოგიკის ნაკლის აღნიშვნას ემსახურებოდა, სამაგიეროდ აქ (ისევე როგორც შემდგომი პერიოდის გამოკვლევებში) ს. წერეთელი პოზიტიურად აყალიბებს თავის თვალსაზრისს, ქმნის და თანდათან ავითარებს უსასრულო დასკვნის თეორიას.

---

[34] ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1. თბილისი, 1949, გვ. 107.

დასკვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომში, არის გარკვეული მსჯელობიდან (ან მსჯელობებიდან) სხვა მსჯელობის აუცილებლობით მიღება. დასკვნა ლოგიკური აუცილებლობის გამომხატველია; „სადაც ლოგიკური აუცილებლობა არ არსებობს, იქ დასკვნას ადგილი არა აქვს... დასკვნის პრობლემა ლოგიკური აუცილებლობის პრობლემას უდრის“[35].

ინდუქციური დასკვნები თავიანთი ალბათური ხასიათის გამო „უნაკლო ლოგიკურ აუცილებლობას“ ვერ იძლევიან, ხოლო „ნაკლოვანი ლოგიკური აუცილებლობა კი აღარაა ლოგიკური აუცილებლობა“. ინდუქციურ დასკვნებში მიღებული ზოგადი მკაცრ ლოგიკურ აუცილებლობას მოკლებულია, სწორედ ამიტომ „იგი დასკვნას არ წარმოადგენს“. მეორე მხრივ დედუქციური დასკვნებიც არ არის ამ მხრივ უნაკლო. დედუქცია კერძოს ასახსნელად ისეთი ზოგადიდან ამოდის, რომელიც „მისთვის უშუალოდ მოცემულია და მას დაუსაბუთებლად აქვს მიღებული, ე. ი. საფუძვლის აუცილებლობა არც მისთვისაა ნათელი“[36]. ამრიგად, ვერც ინდუქცია და ვერც დედუქცია ლოგიკურ აუცილებლობას სისრულით ვერ წარმოადგენს, „ზოგადის გამოყვანის აუცილებლობა ინდუქციასაც აკლია და დედუქციასაც“[37]. ერთი სიტყვით, ინდუქციაც და დედუქციაც ნაკლოვანია ლოგიკური აუცილებლობის თვალსაზრისით; ისინი ერთმანეთის ნაკლს აღნიშნავენ, ერთ საფუძველს ითხოვენ, ისეთ საფუძველს, „რომელიც ორივეს ნაკლს მოხსნის და თვითონ ამ უნაკლოს დაადგენს ლოგიკური ფორმით ე. ი. დასკვნის ფორმით“[38]. ამრიგად, დასკვნის პრობლემა ს. წერეთელს ამ შემთხვევაში ლოგიკური აუცილებლობის პრობლემამდე დაყავს, ვინაიდან იგი ეძებს ისეთი დასკვნის ფორმას, რომელიც ყველაზე მკაცრ (უმკაცრეს) ლოგიკურ აუცილებლობას შეიცავს. ეს იქნება ნამდვილი დასკვნა, ტრადიციული დასკვნისაგან განსხვავებული დასკვნის ფორმა, „რომელიც დასკვნის მრავალ სახეებს კი არ შეარიგებს, არამედ ახსნის და მოხნის (მოხსნის და შეინახავს)“[39]. აქამდე არსებული დასკვნის ფორმათა სიმრავლე, ამტკიცებს ს. წერეთელი, „ულოგიკობას შეიცავს“, ვინაიდან ისინი ერთმანეთის ნაკლს აღნიშნავენ და „თვით მათი აუცილებლობის გამომხატველი დასკვნის (ლოგიკური) ბუნება სრულიად გაურკვეველი რჩება“[40]. დასკვნის ფორმათა სიმრავლე ერთს

35 იქვე.
36 იქვე, გვ. 108.
37 იქვე.
38 იქვე.
39 იქვე, გვ. 109.
40 იქვე.

უნდა გულისხმობდეს, „ერთ აზრს უნდა ემყარებოდეს". სწორედ ეს ერთი დასკვნა, როგორც დასკვნის ძირითადი ფორმა, რომელსაც ყველა დანარჩენი დღემდე ცნობილი დასკვნის ფორმები ემყარება და მით აიხსნება, არის ძიების ობიექტი.

რა ხასიათი უნდა ჰქონდეს დასკვნის ამ ახალ ფორმას, რომელიც იმავე დროს ლოგიკურის ბუნების ამხსნელი იქნება?

მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, ამტკიცებს ს. წერეთელი, „სინამდვილე და ჭეშმარიტება ერთგვარ კანონებს ექვემდებარებიან", ერთი და იგივე უზოგადესი კანონები ბატონობენ ობიექტურსა და სუბიექტურ სინამდვილეში. სწორედ ამიტომ შეცდომაა იმის მტკიცება, რომ თითქოს წინააღმდეგობა მხოლოდ გარეგან სამყაროშია, ხოლო ლოგიკურის სფერო წინააღმდეგობისაგან თავისუფალია. ნამდვილად კი წინააღმდეგობის ერთიანობის დიალექტიკურ კანონს უნივერსალური მნიშვნელობა აქვს; იგი მოქმედებს როგორც არსის, ასევე აზრის სფეროში, როგორც გარეგან სამყაროში, ისე ლოგიკურ აზროვნებაში. „წინააღმდეგ შემთხვევაში — ამტკიცებს ს. წერეთელი — აღიარებული იქნება უფსკრული აზროვნებასა და სინამდვილეს შორის. ეს იქნებოდა ორი სინამდვილის აღიარება, რაც უაზრობას წარმოადგენს"[47]. ამ შემთხვევაში ს. წერეთელი ეკამათება იმ ლოგიკოსებს, რომლებიც წინააღმდეგობის ერთიანობის და ანუ დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის" კანონის მოქმედების სფეროდ მარტოოდენ მატერიალურ სინამდვილეს მიიჩნევენ, ხოლო ლოგიკური აზროვნების ძირითად კანონად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს თვლიან. ამ თვალსაზრისის წინააღმდეგ ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ „სინამდვილის განვითარების უძირითადესი კანონი — წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი — ჭეშმარიტი აზროვნების ლოგიკურ კანონსაც უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. მატერიალისტურ დიალექტიკაში დასკვნის ბუნება წინააღმდეგობის ერთიანობაზე უნდა იყოს დაფუძნებული"[48].

ეს არის პირველი ფუნდამენტური მნიშვნელობის დებულება, რომელიც ს. წერეთელმა მატერიალისტური დიალექტიკის პრინციპების ანალიზის საფუძველზე მიიღო და რაც, თავის მხრივ, საფუძვლად დაედო დასკვნის ახალ თეორიას, ახალი ფორმის დასკვნას.

წინააღმდეგობა სასრულობის საფუძველია; დაპირისპირებულნი ერთმანეთს ასრულებენ, აბოლოებენ, განსაზღვრულს ხდიან. „ამიტომ წინააღმდეგობაში ყოფნა დაბოლოებულობას ნიშნავს". ეს

---

47 იქვე, გვ. 110.

48 იქვე.

ითქმის როგორც მატერიალური სინამდვილის, ასევე აზროვნების შესახებ. „აქედან ლოგიკურად ისიც გამომდინარეობს, რომ წინააღმდეგობის მოხსნა, ერთიანობის აზრით, დაბოლოებულობის დაძლევას წარმოადგენს. ამიტომ წინააღმდეგობის ერთიანობა დაბოლოებულ განსაზღვრულობათა მოხსნას და მათ ერთიანობას უნდა ნიშნავდეს"[49].

დიალექტიკური მატერიალიზმი თვლის, რომ მატერიალური სინამდვილე თვითსაფუძვლის მქონეა, იგი თავის თავს ემყარება და თავისი თავით აიხსნება; მას ახასიათებს თვითმოძრაობა და თავისთავადობა. როგორ უნდა გამოიხატოს თვითსაფუძვლის მქონე სინამდვილე ლოგიკურ ფორმაში? „ხომ არ არის შესაძლებელი ისეთი სტრუქტურის დასკვნისა და დასაბუთების ჩამოყალიბება, რომელიც თვითმოძრაობისა და თვითმიზეზობრიობის გამოთქმელი იქნება? სინამდვილის თვითმოძრაობასა და თვითმიზეზობრიობას ხომ არ უნდა შეესატყვისებოდეს თვითსაფუძვლის, შინაგანი საფუძვლის მქონე დასკვნა?"[50]. ს. წერეთლის მიზანია სწორედ ასეთი დასკვნის ფორმის შესაძლებლობის დასაბუთება. იგი თვლის, რომ მატერიალური სინამდვილის „თვითმოძრაობის გამომხატველი თვითსაფუძვლის მქონე დასკვნის პრინციპს წინააღმდეგობის აუცილებლობა და ერთიანობა უნდა შეადგენდეს"[51].

რასაკვირველია, აზროვნების (კერძოდ, დასკვნის) თვითსაფუძვლის შესახებ მსჯელობა სრულიადაც არ ნიშნავს მისი სრული დამოუკიდებლობის მტკიცებას. ს. წერეთელი მარტოოდენ აზროვნების შ ე დ ა რ ე ბ ი თ დამოუკიდებლობაზე, მის აქტივობაზე ლაპარაკობს, რაც არა მხოლოდ არ ეწინააღმდეგება მატერიალისტური მონიზმის პრინციპს, არამედ სწორედ დიალექტიკურ-მატერიალისტური შემეცნების თეორიის ერთადერთ სწორ გაგებას წარმოადგენს. აზროვნება, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვა, ცხადია, ობიექტურ სინამდვილეზეა დამოკიდებული, მაგრამ თუკი იგი მხოლოდ სხვაზეა დამოკიდებული, ე. ი. თუ იგი მხოლოდ გარედანაა განსაზღვრული, მაშინ პასიური, ინერტული და შემთხვევითი იქნება და, ცხადია, მატერიალური სინამდვილის ასახვას ვერც შესძლებდა. აზროვნებას შინაგანი შედარებითი დამოუკიდებლობა, შედარებითი თვითმყოფობა, აქტიურობა ახასიათებს.

ძველ ლოგიკაში დასკვნა-დასაბუთება გარეგან საფუძველს ემყარებოდა და სწორედ ამიტომ წმინდა დაბოლოებულობის გამომ-

---

49 ი ქ ვ ე, გვ. 111.
50 ი ქ ვ ე, გვ. 112.
51 ი ქ ვ ე.

თქმელი იყო. აქ ცნებებსა და მსჯელობებს შორის „გარეგანი დამოკიდებულება", ე. ი. გარეგანი აუცილებლობა გვაქვს; ეს იმას ნიშნავს, რომ ფორმალურ ლოგიკაში „ცნებათა კავშირი არსებითს კი არ ემყარება, არამედ არ არის გარჩევა შემთხვევითს და არსებითს შორის, დაკავშირება ნებისმიერი ნიშნებითაა შესრულებული"[52], ხოლო „წანამძღვრებში შემთხვევითი გარეგანი ნიშნით დაკავშირებული ცნებები დანასკვში ან ახალს არაფერს არ მოგვცემს, ე. ი. სილოგიზმი ანალიტური იქნება, ან და თუ ახალს მივიღებთ, მაშინ აუცილებელი კავშირი ნამდვილად არ იარსებებს"[53].

ნამდვილი დასკვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი, შინაგანი აუცილებლობის შემცველი უნდა იყოს; იგი „თავის თავში უნდა შეიცავდეს თავის საკმაო საფუძველს. თუკი ასეთი დასკვნა არის შესაძლებელი, მაშინ იგი დაბოლოებულ განსაზღვრებებს უნდა ხსნიდეს და ამიტომ დაუბოლოებელის დასკვნად უნდა იწოდოს"[54].

აქ ს. წერეთელი პირველად ხმარობს ცნებას „დაუბოლოებელის დასკვნა" ანუ დაუბოლოებელი დასკვნა, რომელიც შინაგანი აუცილებლობის შემცველ თვითსაფუძვლის მქონე დასკვნას წარმოადგენს და პრინციპულად განსხვავდება ტრადიციული ლოგიკის დასკვნებისაგან. ეს არის იგივე უსასრულო დასკვნა, რომელსაც ს. წერეთელი წინა პერიოდის ნაწერებში დაუბოლოებელ დასკვნას უწოდებდა.

დაუბოლოებელის გამომხატველი დასკვნა, ს. წერეთლის მიხედვით, არაპირდაპირი გზით უნდა სრულდებოდეს; დასკვნა-დასაბუთების პირდაპირი გზა ძველი ლოგიკისათვის იყო დამახასიათებელი. ახალი დასკვნა, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას გამოხატავს, სწორედ არაპირდაპირ ფორმას მოითხოვს; ერთი მეორის საშუალებით საბუთდება და პირიქით: ეს ხდება რაღაც მესამე საფუძველზე, რომელიც ორივე მათგანისათვის არსებითია. მაგ., ბურჟუაზია და პროლეტარიატი, როგორც დაპირისპირებულნი, იმავე დროს ერთმანეთის არსებობას ასაბუთებენ მესამის, სახელდობრ, კაპიტალისტური წარმოების წესის საფუძველზე. საერთოდ უნდა ითქვას რომ „საწინააღმდეგო მსჯელობები ერთიმეორის საშუალებით ერთიმეორისადმი უშუალო ერთიანობამდე მიდიან"[55].

დაუბოლოებელი სინამდვილის გამომთქმელი ურთიერთდაპირისპირებული დებულებანი ერთიმეორის საშუალებით -ერთმანეთს

---

52 იქვე, გვ. 113.
53 იქვე, გვ. 114.
54 იქვე, გვ. 116.
55 იქვე, გვ. 118.

ასაბუთებენ და ერთდროულად ჭეშმარიტიცაა (რამდენადაც აუცილებელია) და მცდარიც (რამდენადაც თითოეული მათგანი ცალმხრივია). ერთის ჭეშმარიტებიდან მეორის მცდარობა გამომდინარეობს და ერთის მცდარობიდან — მეორის ჭეშმარიტება. ისინი „უარყოფის საშუალებით ერთიმეორეს ასაფუძვლებენ ერთიანობამდე, ეს ერთიანობა კი ორივეს აძლევს აზრს, მათ საფუძველს შეადგენს. ისინი, როგორც ცალმხრივნი, შემცდარნი არიან, მაგრამ, როგორც ერთიანობის მხარეები — ჭეშმარიტნი ერთსა და იმავე დროს"[56].

ამრიგად, აქ საქმე გვაქვს უარყოფის გზით დასაბუთებასთან; „საწინააღმდეგო მსჯელობანი, რომლებიც არსებას და დაუბოლოებელს შეეხებიან, ერთმანეთს ავსებენ „მესამემდე", ერთიანობამდე"[57] მაგრამ ეს მესამე — ერთიანობა — არ არის წინააღმდეგობის გარეშე და მასზე მაღლა მდგომი: ეს რომ ასე არ იყოს, „მაშინ სწორედ დაუბოლოებელის უარყოფას მივიღებდით და ისევ წმინდა დაბოლოებულ სფეროში დავრჩებოდით". ეს ერთიანობა გვაძლევს დაუბოლოებელს, როგორც ურთიერთდაპირისპირებულთა საფუძველს, რომელიც უარყოფის გზითაა მიღებული. აქ ს. წერეთელი იძლევა უსასრულობის ცნების იმ განსაზღვრებას, რომელიც შემდგომში მისი დიალექტიკური ლოგიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა. „დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი, — წერს იგი, — ა რ ი ს ი ს, რ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა ც მ ა ს ა მ ტ კ ი ც ე ბ ს"[58]. სწორედ აქ მეღავნდება ყველაზე ძლიერი ლოგიკური აუცილებლობა (უარყოფის გზით დასაბუთება).

დაუბოლოებელი, ცხადია, დაბოლოებულთა გვერდით ან, მით უმეტეს, მათ ზემდა კი არ არსებობს, არამედ იგი სწორედ დაბოლოებულთა არსებაა, მათი საფუძველია. „საწინააღმდეგო მსჯელობები დაუბოლოებელის საშუალებით ერთმანეთს მოითხოვენ, დაუბოლოებელი კი მხოლოდ მათში და მათი საშუალებით არსებობს"[59].

„არსება შინაგანი წინააღმდეგობაა", სწორედ ამიტომ იგი საპირისპირო მსჯელობებით გამოითქმება. ცალკე აღებული მსჯელობა არსებას მხოლოდ ცალმხრივად გამოთქვამს. ამიტომ „მსჯელობის სფერო დაბოლოებულის სფეროა". ამავე მიზეზით მსჯელობა არსებას სისრულით ვერ გამოთქვამს. „მხოლოდ დასკვნა, რომელიც საწინააღმდეგო მსჯელობებით არის შესრულებული, გამოხატავს თა-

---

56 ი ქ ვ ე, გვ. 119.
57 ი ქ ვ ე, გვ. 121.
58 ი ქ ვ ე.
59 ი ქ ვ ე, გვ. 122.

ვისთავადს, არსებას"[60]. ასეთი დასკვნა არის დაუბოლოებელის გამომთქმელი დასკვნა.

ვ. ი. ლენინის თანახმად, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა. ისეთი ლოგიკა, რომელიც იმავე დროს დიალექტიკასა და შემეცნების თეორიას უდრის, ამტკიცებს ს. წერეთელი, პრინციპულად განსხვავდება ძველი ლოგიკისაგან, რომელიც წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს ემყარება. „იმ ლოგიკის დასკვნა, რომელიც დიალექტიკას უდრის, არის დაუბოლოებელის დასკვნა"[61]. სწორედ ამიტომ ს. წერეთელი ფიქრობს, რომ დაუბოლოებელის (ანუ უსასრულოს) დასკვნის ანალიზი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის ლენინურ დებულებასაც აგვიხსნის.

დაუბოლოებელის დასკვნაში შესრულებული მსჯელობები ერთმანეთს უპირისპირდებიან, მაგრამ იმავე დროს ერთმანეთს აუცილებლობით მოითხოვენ და ასაბუთებენ. ამიტომ ერთი ასეთი მსჯელობის არსებობიდან მისი საწინააღმდეგო მსჯელობაც გამომდინარეობს და პირიქით. „რამდენადაც ისინი ერთმანეთს უარყოფენ და ერთის მტკიცება მეორის უარყოფასაც ნიშნავს, ამდენად, პირობით კატეგორიული სილოგიზმის ენით რომ გამოვთქვათ, ოთხივე შესაძლებელი მოდუსი, როგორც ცალმხრიობის გამომხატველნი, სწორი არიან (ამდენად, მეორე მხრივ, სწორედ ცალმხრიობის გამო, ოთხივე შემცდარია)"[62]. ამ ცალმხრიობათა მომხსნელი და გამაერთიანებელი დასკვნა არის დაუბოლოებელის დასკვნა (ანუ უსასრულო დასკვნა). ასეთი ცალმხრივი მსჯელობანი, რომელთა ერთიანობა ახალი ტიპის დასკვნას გვაძლევს, შეიძლება იყოს ოთხი ურთიერთდაპირისპირებული წყვილი (8) მსჯელობა. მაგალითად,

1 { თუ წარმოება არის, მაშინ არის მოხმარებაც;
  { თუ მოხმარება არის, მაშინ არის წარმოებაც;

2 { თუ მოხმარება არ არის, მაშინ არ არის წარმოება;
  { თუ წარმოება არ არის, მაშინ არ არის მოხმარება;

3 { თუ წარმოება არის, მაშინ არ არის მოხმარება;
  { თუ მოხმარება არის, მაშინ არ არის წარმოება;

4 { თუ წარმოება არ არის, მაშინ არის მოხმარება;
  { თუ მოხმარება არ არის, მაშინ არის წარმოება[63].

---

60 იქვე.
61 იქვე, გვ. 124.
62 იქვე.
63 იქვე, გვ. 131.

თითოეული ამ დებულებათაგანი, ს. წერეთლის აზრით, ცალმხრივი აზრის მქონე და, მაშასადამე, სწორია. მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ისინი ცალმხრივია (ანუ რამდენადაც ისინი ცალმხრივია), არც ერთი არ არის სწორი. ეს ცალმხრივი მსჯელობები ურთიერთუარყოფით ამოწურავენ თავის თავს და მიდიან „წინააღმდეგობის ერთი ძირის აღმოჩენამდე". ეს ძირი — წინააღმდეგობის ერთიანობა — არის ის, რომლის საფუძველზეც არიან შესრულებული ზემოაღნიშნული მსჯელობანი. ამდენად ამ ცალმხრივ დებულებებს სწორედ ეს ძირი — დაუბოლოებელის გამომთქმელი დასკვნა — აძლევს აზრს. „აქ მხოლოდ ერთი ლოგიკური ფორმა გვაქვს, რომლის არსება წინააღმდეგობის ერთიანობაშია"[64].

ეს დასკვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი, „თავის საფუძველს თავისში შეიცავს"[65]. ანუ თვითსაფუძვლის მქონე დასკვნაა; იგი ამითაც განსხვავდება ტრადიციული ლოგიკის დასკვნებისაგან. „დასკვნა, რომელსაც თავისი საფუძველი თავის შიგნით აქვს, როგორც თვითმოძრავი საფუძვლის გამომხატველი, შეიძლება იწოდოს შინაგანი აუცილებლობის მქონე, თავისუფალ დასკვნად. ასეთი უნდა იყოს, ჩვენი აზრით, დასკვნის ბუნება მატერიალისტურ დიალექტიკაში, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ძველი, მარქსამდელი ფილოსოფიისაგან"[66].

როგორც ვხედავთ, დაუბოლოებელის დასკვნას (უსასრულო დასკვნას) ს. წერეთელი „თავისუფალ დასკვნას" უწოდებს, ვინაიდან იგი შინაგანი აუცილებლობის შემცველია, თვითსაფუძვლის მქონეა, რითაც ძველი ლოგიკის დასკვნებისაგან დიამეტრულად განსხვავდება. იგი ისეთი დასკვნაა, რომელიც შინაგანი უარყოფით სრულდება. თავისთავის უარყოფით თავის თავის დამტკიცება, ამბობს ს. წერეთელი, „ახალი დასკვნის ბუნებას უნდა გამოხატავდეს"[67]. ცოტა ქვემოთ იგი კვლავ უბრუნდება უსასრულობის ცნების განსაზღვრებას, რომელსაც ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს მისი დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფციისათვის. „თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ ი (დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი) — წერს იგი — ა რ ი ს ი ს, რ ო მ ლ ი ს უ ა რ ყ ო ფ ა მ ა ს ა ს ა ბ უ თ ე ბ ს"[68].

ასეთია უსასრულო დასკვნის თეორიის პირველი მონახაზი, რომელიც ს. წერეთელმა შემდგომი პერიოდის გამოკვლევებში გა-

---

64 ი ქ ვ ე, გვ. 126.
65 ი ქ ვ ე, გვ. 127.
66 ი ქ ვ ე, გვ. 132.
67 ი ქ ვ ე, გვ. 131.
68 ი ქ ვ ე, გვ. 132.

ნავითარა. მას არა მარტო არ შეუცვლია ამ სტატიაში ჩამოყალიბებული არც ერთი პრინციპული ხასიათის დებულება, არამედ ისინი კიდევ უფრო გააღრმავა და გაამრავლა.

§ 3. უსასრულო დასკვნის თეორიის ჩამოყალიბება

უსასრულო დასკვნის თეორიის ძირითადი პრინციპები ს. წერეთელმა ჩამოაყალიბა 1952 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის", რომელიც ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების" IV ტომის სახით დაიბეჭდა. ოთხი წლის შემდეგ (1956) გამოქვეყნდა ამ წიგნის გადამუშავებული და შევსებული ვარიანტი სათაურით: „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ". ვინაიდან უკანასკნელი ნაშრომი უფრო სრულია პირველთან შედარებით, ამიტომ ს. წერეთლის უსასრულო დასკვნის თეორიის ანალიზის პროცესში უპირატესად 1956 წელს გამოცემული მონოგრაფიით ვიხელმძღვანელებთ.

დასახელებულ მონოგრაფიებში ს. წერეთელი მიზნად ისახავს იმის გარკვევას, თუ როგორია დიალექტიკურ-ლოგიკურის ბუნება. კერძოდ, იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ „დიალექტიკური სინამდვილის ამსახველ აზრთა ლოგიკური კავშირი თვითონ უნდა იყოს დიალექტიკური; თუ აზრები და მათი კავშირები დიალექტიკური არაა, მაშინ ისინი დიალექტიკური სინამდვილის ასახვას ვერ შესძლებენ და ვერ მოახერხებენ"[69]. არ შეიძლება ვთქვათ, რომ დიალექტიკის კანონები მხოლოდ ბუნებასა და ისტორიაში მოქმედებენ, ხოლო ლოგიკური აზროვნება ფორმალური ლოგიკის კანონების სფეროა. სინამდვილეში, ამტკიცებს ს. წერეთელი, „დიალექტიკის კანონები აზროვნების კანონებიცაა", ერთი და იგივე უზოგადესი კანონები მოქმედებენ როგორც გარეგან სამყაროში, ასევე ჩვენს აზროვნებაში. „თუ სინამდვილისა და აზროვნების კანონები ერთმანეთს გამორიცხავდნენ, რომ მათ შორის არ იყოს საერთო, ზოგადი რამ, მაშინ სინამდვილე ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარი იქნებოდა და აზროვნებას არავითარი ობიექტურობა არ ექნებოდა"[70].

ცხადია, ეს სრულიადაც არ ნიშნავს აზროვნებაში დიალექტიკის კანონების მოქმედების სპეციფიკურობის უარყოფას. დიალექტიკის უზოგადესი კანონები გარკვეული თავისებურებებით მოქმე-

---

69 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, თბილისი, 1956, გვ. 7.

70 ი ქ ვ ე, გვ. 12.

დებენ როგორც ბუნებაში, ასევე აზროვნებაში, თუმცა ეს თავისებურება მათი მოქმედების საერთო ხასიათს არ უარყოფს.

ამოდის რა დიალექტიკის კანონების უნივერსალურობის თვალსაზრისიდან, ს. წერეთელი ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ლოგიკური კავშირი, თუ ის სისრულით იქნება წარმოდგენილი, დიალექტიკური ბუნებისაა"[71]. კერძოდ, „ლოგიკურის ძირითადი კანონი არის შინაგანი წინააღმდეგობის კანონი სპეციფიკური ფორმით; ფორმალური ლოგიკის ე. წ. „აზროვნების ძირითადი კანონები" კი დაქვემდებარებული ხასიათის არიან და წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტებს ცალ-ცალკე წარმოადგენენ"[72].

დიალექტიკური ლოგიკა, ს. წერეთლის აზრით, „მთელი სისრულით დასკვნაში ხორციელდება". სწორედ ამიტომ „ლოგიკურის ბუნების დახასიათება სწორედ დასკვნის არსების დახასიათებას უნდა უდრიდეს"[73]. ამ აზრით შეიძლება ითქვას, რომ ს. წერეთლის ყველა ნაშრომი ლოგიკის დარგში არის დასკვნის ბუნების გამოკვლევა. ტყუილად კი არ თელიდა იგი დიალექტიკურ ლოგიკას გაშლილ უსასრულო დასკვნად, ხოლო უსასრულო დასკვნას, პირიქით, შეკუმშულ, ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილ დიალექტიკურ ლოგიკად.

მაგრამ „დასკვნის არსება მის კანონს წარმოადგენს, რომლის ბუნება იგივე უნდა იყოს, რასაც ცნება ეწოდება"[74]. ლოგიკურის ზოგადი ფორმა არის ცნება, რომელიც საგნის არსების ასახვას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ლოგიკურის ბუნების ანალიზს ს. წერეთელი ცნების ზოგადი ბუნების ანალიზით იწყებს. ცნების თეორიიდან განსაკუთრებულ ინტერესს ცნების განსაზღვრების ბუნება იწვევს, რომელშიც ნათლად მეღავნდება ლოგიკურის დიალექტიკური ხასიათი.

ძველი, ფორმალური ლოგიკა, რომელსაც ს. წერეთელი ჯერ კიდევ 1952 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „მეტაფიზიკურს" უწოდებს, მოითხოვს, რომ ცნების განსაზღვრებამ საგნის არსება გამოხატოს, განსაზღვრება საგნის არსების ასახვა უნდა იყოს; მაგრამ ის ამ მოთხოვნას ვერ ასრულებს, ვინაიდან ცნების განსაზღვრების პროცესში ცნების ნიშნების ჩამოთვლით კმაყოფილდება და, მაშასადამე, არსების ზედაპირზე რჩება, არსების ასახვას არ

---

71 იქვე, გვ. 11.

72 იქვე, გვ. 16.

73 ს. წერეთელი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, იხ. ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები, ტ IV, თბილისი, 1952, გვ. 5.

74 იქვე.

იძლევა. განსაზღვრება საგნის არსების ასახვა უნდა იყოს, მაგრამ არა ისე, როგორც ძველ ლოგიკას წარმოუდგენია. „ძველი ლოგიკის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, — წერს ს. წერეთელი — მაგრამ ეს შესრულება, ამავე დროს, იმის უარყოფაც იქნება, რაც ხსენებული მოთხოვნის შესრულებად ძველმა ლოგიკამ წარმოადგინა და მოგვცა"[75].

ამრიგად, ცნება არსების ასახვაა; ცნების განსაზღვრება არსების განსაზღვრულობას უნდა გამოხატავდეს, ვინაიდან „აზრის შინაარსს მის მიერ ასახული საგნის განსაზღვრულობა წარმოადგენს". ერთი სიტყვით, „განსაზღვრება უნდა იყოს ლოგიკური ასახვა საგნის არსებისა მის განვითარებაში"[76].

ყოველგვარი განსაზღვრება იმას აღნიშნავს, რომ რაიმე არის ეს და არა სხვა. მაგრამ განსაზღვრება არა მარტო რაიმე განსაზღვრულობის დადგენას, არამედ სხვა განსაზღვრულობის უარყოფასაც შეიცავს. „რაიმე არის ეს და არა სხვა", ერთი მხრივ იმას ნიშნავს, რომ „რაიმე არის ეს", ხოლო, მეორე მხრივ იმას, რომ „რაიმე არ არის სხვა". ეს ნიშნავს, რომ „სხვისი უარყოფა მისი შინაგანი განსაზღვრულობაა", ამიტომ იგი სხვის უარყოფას თავის თავში შეიცავს. უარყოფა არა მარტო სხვისი უარყოფაა, არამედ საკუთარი განსაზღვრულობის დადგენაც. სწორედ ამიტომ შინაგანი უარყოფა თავისთავად დადებითობით ხასიათდება; იგი სხვისი უარყოფის გზით საკუთარი თავის დადგენას წარმოადგენს; ეს გარემოება განსაზღვრების დიალექტიკურ ხასიათზე მიუთითებს. „უარყოფის შემცველი ყოველი განსაზღვრულობა წინააღმდეგობრივი ბუნებისაა და დიალექტიკის მეოთხე ძირითადი ნიშნის მაგალითს წარმოადგენს"[77].

განსაზღვრების დიალექტიკური ხასიათი ადასტურებს მის სინთეზურობას. განსაზღვრება საგნის არსების გამოთქმაა, არსება კი დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობას წარმოადგენს. სწორედ ეს განაპირობებს განსაზღვრების დიალექტიკურობას. „ყოველი განსაზღვრულობა განსხვავებულთა აუცილებელი კავშირია", სწორედ ამიტომ იგი სინთეზურია. სინთეზი კი შესაძლებელია შინაგანი უარყოფის მომენტის საშუალებით. „განსაზღვრულობა განსხვავებულთა შინაგანი სინთეზური მთლიანობაა, რომელშიაც არსებითია შინაგანი უარყოფის მომენტი; განსხვავებულობას აზრი აქვს მხოლოდ შინაგანი უარყოფის მომენტით. ყოველი განსხვავებულობა შეი-

---

75 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 13—14.

76 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, გვ. 31.

77 ი ქ ვ ე ე, გვ. 23—24.

ცავს მომენტებს, მხარეებს, რომელთაგან ერთი არის ის, რაც მეორე არაა. ამდენად ყოველი სინთეზურობა, რამდენადაც ის სწორედ სინთეზურობაა, ე. ი. განსხვავებულთა კავშირს წარმოადგენს, ამდენად უარყოფის მომენტის შემცველია"[78]. ლოგიკური სინთეზურობის პრობლემა (როგორ შეიძლება რაიმეს მისგან განსხვავებული აუცილებლობით მიეწეროს?), რომელიც აზროვნების ისტორიაში მრავალი საუკუნის მანძილზე პრობლემად რჩებოდა, ლოგიკურის დიალექტიკური ბუნების გაგების საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს.

ლოგიკური საგნის გარკვეულობა განსაზღვრულობის ასახვას წარმოადგენს. ვინაიდან საგნის განსაზღვრულობა წინააღმდეგობრივი ბუნებისაა, ასეთივე უნდა იყოს თვითონ მისი ამსახველი ლოგიკურიც, კერძოდ, ცნების განსაზღვრება. განსაზღვრება დაპირისპირებული მსჯელობების მთლიანობით გამოითქმება. განსაზღვრულობას მსჯელობა გამოთქვამს, მაგრამ გამოთქვამს ცალმხრივად, არასრულად. განსაზღვრულობის სრული გამოთქმა დაპირისპირებულ მსჯელობებს საჭიროებს აუცილებლობით. მსჯელობა ცალმხრიობის ასახვაა, ხოლო ცალმხრიობის მოხსნა — დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობა — კი დასკვნას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ — „დასკვნა უნდა წარმოვიდგინოთ როგორც განსაზღვრების ბუნების სრული ლოგიკური გამომხატველი. უკეთ: განსაზღვრება, სახელდობრ, ცნების განსაზღვრება და თვითონ ცნება, როგორც საგნის არსების ასახვა-გაგება, დასკვნის შედეგად უნდა იქნეს მიღებული"[79].

ძველი ლოგიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ცნების განსაზღვრების პროცესში ცნების მოცულობიდან ამოდიოდა და მით კმაყოფილდებოდა; „ამიტომ ძველი ლოგიკის მიერ მოცემული განსაზღვრების ბუნება ზერელე და ცალმხრივია". ცნების განსაზღვრება შინაარსეულ და არა მოცულობით ზოგადს უნდა იძლეოდეს. შინაარსეული ზოგადი თვითონ განსაზღვრავს იმ ხერხს, რომლითაც ცნების განსაზღვრება უნდა შესრულდეს; ეს არის დიალექტიკური აბსტრაქციის საშუალებით შესრულებული ანალიზის ხერხი. აქედან ცხადია, რომ ცნების განსაზღვრების სინთეზურობა მის ანალიზურობას კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს. „სინთეზურის ბუნების დადგენა ანალიზის საშუალებით უნდა მოხდეს, თანახმად სინთეზ-ანალიზის დიალექტიკური ერთიანობისა"[80].

---

78 ი ქ ვ ე, გვ. 26.

79 ი ქ ვ ე, გვ. 33.

80 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის. გვ. 72.

ყოველი განსაზღვრება ისეთი დადებითია, რომელიც შინაგანი უარყოფით დგინდება. სწორედ ამიტომ რაიმეს ცნების განსაზღვრებისათვის აუცილებელია მისი უარყოფის განსაზღვრულობის ცოდნა.

განსაზღვრების ბუნების დიალექტიკური ხასიათის გამო მისი სრული გამოთქმა მხოლოდ და მხოლოდ დასკვნით შეიძლება; მსჯელობა მას სრულად ვერ გამოთქვამს, ვინაიდან მსჯელობა ცალმხრივია, ცალმხრიობის გამომთქმელია. ეს ცალმხრიობანი კი იხსნებიან დასკვნაში, რომელიც საგნის არსების, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის, ამსახველი და გამომთქმელია.

ცნების განსაზღვრების ზოგადი ბუნების დახასიათებას ს. წერეთელი ლოგიკურის ზოგად დახასიათებად თვლის; სწორედ ამიტომ განსაზღვრების ბუნების ანალიზი მას ლოგიკური პრობლემატიკის შესავლად მიაჩნია.

ცნების განსაზღვრების ზოგადი ბუნების კვლევის მთავარ მიზანს, ს. წერეთლის მიხედვით, ლოგიკური აუცილებლობის გარკვევა წარმოადგენს, ხოლო ლოგიკური აუცილებლობის პრობლემა კი არსებითად ლოგიკური სინთეზის პრობლემას უდრის. როგორ არის შესაძლებელი, რომ რაიმეს მისგან განსხვავებული აუცილებლობით მიეწეროს? როგორ არის შესაძლებელი აზრთა სინთეზური კავშირი? ეს პრობლემა პარმენიდეს დროიდან ჰეგელის ჩათვლით ყოველთვის იდგა ფილოსოფიური აზროვნების ყურადღების ცენტრში და ერთ-ერთ ურთულეს პრობლემად ითვლებოდა. ამ პრობლემის გადაჭრის ყველაზე სერიოზული ცდა მოგვცა ჰეგელმა, რაც მისი დიალექტიკის რაციონალურ მარცვალს წარმოადგენს, თუმცა „ეს ცდა ცდად დარჩა სწორედ იდეალისტური, ყალბი საფუძვლის გამო. იდეალიზმმა სინთეზის პრობლემის გაყალბებით დასკვნის თეორიაც, საბოლოო ანგარიშში, მართალია, რაციონალური მარცვლის მოცემით, მაგრამ მაინც გააყალბა“[81].

თვითონ ს. წერეთელი იმ ფუნდამენტური დებულებიდან ამოდის, რომ „ლოგიკური სინთეზის პრობლემა არსებითად დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობის პრობლემაა“[82]. სწორედ ამიტომ ლოგიკური სინთეზურობის, ლოგიკური აუცილებლობის ბუნების სწორი გაგება შესაძლებელია დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ურთიერთობის გარკვევის საფუძველზე.

სინამდვილეში არსებული საგნები და მოვლენები დაბოლოე-

---

[81] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 75.

[82] ი ბ ე ვ ე, გვ. 136.

ბულია, სასრულია. თითოეული მათგანი ერთმანეთს განსაზღვრავენ (როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად), აბოლოებენ, ურთიერთარსებობას განაპირობებენ. „ყოველი მოვლენა, რომელიც სხვა მოვლენით არის გაპირობებული, დაბოლოებულ მოვლენად შეიძლება იწოდოს"[83]. ეს ითქმის არა მხოლოდ მატერიალურ სინამდვილზე (საგნებსა და მოვლენებზე), არამედ იდეალურ ობიექტებზეც; არ არსებობს დაუბოლოებელი აზრი; იგი ყოველთვის დაბოლოებულია, ვინაიდან აზრი მატერიალური სინამდვილის ასახვას წარმოადგენს და, მაშასადამე, მისით არის ზღვარდებული, განპირობებული. „ყოველი ზღვარდებული საგანი არის დაბოლოებული საგანი"[84].

ს. წერეთელი ფიქრობს, რომ ე. წ. აზროვნების ძირითადი კანონები დაბოლოებულის, სასრულის ამსახველი აზროვნების კანონებია; ისინი არა მარტო საგანთა და მოვლენათა შესახებ აზრის ბოლოვადობას გვაჩვენებენ, არამედ თავისთავადაც ბოლოვადი ბუნებისაა. ძველი ლოგიკა, ტრადიციის კვალდაკვალ, დაბოლოებულს გარკვეულობად თვლის, დაუბოლოებელს კი — გაურკვეველობად.

დაბოლოებული საზღვრის მქონეა; სწორედ ამიტომ არის იგი დაბოლოებული. არსებობს რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვარი, ამისდა მიხედვით არსებობს რაოდენობრივი და თვისებრივი დაბოლოებულობა, სასრულობა. თვისებრივი დაბოლოებულობა ობიექტის თვისებრივ განსაზღვრულობას ნიშნავს. „როცა რაიმე, თავისი ბუნებით, არის ეს და არა სხვა, მაშინ ამბობენ, რომ ის თვისებრივად დაბოლოებულია"[85]. თვისებრივი დაბოლოებულობა ნიშნავს ამგვარად (და არა სხვაგვარად) არსებობას. „დაბოლოებული — დაასკვნის ს. წერეთელი — არის ის, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა"[86]. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დაბოლოებული არის ის, რაც შინაგანი უარყოფით უარიყოფა და ამიტომ სხვით დგინდება და უარიყოფა".

არ შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ რაოდენობრივ ან მხოლოდ თვისებრივ დაუბოლოებლობაზე. ნამდვილი დაუბოლოებლობა ორივე მათგანის ამსახველია, განმსაზღვრელია. „ნამდვილი დაუბოლოებელი — წერს ს. წერეთელი — არ უნდა იყოს არც მხოლოდ რიცხობრივი დაუბოლოებელი, რადგან ასეთი თვისებრიობაში არსე-

---

83 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, გვ. 114.

84 ი ქ ვ ე, გვ. 116.

85 ი ქ ვ ე, გვ. 115.

86 ი ქ ვ ე, გვ. 177.

ბობს და არც მხოლოდ თვისებრივი დაუბოლოებელი ცვალებადობა, რადგან აქაც ყოველთვის დაბოლოებულობა გვაქვს; არა, ის უნდა იყოს ორივეს ამხსნელი, კანონის აზრით განმსაზღვრელი. იგი ორივეს ერთსა და იგივე არსებას უნდა წარმოადგენდეს"[87].

არ არსებობენ მხოლოდ დაბოლოებული ან მხოლოდ დაუბოლოებელი ობიექტები. „ყოველი საგნი არის დაბოლოებულისა და დაუბოლოებელის ერთიანობა იმ აზრით, რომ დაბოლოებულის არსება დაუბოლოებელია"[88]. ამრიგად, დაუბოლოებელი დაბოლოებულის გარეთ კი არა, არამედ თვითონ მასში უნდა ვეძიოთ. დაუბოლოებელი დაბოლოებულ საგანთა არსებაა, ვინაიდან დაბოლოებულ მოვლენათა განვითარების კანონი დაუბოლოებელია. ამიტომ საგნები და მოვლენები არა მხოლოდ დაბოლოებულია, არამედ, ამასთანავე, დაუბოლოებელიც. ისინი დაბოლოებულობისა და დაუბოლოებლობის ერთიანობას წარმოადგენენ. დაბოლოებულობას, როგორც ზემოთ ვნახეთ, შინაგანი უარყოფა იწვევს; შინაგანი უარყოფის, თვითუარყოფის შემძლე თავის თავში დაუბოლოებლის მომენტს თავის არსებად შეიცავს. დაუბოლოებელი დაბოლოებულის გარეშე ცუდ დაუბოლოებლობას წარმოადგენს. დაუბოლოებლობა გაგებულ უნდა იქნას „როგორც კანონი მოძრაობა-განვითარებისა, ე. ი. ის კანონი, რომელიც მოძრაობა-განვითარების ამხსნელია, რომელიც უსასრულო მოძრაობა-განვითარებას გვიხსნის და ამ აზრით დასრულებულად შეიცავს იმას, რაც უსასრულოა"[89].

ს. წერეთელი უარყოფს პოტენციალური და აქტუალური უსასრულობის ცნებების იზოლირებულად წარმოდგენას. პოტენციალური უსასრულობის არსებობიდან არ გამომდინარეობს აქტუალური უსასრულობის არსებობა და პირიქით. კიდევ უფრო შეცდომაა უსასრულობის უარყოფა იმის გამო, რომ „სინამდვილეში ჩვენ ვერსად ვერ ვპოულობთ უსასრულობას" (გ. კანტორი). ის, ვინც უსასრულობას იმის საფუძველზე უარყოფს, რომ იგი არასოდეს არ გვინახავს, არსებითად უსასრულობის სასრულად ნახვას მოითხოვს; ასეთი მოთხოვნა კი საფუძველმოკლებულია, ვინაიდან „უსასრულობის სასრულად ნახვა არ შეიძლება"[90].

/ დაბოლოებული და დაუბოლოებელი ერთმანეთის გარეშე შეუძლებელია. მართალია, ბუნებაში მხოლოდ ერთეული საგნები და

---

87 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, გვ. 162.

88 ი ქ ვ ე, გვ. 124.

89 ი ქ ვ ე, გვ. 158.

90 ი ქ ვ ე, გვ. 148.

მოვლენები არსებობენ, მაგრამ ისინი დაუბოლოებლობას თავის თავში გულისხმობენ. დაუბოლოებლის უარყოფა თვითონ დაბოლოებულს ხდის დაუბოლოებლად და, მაშასადამე, დაუბოლოებლის უარყოფის შეუძლებლობას ამჟღავნებს. სწორედ ამიტომ დაუბოლოებლობის უარყოფა თვითონ არის მისი დადგენა; ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მტკიცედ უარვყოფთ დაუბოლოებელს, მით უფრო მტკიცედ ვადგენთ მას. ამისდა მიხედვით განსაზღვრავს ს. წერეთელი დაუბოლოებლის ცნებას. „ის, რ ა ც შ ი ნ ა გ ა ნ ი უ ა რ ყ ო ფ ი თ დ გ ი ნ დ ე ბ ა, ა რ ი ს დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი; ი ს რ ი ს ი უ ა რ ყ ო ფ ა ც მ ა ს ვ ე ა დ გ ე ნ ს, დ ა უ ბ ო ლ ო ე ბ ე ლ ი ა“[91]. მაგალითად, შეუძლებელია უარყოფა უარვყოთ, ვინაიდან ასეთი უარყოფა თვითონ ადგენს უარყოფას. ასევე აუცილებლობის უარყოფა შემთხვევითობისადმი დამონებას და, მაშასადამე, კიდევ უფრო მკაცრი აუცილებლობისადმი დაქვემდებარებას ნიშნავს, სწორედ აქ მჟღავნდება ყველაზე ძლიერი ლოგიკური აუცილებლობა, ვინაიდან შინაგანი უარყოფით დადგენა უმკაცრეს აუცილებლობას წარმოადგენს. ასეთ აუცილებლობას დიალექტიკური ლოგიკა სწავლობს, ხოლო ფორმალური ლოგიკა მარტოოდენ გარეგანი აუცილებლობის ჩვენებით კმაყოფილდება. მაგრამ ს. წერეთელი ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობის ცნების სიყალბეს როდი ამტკიცებს; იგი თვლის, რომ „ფორმალურ-ლოგიკური არის დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთი მხარე“. აუცილებლობის ცნების უფრო ღრმა და სრულყოფილ ანალიზს კი დიალექტიკური ლოგიკა იძლევა.

დაუბოლოებლობის ცნების ზემოაღნიშნული განსაზღვრებიდან ს. წერეთელს მისი წრიულობა გამოჰყავს; წრიულობა ამ შემთხვევაში ჩაკეტილობას კი არ ნიშნავს, არამედ თავისთავადობას, თვითსაფუძვლის ქონებას. ამასთან არის დაკავშირებული ლოგიკურის სინთეზურობაც, ვინაიდან „ნამდვილი სინთეზი სწორედ ის არის, რომელიც უარყოფის, სწორედ შინაგანი უარყოფის საშუალებით არის შესრულებული, ნამდვილი სინთეზური ერთიანობა, საბოლოოდ, არის წინააღმდეგობის ერთიანობა“[92].

ლოგიკური სინთეზის პრობლემა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არსებითად ლოგიკური აუცილებლობის პრობლემაა; სწორედ ამიტომ დაუბოლოებლის ცნების ზემოაღნიშნული განსაზღვრების მიხედვით წყვეტს ს. წერეთელი ლოგიკური აუცილებლობის პრობლე-

---

91 ი ქ ვ ე, გვ. 180.
92 ი ქ ვ ე, გვ. 186.

მასაც. „აუცილებელი არის ის, — წერს იგი, — რომლის შინაგანი უარყოფაც მას ასაბუთებს. ლოგიკური აუცილებლობა კი იქნება თვითონ ის კავშირი, რომელიც შინაგანი უარყოფით საბუთდება, როგორც დაპირისპირებულთა კავშირი"[93].

მაგრამ დაუბოლოებლობისა და მისი შესატყვისი ლოგიკურის უფრო ღრმა გაგებისათვის ს. წერეთელს აუცილებლად მიაჩნია ლოგიკური აუცილებლობის ძირითადი კანონის ბუნების გარკვევა, რაც კიდევ უფრო ნათელყოფს ლოგიკური კავშირის დიალექტიკურ ბუნებას.

ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონი, ამტკიცებს ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, ერთი უნდა იყოს. მრავალი ძირითადი კანონის არსებობა თვითონ ძირითადის ცნებას ეწინააღმდეგება. ბევრი ლოგიკოსი, მათ შორის არისტოტელეც, მთავარ ლოგიკურ კანონად წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს თვლიდა. ამ თვალსაზრისის საფუძვლიანი ანალიზისა და, რაც მთავარია, ლოგიკური აზროვნების ძირითადი კანონის დასადგენად ს. წერეთელი საჭიროდ თვლის წინააღმდეგობის ბუნების გარკვევას.

ყოველგვარი განსხვავება, ამტკიცებს ს. წერეთელი, ორ მომენტს შეიცავს: უარყოფასა და იგივეობას. განსხვავება უარყოფის გარეშე შეუძლებელია; ერთი საგანი მეორისაგან სწორედ იმიტომ განსხვავდება, რომ პირველი არის ის, რაც არ არის მეორე, ე. ი. განსხვავება თავის თავში უარყოფის შემცველია. მაგრამ, მეორე მხრივ, განსხვავება და უარყოფა იგივეობის გარეშეც შეუძლებელია; „როცა რაიმეს უარყოფაზე ვლაპარაკობთ, მაშინ ეს რაიმე იგივეობრივად გვესმის ...იგივეობის მომენტის გარეშე არაფერი არ არსებობს"[94]. ეს კი იგივეობრივის უარყოფის შეუძლებლობას ნიშნავს, ვინაიდან „რასაც უარვყოფთ, ის იგივეობრივად უნდა გვესმოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფაც შეუძლებელი იქნება"[95].

ს. წერეთელი, რასაკვირველია, არ აღიარებს წმინდა იგივეობის ან წმინდა უარყოფის შესაძლებლობას; იგი ამტკიცებს, რომ „წმინდა იგივეობა, მხოლოდ იგივეობა ისევე შეუძლებელია, როგორც იგივეობის სრული უარყოფა". იგივეობა განსხვავებასაც გულისხმობს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგივეობის შესახებ აზრი შეუძლე-

---

93 ს. წერეთელი, ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ, გვ. 207.

94 იქვე, გვ. 246.

95 იქვე.

ბელი იქნებოდა. წმინდა იგივეობის გამომთქმელი აზრი სუბიექტ-პრედიკატის განსხვავების გარეშე უნდა ყოფილიყო, რაც, ცხადია, შეუძლებელია. მეორე მხრივ შეცდომაა იგივეობის უარყოფაც; „იგივეობის უარყოფა ისეთივე შეცდომაა, როგორც მხოლოდ იგივეობის აღიარება“[96]. ერთი სიტყვით, იგივეობა და განსხვავება აუცილებელ ერთიანობაშია; თითოეული მათგანი ამ ერთიანობის ცალმხრიობას წარმოადგენს.

განსხვავებულთა კავშირი თავის თავში უარყოფის მომენტს შეიცავს, კავშირი განსხვავებულთა კავშირია და, მაშასადამე, თავისი ბუნებით სინთეზურია; სინთეზურობა კი უარყოფის გარეშე შეუძლებელია.

შინაგანი უარყოფის გარეშე, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ არსებობს შინაგანი წინააღმდეგობა, ხოლო ეს უკანასკნელი ყოველგვარი მოძრაობა-განვითარების კანონია, მისი იმპულსია. შინაგანი უარყოფისა და წინააღმდეგობის ბუნება კი ფორმალური ლოგიკისათვის გაუგებარია; იგი მარტოოდენ დიალექტიკური ლოგიკისათვისაა მისაწვდომი.

შინაგანი უარყოფა იმავე დროს დადგენაცაა, შინაგანი გარკვეულობაა; სწორედ ამიტომ იგი საგნის არსების დახასიათებას წარმოადგენს. ის, რაც შინაგანი უარყოფის ძალით არსებობს, თავის თავში არსების სახით დაუბოლოებელს შეიცავს, ვინაიდან დაუბოლოებელი სწორედ შინაგანი უარყოფის შემცველია.

დიალექტიკური უარყოფა ორმხრივია; არა მხოლოდ ერთი უარყოფს მეორეს, არამედ მეორეც უარყოფს პირველს. ეს არის ურთიერთუარყოფა, რასაც ს. წერეთელი წინააღმდეგობას უწოდებს. „ასეთი ურთიერთუარყოფა შესაძლებელია ერთიანობის საფუძველზე, ე. ი. მაშინ, როდესაც ერთიმეორის უარმყოფელნი არა მხოლოდ უარყოფენ ერთიმეორეს, არამედ ერთიმეორესაც ადგენენ, ერთიანობაშიც იმყოფებიან. ეს ერთიანობა აუცილებლობით თავისშიც შეიცავს წინააღმდეგობას“[97]. რასაკვირველია, ერთიანობა არ არის ურთიერთდაპირისპირებულთა ჯამი, არამედ რაღაც „მესამე“, რომელიც მათ ძირს, საფუძველს წარმოადგენს. „წინააღმდეგობისათვის „მესამე“ არის მისი ძირი და არა საწინააღმდეგოთა ნაერთი“[98]. არ არსებობს წინააღმდეგობა ერთიანობის გარეშე; დაპირისპირე-

---

96 ი ქ ვ ე, გვ. 248.

97 ი ქ ვ ე, გვ. 257.

98 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 262.

ბულთა ერთიანობის დიალექტიკური კანონი სწორედ ამ გარემოების გამომთქმელია.

ს. წერეთელი შეცდომად თვლის წინააღმდეგობის აღიარებას მხოლოდ ობიექტურ სინამდვილეში ან მხოლოდ აზროვნებაში; შინაგანი წინააღმდეგობა ამოძრავებს როგორც ერთს, ისე მეორეს. აზროვნების სფეროდან შინაგანი წინააღმდეგობის გამორიცხვა ნიშნავს იმის უარყოფას, რომ აზროვნება არის (შინაგანი წინააღმდეგობის მქონე) ობიექტური სინამდვილის ასახვა. დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს უნივერსალური მნიშვნელობა აქვს.

დაპირისპირებულთა ერთიანობის დიალექტიკური კანონის უნივერსალურობიდან გამომდინარეობს, რომ „ლოგიკურის ძირითადი კანონი უნდა იყოს არა იგივეობის კანონი, არამედ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი“[99]. ძველი ლოგიკის „აზროვნების ძირითადი კანონები“ დაქვემდებარებულია ამ კანონისადმი. ეს კანონები ვერ ხსნიან ლოგიკურის სინთეზურობას, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს იმას, რომ ისინი აზროვნების ძირითად კანონებს არ წარმოადგენენ. ძირითადი კანონი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს; დანარჩენი კი მისადმია დაქვემდებარებული. ლოგიკურის სინთეზურობის პრობლემა სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონის საფუძველზე გადაწყდება.

ზემოაღნიშნული მონოგრაფიის უკანასკნელ თავში ს. წერეთელი საფუძველ-შედეგის კავშირის ბუნებას იკვლევს. იგი თვლის, რომ ახალი (დიალექტიკური) ტიპის დასკვნის გასაგებად აუცილებელია ლოგიკური საფუძველ–შედეგის კავშირის ანალიზი.

ძველი ლოგიკის აზროვნების ძირითადი კანონები, ამტკიცებს ს. წერეთელი, საფუძველ-შედეგის აუცილებელ სინთეზურ კავშირს ვერ გვაჩვენებს, რის გამოც მას შემოაქვს საკმაო საფუძვლის კანონი. მაგრამ, ს. წერეთლის აზრით, ვერც ეს კანონი ხსნის დასკვნის არსებას, სინთეზური აუცილებელი ლოგიკური კავშირის ბუნებას. ამ კანონის ზერელობა იმითაც მტკიცდება, რომ მით ყველაფრის გამართლება შეიძლება, ვინაიდან საკმაო საფუძველი ყველაფერს მოეპოვება. აქედან გამომდინარეობს, რომ საკმაო საფუძვლის კანონი არა მხოლოდ ჰეშმარიტების, არამედ შეცდომის ასახსნელადაც გამოდგება.

დიალექტიკური ლოგიკა ფორმალურ ლოგიკაზე წინ მიდის იმით, რომ იგი არსების ამსახველ ლოგიკურს აყალიბებს, მაშინ როდესაც ფორმალური ლოგიკა არსებითსა და არარსებითს ერთმანე-

---

[99] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, გვ. 371.

თისაგან ვერ არჩევს. ფორმალური ლოგიკის კანონები ცალმხრივია; სწორედ ამიტომ მათი ჩათვლა „ძირითად კანონებად“ შეუძლებელია. აზროვნების ძირითადი კანონი — დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი — ამტკიცებს, რომ ურთიერდაპირისპირებულნი ერთმანეთის მიმართ საფუძველ-შედეგის ურთიერთობაში იმყოფებიან. დაპირისპირებულთა ერთიანობა უბრალო საფუძველი კი არ არის, არამედ თვითსაფუძველი, რომელიც თავის თავში საფუძველსაც შეიცავს და შედეგსაც. აქ არა მხოლოდ საფუძველი განსაზღვრავს შედეგს, არამედ პირიქითაც; იგი არის თავისი საფუძვლის საფუძველი.

ყოველი ლოგიკური კავშირი არის ზოგადისა და კერძოს კავშირი. ზოგადისა და კერძოს კავშირის ამსახველ ცნებათა ერთიანობა თვითონ არის დაპირისპირებულთა აუცილებელი დადებითი ერთიანობა.

მთელი ნაშრომის ძირითად აზრს ს. წერეთელი ასე გამოთქვამს: „ცნების არსება, როგორც საერთოდ ლოგიკურის არსება, რომელიც დაუბოლოებელს, „გარეგადამწვდომ“ მომენტს გამოხატავს, დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობის, დიალექტიკური დასკვნის არსებას წარმოადგენს“[100].

ს. წერეთლის ზემოგანხილულ მონოგრაფიაში (ორივე გამოცემაში) ძირითადად დამუშავებულია უსასრულო დასკვნის თეორია, თუმცა ეს უკანასკნელი ამ სტადიაზე ჯერ კიდევ ქმნადობის პროცესში იმყოფება; უსასრულო დასკვნის დასრულებული ვარიანტი წარმოდგენილია მის უკანასკნელ ნაშრომში „დიალექტიკური ლოგიკა“.

§ 4. ლოგიკური აუცილებლობის ბუნება

როგორც ზემოთ ვნახეთ, დიალექტიკური ლოგიკის დარგში ს. წერეთლის მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ლოგიკური აუცილებლობის ბუნების გარკვევა წარმოადგენს. ამ პრობლემას მიუძღვნა მან სპეციალური სტატია „ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ“, რომელიც 1958 წელს გამოქვეყნდა.

კავშირი, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომში, განსხვავებულთა კავშირია, ვინაიდან კავშირი განსხვავებულებს გულისხმობს. ასევე ლოგიკური კავშირი განსხვავებულთა კავშირს წარმოადგენს. კავშირი, როგორც განსხვავებულთა კავშირი, თავისი ბუნებით სინთეზურია, თუმცა ლოგიკურ კავშირში აღებული განსხვავებულობა ანალიზურობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ „ყოველი ლოგიკური

100 იქვე, გვ. 358.

კავშირი ანალიზურობის შემცველი სინთეზური კავშირია"[101]. წმინდა ანალიზურობა შეუძლებელია, ვინაიდან თუნდაც ერთი და იგივეს განმეორება სიმრავლის სინთეზურობას გვაძლევს.

ლოგიკურის სინთეზურობა, რომელიც განსხვავებულთა ერთიანობას წარმოადგენს, თავის თავში უარყოფის მომენტს აუცილებლობით შეიცავს; განსხვავება უარყოფის შემცველია. ასევე „განსხვავების სრული გამოთქმა უარყოფის მომენტს აუცილებლობით გულისხმობს". ასეთივე ბუნებისა უნდა იყოს დასკვნის სინთეზურობაც, რადგან დანასკვი წანამძღვრებისაგან განსხვავებულია. ეს უარყოფის მომენტი დასკვნის ერთიანობაში შედის. ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს გარეგანსა და შინაგან უარყოფას. გარეგანი უარყოფა სხვისი უარყოფაა; მაგალითად, როდესაც ვამბობთ, რომ „ვარდი არ არის ცხოველი", მაშინ ვარდის მიმართ უარვყოფთ მას, რაც მის გარეთ იმყოფება. გარეგანი უარყოფის შემთხვევაში უარმყოფელი და უარსაყოფელი ერთმანეთს აბოლოებენ, ასრულებენ. ამიტომ ასეთი აუცილებელი კავშირი დაბოლოებულის აუცილებლობას წარმოადგენს, რაც ფორმალურ ლოგიკაში ფუნქციონირებს. „როცა აზრთა ასეთ კავშირში გარეგანი უარყოფა მოქმედებს — წერს ს. წერეთელი — მაშინ ეს კავშირი ემყარება „აზროვნების ძირითად კანონებს" — იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის და გამორიცხული მესამის კანონებს, რომლებიც განსაზღვრავენ ლოგიკურ აუცილებლობას, რამდენადაც ეს უკანასკნელი განხორციელებულია დაბოლოებულის სფეროში. ასეთია ის ლოგიკური აუცილებლობა, რომელთანაც საქმე აქვს ფორმალურ ლოგიკას, სადაც აუცილებელი არ არის ის, რის საწინააღმდეგოც შეუძლებელია"[102].

მაგრამ ლოგიკაში ადგილი აქვს შინაგან უარყოფასაც; ამ შემთხვევაში უარყოფა იმავე დროს იმის დასაბუთებასაც წარმოადგენს, რასაც უარვყოფთ. ეს ნიშნავს, რომ რაიმე საბუთდება საწინააღმდეგოს უარყოფით, ე. ი. დასაბუთება უარყოფით სრულდება. სწორედ ამიტომ აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ უარყოფასთან, არამედ დადგენასთანაც, რაც ერთი პროცესია; დაუბოლოებელი არის ის, რაც დადებითობისა და უარყოფითობის ერთიანობას წარმოადგენს.

წინააღმდეგობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, დაბოლოებულის ბუნებას გვაჩვენებს, წინააღმდეგობის ერთიანობა კი — დაუბოლოებელს, უსასრულოს; „დაუბოლოებელი დაბოლოებულთა გარკვეუ-

---

102 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ, იხ. „საქ სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XX, №, 6. 1958, გვ. 642.

ლი ერთიანობაა“ ანუ „დაუბოლოებელი არის წინააღმდეგობის ერთიანობა, სადაც მოწინააღმდეგენი ერთიმეორეს მოითხოვენ, აღგენენ და აფუძნებენ“[103].

ლოგიკური აუცილებლობა, ს. წერეთლის მიხედვით, უკიდურესი სისრულით, ე. ი. ყველაზე მკაცრად მაშინ გამოვლინდება, როდესაც რაიმეს უარყოფა მასვე აღგენს და ასაბუთებს. მაგალითად, ჭეშმარიტების უარყოფა მისივე დასაბუთებაა (ვინაიდან ჭეშმარიტების უარყოფა ჭეშმარიტად უნდა იქნას მიჩნეული და, მაშასადამე, ასეთი უარყოფა თვითონ იქნება ჭეშმარიტების დადგენა), უარყოფის უარყოფა უარყოფის დასაბუთებაა და ა. შ. აქ ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობა გვაქვს.

რასაკვირველია, ს. წერეთელი არავითარ შემთხვევაში არ ამტკიცებს იმას (როგორც მას ზოგჯერ სრულიად უმართებულოდ საყვედურობდნენ), რომ თითქოს უარყოფით დასაბუთება, რაც უსასრულო დასკვნის არსებას გამოხატავს, სასრული საგნების ამსახველ აზროვნებაში ფუნქციონირებს. საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ კატეგორიალურ სფეროს, უმაღლეს ზოგადობას და არა ჩვენი ყოველდღიური აზროვნების წესს. დიალექტიკური ლოგიკა ს. წერეთელს ესმოდა როგორც კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი ს ლ ო გ ი კ ა, ხოლო უსასრულო დასკვნას კატეგორიებით შესრულებულ დასკვნად თვლიდა.

რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ისეთი დასკვნაა, რომელიც იმავე დროს დასაბუთებასაც წარმოადგენს. დასკვნისა და დასაბუთების ერთიანობის (დასკვნა-დასაბუთება) იდეა მან ჯერ კიდევ საკანდიდატო დისერტაციაში (1936) წამოაყენა, თუმცა იქ არაფერი არ არის ნათქვამი ამ ერთიანობის კონკრეტული შინაარსის შესახებ; ამ იდეის დასრულებული სახით წარმოდგენას ს. წერეთელმა ორ ათეულ წელზე მეტი მოანდომა. ის დასკვნა, რომელიც იმავე დროს დასაბუთებაა, არის უსასრულო დასკვნა. ასეთ დასკვნას თავისი საფუძველი თავის თავში აქვს და სხვა (გარეგან) წანამძღვრებს არც საჭიროებს. სწორედ ამიტომ მას ს. წერეთელი ზოგჯერ თ ვ ი თ ს ა ფ უ ძ ვ ლ ი ს დ ა ს კ ვ ნ ა ს უწოდებს. დასკვნა, სადაც რაიმეს უარყოფით იგივე საბუთდება, დაპირისპირებულთა ერთიანობაა (უარყოფა-დადგენაა), რომელიც ზოგადობას წარმოადგენს; მისი საპირისპირო მხარეები კი ერთმხრიობებია.

თვითსაფუძვლის მქონე დასკვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი, სხვა საფუძველს იმიტომ არ საჭიროებს, რომ „შინაგანი აუცილებლობა

103 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 643.

მასში უპირობოდ, აბსოლუტურად ხორციელდება". ასეთ დასკვნა-დასაბუთებას ს. წერეთელი დასაბუთების, როგორც ცოდნის სისტემის, საწყისად თვლის. ამ საკითხს მან სპეციალური წიგნი მიუძღვნა, სადაც ეს იდეა ფართოდ გაშალა.

ამრიგად, ს. წერეთელი თვლის, რომ ყველაზე მკაცრი (უმკაცრესი) ლოგიკური აუცილებლობა დიალექტიკური ბუნებისაა, რომელიც „სისრულით ვლინდება და ხორციელდება ისეთ დასკვნებში, სადაც რაიმეს უარყოფით თვითონ ეს რაიმე საბუთდება"[104].

როგორც ვხედავთ, ამ სტატიაში ს. წერეთელმა ხაზი გაუსვა უსასრულო დასკვნის კიდევ ერთ ძირითად მომენტს — ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას — და ამით კიდევ უფრო განავითარა საკუთარი თვალსაზრისი უსასრულო დასკვნის შესახებ.

§ 5. ჰეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკა

უსასრულო დასკვნის თეორიის საბოლოოდ ჩამოყალიბებისათვის საჭირო იყო ანგარიშის გასწორება ჰეგელის იდეალისტურ დიალექტიკურ ლოგიკასთან, კერძოდ, მისი დასკვნის თეორიასთან, რაც ს. წერეთლის უსასრულო დასკვნის თეორიის წინამორბედს წარმოადგენს. ეს ამოცანა შესრულებული იქნა წიგნში „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში" (1959).

დასახელებული წიგნის მთავარ მიზანს წარმოადგენს ჰეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკული განხილვა და არა აგრეთვე მისი მოძღვრების გამოკვლევა ცნებისა და მსჯელობის შესახებ. მაგრამ ცნება ჰეგელის ლოგიკაში სხვა არაფერია, თუ არა ზოგადად აღებული დასკვნა; „ცნება და დასკვნა ერთიმეორისაგან გარკვეულად არ არის გამოყოფილი... ჰეგელის აზრით, ცნება სხვა არაფერია, თუ არა დასკვნა თავისთავად, ე. ი. არსებითად იგი დასკვნაა"[105].

მეორე მხრივ, ამტკიცებს ს. წერეთელი, ჰეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკული ანალიზი შეუძლებელია მისი მსჯელობის თეორიის გათვალისწინების გარეშე, ვინაიდან „ის, რაც ჰეგელის ლოგიკაშია განხილული როგორც მსჯელობა, არ არის მსჯელობა საერთოდ, არამედ მსჯელობა, როგორც დანასკვი. დასკვნის გაგებისათვის კი აუცილებელია დანასკვის განხილვა"[106]. სწორედ ამიტომ ამ წიგნში ს. წერეთელი დასკვნის თეორიის ასპექტით ცნებისა და მსჯელობის საკითხებსაც განიხილავს.

---

104 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 646

105 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში, თბილისი, 1959, გვ. 100.

106 ი ქ ვ ე.

ჰეგელის მიხედვით, დასკვნა იგივე ცნებაა, ხოლო ცნება, პირიქით, დასკვნაა. ისინი არსებითად ერთი და იგივეა. „ჰეგელის თვალსაზრისი ცნების თვალსაზრისია და არა დასკვნის თვალსაზრისი“[107]. „სუბიექტურ ლოგიკაში“ მოცემულია არა დასკვნის, არამედ ცნების თეორია.

ამასთანავე ცნება ჰეგელს ესმის როგორც მისტიკური უნარი, აბსოლუტი, „რომელიც თავის თავიდან ჰქმნის რეალობას“. სწორედ ამ გარემოებას თვლის ს. წერეთელი ჰეგელის ცნების თეორიის არსებით ნაკლად. გამოდის, რომ „რაც არსებითია ცნებაში, არაცნებითი ხასიათისაა“. იდეალიზმმა დაამახინჯა ჰეგელის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია.

ს. წერეთელი დეტალურად აანალიზებს ჰეგელის მოძღვრებას ცნების, მსჯელობისა და, განსაკუთრებით, დასკვნის შესახებ და აჩვენებს მის დადებითსა და უარყოფით მხარეებს. იგი ჰეგელის დასკვნის თეორიის ერთ-ერთ რაციონალურ მარცვალს ძველი ლოგიკის კრიტიკასა და მისი არასაკმარისობის დასაბუთებაში ხედავს. ს. წერეთელი ჰეგელის მოძღვრებაში ისეთ მომენტებსაც გამოავლენს, რომლებიც, მისი აზრით, დიდი ღირებულებისაა თანამედროვე ლოგიკისტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში (მაგ., ცნების, მსჯელობისა და დასკვნა-დასაბუთების დაყვანის შეუძლებლობა რიცხობრიობაზე და სხვ.); აკრიტიკებს რა იდეალიზმს ჰეგელის დასკვნის თეორიაში, იგი იძლევა ჰეგელის „მატერიალისტური წაკითხვის“ ნიმუშებს.

ჰეგელი მართალია, როდესაც იგი ცნებასა და მსჯელობას, ისევე როგორც ლოგიკური აზროვნების სხვა ფორმებს, ობიექტურ მნიშვნელობას მიაწერს; მაგრამ ლოგიკური აზროვნების ფორმების ობიექტურობის ქვეშ ჰეგელს ობიექტურ-იდეალისტური შინაარსი ესმის. „ცნება საგანი კი არაა — წერს ს. წერეთელი — ან ყველა საგანი მსჯელობა კი არაა, როგორც ეს ჰეგელს ჰგონია, არამედ ცნება და მსჯელობა ასახავენ ობიექტური საგნის შინაარსს. ერთეული საგანი ზოგადის, განსაკუთრებულის და ერთეულობის ერთიანობას წარმოადგენს; ამათი ასახვა კი გვაძლევს ცნებას, მსჯელობას, დასკვნას“[108].

ჰეგელის დასკვნის თეორიის რაციონალურ მარცვლად ს. წერეთელი აზროვნების ლოგიკურ ფორმებში კატეგორიებისა და მათი კავშირების აღმოჩენას თვლის. ჰეგელმა მოგვცა „აზროვნების ფორმებისა და მისი სახეების განვითარებაში წარმოდგენის სერიოზული

---

107 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 9.
108 ი ქ ვ ე, გვ. 109.

ცდა“, თუმცა ეს ცდა იდეალისტური სისტემის გამო წარუმატებელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამ წარუმატებლობისა, „ლოგიკური კავშირის კატეგორიების კავშირად გაგება და ამ კავშირის განვითარების სახით წარმოდგენა არის „შორს წასვლა“ ფორმალური ლოგიკიდან“[109].

ჰეგელის დასკვნის თეორიაში ს. წერეთლის განსაკუთრებულ მოწონებას ე. წ. რეფლექსიის დასკვნა იმსახურებს; ეს სრულიად ბუნებრივია, ვინაიდან ს. წერეთლის უსასრულო დასკვნა რეფლექსურობით ხასიათდება და ამდენად იგი ჰეგელის კონცეფციას ენათესაეება (მატერიალისტური წაკითხვით). ჰეგელი თვლიდა, რომ არსებობის დასკვნები თავის წანამძღვრებს წინასწარ გულისხმობენ სხვა დასკვნებში. რეფლექსიის დასკვნა მათგან იმით განსხვავდება, რომ მისი წანამძღვრები თვითონ მასშია და არა მის გარეთ. ამდენად რეფლექსიის დასკვნა თვითსაფუძვლის მქონეა და ამაშია მისი რეფლექსურობა. სწორედ ეს მოსწონს ს. წერეთელს, მაგრამ თვლის, რომ ეს ამოცანა ჰეგელმა ვერ შეასრულა, თუმცა მისი დიალექტიკა სწორედ ამას მოითხოვდა. ეს არის ახალი დასკვნა, რომელშიც საშუალო ტერმინი გვარი კი არა არის, არამედ დაპირისპირებულთა ერთიანობაა.

ჰეგელმა მიუთითა ლოგიკურში შინაგანი წინააღმდეგობისა და უარყოფის შესახებ; სხვაგვარად დიალექტიკური ლოგიკის აგება შეუძლებელი იქნებოდა. სწორედ ამიტომ ს. წერეთელი, რომელიც აგრეთვე დიალექტიკური ლოგიკის თვალსაზრისზე დგას, დადებითად აფასებს ამ მომენტს ჰეგელის ლოგიკაში და თვლის, რომ იგი, როგორც რაციონალური მარცვალი, შენარჩუნებულ უნდა იქნას მატერიალისტურ დიალექტიკაში.

ასეთსავე რაციონალურ მარცვლად ს. წერეთელი თვლის შინაარსეული ზოგადის კონცეფციის წინ წამოწევას და მისადმი ფორმალური ზოგადის დაქვემდებარებას ჰეგელის ლოგიკაში. დიალექტიკური ლოგიკისათვის მთავარია არა ფორმალური, არამედ შინაარსეული ზოგადი. თვითონ ს. წერეთელი სწორედ შინაარსეული ზოგადის თვალსაზრისზე იდგა.

მაგრამ ყველაზე მთავარი ჰეგელის დასკვნის თეორიაში, რაც ს. წერეთლის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს, არის უსასრულობის გამომსახველი დასკვნის ანუ უსასრულო დასკვნის მოთხოვნა, რაც ჰეგელმა, ს. წერეთლის აზრით, იდეალიზმის გამო, ვერ განახორციელა. „ჰეგელის დიალექტიკა, როგორც დიალექტიკა, — წერდა იგი, — თავისი ბუნებით მოითხოვდა დაუბოლოებელის, როგორც

[109] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 334.

დაპირისპიროებულთა ერთიანობის, ამსახველ ლოგიკურს, მაგრამ ეს მოთხოვნა მის ლოგიკაში საბოლოოდ ვერ განხორციელდა, რადგან ძველი ლოგიკის გავლენით, ცნების მოცულობას საკვიროზე ძეტი მნიშვნელობა მიენიჭა და ერთიანობა მისტიკურ ძალასთან იქნა გაიგივებული. ჰეგელის ლოგიკაში „რაციონალური მარცვალია" დაუბოლოებელის გამომხატველი დასკვნის (შუალობითი ლოგიკური კავშირის) მოთხოვნა და ძველი ლოგიკის კრიტიკა, მასში ნაკლოვანებების აღმოჩენა"[110].

როგორც ვხედავთ, ს. წერეთელი ჰეგელის ლოგიკას უსასრულო დასკვნის თეორიის თვალსაზრისით განიხილავს და ამ საზომით აფასებს მის დადებითსა და უარყოფით მხარეებს. ამასთანავე მან შეინარჩუნა და მატერიალისტურად გადაამუშავა ის დადებითი მომენტები (ე. წ. რაციონალური მარცვალი), რასაც ჰეგელის დასკვნის თეორია შეიცავდა.

§ 6. დასაბუთების საწყისის პრობლემა

უსასრულო დასკვნის თეორია კიდევ უფრო განვითარებული სახით წარმოსდგა წიგნში „დასაბუთების საწყისი" (1963), რომელსაც წინ უსწრებდა პატარა სტატია „დასაბუთების საწყისის შესახებ" (1961).

მეცნიერება, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომებში, არის ცოდნის, დასაბუთების სისტემა; დასაბუთების სისტემას კი უნდა ჰქონდეს დასაწყისი, რაც ჯერ კიდევ არისტოტელემ მშვენივრად შენიშნა. მას შემდეგ ფილოსოფიის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში დასაბუთების საწყისის შესახებ მრავალი აზრი გამოითქვა. ს. წერეთელი კრიტიკულად განიხილავს ამ პრობლემის გადაწყვეტის ცდებს და, თავის მხრივ, უსასრულო დასკვნის იდეაზე დაფუძნებით დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალურ კონცეფციას გვთავაზობს.

დასაბუთებისათვის, ამტკიცებს იგი, აუცილებელია ლოგიკური საწყისი, რომელსაც შემდეგი ნიშნები ექნება: დადებითობა, შინაგანი უარყოფა, ზოგადობა, შინაგანი გაშუალება, უპირობობა; ის უნდა იყოს ყოველგვარი ლოგიკური პირობითობის პირველი ლოგიკური საფუძველი, რომელსაც არ ექნება სხვა საფუძველი, ე. ი. იქნება ლოგიკურად თვითსაფუძველი. სწორედ ამიტომ დასაბუთების საწყისად, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ შეიძლება დაუსაბუთებელი დებულება მივიჩნიოთ. დაუსაბუთებელი ვერ მოგვცემს დასაბუთე-

---

110 იქვე, გვ. 334.

ბას, მეცნიერება ვერ დაიწყება იმით, რაც მეცნიერული არ არის. სწორედ ასეთ შეცდომას უშვებენ ისინი, ვინც აქსიომას დასაბუთების სისტემის საწყისად მიიჩნევენ. „აქსიომის (აქსიომების) ამორჩევა თვითონ მოითხოვს გარკვეულ საფუძველს, ე. ი. ემყარება დასაბუთებას; ამიტომ აქსიომა დასაბუთების საწყისად არ გამოდგება"[111]. ამრიგად, ს. წერეთელი თვლის, რომ სისრულე, თავსებადობა და დამოუკიდებლობა, რომელთა მიხედვით აქსიომებს ირჩევენ, თვითონ შეიძლება განვიხილოთ აქსიომების საფუძვლად, მათი ვარგისიანობის დასაბუთებად, და, მაშასადამე, აქსიომები ვეღარ შეასრულებენ დასაბუთების საწყისის როლს; ისინი არა მარტო ვერ აჩერებენ რეგრესს დასაბუთებაში დასაბუთებისას, არამედ თვითონ ქმნიან ასეთ რეგრესს.

ასევე თუ აქსიომებს შეთანხმებებად (კონვენციებად) ჩავთვლით, როგორც ამას კონვენციონალიზმი აკეთებს, მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ შეთანხმება თვითონ საჭიროებს გარკვეულ საფუძველს და, მაშასადამე, პირველი იქნება შეთანხმების საფუძველი და არა თვითონ შეთანხმება. ხოლო, მეორე მხრივ, „თუ შეთანხმების საფუძველზე უნდა მივიღოთ აქსიომა, მაშინ თვითონ შეთანხმება გამოდის პირველი და არა აქსიომა... რაც აქსიომას წინ უსწრებს, როგორც მისი ლოგიკური საფუძველი, მასზე ლოგიკურად წინწასწრებული, ასეთ შემთხვევაში შეთანხმება, აუქმებს მას, აქსიომას როგორც ასეთს, როგორც უშუალოს. აქსიომა შეთანხმებით ხდება გაშუალებული, რაც არ შეიძლება იყოს აქსიომა"[112]. აქსიომების გამოყენება, ამბობს ს. წერეთელი, სპეციალურ მეცნიერებებში, ცხადია, ნაყოფიერია, მაგრამ ფილოსოფიური ლოგიკისათვის შეუძლებელია, ვინაიდან ფილოსოფია თავის თავში უნდა შეიცავდეს იმას, რასაც იგი ლოგიკურად ემყარება. როგორც ვხედავთ, ს. წერეთელი ეწინააღმდეგება ლოგიკის აქსიომატიზაციის თვალსაზრისს, ვინაიდან ფიქრობს, რომ ლოგიკის აქსიომატიზაციის ცდა აუქმებს ლოგიკას, როგორც ასეთს; ლოგიკის აქსიომატიზაცია შეუძლებელია, ეს ნიშნავს, რომ შეუძლებელია არაფილოსოფიური ლოგიკა. არაფილოსოფიური „ლოგიკა" იქნება არა ლოგიკა, არამედ მისი გამოყენება.

ს. წერეთელი აგრეთვე უარყოფს დასაბუთების საწყისად ინტუიციის ჩათვლას. „ინტუიცია — წერს იგი — როგორიც არ უნდა იყოს იგი, სუბიექტის ფსიქოლოგიური მდგომარეობაა და ამიტომ

---

111 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასაბუთების საწყისის შესახებ, იხ. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე", ტ. XXVII, № 3, გვ. 258.

112 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასაბუთების საწყისი, თბილისი, 1963, გვ. 111.

დასაბუთების თუ მეცნიერების საწყისად სრულიადაც არ გამოდგება"[113].

ს. წერეთელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „შეუძლებელია დასაბუთების საწყისი არ იყოს დასაბუთებული, ისე რომ ამავე დროს აცილებულ უნდა იქნას რეგრესი უსასრულობაში"[114]. ეს ნიშნავს, რომ დასაბუთების საწყისის დასაბუთებულობის მოთხოვნა არ უნდა იწვევდეს ახალი საწყისის აუცილებლობას და, მაშასადამე, რეგრესს უსასრულობაში. უნდა მოინახოს დასაბუთების ისეთი საწყისი, რომელიც დასაბუთებულ იქნება, მაგრამ არა სხვა საწყისის მიერ, არამედ რაღაც სხვა წესით. სწორედ ამის პოვნაში ხედავს ს. წერეთელი დასაბუთების საწყისის პრობლემის გადაწყვეტას.

დასაბუთების საწყისად, ს. წერეთლის მიხედვით, არ შეიძლება გამოდგეს ის, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა. ასეთი რამ სასრულია, სასრული კი დასაბუთების საწყისის როლს ვერ იკისრებს. „თუ არსებობს ისეთი რამ, რომლის უარყოფა შეუძლებელია, მაშინ იგი გამოდგება საწყისად, შეიძლება გამოდგეს საწყისად"[115]. ასეთი კი არის უსასრულო დასკვნა. სწორედ ამიტომ დასაბუთების საწყისად ს. წერეთელი უსასრულო დასკვნას თვლის. „უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური პირველი ყოველგვარი დასკვნისა და დასაბუთებისა... უსასრულო დასკვნა უპირობო ლოგიკურია, რომლის ბუნებაც დაპირისპირებულთა ერთიანობაში მდგომარეობს. უსასრულო დასკვნა დასაბუთების ერთადერთი უზოგადესი საწყისია"[116].

უსასრულო დასკვნა თვითსაფუძვლის მქონეა და, ცხადია, თავის მხრივ სხვა საწყისს არ მოითხოვს; მხოლოდ მას შეუძლია დასაბუთებაში უსასრულო რეგრესის შეჩერება. ამავე დროს იგი, როგორც საწყისი, დასაბუთებულია, მაგრამ არა სხვით, არამედ თავისი თავით.

უსასრულო დასკვნები, ამბობს ს. წერეთელი, ბევრია, მაგრამ მათი ფორმა ერთია, ვინაიდან ყველა მათგანი უსასრულო დასკვნას წარმოადგენს; სწორედ ეს ერთი არის დასაბუთების ლოგიკური საწყისი, ხოლო მთელი დასაბუთების სისტემა ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს. დასაბუთების საწყისი დადებითი სინთეზური მსჯელობაა, რომელსაც დიალექტიკური ხასიათი აქვს. მთელი დასა-

---

113 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასაბუთების საწყისი, გვ. 73.
114 ი ქ ვ ე, გვ. 125.
115 ი ქ ვ ე, გვ. 142.
116 ი ქ ვ ე, გვ. 474.

ბუთება ამ საწყისის გაშლასა და, ბოლოს, მისი სრული სახით წარმოდგენას ემსახურება.

ამრიგად, ს. წერეთელი თვლის, რომ დასაბუთების ლოგიკურ საწყისს უნდა წარმოადგენდეს უსასრულო დასკვნა, რაიმეს უარყოფით მისივე დაფუძნება, შინაგანი უარყოფით ლოგიკური თვითდადგენა. უსასრულო დასკვნა უნდა იყოს ლოგიკური პირველი ყოველგვარი დასკვნისა და დასაბუთებისა, რომელთა პრინციპსაც შეადგენს პირობითი დებულება: „თუ არის A, მაშინ არის B" (როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება). უსასრულო დასკვნა არის ლოგიკური უპირობო, რომლის ბუნებაც დაპირისპირებულთა ერთიანობაში მდგომარეობს. იგი დასაბუთების ერთადერთი უზოგადესი საწყისია. აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი — დიალექტიკური — ლოგიკა, რომელშიც ყველა სხვა „ლოგიკა" გამართლდება ან უარიყოფა.

ლოგიკა, როგორც აზრის ფორმათა სისტემა, ამტკიცებს ს. წერეთელი, უნდა წარმოადგენდეს გარკვეული დასაბუთების, როგორც ლოგიკური განვითარების, სისტემას, რომლის საწყისი განსხვავდება მისივე დასაწყისისაგან; დასაწყისი უნდა იყოს მარტივი და აბსტრაქტული, ბოლო კი — კონკრეტული. მათ შორის გაშლილი ლოგიკური განვითარება, როგორც დასაბუთება, გადაწყვეტს დედუქციის, ინდუქციის, რედუქციისა და სხვა მეთოდების სიძნელეს; დასაბუთების ერთადერთი სრული სისტემა ლოგიკურ განვითარებას უნდა წარმოადგენდეს.

ლოგიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი, უნდა იყოს დასაბუთების სისტემა, რაშიც, როგორც განვითარების სისტემაში, არსებითად გაიგივდება ლოგიკური დალაგებისა და კვლევა-ძიების (შემეცნების) გზები. ამიტომაა დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე. ამ იგივეობის აუცილებლობას ქმნის: ლოგიკურის აუცილებელი სინთეზურობა, ლოგიკურის ობიექტურობა, ლოგიკური როგორც ისტორიულის ასახვა, ლოგიკურის დამოკიდებულება ჭეშმარიტებზე, ლოგიკური ფორმების საკუთარი შინაარსი, კერძოსა და ზოგადის შინაარსეულობა, ლოგიკურ კანონთა ურთიერთკავშირის ხასიათი, ლოგიკა როგორც კატეგორიების ლოგიკა, დიალექტიკის აბსოლუტურობა, უპირობო ლოგიკური, დიალექტიკა როგორც დასაბუთების მეთოდი და სხვ. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის სისტემა განსაზღვრავს მის, როგორც განვითარება-დასაბუთების, თავისებური დასაწყისისა და საწყისის ხასიათს.

დასაბუთების სისტემა, ამტკიცებს ს. წერეთელი, უნდა იყოს ლოგიკური განვითარება, რომელიც პრედიკაციაში განხორციელე-

ბულ ანალიზ-სინთეზის დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს. ეს განვითარება არის დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის თავისებური ერთიანობა: მისი დასაწყისი უნდა იყოს „უჯრედი" საწყისისა, რომელიც განვითარების ბოლოსაა.

ს. წერეთელს მიაჩნია, რომ ლოგიკის, როგორც დასაბუთების სისტემის, დასაწყისი უნდა იყოს დადებითი სინთეზური მსჯელობა, საწყისი კი — უსასრულო დასკვნა, რომელიც სისტემას ამთავრებს. დასაბუთების საწყისი, როგორც ლოგიკური განვითარების არსება, სრული სახით უნდა წარმოსდგეს მხოლოდ დასაბუთების ბოლოს, რომელშიც აიხსნება და გამართლდება აზრის ყოველი ლოგიკური ფორმა.

დასაბუთების ლოგიკური საწყისი, ს. წერეთლის მიხედვით, არის ლოგიკურში განხორციელებული დაპირისპირებულთა, სახელდობრ, კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, რომელიც უსასრულო დასკვნის სახით არსებობს.

ასეთია ს. წერეთლის თხზულების „დასაბუთების საწყისი" ძირითადი დებულებანი.

რასაკვირველია, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ს. წერეთელი ლაპარაკობს დასაბუთების მხოლოდ და მხოლოდ ლ ო გ ი კ უ რ საწყისზე და არა საერთოდ საწყისზე. იგი არა ერთხელ მიუთითებს ცოდნის რეალურ საწყისზე — ობიექტურ სინამდვილეზე, მის კანონზომიერებაზე, რომლის ასახვას ჩვენი ცნობიერება წარმოადგენს. მაგრამ ობიექტური სინამდვილის მიჩნევა ცოდნის რეალურ საწყისად სრულიადაც არ ხსნის დასაბუთების ლოგიკური საწყისის პრობლემას; ს. წერეთელი სწორედ ამ უკანასკნელს იკვლევს და ასეთად მას უსასრულო დასკვნა მიაჩნია.

ს. წერეთლის თხზულება „დასაბუთების საწყისი" სრულიად უდავოს ხდის იმ გარემოებას, რომ მის ავტორს უსასრულო დასკვნის თეორია უკვე საბოლოოდ შემუშავებული და დეტალურად გააზრებული აქვს. ამ თხზულებაში იგი აჩვენებს უსასრულო დასკვნის ფუნქციას, მის მოხმარებას ლოგიკური დასაბუთების პროცესში. მაგრამ ეს გარემოებაც უსასრულო დასკვნის ბუნების დახასიათებას წარმოადგენს, ვინაიდან ლოგიკური დასაბუთების საწყისად ყოფნა მისი არსებითი ნიშანია, ფუნდამენტური თავისებურებაა. ტყუილად კი არ გაიმეორა ამ თეორიის ავტორმა „დასაბუთების საწყისის" ძირითადი დებულებანი მის „დიალექტიკურ ლოგიკაში" (მესამე ნაწილის მესამე თავის სახით).

თავი მესამე

დიალექტიკური ლოგიკის პრინციპები

§ 1. წინასწარი შენიშვნები

ს. წერეთლის თვალსაზრისი დიალექტიკური ლოგიკის შესახებ ყველაზე სრულყოფილად წარმოდგენილია მის უკანასკნელ მონოგრაფიაში „დიალექტიკური ლოგიკა", რომელშიც მოცემულია დიალექტიკური ლოგიკის შექმნის ცდა უსასრულო დასკვნის ცნების საფუძველზე. ამ წიგნში შეჯამებული და განვითარებულია ის შედეგები, რაც ავტორმა ოცდაათი წლის მანძილზე დიალექტიკური ლოგიკის დარგში კვლევის შედეგად მოიპოვა. თვითონ ს. წერეთელი ამ წიგნს თავისი მრავალწლოვანი მუშაობის ერთგვარ დასრულებად თვლიდა. სწორედ ამიტომ ს. წერეთლის თვალსაზრისი დიალექტიკური ლოგიკის პრინციპების შესახებ, კერძოდ, მისი უსასრულო დასკვნის თეორია ქვემოთ გადმოცემული იქნება ამ წიგნის მიხედვით.

ვეებერთელა მონოგრაფია „დიალექტიკური ლოგიკა" ჯერჯერობით ერთადერთი სისტემატური გამოკვლევაა დიალექტიკური ლოგიკის დარგში. ამ ნაშრომში, სადაც თანამიმდევრულად და ავტორისათვის ჩვეული ლოგიკური სიმკაცრით დამუშავებულია დიალექტიკური ლოგიკის ძირითადი პრობლემები, ს. წერეთელმა ჩამოაყალიბა დიალექტიკური ლოგიკა, დაადგინა მთელი რიგი, მანამდე უცნობი, კანონები და კატეგორიები დიალექტიკური ლოგიკისა (ე. ი. ლოგიკურის კატეგორიები), გაარკვია აზრის ლოგიკური ფორმების დიალექტიკური ბუნება, მოგვცა ორიგინალური ცდა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ცნობილი პრობლემის გადაწყვეტისა, დიალექტიკური ლოგიკის პოზიციებიდან დეტალურად განიხილა ლოგიკური დასაბუთების მეთოდები და კიდევ უფრო გააღრმავა თავისი კონცეფცია დასაბუთების საწყისის შესახებ. აქამდე ძნელია მოიძებნოს საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში მეორე ნაშრომი, რომელსაც ამ წიგნის ტოლფასი ღირებულება ჰქონდეს დიალექტიკური ლოგიკის განვითარებისათვის.

ს. წერეთლის „დიალექტიკური ლოგიკა“ აგებულია უსასრულო დასკვნის ცნებაზე. კიდევ მეტიც: დიალექტიკური ლოგიკა არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა ანუ დიალექტიკური ლოგიკა არის გაშლილი უსასრულო დასკვნა, ხოლო უსასრულო დასკვნა არის, პირიქით, შეკუმშული — ერთი ლოგიკური კავშირის სახით წარმოდგენილი — დიალექტიკური ლოგიკა.

თხზულება „დიალექტიკური ლოგიკა“ სამი ნაწილისაგან შედგება: 1. დიალექტიკური ლოგიკის შესავალი, 2. აზრის ლოგიკური ფორმები, 3. დასაბუთება. პირველ ნაწილში გარჩეულია დიალექტიკური ლოგიკის საგანი, ლოგიკურის კატეგორიები, ზოგადის ბუნება და ლოგიკური კანონები. მეორე ნაწილში გარჩეულია მსჯელობა, უშუალო დასკვნა, სასრული შუალობითი დასკვნა, ცნება და უსასრულო დასკვნა; მესამეში კი — დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა, დასაბუთების მეთოდები და დასაბუთების საწყისი. მოკლედ გავარჩევთ თითოეულ მათგანს.

§ 2. დიალექტიკური ლოგიკის შესავალი

„დიალექტიკური ლოგიკის“ პირველ ნაწილში ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, დიალექტიკური ლოგიკის საგანს იკვლევს. ამ ამოცანის შესრულებისათვის მას საჭიროდ მიაჩნია იმის გარკვევა, „თუ რა დამოკიდებულებაშია საერთოდ ლოგიკა, კერძოდ, დიალექტიკური ლოგიკა სხვა ფილოსოფიურ მეცნიერებებთან და ზოგიერთ არაფილოსოფიურ მეცნიერებასთან, მაგალითად, ფსიქოლოგიასა და მათემატიკურ ლოგიკასთან“[1].

ლოგიკის საგანს, ამტკიცებს ს. წერეთელი, წარმოადგენს აზრი, მაგრამ არა სუბიექტური აზრი, ჩვენი დარწმუნებულობა ან განცდა, არამედ ისეთი აზრი, რომელიც განსაზღვრულია საგნით, ე. ი. ლოგიკის საგანია ჩვენგან დამოუკიდებლად არსებული საგნის ამსახველი აზრი; ის სწავლობს ობიექტურს აზრში, ამდენად, ობიექტურ აზრს, ჭეშმარიტ აზრს, ამ აზრის ფორმებს. აზრის ჭეშმარიტება არ არის ფსიქოლოგიური სიცხადე; ის არის დასაბუთების სიცხადე, აპოდიქტურობა. აზრის ობიექტურობა ქმნის ლოგიკურ აუცილებლობას, რასაც ლოგიკა შეისწავლის. არაობიექტური აზრის აუცილებლობა სუბიექტური ხასიათისაა, ფსიქოლოგიურია და არა ლოგიკური. ფსიქოლოგიური აზრი არის დროში გაშლილი პროცესი, ლოგიკური პროცესი კი არ არის დროში. ამდენად მცდარია ლოგიკი-

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, 1965, გვ. 9.

სა და ფსიქოლოგიის ერთმანეთთან გაიგივება ანუ ლოგიკის გამოცხადება ფსიქოლოგიურ მეცნიერებად, როგორც ამას ზოგიერთი მოაზროვნე (მილი, ზიგვარტი, ბ. ერდმანი, ლიპსი და სხვ.) აკეთებს. ლოგიკისა და ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტები რომ ერთი და იგივე იყოს, მაშინ ორი მეცნიერება არც იარსებებდა, არამედ მხოლოდ ერთი — ლოგიკა ან ფსიქოლოგია. ლოგიკა ობიექტურ აზრს სწავლობს; „ლოგიკური სწორედ ობიექტურობით განსხვავდება ფსიქოლოგიურისაგან"[2].

ლოგიკური, როგორც ობიექტური, დროში უცვლელია, ფსიქიკური პროცესები კი დროში ცვალებადია. ამასთანავე „აზრის ყოველი დროული პროცესი თუ აქტი — ამტკიცებს ს. წერეთელი — წინასწარ გულისხმობს ლოგიკურად ობიექტურს, რომლის საფუძველზეც ჩვენ ვარჩევთ დროული პროცესის ხასიათს. ამდენად ფსიქიკური ლოგიკურს წინასწარ გულისხმობს, მას ემყარება. ამდენად, ფსიქოლოგიის, ისევე როგორც სხვა მეცნიერების, ლოგიკურ საფუძველს წარმოადგენს ლოგიკა და არა პირიქით"[3].

ს. წერეთელი უარყოფს ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ერთმანეთისაგან განსხვავებას აბსოლუტურისა და რელატიურის კატეგორიების მიხედვით. ზოგიერთი თვლის, რომ ლოგიკას საქმე აქვს უცვლელთან და, ამდენად, აბსოლუტურთან, ფსიქოლოგიას კი — ცვალებადთან და, მაშასადამე, რელატიურთან. ამ თვალსაზრისს ს. წერეთელი მხოლოდ ნაწილობრივ ეთანხმება, მაგრამ მის მიხედვით ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ძირეულ განსხვავებას მაინც შეუძლებლად თვლის. მისი აზრით, რელატიური შეიძლება იყოს არაფსიქოლოგიურიც, სახელდობრ, ლოგიკურიც. თუ ლოგიკური აბსოლუტურია, მაშინ მისი რომელიმე მომენტი რელატიური იქნება, ვინაიდან მას აზრი ექნება აბსოლუტურთან მიმართებაში. აბსოლუტურის მხარე რელატიური იქნება; მაშასადამე, აბსოლუტურობისა და რელატიურობის ნიშნის მიხედვით ლოგიკისა და ფსიქოლოგიის ერთმანეთისაგან გამიჯვნა შეუძლებელია. საერთოდ კი ს. წერეთელი თვლის, რომ აბსოლუტური და რელატიური ლოგიკურ პროცესში დიალექტიკურ ერთიანობაში იმყოფებიან. აბსოლუტურის მხარე რელატიური იქნება, ხოლო რელატიურს აბსოლუტურის მიმართ აქვს აზრი. ამის საფუძველზე ს. წერეთელი აზუსტებს ლოგიკის საგანს; იგი თვლის, რომ ლოგიკა სწავლობს აბსოლუტურისა და რელატიუ-

---

2 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 20.

3 ი ქ ვ ე, გვ. 16.

რის დამოკიდებულებას ობიექტურ აზრში, აზრის ობიექტურ (სუბიექტისაგან დამოუკიდებელ) შინაარსში.

ლოგიკური აზრი, ამტკიცებს ს. წერეთელი, არის ჭეშმარიტი აზრი, ჭეშმარიტების ობიექტურობის მქონე აზრი, რომელიც სინამდვილეს ასახავს. ლოგიკური ჭეშმარიტების ობიექტურობით განისაზღვრება; სწორედ ამიტომ ლოგიკას საქმე აქვს ცოდნასთან; იგი არის მეცნიერება „ჭეშმარიტ ცოდნის კანონების შესახებ" ანუ ლოგიკა არის ცოდნის ლოგიკა, მეცნიერული ცოდნის ლოგიკა. ამის საფუძველზე ს. წერეთელი ამყარებს იგივეობა-განსხვავებას ლოგიკასა და გნოსეოლოგიას შორის. ეს ორი მეცნიერება ერთი და იგივეა იმ აზრით, რამდენადაც „ცოდნის ობიექტურობა და ლოგიკურის ობიექტურობა ერთი და იგივეა". მაგრამ, მეორე მხრივ, „ლოგიკის საგანია აზრის ობიექტური შინაარსი და არა შემეცნების აქტები, შემეცნების დროული, ისტორიული თუ ფაქტობრივი პროცესი". ეს ნიშნავს, რომ გარკვეული აზრით ლოგიკა და გნოსეოლოგია იგივეობრივი მეცნიერებანია, სხვა აზრით კი — ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ლოგიკა არ სწავლობს შემეცნების ისტორიას, მაგრამ მას საქმე აქვს კატეგორიებთან, როგორც შემეცნების საკვანძო პუნქტებთან. „ლოგიკა სწავლობს და უნდა სწავლობდეს კატეგორიებს, როგორც ცნებებს, მათი კავშირის კანონებს, წესებს და იმას, რაც მათ ექვემდებარება. ამ აზრით ლოგიკა არის შემეცნების თეორიის არსება, მას არსებითად ემთხვევა"[4]. ეს „დამთხვევა", შენიშნავს ს. წერეთელი, არ ნიშნავს ერთ-ერთი მათგანის მოხსნას, გაუქმებას, არამედ ახალი მეცნიერების წარმოშობას, რომელიც ერთსა და იმავე დროს ლოგიკაცაა და შემეცნების თეორიაც.

ს. წერეთელი ამყარებს განსხვავებას ლოგიკასა და ონტოლოგიას შორისაც. ონტოლოგია სწავლობს სინამდვილეში არსებულ საგანს (ფილოსოფიური თვალსაზრისით). იგი სწავლობს ობიექტურ საგანს, არსს; ლოგიკას კი აინტერესებს აზრში არსებული ობიექტურობა და არა არსის ობიექტურობა. სწორედ ამიტომ ლოგიკა და ონტოლოგია ერთმანეთისაგან განსხვავებული ფილოსოფიური დისციპლინებია. მეორე მხრივ, ს. წერეთელი მიუთითებს ლოგიკისა და ონტოლოგიის „ნათესაობაზე". არსებობს სინამდვილის უზოგადესი კანონზომიერება, რომელსაც ფილოსოფია შეისწავლის; დიალექტიკა არის მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზე. ეს უზოგადესი კანონები არსსა და აზრზე თანაბრად ვრცელდებიან, თუმცა ორივე სფეროში თა-

---

[4] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.

ვიანთ სპეციფიკას იძენენ. არსისა და აზრის უზოგადესი კანონები ლოგიკურშიც სპეციფიკურად ვლინდებიან და ლოგიკურის ობიექტურობას აფუძნებენ. ამდენად ლოგიკა ონტოლოგიას ემყარება ანუ ლოგიკა უნდა იყოს ონტოლოგიური ლოგიკა. ს. წერეთელი უარყოფს ჰეგელის თვალსაზრისს ონტოლოგიისა და ლოგიკის იგივეობის შესახებ, მაგრამ თვლის, რომ „ლოგიკა ონტოლოგიას უნდა ემყარებოდეს, ე. ი. ის უნდა იყოს ონტოლოგიური ლოგიკა"[5]. სწორედ ასეთია დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც შეისწავლის კატეგორიებს, როგორც ცნებებს და მათ ლოგიკურ კავშირებს. არსი წინ უსწრებს აზრს (აზრი არის არსის ასახვა), ამიტომ ონტოლოგია, როგორც ფილოსოფიური მოძღვრება არსის შესახებ, წინ უსწრებს (პირველია) ლოგიკას ანუ ონტოლოგია საგნის მხრივ ლოგიკას აფუძნებს. სწორედ ამიტომ არსებობს ონტოლოგიური ლოგიკა ანუ ონტოლოგიაზე დაფუძნებული ლოგიკა. მეორე მხრივ, „ლოგიკაც თავისებურად განსაზღვრავს ონტოლოგიას"; იგი „ლოგიკურად განსაზღვრავს ონტოლოგიას, ისევე როგორც სხვა მეცნიერებას. ლოგიკა ყოველი მეცნიერების ლოგიკური საფუძველია. ყველა მეცნიერება, მათ შორის ონტოლოგიაც, ლოგიკურად ემყარება ლოგიკას. ამიტომ ლოგიკურად ლოგიკა არის პირველი მეცნიერება"[6].

ობიექტური არსის ამსახველი აზრი თვითონაც ობიექტურია; აზრის ობიექტურობა საგნის ობიექტურობით არის განსაზღვრული. შეუძლებელია ლოგიკური არ იყოს ობიექტური, წინააღმდეგ შემთხვევაში აბსოლუტური სუბიექტური იქნებოდა და, საბოლოოდ, ობიექტურის როლში სუბიექტური გამოვიდოდა. ამასთანავე ს. წერეთელი ერთმანეთისაგან მკაცრად განასხვავებს საგნისა და აზრის ობიექტურობას; საგნის ამსახველი აზრის ობიექტურობა თვითონ საგნის ობიექტურობისაგან განსხვავებულ (სპეციფიკურ) თვისებას იძენს, ვინაიდან არსისა და აზრის უზოგადესი კანონები ორივე სფეროში სპეციფიკურად გამოვლინდებიან.

დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ონტოლოგიური ლოგიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი, სწავლობს ცნებას, მსჯელობასა და დასკვნას; იგივე საგანი აქვს ფორმალურ ლოგიკას; ამდენად ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა ერთმანეთისაგან საგნის მიხედვით არ განსხვავდებიან. მეცნიერება, რომელიც ცნებას, მსჯელობასა და დასკვნას არ შეისწავლის, ლოგიკა არ არის. ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკა, ს. წერეთლის მიხედვით, ერთმანეთისაგან იმით

---

[5] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[6] ი ქ ვ ე. გვ. 27.

განსხვავდებიან, რომ ფორმალური ლოგიკა ლოგიკის მეცნიერების დაბალ საფეხურს წარმოადგენს, რადაგან იგი ლოგიკურის მხოლოდ ერთ მხარეს შეისწავლის, დიალექტიკური ლოგიკა კი „უმაღლესი ლოგიკაა", რომელიც ფორმალური ლოგიკის ცალმხრიობას სძლევს და ლოგიკურის არსებას სისრულით სწვდება, ლოგიკურის დიალექტიკურ ბუნებას განიხილავს. აქედან ცხადია, რომ დიალექტიკური ლოგიკა უფრო სრულია ფორმალურ ლოგიკასთან შედარებით. ამ იდეის საილუსტრაციოდ ს. წერეთელი მიუთითებს უმაღლესსა და დაბალ მათემატიკას, ლობაჩევსკისა და ევკლიდეს გეომეტრიას ან თანამედროვე ფიზიკასა და ნიუტონის მექანიკას შორის დამოკიდებულებაზე და ანალოგიას ატარებს მათ შორის.

ს. წერეთელი გადაჭრით უარყოფს ლოგიკის გამოცხადებას სპეციალურ მეცნიერებად; ლოგიკა სპეციალური მეცნიერება რომ იყოს, მაშინ, ამტკიცებს იგი, „მის კანონებს არ ექნებოდა ზოგადი მნიშვნელობა ყველა მეცნიერებისათვის". ყველა მეცნიერება მოიხმარს ლოგიკას; ყოველი ცოდნა ცნებებით, მსჯელობებითა და დასკვნებით გამოიხატება, რომელთაც ლოგიკა სწავლობს. ამრიგად, „ლოგიკის საგანი არის უზოგადესი საშუალება — საფუძველი ყველა მეცნიერებისათვის, საერთოდ ცოდნისათვის"[7]. ყველა მეცნიერება, გარკვეული აზრით, ემყარება ლოგიკას; სწორედ ამიტომ „ლოგიკა რომ კერძო — სპეციალურ — მეცნიერებას წარმოადგენდეს, მაშინ ის ისეთ რაიმეს დაემყარებოდა, რომელსაც სხვა ლოგიკა დასჭირდებოდა"[8]. მაშასადამე, ლოგიკა არის ფილოსოფიური და არა სპეციალური მეცნიერება, რადგან ის შეისწავლის ობიექტური აზრის, საერთოდ, ცოდნის შინაგან ფორმებს (ცნება-მსჯელობა-დასკვნას) და არა აზრის გარეგანი გამოსახვის ფორმებს, — ენობრივ ფორმებს, — რომელიც სხვა მეცნიერების საგანია.

აქედან ამოსული ს. წერეთელი უარყოფს მათემატიკური ლოგიკის, როგორც ლოგიკის, არსებობას. ლოგიკა ფილოსოფიური მეცნიერებაა, მათემატიკური ლოგიკა კი მათემატიკის ნაწილია; სწორედ ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს ლოგიკა. მათემატიკური ლოგიკა, როგორც მათემატიკური მეცნიერება, იკვლევს ფუნქციურ დამოკიდებულებას და არა აზრთა საფუძველ-შედეგობრივ ლოგიკურ კავშირს. იგი ეყრდნობა დასკვნის აზრს, აღებულს modus ponens-ის სახით, რომელიც ერთ-ერთ მეტალოგიკურ წესს წარმოადგენს. მეორე მეტალოგიკური წესის — ჩასმის ხერხის — გამოყენება

---

7 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 38.
8 ი ქ ვ ე.

ფორმულათა გამომდინარეობას მექანიკურ და, ამდენად, არალოგიკურ ხასიათს აძლევს. ფილოსოფიური ლოგიკა (როგორც ძველი — ფორმალური ლოგიკა — ისე დიალექტიკური ლოგიკა) არის დასაბუთების თეორია, როგორც არგუმენტაციის თეორია (მათემატიკურ ლოგიკას დასაბუთების თეორიად მიიჩნევენ, თუმცა იქიდან არგუმენტაციის თეორიას გამორიცხავენ). დიალექტიკური ლოგიკა, ს. წერეთლის მიხედვით, უწინარეს ყოვლისა, კატეგორიების ლოგიკაა, რასაც ფორმალური ლოგიკა არ წარმოადგენს.

ამასთანავე ს. წერეთელი მტკიცედ უარყოფს მრავალი ლოგიკის არსებობას; ასეთი რაიმეს დაშვება მას ულოგიკობად მიაჩნია, ვინაიდან მრავალი (ორი ან მეტი) ლოგიკა კიდევ ახალ ლოგიკას მოითხოვს, როგორც მათ გამაერთიანებელს და ა. შ. უსასრულოდ. ლოგიკა მხოლოდ ერთი მეცნიერებაა; შეუძლებელია ერთზე მეტი ლოგიკა. თუნდაც ამიტომ, ს. წერეთლის აზრით, შეუძლებელია მათემატიკური ლოგიკის, როგორც ლოგიკის, არსებობა, ვინაიდან იგი მრავალი ლოგიკის არსებობის დაშვებიდან ამოდის; ს. წერეთელი გვთავაზობს, რომ ვიხმაროთ სიტყვა „ლოგიკა" ყოველგვარი დამატების („დიალექტიკური", „ფორმალური", „მათემატიკური" და ა. შ.) გარეშე. „ჩვენ ვხმარობთ „დიალექტიკურ" ლოგიკას მხოლოდ „ფორმალური" ლოგიკისაგან განსასხვავებლად, — შენიშნავს ს. წერეთელი, — ისე კი უმჯობესია გამოთქმა „ლოგიკა".[9]

ლოგიკა, ამბობს ს. წერეთელი, არ შეიძლება იყოს „მათემატიკური", ვინაიდან ლოგიკის კანონებს ყველა მეცნიერებისათვის ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, ხოლო მათემატიკური მეთოდები კი ასეთი არ არიან. მართალია, ყველაფერს აქვს რაოდენობრივი მხარე, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი; მათემატიკური მეთოდები მათემატიკის საგნის შესატყვისი მეთოდებია და, მაშასადამე, უზოგადესობით არ ხასიათდებიან.

მათემატიკური ლოგიკის ძირითად მეთოდებსა და ცნებებს, შენიშნავს ს. წერეთელი, მათემატიკის საგანი განსაზღვრავს. ფუნქციური დამოკიდებულების აუცილებლობა მათემატიკისათვის სპეციფიკურია, მაგრამ იგი ლოგიკურ აუცილებლობას, კერძოდ, საფუძველ-შედეგის დამოკიდებულების აუცილებლობას სრულიადაც არ წარმოადგენს. ასევე არ მოიხმარება ცვლადის ცნება ლოგიკაში, რაც მათემატიკაში სპეციფიკური და ძირითადია. საერთოდ უნდა ითქვას, რომ „პირობითი ნიშნები და სქემები მათემატიკურ ლოგიკაში ზოგადობის მაგიერ მოიხმარებიან, მაშინ როცა ლოგიკაში,

---

[9] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 34.

რომლის განვითარებულ სახესაც დიალექტიკური ლოგიკა წარმოადგენს, უზოგადეს ცნებებსა და კავშირებს ლოგიკური კატეგორიები და მათი კავშირები წარმოადგენს"[10].

მათემატიკური ლოგიკისათვის, ამბობს ს. წერეთელი, გაუგებარია ცნება-მსჯელობა-დასკვნა, როგორც ლოგიკური აზროვნების ფორმები; იგი ძირითად მნიშვნელობას აკუთვნებს ვრცეულ-დროულ მიმართებებს, რაც საგნობრივ ვითარებას წარმოადგენს. მაგრამ საგნობრივი ვითარების შეტანა ლოგიკაში ლოგიკის გაუქმებაა და არა მისი ფარგლების გაფართოება.

მათემატიკური ლოგიკის აქსიომატიზაციის შესაძლებლობაში ს. წერეთელი მისი, როგორც ლოგიკის, შეუძლებლობას ხედავს. იგი თვლის, რომ ნამდვილი, ფილოსოფიური ლოგიკის ფორმალიზაცია-აქსიომატიზაცია შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი რაიმეს შესაძლებლობის დაშვება ნიშნავს ლოგიკური საფუძვლების გატანას ლოგიკის გარეთ. „ლოგიკას — ამბობს ს. წერეთელი — არ შეიძლება მის ფარგლებს გარეთ ჰქონდეს ლოგიკური წანამძღვრები, ყოველგვარი ლოგიკური წანამძღვარი მხოლოდ ლოგიკაშივეა შესაძლებელი, მასში უნდა მოექცეს აუცილებლობით; წინააღმდეგ შემთხვევაში ერთიანი ლოგიკა, ე. ი. სწორედ ლოგიკა დაირღვეოდა"[11]. ს. წერეთელს მიაჩნია, რომ ფილოსოფიური ლოგიკა არ შეიძლება დაეყრდნოს გარედან მოტანილ მეთოდს, წესებს, როგორც ეს ხდება მათემატიკურ ლოგიკაში. ამ უკანასკნელის აქსიომატიზაციის შესაძლებლობა იმის მაჩვენებელია, რომ იგი არ არის ლოგიკა, ვინაიდან ლოგიკა მხოლოდ ფილოსოფიური მეცნიერება შეიძლება იყოს.

მათემატიკური ლოგიკის არაფილოსოფიურობას ისიც ამტკიცებს, შენიშნავს ს. წერეთელი, რომ იგი მოიხმარს დაუსაბუთებელს — აქსიომებსა და მეტაწესებს — ერთი სიტყვით, აკეთებს იმას, რასაც ყველა სპეციალური მეცნიერება. დაუსაბუთებელს მხოლოდ სპეციალური მეცნიერება ემყარება. ვინაიდან „მისი საფუძვლები სხვაგან, სახელდობრ, ფილოსოფიაში უნდა გაირკვეს. ყველა კერძო მეცნიერება იყენებს ისეთ კატეგორიებსა და კანონებს, რომლებიც მხოლოდ ფილოსოფიაში შეისწავლება".[12] ასეთია მათემატიკური ლოგიკაც, როგორც სპეციალური მეცნიერება.

ს. წერეთელს დაუშვებლად მიაჩნია ლოგიკის დაყვანა აღრიცხვებზე, როგორც ამას მათემატიკური ლოგიკა აკეთებს. აღრიცხვა,

---

10 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.
11 ი ქ ვ ე, გვ. 38.
12 ი ქ ვ ე, გვ. 37.

ამბობს იგი, მექანიკური ხასიათისაა, რასაც არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს ლოგიკაში. ჰეგელი მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ „მანქანური აზროვნება თუ უვიცის აზროვნება ლოგიკაში უბედურებაა". ს. წერეთელი ფიქრობს, რომ „ლოგიკის აღრიცხვებზე დაყვანა სპობს ლოგიკურა, ციების ბუნებას აუქმება"[13]. მათემატიკური აღრიცხვების საფუძველზე მათემატიკური ლოგიკა ლოგიკად ვერ იქცევა, ე. ი. ვერ გახდება ფილოსოფიური დისციპლინა. სხვა ნაშრომში ს. წერეთელი იმოწმებს რა ამ საკითხთან დაკავშირებით ერთ-ერთ თანამედროვე ფილოსოფოსს (გიუნთერ იაკობი), წერს, რომ „ისე როგორც მიუნჰაუზენს არ შეეძლო რაიმე დახმარება-საყრდენის გარეშე თავისი თმით თავისი თავის გამოყვანა ჭაობიდან მყარ ნიადაგზე, ასევე არ შეუძლია ლოგისტიკას მხოლოდ თავისი აღრიცხვებით, ფილოსოფიური მეთოდების გარეშე, ამოიყვანოს თავისი თავი მათემატიკიდან და გახდეს ლოგიკა"[14].

დასასრულ, ამ საკითხთან დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ ზოგჯერ ს. წერეთლის თვალსაზრისს მათემატიკური ლოგიკის შესახებ განმარტავენ როგორც მათემატიკური ლოგიკის უარყოფას, რაც სრული გაუგებრობაა. მათემატიკური ლოგიკა, როგორც მეცნიერება, ფაქტია და, ცხადია, მისი უარყოფა შეუძლებელია. ს. წერეთელი მარტოოდენ იმას ამტკიცებდა, რომ მათემატიკური ლოგიკა არ არის ფილოსოფიური დისციპლინა; იგი არ არის ლოგიკა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ ფილოსოფიური მეცნიერება შეიძლება იყოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ს. წერეთელი თვლიდა, რომ ლოგიკა არ არის და არც შეიძლება იყოს სპეციალური მეცნიერება; სწორედ ამიტომ მათემატიკურ ლოგიკაზე, როგორც ლ ო გ ი კ ა ზ ე, ლაპარაკი შეუძლებელია. ეს იყო ს. წერეთლის ძირითადი თეზისი და პოზიცია ამ საკითხში და ლაპარაკი მის მიერ მათემატიკური ლოგიკის „უარყოფის" შესახებ, ცხადია, საფუძველმოკლებულია.

ამთავრებს რა ლოგიკის დამოკიდებულების გარკვევას სხვა ფილოსოფიურსა და არაფილოსოფიურ მეცნიერებებთან, ს. წერეთელი იძლევა დიალექტიკური ლოგიკის საგნის განსაზღვრებას. იგი თვლის, რომ ლოგიკური აზროვნება, როგორც დიალექტიკური სინამდვილის ამსახველი, თვითონაც დიალექტიკურობით ხასიათდება. ლოგიკურის დიალექტიკურობა კი იმას ნიშნავს, რომ მასში შინაგა-

---

13 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38.

14 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ერთიანობისათვის. იხ. კოლექტიური ნაშრომი: დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის პრობლემები (რედ. ს. ა ვ ა ლ ი ა ნ ი, თბილისი, 1966, გვ. 183.

ნი უარყოფა მოქმედებს, ე. ი. ექვემდებარება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს, რომელიც ლოგიკურში სპეციფიკურად ვლინდება. ლოგიკურის მხოლოდ ამგვარი გაგების საფუძველზე შეიძლება აიხსნას სინთეზურ-ლოგიკურის პრობლემა, ვინაიდან ასეთი მხოლოდ დიალექტიკურ-ლოგიკურია. დიალექტიკური ლოგიკა, როგორც მეცნიერება დიალექტიკურ-ლოგიკურის შესახებ, განიხილავს აზრის ფორმებს ლოგიკურ განვითარებაში, რასაც ფორმალური ლოგიკა ყურადღების გარეშე ტოვებს. მხოლოდ განვითარებაშია შესაძლებელი აზრის ფორმების არსების შესწავლა. სწორედ ამიტომ ს. წერეთელი ასე განსაზღვრავს დიალექტიკური ლოგიკის საგანს: „ლ ო გ ი კ ა ა რ ი ს მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა ა ზ რ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა-გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ო ბ ი ე ქ ტ უ რ ფ ო რ მ ა თ ა შ ე ს ა ხ ე ბ“[15]. ამასთანავე მას შესაძლებლად მიაჩნია ლოგიკის საგნის უფრო ზუსტი განსაზღვრება, რასაც იგი თავისი მომავალი მუშაობის ერთ-ერთ ამოცანად თვლის.

ს. წერეთელს მიაჩნია, რომ დიალექტიკური ლოგიკის საგანს, უწინარეს ყოვლისა, ლოგიკურის კატეგორიები წარმოადგენენ, ვინაიდან აზრის ძირითადი ლოგიკური ფორმა არის კატეგორია, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორია. ს. წერეთელმა პირველმა განასხვავა ერთმანეთისაგან ლ ო გ ი კ უ რ ი კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი და ლ ო გ ი კ უ რ ი ს კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი და, მაშასადამე, შემოიტანა ლოგიკურის კატეგორიის ცნება. საერთოდ ფილოსოფიური კატეგორია, ამტკიცებს იგი, არის ობიექტური სინამდვილის უზოგადესი და არსებითი მხარის ამსახველი ცნება. ყველა ფილოსოფიური კატეგორია, როგორც გარკვეული ცნება, ლოგიკურ კატეგორიას წარმოადგენს. ლოგიკური კატეგორია არის ისეთი კატეგორია, რომლის უარყოფა სხვა კატეგორიას გვაძლევს. მაგალითად, რაოდენობის უარყოფა არ არის რაოდენობა, თვისებრიობის უარყოფა არ არის თვისებრიობა და სხვ. სულ სხვაა ლოგიკურის კატეგორია; იგი ისეთი კატეგორიაა, რომლის უარყოფა შეუძლებელია და რის უარყოფაც მასვე ადგენს. მაგალითად, იგივეობის უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის იგივეობრივი, ე. ი. იგი იგივეობას აუცილებელ საშუალებად და საფუძვლად იყენებს; უარყოფის უარყოფა სწორედ უარყოფას წარმოადგენს და სხვ. ლოგიკურის კატეგორიების დიდი ნაწილი ერთსა და იმავე დროს ონტოლოგიის კატეგორიებიც არიან და ლოგიკურის კატეგორიებიც. მაგალითად, იგივეობა, განსხვავება, წინააღმდეგობა, კერძო, ზოგადი, სასრული, უსასრულო, ფორმა, შინაარსი, აუცილებლობა და

[15] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 50.

სხვ. ლოგიკურის ზოგიერთი კატეგორია კი მხოლოდ ლოგიკურში არსებობს, თუმცა ობიექტური სინამდვილის ზოგადი კავშირების ასახვას წარმოადგენს; ასეთია თვითონ კატეგორია, როგორც ცნება, მსჯელობა, დასკვნა. სწორედ კატეგორიების საფუძველზე უკავშირდება ლოგიკა ონტოლოგიას და ამით უზრუნველყოფილია ლოგიკურის ობიექტურობაც და ამ ობიექტურობის სპეციფიკურობაც.

ლოგიკურის კატეგორიის ბუნების საილუსტრაციოდ ს. წერეთელი განიხილავს რამდენიმე კატეგორიას, რომელთა შინაარსის დადგენას პრინციპული მნიშვნელობა აქვს დიალექტიკურ-ლოგიკურის გაგებისათვის. ეს კატეგორიებია: იგივეობა და განსხვავება, ჰოყოფა და უარყოფა, დაპირისპირება, წინააღმდეგობა, ერთიანობა, არსი და არარსი ლოგიკურში, შედარებითი და აბსოლუტური, პირობითი და უპირობო, კერძო და ზოგადი, არსება და მოვლენა ლოგიკურში, ფორმა და შინაარსი, საფუძველი და შედეგი, მსჯელობა, დასკვნა და ცნება, როგორც კატეგორიები, აუცილებლობა, სასრული და უსასრულო. კატეგორიები, როგორც უზოგადესი ცნებები, ლოგიკური ბუნებისაა, მაგრამ ისინი შეიძლება იყვნენ ლოგიკურის კატეგორიებიც. ლოგიკური კატეგორიების სფერო თავისი მოცულობით ლოგიკურის კატეგორიების სფეროს აღემატება. საკმარისია ითქვას, რომ ყველა ფილოსოფიური კატეგორია ლოგიკურია. ზემოხსენებული კატეგორიების ანალიზი გვაჩვენებს, რომ ზოგიერთი ლოგიკური კატეგორია იმავე დროს შეიძლება იყოს ლოგიკურის კატეგორიაც.

ლოგიკური კატეგორიებისა და ლოგიკურის კატეგორიების განსხვავება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტა; პირიქით, ს. წერეთელი მათ შორის მჭიდრო კავშირს ხედავს. „აქ ჩვენ იმის თქმა გვინდა — წერს იგი — რომ სინამდვილის რაიმე უზოგადესი მხარის გამომხატველი კატეგორია შეიძლება ამავე დროს აზრშიც მოქმედებდეს სწორედ როგორც ლოგიკურის კატეგორია"[16]. მაგრამ, ცხადია, ყველა კატეგორია ასეთი როდია; ლოგიკურის კატეგორია იმავე დროს ლოგიკური კატეგორიაცაა, მაგრამ არა პირიქით. მართალია, ლოგიკური კატეგორიების სფერო ლოგიკურის კატეგორიების სფეროზე ფართოა, მაგრამ, გარკვეული აზრით, ლოგიკურის კატეგორიებიც „თავისებურად იქვემდებარებენ ლოგიკურ კატეგორიებს", თუმცა ამ დაქვემდებარებას მოცულობითი ხასიათი არა აქვს. კერძოდ, „ლოგიკურში ლოგიკურის კატეგორიების მოქმედებას ექვემდებარება ყველაფერი, მათ შორის, ლოგიკური კატეგორიებიც"[17].

---

18 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

17 ი ქ ვ ე.

დიალექტიკურ ლოგიკას ს. წერეთელი „კატეგორიების ლოგიკად“ თვლის. ზემოჩამოთვლილი ლოგიკურის კატეგორიები ლოგიკაში უბრალოდ კი არ მოიხმარება, არამედ ლოგიკა არის მოძღვრება, უწინარეს ყოვლისა, ლოგიკურის კატეგორიების შესახებ. კატეგორიებს სპეციალური მეცნიერებანიც მოიხმარენ; ლოგიკა, მათგან განსხვავებით, თვითონ არის მოძღვრება ლოგიკურის კატეგორიების შესახებ. ამ გარემოებას პრინციპული მნიშვნელობა აქვს ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფციის გაგებისათვის.

დიალექტიკური ლოგიკა, ს. წერეთლის აზრით, მეტალოგიკურის საჭიროებას გამორიცხავს. ლოგიკურს აუცილებლობით წინ უსწრებს რეალური, რომელიც, ცხადია, არ შეიძლება მეტალოგიკურად ჩაითვალოს. ლოგიკურს თვითონ უნდა ჰქონდეს საკუთარი ლოგიკური საფუძველი. ეს საფუძველი სწორედ მასშია და არა მის გარეთ. ასეთი ლოგიკური, ს. წერეთლის აზრით, იქნება რეფლექსური. ლოგიკურის რეფლექსურობა (ასეთია სწორედ დიალექტიკურ-ლოგიკური) ლოგიკურის თვითდაფუძნებაში მდგომარეობს, ამ გარემოებას კი შესაძლებელს ხდის ლოგიკურის კატეგორიები.

ლოგიკურის კატეგორიებიდან ს. წერეთელი განსაკუთრებით გამოყოფს ზოგადის კატეგორიას, ვინაიდან: 1. ამ კატეგორიას ემყარება ცნობილი ლოგიკური მეთოდები და შესაბამისი დასკვნები: ინდუქცია, დედუქცია და რედუქცია; 2. მსჯელობა არსებითად არის კერძოსა და ზოგადის ერთიანობა; 3. ამავე მიზეზით დასკვნა-დასაბუთება კერძოსა და ზოგადის კატეგორიალურ კავშირს ემყარება. 4. ზოგადია ცნებაც; თვითონ ერთეულის ცნებაც თავისებურ ზოგადს წარმოადგენს.

ნომინალიზმი, შენიშნავს ს. წერეთელი, უარყოფს ზოგადს, მაგრამ „ლოგიკისათვის არაფერია იმაზე მეტად საზიანო, ვიდრე ზოგადის უარყოფა და ლოგიკის აგების ცდა ამ კატეგორიის გარეშე“[18]. ზოგადის, როგორც ლოგიკურის კატეგორიის, უარყოფა შეუძლებელია, ვინაიდან „ზოგადის უარყოფის ცდის დროს ამ უარყოფას ზოგადი მნიშვნელობით ხმარობენ“. უარყოფა თვითონ არის კატეგორია; სწორედ ამიტომ ლოგიკურის კატეგორიებს, მათ შორის ზოგადის, უარყოფა შეუძლებელია.

ასევე ითქმის კერძოს შესახებაც; კერძოს უარყოფა კერძოსვე ადგენს, ისევე როგორც ზოგადის უარყოფა ადგენს ზოგადს. აქედან ს. წერეთელს ზოგადისა და კერძოს ერთიანობის აუცილებლობა გამოყავს. ზოგადი და კერძო, ამტკიცებს იგი, ურთიერთდაპირისპი-

---

[18] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 90.

რებული ცნებებია, მაგრამ, ამავე დროს, ისინი ერთმანეთის არსებობას გულისხმობენ და ერთმანეთს ადგენენ.

ძველი (ფორმალური) ლოგიკის ზოგადი, ამტკიცებს ს. წერეთელი, მოცულობითი ზოგადია, რომელიც გამოითქმის სიტყვებით: „ყველა". მოცულობითი ზოგადი არის ყველა ერთეული, რომელიც ცნებაში იგულისხმება. ამის შესაბამისად მოცულობითი კერძო აღინიშნება სიტყვით: „ზოგიერთი". ზოგადი, ამ გაგებით, არის ბევრისთვის საერთო ანუ ის, რაც ბევრზე (ყველაზე) გამოითქმის. ამდენად ზოგადი არის საერთო ნიშანი, რომელიც ერთი და იგივეა „ყველაში", „ზოგიერთში" და „ერთში". ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგადი, კერძო და ერთეული განუსხვავებელია, ე. ი. ზოგადის ბუნება გაურკვეველია.

გარდა მოცულობითი ზოგადისა, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში ფუნქციონირებს, არსებობს, ს. წერეთლის აზრით, არამოცულობითი ანუ შინაარსეული ზოგადი, რომელსაც დიალექტიკური ლოგიკა, როგორც კატეგორიების ლოგიკა, ემყარება და ახორციელებს. ასეთია, მაგალითად, წესისა და კანონის ზოგადობა და, საერთოდ, არსებითი ზოგადი. კანონის ზოგადობა არსებითი ზოგადობაა, თუმცა ყველა არსებითი . ზოგადობა არ არის კანონის ზოგადობა, რადგან კანონი არსების მხოლოდ ერთ-ერთი კატეგორიაა.

არსებითი ზოგადი, ამტკიცებს ს. წერეთელი, არის არსება; ყველაფერს აქვს თავისი არსება ანუ ყველაფერს აქვს არსებითი ზოგადი. შინაარსეული ზოგადი არის საკუთარი ელემენტების ერთიანობა; მაგალითად, წარმოება მისი ელემენტებისათვის ან მსჯელობა, ცნება და დასკვნა მათი ელემენტებისათვის წარმოადგენენ ზოგადობებს, რომელთათვის აუცილებელია ელემენტები, მაშინ როცა გვარისათვის ზედმეტია სახის სპეციფიკური. შინაარსეული კერძო არის ზოგადის ერთმხრიობა, მისი, როგორც ერთიანობის, მომენტი. ზოგადობა განსხვავებულთა ერთიანობაა, უზოგადესს კი წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს. ამასთანავე ს. წერეთელი თვლის, რომ ზოგადობა, როგორც ერთიანობა, კონკრეტულია. უფრო მეტად ზოგადი იმავე დროს უფრო მეტად კონკრეტულიცაა, უფრო ნაკლებად ზოგადი კი — აბსტრაქტული. ლოგიკაში შეუძლებელია ზოგადის უარყოფა, ვინაიდან ზოგადის უარმყოფელი ამ უარყოფას ზოგადი მნიშვნელობით ხმარობს. ს. წერეთელი აზრის ფორმებს განიხილავს შინაარსეული კერძო-ზოგადის დიალექტიკური ერთიანობის ასპექტით. აზრის ფორმებსა და მათ დამოკიდებულებაში იგი კერძო-ზოგადის, როგორც კატეგორიების, ერთიანობის განხორციელებას ხედავს.

ამრიგად, ს. წერეთელი ორგვარ ზოგადზე ლაპარაკობს: მოცულობითსა და შინაარსეულზე. მაგრამ ორი ზოგადის აღიარება. მისი აზრით, ლოგიკური შეცდომაა, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი მოითხოვს მათ გამაერთიანებელ მესამე ზოგადს და ა. შ. ზოგადის დუალიზმის პრობლემა, ს. წერეთლის აზრით, მაშინ გადაწყდება, თუ ორი ზოგადიდან ერთ-ერთი როგორღაც მეორეს ექვემდებარება ანუ თუ „მრავალი ზოგადი ერთი ზოგადის მოვლენებს წარმოადგენენ". მართლაც, ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ მოცულობითი ზოგადი არის შინაარსეული ზოგადის თავისებური მოვლენა. რადგან ერთეულში არსებული შინაარსეული ზოგადი სიმრავლეში მეორდება, სადაც ყველა ერთეული ერთნაირია, სადაც სიმრავლეს ერთი საერთო ნიშანი აქვს"[19].

კერძოსა და ზოგადს ერთმანეთის მიმართ აქვთ აზრი; ნამდვილი ზოგადი კერძოსადმი კი არ არის დაპირისპირებული, არამედ კერძოსა და ზოგადის ერთიანობაა ანუ, როგორც ს. წერეთელი ამბობს, ზოგადი არის კერძოსა და მისადმი დაპირისპირებული ზოგადის გარეგანდამწედომი მომენტი.

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს მოცულობითსა და შინაარსეულ დაქვემდებარებას; მოცულობითი დაქვემდებარება არის „ყველასადმი" „ზოგიერთის" დაქვემდებარება, ქვეკლასის დაქვემდებარება კლასისადმი. შინაარსეული დაქვემდებარება კი არის მომენტის დაქვემდებარება ერთიანობისადმი. სახელდობრ, „მეტი შინაარსის მქონე ერთიანობა, როგორც ზოგადობა, ნაკლები შინაარსის ერთმხრიობებს — მომენტებს — ექვემდებარებს... შინაარსეული დაქვემდებარება არის ერთიანობისადმი მისი ერთმხრიობების დაქვემდებარება, რომელსაც, ცხადია, აუცილებლობის ხასიათი აქვს"[20]. ამასთანავე ს. წერეთელი თვლის, რომ მოცულობითი და შინაარსეული დაქვემდებარება გაგებულ უნდა იქნან, როგორც სისრულით წარმოდგენილი შინაარსეული დაქვემდებარების — ლოგიკური განვითარების — მომენტები. სრული შინაარსეული დაქვემდებარება განვითარების დაქვემდებარებაა. მაგალითად, შინაარსეული ზოგადი არის შინაარსეული კერძოს განვითარება, მსჯელობა დასკვნას ექვემდებარება, რადგან იგი დასკვნაში მართლდება, დასკვნა ექვემდებარება დასაბუთებას. საერთოდ, მსჯელობა-დასკვნა-დასაბუთება ლოგიკურ განვითარებას წარმოადგენს, რომელიც, იმავე დროს, განზოგადებაცაა.

---

19 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 108.

20 ი ქ ვ ე, გვ. 110.

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს აბსტრაქტულსა და კონკრეტულ ზოგადს. რამდენადაც ზოგადი ყოველთვის არის რაღაც განსაზღვრულობა, შინაარსი, ამდენად იგი ყოველთვის კონკრეტულია. მაგრამ ზოგადები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონკრეტულობის ანუ შინაარსის მეტ-ნაკლებობით. ნაკლებად კონკრეტული ზოგადი კი არის აბსტრაქტული ზოგადი. ამასთანავე ს. წერეთელი თვლის, რომ აბსტრაქტული ზოგადიდან კონკრეტული ზოგადისაკენ სვლა არის განვითარება — მარტივიდან რთულისაკენ სვლა. ასეთი რამ არსებობს მატერიალურ სინამდვილეშიც, შემეცნებაშიც და ლოგიკურშიც.

შინაარსეული კერძოსა და შინაარსეული ზოგადის ურთიერთობა, აღნიშნავს ს. წერეთელი, შეიძლება წარმოდგენილ იქნას როგორც სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა. სასრული არის ერთმხრიობა, შინაარსეული კერძო, ზოგადი კი ერთმხრიობების ერთიანობაა, უსასრულოა. კერძოსა და ზოგადის ერთიანობა რვამხრივია და რვა მსჯელობით გამოითქმება:

1. — თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი;
2. — თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო;
3. — თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი;
4. — თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო;
5. — თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი;
6. — თუ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო;
7. — თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი;
8. — თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო.

თითოეული ამ მსჯელობათაგანი, ს. წერეთლის მიხედვით, ცალმხრიობაა, სასრულია, ხოლო მათი ერთიანობა უსასრულოა, რომელიც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ზოგადის უარყოფით ისევ ზოგადის მიღება და კერძოს უარყოფით კვლავ კერძოს მიღება უარყოფით დადგენას ნიშნავს; ასეთი კი არის უსასრულო ლოგიკური, რომელიც რვა მსჯელობის დამოკიდებულებით გამოიხატება.

აზრის ლოგიკური ფორმები — ცნება, მსჯელობა, დასკვნა — შინაარსეულ ზოგადობებს წარმოადგენენ. ასეთივეა აზრის ფორმათა ლოგიკური კავშირები. საერთოდ ლოგიკური უთუოდ შინაარსეული უნდა იყოს; სხვაგვარად ლოგიკურის სინთეზურობა განუხორციელებელია.

„დიალექტიკური ლოგიკის" პირველი ნაწილის უკანასკნელი (მეოთხე) თავი აზრის ლოგიკურ კანონებს შეეხება; კანონის კატეგო-

რია, ამტკიცებს ს. წერეთელი, აზროვნებაში სპეციფიკურად ხორციელდება. ლოგიკის ძირითადი დებულებებიდან ზოგიერთის კანონად მიჩნევას საფუძვლად უდევს კატეგორიების უშუალოდ გამოთქმა ამ დებულებებში. თუ ლოგიკის დებულება რომელიმე კატეგორიას უშუალოდ გამოთქვამს, მაშინ იგი კანონს წარმოადგენს; სხვა ზოგადი დებულებები კი არ შეიძლება კანონად ჩაითვალოს. მაგალითად, იგივეობის კატეგორიას უშუალოდ გამოთქვამს იგივეობის დებულება — კანონი, სხვაობის კატეგორიას — სხვაობის კანონი, საფუძვლის კატეგორიას — საფუძვლის კანონი და ა. შ. ს. წერეთელი თვლის, რომ ლოგიკურის კანონები შეიცავენ საერთოდ მეცნიერების კანონთა ნიშნებს — ობიექტურობას, აუცილებლობას, იდენტურობას, არსებითობას, ზოგადობას, მაგრამ ეს ნიშნები ლოგიკურში სპეციფიკურად ვლინდებიან. ლოგიკურის კანონები, მართალია, ობიექტური ხასიათისაა, მაგრამ ისინი, როგორც სწორედ ლოგიკურის კანონები, მხოლოდ ლოგიკურ სფეროში მოქმედებენ, ლოგიკურის შინაგან კანონებს წარმოადგენენ. ლოგიკური აუცილებლობა არის ლოგიკურის შინაგანი აუცილებლობა, რომელსაც საკუთარი კანონები აქვს; წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკის მეცნიერება შეუძლებელი იქნებოდა.

ლოგიკა მეცნიერებაა; ამიტომ ლოგიკურ კანონებს არსებითად ისეთივე ხასიათი უნდა ჰქონდეთ, როგორიცაა საერთოდ მეცნიერების კანონი. ამ დებულების საილუსტრაციოდ ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავს მეცნიერების კანონების ნიშნებს[21] და აჩვენებს მათ სპეციფიკას ლოგიკურის სფეროში.

ლოგიკური კანონი, ამტკიცებს ს. წერეთელი, ობიექტურობის ნიშნით ხასიათდება; იგი არ შეიძლება იყოს სუბიექტური, ვინაიდან ეს უკანასკნელი შემთხვევითია და თვითონ საჭიროებს ამხსნელ ობიექტურობას. ლოგიკური კანონი არ არის ნორმა, მისი დარღვევა არ შეიძლება. ჩვენ შესაძლებელია ვერ დავიცვათ ეს კანონები, მაგრამ ეს მათ დარღვევას არ ნიშნავს. კანონი ობიექტურია, საზომია, რომლითაც „ვზომავთ" ჩვენს შეცდომებს, სუბიექტურ მდგომარეობას; ამრიგად, ლოგიკური კანონები ყოველი ნორმალური აზროვნების ობიექტური კანონებია.

კანონს აუცილებლობის ნიშანიც აქვს; ლოგიკურობა ლოგიკურ აუცილებლობას ნიშნავს. ლოგიკური ფორმები ლოგიკური აუცილებლობის ფორმებია, ლოგიკური აუცილებლობა რეალურისაგან

---

21 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი ს შეხედულებას მეცნიერების კანონების შესახებ ქვემოთ განვიხილავთ.

განსხვავდება; ეს უკანასკნელი ლოგიკურში სპეციფიკურად ვლინდება, წინააღმდეგ შემთხვევაში ლოგიკის არსებობა შეუძლებელი იქნებოდა. ამასთან დაკავშირებით ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს სასრულსა და უსასრულო აუცილებლობას. „სასრული ლოგიკური აუცილებლობა — წერს იგი — არის საწინააღმდეგოს შეუძლებლობის აუცილებლობა. უსასრულო ლოგიკური აუცილებლობა კი ლოგიკურის კატეგორიის რეფლექსურობის აუცილებლობაა; ეს არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის აუცილებლობა"[22]. ამასთანავე სასრული აუცილებლობა გაგებულია როგორც უსასრულო აუცილებლობის ცალმხრიობა.

კანონის შემდეგ ნიშნად ს. წერეთელი იდენტურობას ასახელებს; იგი თვლის, რომ ლოგიკური გარკვეულობას ნიშნავს, ხოლო ეს უკანასკნელი იდენტურობის გარეშე შეუძლებლია. ლოგიკური კანონი იდენტურია, იგივეობრივია. იდენტურობა, მართალია, ლოგიკური კავშირისათვის აუცილებელია, მაგრამ ასევე აუცილებელია განსხვავებაც, ვინაიდან ამ უკანასკნელის გარეშე შეუძლებელია სინთეზურობა. „ლოგიკური სინთეზურობა არის თავისებური განვითარება — წერს ს. წერეთელი — რომელიც შეუძლებელია იგივეობისა და განსხვავების აუცილებელი ერთიანობის გარეშე"[23].

მაგრამ კანონი უბრალოდ იდენტური კი არ არის, არამედ იგი არის არსებითი იდენტური (არსებობს არაარსებითი იდენტურობა). კანონი, ლოგიკური კანონის ჩათვლით, არსებითი კავშირია. ამ აზრით კანონი არსების კატეგორიას წარმოადგენს.

კანონი, როგორც იდენტური, აღნიშნავს ს. წერეთელი, იმავე დროს ზოგადია; ზოგადი არის ის, რაც მრავალში იგივეობრივია. კანონის ზოგადობა არსებითია; მისი ზოგადობა არის არსების მომენტთა ერთიანობის ზოგადობა.

ლოგიკურ კანონს ს. წერეთელი განსაზღვრავს როგორც აზრთა აუცილებელი, არსებითი კავშირების ზოგად ფორმას. ვინაიდან მრავალია ზოგადობის ფორმა, მრავალია ლოგიკური კანონებიც; მაგრამ, ს. წერეთლის აზრით, უნდა არსებობდეს ერთი უზოგადესი კანონი, რომელიც ყველა დანარჩენ კანონებს იქვემდებარებს და რომლის ცალმხრიობებსაც სხვა კანონები წარმოადგენენ.

ს. წერეთელი თვლის, რომ ლოგიკური კანონების რაოდენობის განსაზღვრის პრინციპი უნდა ემყარებოდეს ლოგიკურის კატეგორიებს. სახელდობრ, აზრის ლოგიკური კანონები არ შეიძლება იყოს ლოგიკურის კატეგორიებზე მეტი, ვინაიდან ლოგიკურის კატეგორია

22 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 130.
23 ი ქ ვ ე, გვ. 131.

არის ის ობიექტურ-აუცილებელი საშუალება, რითაც სრულდება აზროვნება. ლოგიკურის კანონიც სწორედ იმდენი იქნება, რამდენი ასეთი საშუალება-საფუძველიც არსებობს.

დიალექტიკური ლოგიკის უძირითადეს კანონად ს. წერეთელი დაპირისპირებულთა (წინააღმდეგობათა) ერთიანობის კანონს თვლის, რომელიც ლოგიკურში სპეციფიკურად მოქმედებს. ლოგიკურის კანონები ამ უძირითადესი კანონის ასპექტით განიხილება.

ს. წერეთლის „დიალექტიკურ ლოგიკაში" განხილულია ოცი ლოგიკური კანონი, რომლებშიც შედის როგორც ძველი ლოგიკის „აზროვნების ძირითადი კანონები" (იგივეობის, წინააღმდეგობის შეუძლებლობის, გამორიცხული მესამისა და საკმაო საფუძლის კანონი), ისე დიალექტიკის ძირითადი კანონები, აღებული ლოგიკისათვის სპეციალური ფორმით. რაოდენობის თვისებრიობაში და პირუკუ გადასვლის კანონი ლოგიკურში მოქმედებს როგორც აუცილებელი მეორის კანონი, უარყოფის უარყოფის კანონი არის წინააღმდეგობის მხარეთა დამოკიდებულების ერთ-ერთი კანონი; წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი ლოგიკურში არსებობს შინაგანი უარყოფით თვითდადგენის კანონის სახით და წარმოადგენს ლოგიკურის ძირითად კანონს, რომლის მხარეებს თუ მომენტებს დანარჩენი კანონები შეადგენენ. წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ შინაგანი უარყოფით თვითდადგენის კანონი უშუალოდ გამოხატავს ლოგიკურის კატეგორიის აზრს, რომელიც რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენაში მდგომარეობს.

ჩამოვთვლით იმ ლოგიკურ კანონებს, რომელთა დადგენა ს. წერეთლის ლოგიკური გამოკვლევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს: 1. იგივეობის კანონი, 2. წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, 3. გამორიცხული მესამის კანონი, 4. დადგენის კანონი, 5. უარყოფის კანონი, 6. განსხვავების კანონი, 7. იგივეობისა და სხვაობის აუცილებლობის კანონი, 8. აუცილებელი მეორის კანონი, 9. დაპირისპირებულთა აუცილებლობის კანონი, 10. წინააღმდეგობის აუცილებლობის კანონი, 11. აუცილებელი მესამის კანონი, 12. აუცილებელი პირველის კანონი, 13. ურთიერთუარყოფის კანონი, 14. დადგენით უარყოფის კანონი, 15. უარყოფით დადგენის კანონი, 16. ურთიერთდადგენის კანონი, 17. უარყოფის უარყოფის კანონი, 18. ერთიანობის კანონი, 19. საფუძვლის კანონი, 20. წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ თვითდადგენის კანონი. ამასთანავე ს. წერეთელი თვლის, რომ ამ კანონების რიცხვი არ არის საბოლოოდ დადგენილი, ვინაიდან „ლოგიკურის კანონები კიდევ შეიძლება მრავალი აღმოჩნდეს".

ს. წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დიალექტიკური ლოგიკის უკანასკნელ (მეოცე) კანონს, ვინაიდან იგი ყველაზე მეტად გამოხატავს დიალექტიკური ლოგიკის არსებას. საერთოდ ლოგიკურის საფუძველი, ამტკიცებს იგი, არის რეალური; მაგრამ ლოგიკურის ლოგიკური საფუძველი არ შეიძლება ლოგიკურის გარეშე იყოს; ამდენად „უნდა არსებობდეს ლოგიკური თვითსაფუძველი; ლოგიკურის ლოგიკური საფუძველი თვითონაა; ამიტომ ის ლოგიკურ თვითსაფუძველს წარმოადგენს"[24].

თვითსაფუძვლის მქონე, ცხადია, უპირობოა; ხოლო ასეთი, ს. წერეთლის აზრით, შეიძლება იყოს მხოლოდ შინაგანი უარყოფის მქონე. მაგრამ ის, რაც შინაგან უარყოფას შეიცავს, დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ აუცილებელია დაეუშვათ ლოგიკური დაპირისპირებულთა ერთიანობის ანუ წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რომელსაც ს. წერეთელი სხვაგვარად თვითდადგენის კანონს უწოდებს.

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს რეალურსა და ლოგიკურ წინააღმდეგობას და ამის შესაბამისად რეალურსა და ლოგიკურ წინააღმდეგობათა ერთიანობას. ამასთანავე თვლის, რომ წინააღმდეგობა და წინააღმდეგობათა ერთიანობა, კატეგორიალური აზრით, ერთია, ორივესათვის საერთოა. ეს ნიშნავს, რომ წინააღმდეგობა და წინააღმდეგობათა ერთიანობა არსშიც არსებობს და მის ამსახველ აზრშიც, სადაც იგი სპეციფიკურად ვლინდება. წინააღმდეგობათა ერთიანობა ლოგიკურში სრული სახით ხორციელდება სრულ შუალობით კავშირში, დასკვნაში, რომელსაც ს. წერეთელი უსასრულო დასკვნას უწოდებს. სწორედ უსასრულო დასკვნაში, რომელიც იმავე დროს დასაბუთებაცაა, სრულით წარმოსდგება ლოგიკური რეფლექსურობა, სახელდობრ, ლოგიკურის კატეგორიის ბუნება.

ფორმალური ლოგიკის კანონები, ამტკიცებს ს. წერეთელი, იმას აჩვენებენ, თუ როგორი არ უნდა იყოს ლოგიკური კავშირი; ლოგიკური კავშირის გაბხორციელებისათვის აუცილებელია, რომ არ დაირღვეს იგივეობა, წინააღმდეგობა არ უნდა იყოს დაშვებული, უნდა გამოირიცხოს წინააღმდეგობისათვის მესამე და ა. შ. ეს ნიშნავს, რომ ფორმალური ლოგიკის კანონებს, ს. წერეთელის აზრით, უარყოფითი ხასიათი აქვთ, ისინი უარყოფით დებულებებს წარმოადგენენ. უარყოფითი დებულება კი არ არის პირველადი; იგი თვითონ საჭიროებს საფუძველს, ამხსნელს, სახელდობრ, დადებით დე-

---

24 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

ბულებას, რომელიც უფრო ძირითადია, არსებითი და შინაგანია. აქედან ს. წერეთელი დასკვნის, რომ ფორმალური ლოგიკის კანონები რაღაც სხვას, სახელდობრ, წინააღმდეგობის ერთიანობის ლოგიკურ კანონს ექვემდებარებიან, მის მომენტებს წარმოადგენენ და ამდენად მასთან შედარებით გარეგანია, „ზერელეა". ამიტომ „ფორმალური ლოგიკა დაბალი — დაქვემდებარებული — ლოგიკაა, დიალექტიკური ლოგიკა კი „უმაღლეს ლოგიკას" წარმოადგენს"[25].

ფორმალური ლოგიკის კანონების დაქვემდებარებას დიალექტიკის ძირითადი კანონისადმი ს. წერეთელი შემდეგნაირად წარმოადგენს: წინააღმდეგობის შეუძლებლობა, ამტკიცებს იგი, არის წინააღმდეგობის ერთიანობის მომენტი, რამდენადაც წინააღმდეგობის მხარეები ერთიმეორეს გამორიცხავენ; წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, მესამე შეუძლებელია (ამაშია გამორიცხული მესამის კანონის აზრი). მაგრამ თვითონ წინააღმდეგობა ემყარება ერთიანობას; შიშველი წინააღმდეგობა შეუძლებელია, იგი აზრში შეცდომას წარმოადგენს; მაგრამ წინააღმდეგობა, უარყოფითი დიალექტიკის სახით, არის წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც დადებითი დიალექტიკის, მომენტი. ს. წერეთლის მიხედვით, აზრის ლოგიკური კანონები ლოგიკური განვითარების გარკვეულ საფეხურებს წარმოადგენენ, რომელიც იწყება იგივეობის კანონით და მთავრდება წინააღმდეგობის ერთიანობის კანონით. უარყოფა ლოგიკურად აუცილებლობით გულისხმობს უარსაყოფელს და უარმყოფელს (კერძო არის ზოგადის უარყოფა და პირიქით); ამით იგი წინააღმდეგობის ერთიანობის ძირითად შინაარსს გამოთქვამს. დიალექტიკის ძირითადი კანონების ლოგიკურში სპეციფიკურად მოქმედება აფუძნებს ლოგიკას, როგორც ონტოლოგიაზე დაფუძნებულ მეცნიერებას, იგი სინამდვილის აზრობრივი ასახვის ლოგიკას წარმოადგენს.

ლოგიკურის ძირითადი კანონი. ს. წერეთლის მიხედვით, უნდა იყოს სინამდვილის ძირითადი კანონის სპეციფიკური გამოვლენა ლოგიკურში; ამის გარეშე შეუძლებელი იქნება ლოგიკურის ობიექტურობა: ამასთანავე ძირითადი კანონი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, რომლის „გვერდით" არსებობენ არაძირითადი კანონები. რომლებიც პირველს ექვემდებარებიან, მის ცალმხრიობებს წარმოადგენენ. ლოგიკურის ძირითად კანონად ს. წერეთელი თვლის წინააღმდეგობის ერთიანობის კანონს, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობის რეალური კანონის სპეციფიკურ გამოვლენას წარმოადგენს ლოგიკურში.

---

25 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

აქედან გამომდინარეობს, რომ სინამდვილის (არსის) კანონები, რომელთაც ს. წერეთელი „ონტოლოგიურ კანონებს“ უწოდებს, ლოგიკური კანონების რეალურ საფუძვლებს ქმნიან. ამიტომ ლოგიკა არის ონტოლოგიური ლოგიკა. მაგრამ ლოგიკურობის მხრივ ყველა მეცნიერება, მათ შორის ონტოლოგიაც, ლოგიკას ემყარება; „ლოგიკურად, ცხადია, ლოგიკაა პირველი, სხვანაირად შეუძლებელია“[26].

ონტოლოგიური ლოგიკის ცნება, ცხადია, არ უნდა გავიგოთ როგორც ონტოლოგიისა და ლოგიკის გაიგივება. ლოგიკას და ონტოლოგიას თავიანთი საგნები აქვთ და, მაშასადამე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. ლოგიკის ონტოლოგიურ ხასიათს განაპირობებს ის, რომ ლოგიკა საგნობრივობის მხრივ ონტოლოგიას ემყარება და ამ უკანასკნელის კანონები ლოგიკურ კანონებს აფუძნებენ; ეს ნიშნავს, რომ ე. წ. „საგანთა ლოგიკა“ განსაზღვრავს აზრთა ლოგიკას. აქ ძირითადად მხედველობაშია წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რომელიც მთელი სინამდვილის უზოგადეს კანონს წარმოადგენს და ლოგიკურში გარკვეული სპეციფიკით ვლინდება. ამას ნიშნავს ონტოლოგიური ლოგიკის ცნება.

§ 3. აზრის ლოგიკური ფორმები

„დიალექტიკური ლოგიკის“ მეორე ნაწილში განხილულია აზრის ლოგიკური ფორმები ლოგიკურ განვითარებაში, რომელიც, ს. წერეთლის აზრით, შინაგანი წინააღმდეგობით — ანტინომიების წარმოშობა-გადაწყვეტით — ხორციელდება.

ლოგიკური აზროვნების ელემენტარულ ფორმად ს. წერეთელი მსჯელობას თვლის, ვინაიდან მას წინ არ უსწრებს არც ერთი სხვა ფორმა. ცნება მსჯელობის შედეგია და არა პირიქით; მსჯელობის გარეშე ცნება არაა ცნება; ის წარმოდგენაა ან ცარიელი სიტყვა, რომელიც ლოგიკაში არ განიხილება. მსჯელობა ემყარება ცნების განსაზღვრების პრინციპს, იმ განსაზღვრებისა, რომელიც თვითონ წარმოადგენს მსჯელობას და ცნებას ადგენს. მსჯელობა არის საგნის განსაზღვრულობის სინთეზური ბუნების (უარყოფის შემცველი დადებითობის) მტკიცება-უარყოფით გამოთქმა; ამის შესაბამისად ს. წერეთელი მსჯელობას ასე განსაზღვრავს: „მსჯელობა არის ერთიანი მტკიცება-უარყოფითი აზრი... მსჯელობა არის აზრობრივი გამოთქმა, რომელიც მტკიცება-უარყოფაში მდგომარეობს“[27]. საერთოდ კი

---

26 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

27 ი ქ ვ ე, გვ. 273.

მსჯელობა ს. წერეთელს ესმის როგორც „რეალური განსაზღვრულობის გამომთქმელი ლოგიკური განსაზღვრულობა“[28].

განსაზღვრულობა თავისი ბუნებით სინთეზურია; იგი მოითხოვს სხვას, გადადის სხვაში, აუცილებლობით უკავშირდება სხვას, ვინაიდან განსაზღვრულობა იმავე დროს უარყოფაცაა. „ეს არის ეს“ ნიშნავს იმას, რომ „ეს არ არის სხვა“ (determinatio est negatio);

მაშასადამე, განსაზღვრულობა უარყოფის გზით განხორციელებული სინთეზური კავშირია. ამასთანავე ეს უარყოფა შინაგანია; უარყოფა, თავის მხრივ, წინააღმდეგობის არსებაა. ეს ნიშნავს, რომ განსაზღვრულობა შინაგანი უარყოფისა და წინააღმდეგობის გამო დიალექტიკური ბუნებისაა.

სწორედ ამიტომ ს. წერეთელი მსჯელობას სასრულ ლოგიკურად თვლის. სასრული, მისი განსაზღვრების თანახმად, არის ის, „რაც სხვით დგინდება ან უარიყოფა“[29]. ასეთია ყველაფერი, რასაც თავისი საფუძველი სხვაში აქვს, რაც სხვაზეა დაფუძნებული. ასეთივეა მსჯელობა, ვინაიდან იგი სრული ლოგიკური შუალობითი კავშირის ცალმხრიობას წარმოადგენს. „მსჯელობა არის სასრული ლოგიკური — წერს ს. წერეთელი — რადგან მტკიცება და უარყოფა სასრულის კატეგორიის აზრის გამოთქმაა; სასრული ხომ იმას ჰქვია, რაც ეს არის და არა სხვა? რომ რაიმე არის ეს, დადებით მსჯელობას წარმოადგენს, და რომ რაიმე არ არის ეს, უარყოფითი მსჯელობაა; უკეთ: დადებითი მსჯელობა გამოთქვამს სასრულის კატეგორიის აზრს; უარყოფითიც მას გამოთქვამს, მაგრამ უარყოფითი მხრივ. დადებითი და უარყოფითი მსჯელობები უშუალოდ გამოთქვამენ (აზრობრივად გამოთქვამენ) განსაზღვრულობის ბუნებას“[30].

ს. წერეთელი სასრული ლოგიკურის სფეროს მიაკუთვნებს მთელ ფორმალურ ლოგიკას, ვინაიდან მას სრული ლოგიკურის (კერძოდ, დიალექტიკურ-ლოგიკურის) მხოლოდ ერთ მხარედ თვლის. დიალექტიკური ლოგიკა კი უსასრულოს ლოგიკაა; იგი არის უსასრულო დასკვნის თეორია.

მსჯელობის აქტი, ამტკიცებს ს. წერეთელი, სუბიექტურია, მაგრამ აქტის შინაარსი, როგორც ლოგიკური ფორმა, ლოგიკურ-ობიექტურია. მსჯელობის ობიექტურობა იმაშია, რომ იგი საგნის განსაზღვრულობის ასახვაა, მის აზრობრივ გამოთქმას წარმოადგენს.

---

28 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.
29 ი ქ ვ ე, გვ. 232.
30 ი ქ ვ ე, გვ. 235.

ამავე დროს მსჯელობის ობიექტურობა შეეხება როგორც დადებით, ასევე უარყოფით მსჯელობებს.

მსჯელობის ობიექტურობის ყველაზე სრულ გამოვლენას ს. წერეთელი მსჯელობის კატეგორიულობაში ხედავს. მსჯელობა თვითონ არის ლოგიკურის კატეგორია; ეს იმას ნიშნავს, რომ მსჯელობის უარყოფა შეუძლებელია; მსჯელობის უარყოფა კვლავ მსჯელობას გვაძლევს და, მაშასადამე, იგი უარყოფით დგინდება. ეს აუცილებლობა (უარყოფით დადგენის აუცილებლობა) იგივეა, რაც ლოგიკურის ობიექტურობა.

მსჯელობა, აღებული ზოგადი აზრით, არის კატეგორიების, სახელდობრ, კერძოსა და ზოგადის კავშირი და გამოითქმება ასე: „კერძო არის ზოგადი" (უზოგადესი არის კატეგორია და არა სქემა, სიმბოლო), რომელიც, ს. წერეთლის მიხედვით, დაპირისპირებულთა ერთიანობის აზრის მქონეა; მაგრამ მსჯელობა კერძოსა და ზოგადის მხოლოდ ცალმხრიობას წარმოადგენს. კერძოსა და ზოგადის ერთიანობის მხარეები გამოითქმება ერთიმეორისადმი საწინააღმდეგო მსჯელობებით: „კერძო არის ზოგადი" და „კერძო არ არის ზოგადი", რომლებიც ერთიმეორეს აუცილებლობით გულისხმობენ. კერძოს და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობა დიალექტიკური ხასიათისაა; ასეთივეა მისი ერთი მხარეც, რამდენადაც ის ამ მეორე მხარეს აუცილებლობით გულისხმობს (და მისგან მოწყვეტილად არ არის წარმოდგენილი, როგორც ამას ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში, სადაც მსჯელობა, რომელიც აღნიშნულის გამო ყოველთვის შეფარდებითი ბუნებისაა, წარმოდგენილია აბსოლუტური აზრით, — ცალმხრივი არაცალმხრივად არის აღებული).

ს. წერეთელი უარყოფს მსჯელობის ფორმალურ გაგებას, რომელიც მას შინაარსისაგან დაცლილად განიხილავს. იგი ამტკიცებს, რომ მსჯელობას ფორმაც აქვს და შინაარსიც. მსჯელობის ფორმა მისი შინაარსის გარკვეულობაა. ამიტომ მსჯელობის ფორმისა და შინაარსის ერთმანეთისაგან გათიშვა შეუძლებელია. შინაარსის გარეშე მსჯელობას არ ექნება საკუთარი სტრუქტურა, ხოლო სტრუქტურის გარეშე მსჯელობა შეუძლებელია.

მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი დაკავშირებულია კოპულით („არის"). ს. წერეთელი მიუთითებს კოპულის დიალექტიკურ ხასიათზე, მის ორმაგ ბუნებაზე; კოპულა აჩვენებს იმას, რომ „ცალკეული, სუბიექტი არის ამდენადვე არაცალკეულიც, არამედ ზოგადი" (ვ. ი. ლენინი). მაგალითად, მსჯელობა: „ერთეული არის ზოგადი" ნიშნავს, რომ ერთეული არის არა მხოლოდ ერთეული, არამედ ზოგადიც. ერთეული რომ ზოგადია, ეს არ უარყოფს იმას, რომ

იგი ერთეულიცაა. „ამგვარად გაგებული კოპულა „არის“ — წერს ს. წერეთელი — შეფარდებითი ხასიათისაა, რადგან იგი შეიცავს „არ არის“-საც, რომელიც, თავის მხრივ, ცხადია, არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით იქნას აღებული; ამიტომ „არის“ ორმაგი ბუნებისაა. ეს არის განსხვავებულთა, ამ შემთხვევაში, დაპირისპირებულთა ერთიანობის ძირი“[31]. ეს გარემოება კი, თავის მხრივ, მსჯელობის დიალექტიკურ ბუნებას ამეღავნებს.

მსჯელობა ლოგიკურ ერთმხრიობას წარმოადგენს, სახელდობრ, იგი არის დაპირისპირებულთა ანუ წინააღმდეგობის ერთიანობის, როგორც უსასრულო ლოგიკურის, ერთმხრიობა. სწორედ ეს ერთმხრიობა აქცევს მას სასრულ ლოგიკურად. მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობის მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც მეორე მხარეს დიალექტიკურად უარყოფს. ეს ნიშნავს, რომ იგი არის დაპირისპირებულთა ერთიანობა მხოლოდ ნაწილობრივ და არა სისრულით. როდესაც მსჯელობა ამ ნაწილობრიობას დაძლევს და დაპირისპირებულთა ერთიანობა სისრულით წარმოსდგება, მაშინ იგი უკვე აღარ იქნება მსჯელობა, არამედ საპირისპირო მსჯელობათა ერთიანობა — დასკვნა — სრული შეალობითი ლოგიკური კავშირი. ეს იქნება, ს. წერეთლის აზრით, მსჯელობის გადასვლა დასკვნაში.

ს. წერეთელი განიხილავს მსჯელობის ძირითად სახეებს, რომლებიც აუცილებლობით გამომდინარეობენ მსჯელობის განსაზღვრებიდან. მსჯელობა, როგორც განსაზღვრულობა, ორ მომენტს შეიცავს: დადებითსა და უარყოფითს, რომლის საფუძველზე იქმნება მსჯელობის ორი სახე: დადებითი და უარყოფითი მსჯელობები.

დადებითი მსჯელობის სუბიექტს მისგან განსხვავებული პრედიკატი მიეწერება (ტავტოლოგიურობა კი თვითონ არის უარყოფითობა); ამდენად ის არის სინთეზი — განსხვავებულთა ერთიანობა, რომელიც ზოგად ფორმაში — კატეგორიების კავშირში — დაპირისპირებულთა ერთიანობას („კერძო არის ზოგადი“) წარმოადგენს. დადებით მსჯელობაში უარყოფის (განსხვავებაში ან დაპირისპირებაში არსებული უარყოფის) მომენტი მხოლოდ ნაგულისხმევია და არ არის ლოგიკურად გაფორმებული. მისი გაფორმება გვაძლევს უარყოფით მსჯელობას; დადებითი მსჯელობა აუცილებლობით — მისი შინაგანი ბუნებით — გადადის უარყოფით მსჯელობაში. უარყოფითი მსჯელობა დადებითობასაც შეიცავს, რადგან სუბიექტს მიეწერება უარყოფითი პრედიკატი (წინააღმდეგ შემთხვევაში კი უარყოფითი მსჯელობა შეუძლებელი იქნებოდა). ამრიგად, ს. წე-

---

31 ს. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

რეთლის აზრით, დადებითი და უარყოფითი მსჯელობები ერთმანეთს მოითხოვენ.

დადებითი და უარყოფითი მსჯელობის „ტვერდით" ს. წერეთელი ხმარობს „უსასრულო" მსჯელობის ცნებას, რომელიც, მისი აზრით, თავისებურად გამოთქვამს დადებითი და უარყოფითი მსჯელობების აუცილებელ კავშირს და მსჯელობის კოპულის ორმაგობას სპეციფიკურად წარმოადგენს. „უსასრულო მსჯელობა — ამბობს ს. წერეთელი — არის დადებითი მსჯელობისა და უარყოფითი მსჯელობის თავისებური ერთიანობა"[32]. იგი მაინც მსჯელობის მესამე სახეა. სიტყვას „უსასრულო" ს. წერეთელი მსჯელობის მიმართ პირობითი მნიშვნელობით ხმარობს (ამიტომ ზოგჯერ მას წინწყლებში სვამს), ვინაიდან თვლის, რომ არსებითად მსჯელობა სასრულია და იგი არ შეიძლება იყო უსასრულო.

მსჯელობა, ს. წერეთლის აზრით, თავისი ბუნებით, ე. ი. შინაგანი აუცილებლობით გადადის დასკვნაში; მსჯელობა თავისი გამართლებისათვის ითხოვს დასკვნას. თუ დადებითი მსჯელობა აუცილებლობით მოითხოვს უარყოფითს და პირიქით (როგორც ეს ზემოთ იყო ნაჩვენები), მაშინ აუცილებელი უნდა იყოს მათი ერთიანობა — დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობა. თვითეული ამ მსჯელობათაგანი შეუძლებელია საპირისპირო მსჯელობისა და მასთან ერთიანობის გარეშე. დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობის მოთხოვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი, კი არის სრული შუალობითი კავშირის მოთხოვნა ანუ მსჯელობის გადასვლა დასკვნაში, მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა.

მსჯელობის დასკვნაში, როგორც მის გამმართლებელ საფუძველში გადასვლა, ს. წერეთლის მიხედვით, არის „სინთეზურ-ლოგიკური სუბორდინაცია, როგორც თავისებური განვითარება"[33]. მსჯელობისათვის დასკვნის აუცილებლობა ჩანს „უსასრულო" მსჯელობასა და კოპულის ორმაგობაში, რაც გამართლებას მოითხოვს. „უსასრულო" მსჯელობაში დადებითისა და უარყოფითის კავშირი ჯერ კიდევ არ არის გამართლებული; ის უნდა გამართლდეს, ე. ი. დადგინდეს ამ მომენტების ერთიანობა, რათა მსჯელობას ექნეს აზრი. კოპულა, რომელიც იმას ნიშნავს, რომ ცალკეული არის არა მხოლოდ ცალკეული, არამედ ზოგადიც, საჭიროებს გამართლებას, გარკვეული ერთიანობის დადგენას, რომელიც მსჯელობაში არ არის განხორციელებული; ამის გარეშე კი მსჯელობას აზრი ეკარგება.

---

32 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 277.

33 ი ქ ვ ე, გვ. 299.

ამასთანავე მსჯელობა, ამბობს ს. წერეთელი, თვითონ წარმოადგენს გადასვლას, ვინაიდან: 1. „კერძო არის ზოგადი"; ეს არის კერძოს გადასვლა ზოგადში (სუბიექტისა — პრედიკატში), 2. როგორც აღინიშნა, „კერძო არის ზოგადი" შეიცავს უარყოფას, რომელიც უნდა გაფორმდეს; ამ გაფორმებით დადებითი მსჯელობა გადავა უარყოფითში; მსჯელობას „კერძო არის ზოგადი" უნდა შეუერთდეს მისი საწინააღმდეგო: „კერძო არ არის ზოგადი". როგორ არის ეს შესაძლებელი? ს. წერეთელი ფიქრობს, რომ ამ კითხვაზე პასუხს მსჯელობა არ იძლევა. მსჯელობა სვამს პრობლემას, რომელიც უნდა გადაწყდეს. მსჯელობა, რომელიც უნდა გამართლდეს, გამართლებისას წარმოადგენს დანასკვს, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს წანამძღვრებს და ამდენად მთელ დასკვნას. მსჯელობა, გარკვეული აზრით, საფუძველია, რამდენადაც მისი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარეობს ის, რაშიც ის უნდა გამართლდეს. აქ აღნიშნული მომენტებიდან მსჯელობის დასკვნაში გადასვლისათვის მთავარია მსჯელობის ანტინომიურობა; დადებითი მსჯელობა: „კერძო არის ზოგადი" შეიცავს უარყოფის მომენტს, რომელიც ფორმდება მსჯელობით: „კერძო არ არის ზოგადი". ეს ორი მსჯელობა ერთიმეორეს გამორიცხავს, შეადგენს ანტინომიურობას, რომელიც უნდა გადაწყდეს; წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელი იქნება მსჯელობა, ამასთან ერთად მთელი ლოგიკაც. მსჯელობის ამ ანტინომიურობის გადაწყვეტას ს. წერეთელი დასკვნაში ეძებს.

მსჯელობის ანტინომიურობას, ამტკიცებს ს. წერეთელი, ნაწილობრივ გადაწყვეტს ჯერ უშუალო დასკვნა, თუმცა იგი, ამავე დროს ანტინომიურობას კიდევ უფრო გაამწვავებს. ყოველი განსხვაკებული სხვისგან ანუ თავის თავში განსხვავებული არის განსაზღვრული და ამიტომ გაშუალებული. მაგრამ, მეორე მხრივ, ყველაფერი თავის მიმართ არის იგივეობრივიც და, ამდენად, უშუალო; ასეთია, ს. წერეთლის აზრით, ლოგიკური უშუალო, რომელიც გაშუალების ერთ მხარეს წარმოადგენს. ლოგიკაში (ისევე როგორც სინამდვილეში) ყველაფერი შუალობისა და უშუალობის ერთიანობაა. ამ აზრით არ არსებობს მხოლოდ უშუალო დასკვნა; „უშუალო დასკვნა არის უშუალო მხოლოდ შუალობით დასკვნასთან შედარებით. ისე კი ლოგიკური აზროვნება არ შეიძლება მხოლოდ უშუალო იყოს"[34]. შუალობით დასკვნაში ერთი არის მეორე მესამის საშუალებით; დასკვნა, სადაც არ არის სა-

---

34 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 312.

შუალო, უშუალო დასკვნად იწოდება. ასეთია, მაგალითად, შეკუმშვა, გადაქცევა და სხვ. უშუალო დასკვნის პრინციპია: „თუ არის A, მაშინ არის B" (როგორც საფუძველ-შედეგის დამოკიდებულება და არა იმპლიკაცია), სადაც არ არის საშუალო ტერმინი.

ისეთი უშუალო და ანალიზური დასკვნა, როგორიცაა გადაქცევა (დადგენა დამოკიდებულებისა წანამძღვრის სუბიექტისა მის საპირისპირო პრედიკატთან), უშუალოდ მოითხოვს ანუ ემყარება იმას, რომ დადებითობის ფორმა უარყოფითობის ფორმას დაუკავშირდეს. როგორც ითქვა, დადებითი მსჯელობიდან: „კერძო არის ზოგადი" უშუალოდ გამოდის ის, რაც მასში აუცილებლობით ნაგულისხმებია, სახელდობრ, უარყოფითი მსჯელობა: „კერძო არ არის ზოგადი" (კერძო და ზოგადი ხომ ერთმანეთისადმი საპირისპირო კატეგორიებს წარმოადგენენ!). ეს იმას ნიშნავს, რომ უშუალო დასკვნა საპირისპიროში გადასვლას უნდა წარმოადგენდეს და უნდა სრულდებოდეს უარყოფით. ეს გარემოება კატეგორიების კავშირში სრული სახით წარმოსდგება.

მსჯელობის ანტინომიურობა, ამბობს ს. წერეთელი, ისაა, რომ დადებითი მსჯელობის ორი მხარე — დადებითობა და უარყოფითობა ერთმანეთს გამორიცხავენ: თვითონ მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი, როგორც კერძო და ზოგადი, ურთიერთგამომრიცხველია; აქეთ მსჯელობა მთლიანად თავის თავს ეწინააღმდეგება. თუ შესაძლებელია დადებითობის უარყოფითობაში და კერძოს ზოგადში უშუალო გადასვლა, რასაც უშუალო დასკვნა უნდა წარმოადგენდეს, მაშინ მსჯელობის ანტინომიურობა სწორედ უშუალო დასკვნაში გადაწყდება. მართლაც, კერძოს უარყოფით მიიღება ზოგადი და პირიქით; ზოგადის უარყოფით მიიღება კერძო, არაზოგადი არის კერძო; მაგრამ ზოგადი, კერძოს გარეშე, თვითონ არის კერძო და პირიქით, კერძო, ზოგადის გარეშე აღებული აბსოლუტურად, არის ყველაფერი, ე. ი. ზოგადია. ამიტომ, ს. წერეთლის აზრით, გამოდის, რომ ზოგადი უშუალოდ გადადის კერძოში და პირიქით — კერძო გადადის ზოგადში; უკეთ: აქ ჩანს კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა და ზოგადისათვის კერძოს აუცილებლობა, ისიც უარყოფით ასპექტში. ეს არის საწინააღმდეგოების ერთმანეთისათვის აუცილებლობა უარყოფით ასპექტში — დაპირისპირებულთაგან ერთისათვის მეორის თავიდან მოუცილებლობა, რასაც, როგორც ცნობილია, უარყოფითი დიალექტიკა ეწოდება. კატეგორიალური ზოგადობის ფორმით აღებული უშუალო დასკვნა არსებობს როგორც უარყოფითი დიალექტიკა.

მაგრამ ს. წერეთელი აქ ჯერ კიდევ არ ხედავს მსჯელობის

ანტინომიურობის გადაწყვეტას. მსჯელობის ანტინომიურობა, მისი აზრით, განხილვის ამ დონეზე მარტოოდენ ნაწილობრივ გადაწყდა. მართალია, უშუალო დასკვნაში უშუალოდ გამოჩნდა კერძოსათვის ზოგადის აუცილებლობა და პირიქით, მაგრამ თვითონ უარყოფითი დიალექტიკა წარმოადგენს ანტინომიას. უარყოფითი დიალექტიკა, აღებული დამოუკიდებლად, შიშველი წინააღმდეგობაა, რაც შეცდომას წარმოადგენს. უარყოფითი დიალექტიკა მართლდება დადებით დიალექტიკაში, რის მომენტსაც ის შეადგენს. საწინააღმდეგოების ერთმანეთისათვის აუცილებლობა უარყოფით ასპექტში მართლდება დაპირისპირებულთა ერთიანობაში. ერთი სიტყვით, „უშუალო დასკვნის ანტინომიურობა არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც აზრის მქონეა მხოლოდ მაშინ, თუ ის დაქვემდებარებულია დადებით დიალექტიკას"[35].

სწორედ ამიტომ ს. წერეთლის წინაშე დგება საკითხი, თუ როგორ უნდა გადაწყდეს უშუალო დასკვნის ანტინომიურობა? როგორ შეიძლება კერძო უშუალოდ იყოს ზოგადი? ეს ხომ შეუძლებელია? კერძო უშუალოდ არის კერძო და არა ზოგადი. იგი შეიძლება იყოს ზოგადი არა უშუალოდ, არამედ რაღაც მესამის საშუალებით. ეს იმას ნიშნავს, რომ უშუალო დასკვნის ანტინომიურობა შუალობით დასკვნაში გადაწყდება. უშუალო დასკვნა საკუთარი თავის გამართლებისათვის აუცილებლობით მოითხოვს შუალობით დასკვნას. უშუალო დასკვნის აუცილებლობის დაკავშირება შუალობით დასკვნასთან არის პირველის მეორეში ლოგიკური გადასვლა.

აქ ძირითადი მნიშვნელობა, ს. წერეთლის აზრით, ლოგიკური აუცილებლობის ცნებას ენიჭება. ს. წერეთელი თვლის, რომ ლოგიკა არის მეცნიერება ლოგიკური აუცილებლობის შესახებ, რომელიც სისრულით შუალობით დასკვნებში ხორციელდება. „ლოგიკური აუცილებლობა არის ლოგიკური გაშუალების აუცილებლობა"[36]. ფორმალური ლოგიკისათვის ლოგიკური აუცილებლობა არის საწინააღმდეგოს შეუძლებლობა; ლოგიკურად აუცილებელი არის ის, რისი საწინააღმდეგოც შეუძლებელია (აქ „შეუძლებელი" ნიშნავს „აუცილებლად არ არის"). ამგვარად გაგებული აუცილებლობა არის სასრულის აუცილებლობა, რადგან სასრული არის „ეს და არა სხვა (საწინააღმდეგო)". ფორმალურ ლოგიკას ს. წერეთელი

---

35 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 340.

36 ი ქ ვ ე. გვ. 345.

სასრულის ლოგიკად თვლის და, ცხადია, ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობაც ასეთი იქნება. მაგრამ რადგანაც ეს არის ეს იმის გ ა მ ო, რომ ის არ არის სხვა, ამიტომ პირველი ცნება აუცილებლობით გულისხმობს საწინააღმდეგოს. რაიმესათვის საწინააღმდეგო შეიძლება იყოს მისთვის აუცილებელი, როგორც ეს უარყოფითი დიალექტიკის დახასიათებისას ვთქვით. კერძოსათვის აუცილებელია ზოგადი და პირიქით, უარყოფისათვის აუცილებელია დადებითი და პირიქით და სხვ. ს. წერეთელი თვლის, რომ ლოგიკური აუცილებლობა სისრულით ვლინდება ლოგიკურის კატეგორიების მოხმარებისას, სახელდობრ, მაშინ როდესაც რაიმეს უარყოფით იგივე დგინდება (მაგ., იგივეობის უარყოფა საკუთარ საშუალებასაფუძვლად ადგენს იგივეობას, კერძოს უარყოფა ისევ კერძოს გვაძლევს, უარყოფის უარყოფა ისევ უარყოფაა და სხვ.). ასეთი აუცილებლობა დაპირისპირებულთა ერთიანობის ანუ შინაგანი უარყოფით თვითდადგენის, ე. ი. დიალექტიკურ-ლოგიკური აუცილებლობაა.

ეს აუცილებლობა უნდა განხორციელდეს შუალობით დასკვნებში. უშუალო დასკვნებში, ს. წერეთლის აზრით, მარტოოდენ უარყოფითი დიალექტიკა, ე. ი. რაიმესათვის საწინააღმდეგოს მოუცილებლობა ანუ აუცილებლობა ხორციელდება. ისიც აღინიშნა, რომ უშუალო დასკვნების ანტინომიურობის გადაწყვეტა უნდა მოხდეს შუალობით დასკვნებში, რადგან კერძო შეიძლება იყოს ზოგადი არა უშუალოდ, არამედ სხვა რაიმეს საშუალებით. არსებობს შუალობითი დასკვნების სახეები, რომლებიც თანდათანობით განახორციელებენ უშუალო დასკვნის ანტინომიურობის გადაწყვეტას. შუალობითი დასკვნების სახეებად ს. წერეთელი ასახელებს: 1. სასრულ შუალობით დასკვნებს, რომლებიც მოიცავენ ერთ მხრივ ფორმალურ ლოგიკაში არსებულ დასკვნებს (მაგ., Barbara) და კატეგორიების კავშირის სახით წარმოდგენილ დასკვნებს და 2. უსასრულო დასკვნებს.

კატეგორიულ სილოგიზმში, ამტკიცებს ს. წერეთელი, საშუალო მართლაც საშუალოა მოცულობით კიდურებთან შედარებით, მაგალითად, „ადამიანი" „სოკრატესა" და „მოკვდავთან" შედარებით, თუმცა ეს ცნებები აღებულია იგივეობრივი ნიშნის მიხედვით. „სოკრატეზე" გამოითქმის „მოკვდავობა" „ადამიანის" საშუალებით, რადგან „ადამიანში" ამ შემთხვევისათვის გათვალისწინებულია მხოლოდ „მოკვდავობა", როგორც ერთი ნიშანი. ასეთი დას-

კვნები აგებულია იგივეობაზე, თუმცა აუცილებლობით გულისხმობენ განსხვავებასაც (დასკვნაში არის სამი ტერმინი და სამი მსჯელობა), რომელიც ლოგიკურად გაუფორმებელია; იგი (ეს განსხვავება) რომ გაფორმდეს, მაშინ დასკვნა დაინგრევა, რადგან მის შემადგენელ ყოველ მსჯელობას აღმოაჩნდება საპირისპირო. მხოლოდ იგივეობაც ვერ აგვიხსნის დასკვნას, რომელსაც სინთეზური ხასიათი აქვს (ის ხომ განსხვავების შემცველია! წანამძღვრებიდან ხომ განსხვავებული დანასკვი უნდა მივიღოთ!). ერთი სიტყვით, ს. წერეთელი ფიქრობს, რომ Barbara „არ არის სინთეზური, მაგრამ უნდა იყოს სინთეზური"[37], მხოლოდ ანალიზურობის შემთხვევაში იგი გაუმართლებელია. მაგრამ სინთეზურობის გაფორმებაც ანგრევს მას. ორივე შემთხვევაში ასეთი დასკვნა შეუძლებელია. Barbara არის დასკვნა, რამდენადაც იგი ემყარება იგივეობას და მას აფორმებს, მაგრამ განსხვავებას გაუფორმებლად გულისხმობს; ის შესაძლებელია როგორც ენთიმემური ხასიათის დასკვნა. ლოგიკა ვერ იტანს გაუფორმებლობას, აუცილებელია ენთიმემურობის მოხსნა, რაც, როგორც აღინიშნა, ამ დასკვნას ანგრევს. ს. წერეთელი აღმოაჩენს ამ წინააღმდეგობას და მისგან გამოსავალს ეძებს.

ამ სიძნელიდან გამოსავალს ს. წერეთელი იმაში ხედავს, რომ ზემოგანხილული დასკვნების საფუძვლად თვლის მათზე უფრო „მაღალ" დასკვნებს, სახელდობრ, კატეგორიათა შუალობით კავშირებს. ეს დასკვნები „უფრო მაღალია", რამდენადაც ისინი შესაძლებელი არიან და ხორციელდებიან, მიუხედავად იმისა, რომ აფორმებენ არა მარტო განსხვავებას, არამედ დაპირისპირებასაც. ასეთ დასკვნად ს. წერეთელი თვლის ჰეგელისა და კ. მარქსის მიერ დახასიათებულ დასკვნებს, რომელთა ზოგადი ფორმა ასეთია: ერთეული — განსაკუთრებული — ზოგადი (ე — გ — ზ). დასკვნები, როგორც ამ სამი კატეგორიის შუალობითი კავშირი, ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმით, თუ რომელი კატეგორია (ერთეული, განსაკუთრებული ან ზოგადი) ასრულებს საშუალოს როლს. ამიტომ ზოგადიდან კერძოზე, კერძოდან ზოგადზე თუ სხვა გადასვლები გარკვეული კატეგორიის საშუალებით ხორციელდება. ამ დასკვნებს საფუძვლად უდევს კერძო — ზოგადის ერთიანობა.

ასეთი დასკვნები, ამტკიცებს ს. წერეთელი, გარკვეული სახის დასკვნებს წარმოადგენენ, მაგრამ ნაკლსაც შეიცავენ. თუ, მაგალითად, კატეგორიულ სილოგიზმში განსხვავება არის ნაგულის-

---

37 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 363.

ხმები, „მიჩქმალული“, დასკვნაში როგორც ერთეულის ზოგადთან განსაკუთრებულის საშუალებით კავშირში, „მიჩქმალულია“ (კ. მარქსი) წინააღმდეგობა, რომელიც კერძოსა და ზოგადს შორის არსებობს. საქმე ისაა, რომ კერძოსა და ზოგადის წინააღმდეგობას „ჩქმალავს“ განსაკუთრებული, როგორც საშუალო (ამასთანავე განსაკუთრებული თვითონ არის კერძოსა და ზოგადის ერთიანობა), რადგან წინააღმდეგობას მხოლოდ ორი მხარე აქვს, მესამე გამორიცხულია; აღნიშნულ დასკვნებში კი განსაკუთრებულია მესამე (განსაკუთრებულის საშუალებით ერთეულის ზოგადთან კავშირიც სასრული დასკვნაა სწორედ იმის გამო, რომ იქ „მიჩქმალულია“ წინააღმდეგობა, რაც სასრულის სფეროს ამოწურავს). აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ უნდა არსებობდეს ისეთი დასკვნა, როგორც შუალობითი კავშირი, რომელშიც სისრულით იქნება გაფორმებული კერძოს და ზოგადის წინააღმდეგობა და, მაშასადამე, იგი არ იქნება „მიჩქმალული“.

დასკვნის ამ ფორმის ანალიზი ქვემოთ იქნება მოცემული; ამჟამად კი აღვნიშნავთ, რომ სასრული შუალობითი დასკვნები ს. წერეთელს ანტინომიურად მიაჩნია შემდეგი მოსაზრებების გამო: 1. Barbara და მსგავსი დასკვნები ანტინომიურია, ვინაიდან მასში ნაგულისხმები განსხვავების უგულებელყოფისას დასკვნა შეუძლებელია, რადგან ანალიზურობა — ერთი და იგივეს განმეორება, ტავტოლოგიურობა — ახალს არაფერს იძლევა; ეს განმეორება დასაბუთების თვალსაზრისით შეცდომას (ლოგიკურ წრეს) წარმოადგენს; ამ დასკვნაში ნაგულისხმები განსხვავებაც ანგრევს მას. 2. დასკვნა, რომელშიც საშუალო არის, „განსაკუთრებული“, გამოუვალ წინააღმდეგობას შეიცავს, რადგან ასეთი საშუალო „ჩქმალავს“ წინააღმდეგობას და mixtum compositum-ს წარმოადგენს (კ. მარქსი). მაშასადამე, აქ ისევ სიძნელე წარმოიშობა, რომელიც გადაჭრას მოითხოვს.

ამ სიძნელიდან გამოსავალს ს. წერეთელი იმ დადებით შედეგში ეძებს, რაც სასრულმა შუალობითმა დასკვნებმა მოგვცეს. ეს შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ ეს დასკვნა არის კერძოსა და ზოგადის ერთიანობა; მაგრამ ეს ერთიანობა უნდა იყოს ცნება და არა დასკვნა. კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, ს. წერეთლის აზრით, მართლაც არის ცნება, რადგან ცალკე აღებული ზოგადი არაა ზოგადი, არც ცალკე აღებული კერძო არის კერძო. მათი აუცილებელი ერთიანობა, როგორც ერთი გარკვეული აზრი, წარმოადგენს ცნებას. ამიტომ სასრული შუალობითი დასკვნის ანტინომიურობა ცნებაში უნდა გადაწყდეს.

ცნება, ს. წერეთლის აზრით, არ შეიძლება წინ უსწრებდეს მსჯელობას, ვინაიდან ცნება არის გარკვეული აზრი, რომლის ნიშნები რაიმეს, სახელდობრ, სუბიექტს მიეწერება. ეს მიწერა არის მსჯელობა. სწორედ ამიტომ „ცნება მსჯელობას წინასწარ გულისხმობს... ცნება მსჯელობაში და მსჯელობით ფორმდება“[38]. მაგრამ, მეორე მხრივ, მსჯელობა წინასწარ გულისხმობს მის ელემენტებს, — სუბიექტსა და პრედიკატს, — რომლებიც ცნებებს წარმოადგენენ. ამრიგად, ს. წერეთელი თვლის, რომ ცნება და მსჯელობა ერთმანეთს წინ უსწრებენ. „არ შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არის ცნება და მას არავითარი მსჯელობა არ სჭირდება; არც ის შეიძლება ითქვას, რომ ჯერ არის მსჯელობა და მას არავითარი ცნება არ სჭირდება“[39].

ცნება, ს. წერეთლის აზრით, აუცილებელ კავშირშია არა მხოლოდ მსჯელობასთან, არამედ აგრეთვე დასკვნა-დასაბუთებასთან. ცნება დასაბუთების შედეგია. მაგრამ პირველად ის დადგენას იწყებს სასრული დასკვნის შედეგად, საბოლოოდ კი გაირკვევა უსასრულო დასკვნაში, რომელიც, იმავე დროს, დასაბუთებასაც წარმოადგენს.

ცნება დგინდება განსაზღვრებით; ცნობილი წესი, რომლის თანახმად განსაზღვრება არის უახლოესი გვარისა და სპეციფიკური ნიშნის დადგენა, ზოგად (კატეგორიალურ) ფორმაში ნიშნავს კერძოსა და ზოგადის ერთიანობას. განსაზღვრება, როგორც ცნების დადგენა, პასუხია კითხვაზე: „რა არის“ („რა“); ამ აზრით ის არის არსების გამომთქმელი აზრი, რაც კერძოსა და ზოგადის ერთიანობაში მდგომარეობს, რომელიც სრული სახით დაპირისპირებულ მსჯელობათა ერთიანობაა (ერთიანობა მსჯელობებისა: „კერძო არის ზოგადი“ და „კერძო არ არის ზოგადი“), ე. ი. ის არის მსჯელობისა და დასკვნის ლოგიკური (და არა მხოლოდ შემეცნებითი) შედეგი. უზოვადეს ცნებებს კატეგორიები წარმოადგენენ, რომლებიც მოცულობითი თვალსაზრისით ცნებაში შედიან, მაგრამ ზოგადის თვალსაზრისით იქვემდებარებენ იმ ცნებებს, რომლებიც გვარ-სახეობით დამოკიდებულებაში იმყოფებიან. კატეგორიები კატეგორიალური პრედიკაციით განისაზღვრებიან, კერძოდ, მათი ადგილის მონახვით სისტემაში. ამიტომ უზოგადესი ცნება არის კონკრეტული, რადგან ის არის გარკვეული მომენტების ერთიანობა. ცნება, როგორც კერძოსა და ზოგადის (დაპირისპირებულობის)

---

38 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 382.

39 ი ქ ვ ე.

ერთიანობა, დიალექტიკური ბუნებისაა. დიალექტიკურია ცნებაც და მისი განსაზღვრებაც. შინაარსეული ლოგიკურობის თვალსაზრისით, ამბობს ს. წერეთელი, უზოგადესი (სხვათა შინაარსეულად დამქვემდებარებელი) ცნება არის ისეთი ცნება, რომელიც მისივე უარყოფით დგინდება. ასეთია ლოგიკურის კატეგორიები, როგორც ლოგიკურის (და ცოდნის) უპირველესი საშუალება-საფუძვლები.

ცნება, ამტკიცებს ს. წერეთელი, როგორც მსჯელობა-დასკვნის შედეგი, არის დასკვნის ზოგადი აზრი. ცნება, როგორც კერძოსა და ზოგადის — დაპირისპირებულთა — ერთიანობა უნდა იყოს დასკვნა და არა ცნება; მაგრამ ცნება, როგორც სწორედ კერძოსა და ზოგადის ერთიანობა, დასკვნის ზოგადი აზრია და არა შუალობითი კავშირი — დასკვნა. დაპირისპირებულთა ერთიანობა, როგორც სრული შუალობითი კავშირი, უსასრულო დასკვნაა და არა ცნება, მაგრამ ცნება ხომ სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობაა — კერძოსა და ზოგადის ერთიანობაა? იქმნება შეთანხმებულობა, რომ ცნება ცნებაცაა და არცაა ცნება. ამაშიც ს. წერეთელი ცნების ანტინომიურობას ხედავს, რომელიც გადაწყვეტას მოითხოვს. ცნების ანტინომიურობა, მისი აზრით, მსჯელობის ანტინომიურობის განვითარებულ ფორმას წარმოადგენს, რომელიც უსასრულო დასკვნაში უნდა გადაწყდეს. ამ წესით ანხორციელებს ს. წერეთელი ცნებიდან უსასრულო დასკვნაზე გადასვლას.

უსასრულო დასკვნის ცნება ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფციის ბირთვს წარმოადგენს, ამიტომ მასზე შედარებით უფრო ვრცლად შევჩერდებით.

ყოველი განსაზღვრება, ამტკიცებს ს. წერეთელი, გაშუალებაა; საერთოდ ლოგიკური დაქვემდებარება არის გაშუალება. მაგრამ არსებობს ორგვარი გაშუალება: სასრული გაშუალება და სრული ლოგიკური გაშუალება. სასრული გაშუალება სხვით გაშუალებას წარმოადგენს; როდესაც საწინააღმდეგონი ერთმანეთს სასრულით აშუალებენ, მაშინ გვაქვს სრული სასრული გაშუალება, ვინაიდან მას პირობითი ხასიათი აქვს („თუ — მაშინ"). სრული ლოგიკური გაშუალება არის „არა მარტო საწინააღმდეგოთი გაშუალება, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა... სრული გაშუალება იგივეა, რაც უსასრულო ლოგიკური". ეს იქნება „სრული სინთეზურობა, შინაარსეული ზოგადობის სრული განხორციელება"[40].

აქედან ცხადია, რომ სრული სასრული წინააღმდეგობის ერთი მხარეა, დადებითი აზრით აღებული უსასრულო კი წინააღმდეგო-

---

[40] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 431.

ბის ერთიანობას წარმოადგენს. „სასრული არის ის, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა... უსასრულო კი არის თვითდადგენა, რომელიც უარყოფით სრულდება, ე. ი. უსასრულო არის რეფლექსური და შინაგანი უარყოფის — წინააღმდეგობის — მქონე. უსასრულო არის უარყოფის საშუალებით თვითდადგენა"[41].

ლოგიკური უსასრულობის საილუსტრაციოდ ს. წერეთელი კვლავ მიუთითებს ლოგიკური კავშირის რვამხრიობაზე. ავიღოთ კერძოსა და ზოგადის ურთიერთობა, რომელსაც სისრულით რვა საპირისპირო მსჯელობა გამოთქვამს:

1. თუ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი;
2. თუ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო;
3. თუ არ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი;
4. თუ არ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო;
5. თუ არის კერძო, მაშინ არ არის ზოგადი;
6. თუ არის ზოგადი, მაშინ არ არის კერძო;
7. თუ არ არის კერძო, მაშინ არის ზოგადი;
8. თუ არ არის ზოგადი, მაშინ არის კერძო.

ამ შემთხვევაში, ამბობს ს. წერეთელი, საქმე გვაქვს დაპირისპირებულთა აუცილებლობასთან; ერთისათვის აუცილებელია მეორე; თუ ერთი არ არის, მაშინ არც მეორეა. თუ არის კერძო, მაშინ ის გამორიცხავს ზოგადს და პირიქით. ეს დამოკიდებულებანი, ს. წერეთლის აზრით, „დაპირისპირებულთა სრულ ერთიანობას" შეადგენენ. საპირისპირონი სრულ შინაარსეულ კერძოებს წარმოადგენენ, მათი ერთიანობა კი სრული შინაარსეული ზოგადობაა. „აქ ადგილი აქვს შინაგანი უარყოფით ერთიანობის, როგორც ზოგადობის, დადგენას; ე. ი. ჩვენ გვაქვს რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, რაც ლოგიკურ უსასრულობას წარმოადგენს"[42].

ამ რვამხრიობას, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას ახასიათებს, რვა არასრული მხარე აქვს, მაგრამ ისე კი ორი სრული სასრული მხარე გააჩნია; სწორედ ამიტომ ს. წერეთელი თვლის, რომ რვამხრიობა ორმხრიობაზე („ორმნიშვნელობაზე") დაიყვანება, რომელთა ერთიანობა სრულ ზოგადობას წარმოადგენს. თითოეული ამ დებულებათაგანი, ცალკე აღებული, ცალმხრიობაა; მათი ერთიანობა კი ლოგიკურს სისრულით ამოწურავს და უსასრულო ლოგიკურს გვაძლევს. ასეთია უსასრულო დასკვნა, რომელიც ლოგიკური კავშირის რვამხრიობის საფუძვლად იმყოფება.

---

41 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 436.
42 ი ქ ვ ე, გვ. 437.

უსასრულო დასკვნა სრული შუალობითი ერთიანობაა (ყოველი დასკვნა არის ლოგიკური გაშუალება), რადგან ის არის ლოგიკური წინააღმდეგობის (კატეგორიებში, მაგალითად, კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულებაში, წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთი და იგივეა; არაკერძო არის ზოგადი და პირიქით). ერთიანობა. წინააღმდეგობა, რომელსაც მხოლოდ ორი მხარე აქვს და მესამე ასეთივე მხარე გამორიცხულია, ამოწურავს სასრულს; სწორედ ამიტომ უწოდებს ს. წერეთელი წინააღმდეგობის ერთიანობას უსასრულოს. უსასრულო დასკვნა, როგორც რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა, წინააღმდეგობის ერთიანობაა და გამომდინარეობს ისეთი ცნების ბუნებიდან, როგორიცაა ლოგიკური კატეგორია; მაგალითად, უარყოფის უარყოფა სწორედ უარყოფაა, ვინაიდან უარყოფის უარყოფით კვლავ უარყოფა დგინდება. როდესაც ვიტყვით, რომ „უარყოფა არ არის" მაშინ ეს „არ.არის" თვითონ არის უარყოფა და, მაშასადამე, ამით უარყოფის აუცილებლობას ვასაბუთებთ. არსებითად ასევე ითქმის იგივეობის, კერძოს, ზოგადის, წინააღმდეგობის, ჰეშმარიტების, მსჯელობის, ცნების, აზრისა და ლოგიკურის სხვა კატეგორიების შესახებ. უსასრულო დასკვნა სწორედ უარყოფით ამ უარყოფილის დასაბუთებაა, რაც ყველაზე მკაცრ ლოგიკურ აუცილებლობას წარმოადგენს. „დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ უ რ ი ლ ო გ ი კ ა — ამბობს ს. წერეთელი — ა რ ი ს უ ს ა ს რ უ ლ ო დ ა ს კ ვ ნ ი ს ლ ო გ ი კ ა. ეს არის რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის ლოგიკა, რომელიც ამხსნელია ყოველგვარი ლოგიკურის, რომელიც ფორმალურ ლოგიკაში განიხილება"[43].

უსასრულო დასკვნა რეფლექსურობით ხასიათდება, ვინაიდან იგი თვითდადგენას წარმოადგენს, თავის თავისაკენაა მიმართული. მაგალითად. უარყოფა ყველაფერზე მოიხმარება, მაგრამ როდესაც იგი მოიხმარება თვითონ თავის თავის მიმართ, მაშინ უარყოფის თავიდან მოუცილებლობა ანუ თვითონ უარყოფა დგინდება; უარყოფის უარყოფა ადგენს უარყოფას. კატეგორიული აზრით აღებული აქ ერთი და იგივე უარყოფა გვაქვს; ამ შემთხვევაში უარყოფა თავის თავისაკენ არის მიმართული და, მაშასადამე, ხორციელდება სრული ლოგიკური რეფლექსურობა.

ს. წერეთელი შენიშნავს, რომ უსასრულო დასკვნა მიუღებელი იქნება იმისათვის, ვინც ლოგიკიდან კატეგორიებს გამორიცხავს. ამ შემთხვევაში, ცხადია, არც რეფლექსურობასთან გვექნება საქმე და არც უმკაცრეს ლოგიკურ აუცილებლობასთან, მაგრამ

---

43 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 440.

კატეგორიების გამორიცხვა ლოგიკიდან შეუძლებელია, ვინაიდან „ასეთი გამორიცხვა თვითონ არის უარყოფა, უარყოფის კატეგორიის მოხმარა"[44]. დიალექტიკური ლოგიკა კატეგორიების ლოგიკაა.

ს. წერეთელს უსასრულო დასკვნის ბუნების საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითი მოაქვს, რომელთაგან მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ; საქმე ეხება ჭეშმარიტების (ცეშმარიტების, როგორც კატეგორიის) უარყოფას. ვინც ჭეშმარიტებას უარყოფს და ამბობს, რომ „არ არსებობს ჭეშმარიტება", მაშინ იგი ამ დებულებას ჭეშმარიტად თვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში ამის თქმაც უაზრობა იქნებოდა, მაგრამ, თუ ჭეშმარიტებას უარეყოფთ და ამავე დროს ჩვენს მიერ ჭეშმარიტების უარყოფას ჭეშმარიტად ჩავთვლით, მაშინ ამ უარყოფით თვითონ დავადგენთ ჭეშმარიტებას, დავამტკიცებთ მის აუცილებლობას; რაც უფრო მეტად უარეყოფთ ჭეშმარიტებას, მით უფრო მტკიცედ ვადგენთ მას; ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია; მისი უარყოფა მასვე ადგენს ყველაზე მკაცრი ლოგიკური აუცილებლობით. ასეთი შინაგანი აუცილებელი ლოგიკური შუალობითი კავშირი არის უსასრულო დასკვნა.

ს. წერეთელი უსასრულო დასკვნად თვლის დეკარტის cogito-ს; ეს დებულება, (cogito, ergo, sum), მისი აზრით, იმას ნიშნავს, რომ აზრის უარყოფით აზრი დგინდება, მაშასადამე, უარყოფა მასვე ადგენს; „აზრის ლოგიკური უარყოფა შეუძლებელია, რადგან ეს უარყოფა თვითონ არის აზრი"[45].

დასკვნა, როგორც შუალობითი კავშირი, ამბობს ს. წერეთელი, ცხადია, აუცილებლობით შეიცავს საშუალოს. საშუალო ცნება სხვადასხვა ტიპის დასკვნებში სპეციფიკურობით ხასიათდება. 1. ფორმალურ-ლოგიკურ დასკვნებში, მაგალითად, Barbara-ში საშუალო არის ის, რაც იგივეობრივია კიდურებთან, იგი „ჩქმალავს" განსხვავებას. 2. კატეგორიული კავშირის ზოგად ფორმაში აღებულ დასკვნაში საშუალო არის განსაკუთრებული, რომელიც „ჩქმალავს" წინააღმდეგობას. 3. უსასრულო დასკვნაში სრული სახით ვლინდება წინააღმდეგობა, სახელდობრ, დადგენა-უარყოფის დამოკიდებულება. ამ დასკვნაში საშუალო არის ცნება, რომელიც უარყოფით დგინდება.

უსასრულო დასკვნის ბუნების გასაგებად ს. წერეთელს საჭიროდ მიაჩნია მისი სტრუქტურული ანალიზი, მისი ელემენტებისა

---

44 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 441.

45 ი ქ ვ ე, გვ. 446.

და აღნაგობის დადგენა, რაც, იმავე დროს, უსასრულო დასკვნის ბუნების დახასიათებას წარმოადგენს.

უსასრულო დასკვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ერთცნებიანი დასკვნაა; მისი საშუალო არის დადგენა-უარყოფის ძირი, რაც ცნებას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნაში ცნება არის ამ დასკვნის ზოგადი აზრი, რომელიც უარყოფით დადგენაში, როგორც დასკვნაში, სრული სახით არის წარმოდგენილი და ამით შუალობითი კავშირიც სრულია — წინააღმდეგობის ერთიანობას ანუ შინაგანი უარყოფით თვითდადგენას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნას, როგორც ერთცნებიან დასკვნას, ამტკიცებს ს. წერეთელი, არა აქვს წანამძღვრები და დანასკვი დამოუკიდებელი მსჯელობის სახით; წანამძღვრები არაა გარეგანი დანასკვის მიმართ. დადგენა და უარყოფა ერთი მთლიანი აზრის მომენტებია. აქ ადგილი აქვს შინაგან გაშუალებას, სადაც შინაგანი ლოგიკური აუცილებლობა ხორციელდება. უსასრულო დასკვნა მომენტად შეიცავს უარყოფით დიალექტიკას და თვითონ დადებით დიალექტიკას წარმოადგენს. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის წრიულობა, რომელიც (უსასრულობის გამო) ჰეშმარიტებას წარმოადგენს; ეს წრიულობა არ უარყოფს განვითარებას; უსასრულო დასკვნა თვითონაა განვითარება, რადგან უარსაყოფელი არის უშუალო, დაუსაბუთებელი; უარყოფით დადგენა კი მას ასაბუთებს. დასკვნის თავსა და ბოლოში აღებულია ერთი და იგივე, მაგრამ ისე, რომ რაც თავში დაუსაბუთებელია, ბოლოს საბუთდება. დასაბუთებული განსხვავდება და ლოგიკურად უფრო მაღალია, ვიდრე დასასაბუთებელი. უსასრულო დასკვნა არის თვითგაშუალება, შუალობა-უშუალობის ერთიანობა. იგი არის სასრულისა და უსასრულოს ერთიანობა, გაპირობებულისა და უპირობოს შინაგანი ერთიანობა, კერძოსა და ზოგადის, ინდუქციისა და დედუქციის ერთიანობა, საფუძველ-შედეგის შინაგანი ერთიანობა, რომელშიც სრული ლოგიკური აუცილებლობა ხორციელდება. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენის აუცილებლობაზე უფრო სრული აუცილებლობა შეუძლებელია; ამიტომ უსასრულო დასკვნა, იმავე დროს, არის დასაბუთებაც. ასეთია უსასრულო დასკვნის სტრუქტურა.

უსასრულო დასკვნას ს. წერეთელი თავისებურ რედუქციად თვლის, „ვინაიდან ადგილი აქვს შედეგიდან საფუძველზე მისვლა-მიყვანას, გადასვლას, დაყვანას"[46]. მაგალითად, ჰეშმარიტების უარ-

---

[46] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 477.

ყოფა კვლავ ჭეშმარიტებას ადგენს აუცილებლობით. ამ შემთხვევაში შედეგით საფუძველი დგინდება; აქ საფუძველი ერთგვარად უკუსვლით მიიღება, ე. ი. ადგილი აქვს ერთგვარ რედუქციას.

ს. წერეთელს მიაჩნია, რომ უსასრულო დასკვნის სტრუქტურა, რომელიც ზემოთ მოკლედ დავახასიათეთ, განსაზღვრავს ამ დასკვნის წესებს. დასკვნის წესების გარკვევა დასკვნის ბუნების გარკვევაა. ამიტომ დასკვნის წესების ანალიზი კიდევ უფრო ნათელყოფს უსასრულო დასკვნის ბუნებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ს. წერეთელი ერთმანეთისაგან არჩევს სამი ტიპის დასკვნებს: 1. ფორმალურ-ლოგიკური დასკვნები. 2. კატეგორიათა გარკვეული კავშირები, როგორც დასკვნები, და 3. უსასრულო დასკვნები. ამ სამი ტიპის დასკვნების შესაბამისად უნდა არსებობდნენ სამი სახის დასკვნის წესებიც. მაგრამ ს. წერეთელი თვლის, რომ ყველა სხვა დასკვნები იქმნებიან „უსასრულო დასკვნის მხარეთა ცალკე წარმოდგენით". აქედან ამოსული იგი ამტკიცებს, რომ ყველა სხვა დასკვნის წესები უსასრულო დასკვნის წესებს ექვემდებარებიან. ამასთანავე უსასრულო დასკვნის წესები და აზრის კანონი შეიძლება გაიგივებულ იქნას.

უსასრულო დასკვნის ერთ-ერთი წესი გვეუბნება, რომ უსასრულო დასკვნა არის წრე. „თუ რაიმე სასრულის უარყოფა ავითონ არის უარყოფილი, მაშინ მივიღებთ იმას, რაც პირველად უარვყავით. მაგიდის სიწითლის უარყოფის უარყოფა ისევე მაგიდის სიწითლეა, მისი აღდგენაა. ეს არის უარყოფის გაუქმება და უარსაყოფელის აღდგენა, რაც განმეორებას, ტავტოლოგიურობას, წრეს წარმოადგენს"[47].

ასეთი წრიულობა, ს. წერეთლის აზრით, უსასრულო დასკვნისათვის დამახასიათებელია, აუცილებელია. რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა არის წრე. საერთოდ შინაგანი უარყოფის შემცველი არის წრე. წრიულობით ხასიათდება, ს. წერეთლის მიხედვით, თვითონ ცნების განსაზღვრების პროცესიც, რადგან იგი ცნებით იწყება და ცნებითვე მთავრდება. ცნების განსაზღვრების დასაწყისი ცნების დასაწყისია, ხოლო ამ განსაზღვრების დასასრული, რაც ცნების დადგენის დამთავრებას წარმოადგენს, იმავე დროს, ცნების დამთავრებაა. გარკვეული აზრით მსჯელობაც არის წრე, რამდენადაც იგი დასრულებული აზრია. კიდევ მეტიც, ს. წერეთელი ფიქრობს, რომ „ყოველი შედარებით დამოუკიდებლად არსებული საგანი, საგანი, რომელსაც თავისი არსება აქვს — სხვანაირი საგანი კი შეუძლებელია — გარკვეულ წრეს წარმოადგენს. შინაგანი უარყოფის დამძლე-

47 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 479—480.

ვი, მისი გამძლე და შემნახველი არ შეიძლება არ იყოს შედარებით დამოუკიდებელი და არ შეიძლება გარკვეულ წრეს არ წარმოადგენდეს"[48]. უსასრულო დასკვნის წრიულობა კი იმას ნიშნავს, რომ იგი რეფლექსური თვითდადგენაა. ასევე წრიულია ლოგიკურის კატეგორიებიც, ვინაიდან მათი უარყოფა მათვე მოიხმარს და მათ დადგენას წარმოადგენს.

მაგრამ წრიულობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ გამორიცხავს განვითარებას, ვინაიდან რაიმეს უარყოფით მისივე დადგენა (დადგენილი) ლოგიკურად უფრო მაღალია იმაზე, რასაც იგი დადგენამდე წარმოადგენდა ანუ დასასრულში მიღებული უფრო მაღალია იმაზე, რაც დასაწყისში გვქონდა. მაგალითად, ცნების განსაზღვრების დასაწყისზე უფრო მაღალია დასრულებული განსაზღვრება, ასევე მსჯელობის სუბიექტზე მაღალია მთელი მსჯელობა და ა. შ. ამასთანავე ს. წერეთელი თვლის, რომ წრიულობას აზრი და გამართლება აქვს უსასრულოს მიმართ, ხოლო სასრულის სფეროში იგი შეცდომას წარმოადგენს. უსასრულობის წრიულობა მის დასრულებულობას, რეფლექსურობას ნიშნავს.

უსასრულო დასკვნის შემდეგი წესის თანახმად, უსასრულო დასკვნა არის და უნდა იყოს სრული სინთეზური. უსასრულო დასკვნა დაპირისპირებულთა ერთიანობაა; ასეთი კავშირი კი არის სრული სინთეზური კავშირი, ვინაიდან იგი დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს, სისრულით ამოწურავს სასრულის ბუნებას და ვღებულობთ უსასრულოს, რომელიც წინააღმდეგობას მომენტად შეიცავს. წმინდა ანალიზური დასკვნა ლოგიკურად შეუძლებელია, ვინაიდან წმინდა ანალიზურობა დასკვნის მხოლოდ ერთი მხარეა. ანალიზურობას აზრი აქვს სინთეზურობით; ამიტომ მათი ცალცალკე წარმოდგენა დაუშვებელია. მაგრამ სრული აუცილებელი სინთეზი, ს. წერეთლის აზრით, მაშინ ხორციელდება, როდესაც უარყოფა ადგენს უარყოფილს. ყოველი სინთეზური კავშირი შინაგან უარყოფას შეიცავს. უსასრულო დასკვნა სრული სინთეზური კავშირია. ამრიგად, სინთეზურობა უსასრულო დასკვნის ერთ-ერთი წესია.

გარდა სრული სინთეზურობისა, უსასრულო დასკვნის წესია ისიც, რომ იგი არის და უნდა იყოს შინაგანი უარყოფის შემცველი. საერთოდ კავშირი განსხვავებულთა კავშირია და, მაშასადამე, თავის თავში შინაგან უარყოფას შეიცავს. მით უმეტეს უსასრულო დასკვნა, რომელიც უარყოფით თვითდადგენას წარმოადგენს, შინაგანი უარყოფის მომენტის გარეშე შეუძლებელია.

---

48 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი. დასახ. ნაშრ., გვ. 480.

უსასრულო დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ დადებითი შეიძლება იყოს. თვითონ უსასრულობაც დადებითზე მიუთითებს, სახელდობრ, არასასრულზე, დაუსრულებელზე. წინააღმდეგობის ერთიანობა დადებითი უსასრულობაა, ამიტომ უსასრულო დასკვნაც უნდა იყოს დადებითი კავშირი.

გარდა ზემოაღნიშნული წესებისა, ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ უსასრულო ლოგიკური არის და უნდა იყოს ზოგადი, მისი მომენტები არიან და უნდა იყვნენ საფუძველ-შედეგის შუალობით დამოკიდებულებაში და სხვ. ამასთანავე ს. წერეთელი თვლის, რომ ვინაიდან უსასრულო დასკვნის წესები განსაზღვრავენ სასრული დასკვნის წესებს, ამიტომ ლოგიკის სისტემაში, როგორც მკაცრ ლოგიკურ განვითარებაში, ჯერ სასრული დასკვნის წესები უნდა გაირკვეს, ხოლო შემდეგ უსასრულო დასკვნის წესები.

უსასრულო დასკვნას, ამტკიცებს ს. წერეთელი, აქვს ფორმაც და შინაარსიც. მისი შინაარსია მისი ელემენტების — დადგენის და უარყოფის — ერთიანობა, ფორმა კი ამ ერთიანობის წესია. უსასრულო დასკვნა არის დადგენის და უარყოფის მხოლოდ გარკვეული ერთიანობა.

უსასრულო დასკვნა, ამტკიცებს ს. წერეთელი, როგორც ფორმის, ასევე შინაარსის მხრივ ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობაა; იგი სრული რეფლექსურობაა — თვითსაფუძველიცაა და თვითშედეგიც. ასეთი სრული რეფლექსურობის პირობებში ფორმა და შინაარსი, გარკვეული აზრით, ერთმანეთს ემთხვევა.

ცნებას, აღნიშნავს ს. წერეთელი, საერთოდ დიდი მნიშვნელობა აქვს მსჯელობისა და დასკვნისათვის. „ცნება არის დასკვნის ზოგადი აზრი, რომელიც მსჯელობის და დასკვნის ლოგიკური შედეგია“[49]. მაგრამ ცნება უსასრულო დასკვნაში კიდევ უფრო არსებით როლს თამაშობს; ასეთი დასკვნა თვითონ არის ერთცნებიანი დასკვნა. მაგრამ აქ გვაქვს არა უბრალო ცნება, არამედ კატეგორია, როგორც ცნება. ამასთანავე ასეთია არა ყველა კატეგორია, არამედ მხოლოდ ლოგიკურის კატეგორია. ამრიგად, უსასრულო დასკვნის ზოგადი აზრია ლოგიკურის კატეგორია-ცნება. უსასრულო დასკვნაში ცნება წარმოდგენილია ლოგიკურად გაშლილი სახით, ამიტომ „დიალექტიკური ლოგიკა არის დასკვნის ლოგიკა და არა ცნების ლოგიკა“[50].

ჩვეულებრივი ლოგიკის დასაბუთების სისტემაში, ს. წერეთლის აზრით, უსასრულო რეგრესის საშიშროება იფარება, ვინაიდან

---

49 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 507.

50 ი ქ ვ ე, გვ. 509.

წანამძღვრები სხვა წანამძღვრებით დასაბუთებას მოითხოვენ. უსასრულო დასკვნაში კი ასეთი საშიშროება მოხსნილია, ვინაიდან მას არა აქვს და არც სჭირდება გარეგანი წანამძღვრები; უსასრულო დასკვნას თავისი საფუძველი თავის თავში აქვს და ამიტომ იგი თვითსაფუძვლის მქონე დასკვნას წარმოადგენს. აქ გამორიცხულია უსასრულო რეგრესის საშიშროება, ვინაიდან იგი წრიულია და არა სწორხაზობრივი. უსასრულო დასკვნა იმავე დროს დასაბუთებაცაა; იგი დასკვნა-დასაბუთებას წარმოადგენს.

ს. წერეთელი ფიქრობს, რომ უსასრულო დასკვნაში სისრულით არის გადაწყვეტილი ის წინააღმდეგობა-ანტინომიურობა, რომელიც დაიწყო მსჯელობით და რის ნაწილობრივი გადაწყვეტა განხორციელდა უშუალო დასკვნაში, სასრულ შუალობით დასკვნაში და ცნებაში. ამიტომ უსასრულო დასკვნა არის აზროვნების ფორმების გამართლება. აზრის ფორმების კავშირი განხორციელდა ლოგიკური განვითარების სახით, რომლის მამოძრავებელსაც შინაგანი წინააღმდეგობა წარმოადგენს; ეს ლოგიკური განვითარება, რომელიც აზრის ფორმათა დასაბუთებითი სისტემაა, ანტინომიების წარმოშობა-გადაწყვეტის პროცესია. ეს პროცესი იწყება მსჯელობით და მთავრდება უსასრულო დასკვნით, რომელიც აზრის ყველა ფორმის დამსაბუთებელ ლოგიკურს წარმოადგენს. ამიტომ დიალექტიკურ ლოგიკას ს. წერეთელი განსაზღვრავს როგორც მეცხიერებას უსასრულო დასკვნის შესახებ. დიალექტიკური ლოგიკა, მისი აზრით, არის უსასრულო დასკვნის ლოგიკა, უსასრულო დასკვნის მომენტების დახასიათება ანუ იგი არის გაშლილი უსასრულო დასკვნა. მეორე მხრივ ლოგიკის მთელი შინაარსი უსასრულო დასკვნაში წარმოსდგება.

§ 4. დასაბუთება

ს. წერეთლის „დიალექტიკური ლოგიკის" მესამე ნაწილში განხილულია დასაბუთების პრობლემა. დასაბუთების პრობლემატურობა, ს. წერეთლის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ 1. დასაბუთდეს დასაბუთების ობიექტურობა, 2. ნაჩვენები იქნას ის, თუ რა წარმოადგენს დასაბუთების უნივერსალურ მეთოდს, 3. გაირკვეს დასაბუთების საწყისი. ამ საკითხების ანალიზისადმია მიძღვნილი „დიალექტიკური ლოგიკის" უკანასკნელი ნაწილი.

დასაბუთება, ამტკიცებს ს. წერეთელი, ობიექტურია, ვინაიდან დასაბუთების ლოგიკა არის ცოდნის, ჭეშმარიტი აზრის ლოგიკა, იმ აზრისა, რომელიც ობიექტურად არსებული საგნის ადეკვატურ

ასახვას წარმოადგენს. საგნის დიალექტიკურობა განსაზღვრავს ჰეშმარიტებისა და ლოგიკურის დიალექტიკურობას; საგანთა დიალექტიკა ქმნის ცნებათა დიალექტიკას (ვ. ი. ლენინი). დასაბუთების ობიექტურობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, საბუთდება დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობით[51]. ეს იგივეობა აუცილებელია, ვინაიდან ლოგიკური ობიექტურია; ლოგიკა შეისწავლის მხოლოდ იმას, რაც ობიექტურია აზრში, იგი შეისწავლის ობიექტური აზრის ფორმას. ლოგიკური, რომელსაც ლოგიკა სწავლობს, არის რეალურ-ისტორიულის ასახვა; შესაძლებელია მხოლოდ ცოდნის ლოგიკა, რადგან ლოგიკურის ჰეშმარიტობა აუცილებელია. ამიტომ ლოგიკა, ს. წერეთლის აზრით, არის ცოდნის ორგანონი; ლოგიკურის ჰეშმარიტობა იმით მტკიცდება, რომ ლოგიკურის ფორმა შინაარსეულია; რასაც ლოგიკური ფორმა წარმოადგენს, ის არის მისი შინაარსი. ლოგიკურის ფორმის და, საერთოდ, ლოგიკური ზოგადობის შინაარსეულობის გამო აუცილებელია ლოგიკურის სინთეზურობა და დიალექტიკურობა; ლოგიკურის ფორმის შინაარსეულობა მის რეფლექსურობასაც ნიშნავს. ეს რეფლექსურობა სისრულით ვლინდება კატეგორიების ლოგიკაში, სადაც ლოგიკური კატეგორიალურ-ლოგიკურია; რეფლექსურია აზრის ფორმები, რომელთა შესწავლა მათივე საშუალებით ხდება; ლოგიკურის ფორმა და ცოდნის ფორმა ერთი და იგივეა; იგივეს ამტკიცებს ს. წერეთელი ლოგიკურისა და ცოდნის კანონებზეც. ცნების განსაზღვრების მეთოდის თვალსაზრისით ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია შეუძლებელია არ იყოს ერთი და იგივე; უსასრულო დასკვნა, როგორც შინაგანი უარყოფით თვითდადგენა (წინააღმდეგობის ერთიანობა ლოგიკურში) ლოგიკური უპირობოა. ლოგიკურში წინააღმდეგობის ერთიანობის განხორციელების გამო დასაბუთების მეთოდი დიალექტიკური უნდა იყოს, ე. ი. იგი უნდა იყოს დიალექტიკური მეთოდი, როგორც შემეცნების წესი, რომელიც განისაზღვრება ობიექტური დიალექტიკის „ბირთვით"; იგი ამავე დროს უნდა იყოს დასაბუთების მეთოდიც.

დასაბუთების ლოგიკური მეთოდებიდან ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, ინდუქციის მეთოდს განიხილავს; ინდუქცია კერძოდან ზოგადის მიღებაა; ვინაიდან ასეთ მიღებას აუცილებლობის ხასიათი არა აქვს, ამიტომ ინდუქციური დასკვნის პრობლემა ლოგიკური ალბათობის პრობლემაა. ამასთანავე ს. წერეთელი ერთმანეთისა-

---

51 ს. წერეთლის თვალსაზრისს ამ საკითხზე ქვემოთ ვრცლად განვიხილავთ; აქ კი ამ მოკლე შენიშვნით დავკმაყოფილდებით.

გან განასხვავებს ლოგიკურსა და მათემატიკურ ალბათობას. მათემატიკური ალბათობა, მისი აზრით, ლოგიკურ მეთოდებს ემყარება.

ს. წერეთელი არ ეთანხმება იმ მოაზროვნეებს (რასელი და სხვები), რომლებიც ალბათობას აუცილებლობის დაბალ ხარისხად თვლიან, ვინაიდან ეს იგივეა, რაც აუცილებლობის გამოცხადება ალბათობის მაღალ ხარისხად. თუ აუცილებლობის ხარისხებზე ვილაპარაკებთ, ფიქრობს ს. წერეთელი, მაშინ დაგვრჩება მხოლოდ ალბათობა (რაიხენბახი) და, მაშასადამე, ალბათობა აბსოლუტურ მნიშვნელობას მოიპოვებს. ალბათობის აბსოლუტურობის წინააღმდეგ ს. წერეთელი მიმართავს ჰუსერლის არგუმენტს, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: თუ იმას ვიტყვით, რომ ყოველი ცოდნა ალბათურია, მაშინ ეს მტკიცებაც ალბათური იქნება და ა. შ. შედეგად უკიდურეს პრობაბილიზმს მივიღებთ. ალბათობის აბსოლუტურობის აღიარება თავის თავს აუქმებს, ვინაიდან ალბათური იქნება ეს მტკიცებაც. გარდა ამისა, ს. წერეთელი ცოდნის ალბათურობის წინააღმდეგ კატეგორიულ თვალსაზრისს მოიხმარს. იგი წერს: „ალბათურის აბსოლუტურად წარმოდგენა ალბათურის კატეგორიის აღიარებაა. თუ ალბათური არის კატეგორია, მაშინ ის აღარ იქნება ალბათური; ალბათური კატეგორია შეუძლებელია; კატეგორიას არ შეიძლება ჰქონდეს ალბათური ხასიათი. მაშასადამე, ლოგიკურ აუცილებს არა აქვს ხარისხი. ლოგიკური აუცილებლობის შესუსტება მას აუქმებს“[52]. როგორც ვხედავთ, ლოგიკური აუცილებლობის ცნების ქვეშ ს. წერეთელს ესმის აბსოლუტური აუცილებლობა; სწორედ ამიტომ მისთვის პრინციპულად მიუღებელია ლოგიკური ალბათურობის მტკიცება. აქედან გასაგებია მისი უთანხმოება რასელთან, რაიხენბახთან და სხვა თანამედროვე ფილოსოფოსთან.

მაშასადამე, ს. წერეთელი უარყოფს აუცილებლობის ხარისხების არსებობას და თვლის, რომ აუცილებლობა ერთია; მიუხედავად ამისა, მას შესაძლებლად მიაჩნია აუცილებლობის სხვადასხვაგვარი გამოვლენა. მაგალითად, ლოგიკური აუცილებლობა შეიძლება არსებობდეს სრული სახით; ასეთი აუცილებლობა განხორციელებულია უსასრულო დასკვნაში. მაგრამ არსებობს არასრული ლოგიკური აუცილებლობაც; ასეთია ფორმალურ-ლოგიკური აუცილებლობა, როგორც სასრული ლოგიკურის აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, მისი ჩათვლა ალბათობად შეუძლებელია. ს. წერეთლის აზრით, არსებობს პირობითი და უპირობო ლოგიკური, მაგრამ არ არსებობს ალბათურ-ლოგიკური; ლოგიკური არ შეიძლება იყოს ალბათური. ლოგიკური აუცილებლობის სხვადასხვაგვარი გამოვლენა (მსჯელო-

52 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 627.

ბაში, უშუალო, სასრულ შუალობით და უსასრულო დასკვნაში), ამტკიცებს იგი, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ როგორც აუცილებლობის ხარისხები. აქედან ს. წერეთელი ალბათური ლოგიკის უარყოფამდე მიდის.

ამოდის რა ამ თვალსაზრისიდან (ალბათური ლოგიკურის უარყოფა), ს. წერეთელი ფიქრობს, რომ ის ალბათობა, რომელსაც ადგილი აქვს ინდუქციაში, „მართლაც ალბათური კი არ არის, არამედ ის არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელიც ინდუქციაში ხორციელდება და უნდა განხორციელდეს (ის ხორციელდება არა მხოლოდ ინდუქციაში). ინდუქცია შესაძლებელია როგორც უარყოფითი დიალექტიკა"[53].

წინააღმდეგობის ერთიანობაში, ამბობს ს. წერეთელი, ადგილი აქვს ურთიერთგამორიცხვას; სწორედ ამ შემთხვევაში გვაქვს საწინააღმდეგოთა შესაძლებლობა — „ან-ან" — რომელ'საც იგი თავის მომენტად შეიცავს. ალბათობა, ს. წერეთლის აზრით, სწორედ ამ შესაძლებლობას უკავშირდება; ამიტომ ალბათობა უნდა გავიგოთ არა როგორც აუცილებლობის უარყოფა, არამედ როგორც აუცილებლობის ერთი მომენტი. „სრული აუცილებლობა, როგორც ვიცით, არის დაპირისპირებულთა ერთიანობის აუცილებლობა. „ალბათობა" არის დაპირისპირებულთა აუცილებლობის ერთი მომენტი"[54].

დაპირისპირებულთა ერთიანობის ეს მომენტი, რომელიც ალბათობას წარმოადგენს, ს. წერეთლის აზრით, საწინააღმდეგოს შესაძლებლობაა; იგი იმაზე მიუთითებს, რომ რაიმე შეიძლება იყოს საწინააღმდეგოც. კიდევ მეტიც, ეს იმას ნიშნავს, რომ წინააღმდეგობის ერთი მხარისათვის აუცილებელია წინააღმდეგობის მეორე მხარეც. ეს აუცილებლობა წინააღმდეგობისა, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობის ერთი მომენტი, არის უარყოფითი დიალექტიკა, რომელსაც ს. წერეთელი ალბათობას უწოდებს. ალბათობა, მისი აზრით, ნიშნავს უარყოფით დიალექტიკას, უარყოფითი დიალექტიკა კი დადებითი დიალექტიკის მომენტია, ე. ი. იგი იხსნება დადებით დიალექტიკაში. ამრიგად, ალბათური აუცილებლობის საფუძველზე შეიძლება და მით აიხსნება. ამ მიმართულებით ცდილობს ს. წერეთელი ალბათობის პრობლემის გადაწყვეტას.

ალბათური, განაგრძობს ს. წერეთელი, უარყოფით-დიალექტიკურია, როგორც კერძოსა და ზოგადის — ამ დაპირისპირებულთა ერთიანობის — ერთი მომენტი. ინდუქციის ალბათობა კერძო-

53 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკური ლოგიკა, გვ. 629.
54 იქ ვ ე, გვ. 630.

სა და ზოგადის ერთიანობის ერთი მომენტია, რადგან ინდუქცია სხვა არაფერია, თუ არა კერძოდან ზოგადზე გადასვლა. კერძოდან ზოგადზე და პირიქით გადასვლა მათ რელატიურობას აჩვენებს. კერძო და ზოგადი რელატიური კატეგორიებია, რაც მათ დიალექტიკურობას ამჟღავნებს. თუ მათ აბსოლუტური მნიშვნელობით ავიღებთ, მაშინ მათი დაკავშირება (ურთიერთგადასვლა) შეუძლებელი აღმოჩნდება. ამასთანავე ს. წერეთელი მიუთითებს, რომ რელატიურის ახსნა-დაძლევა აბსოლუტურში, უნივერსალურში სრულდება. ამიტომ ინდუქცია თვითონ ინდუქციით ვერ მოიხსნება; ის მოითხოვს უნივერსალურ მეთოდს — დიალექტიკურ მეთოდს, როგორც მის ამხსნელსა და გამმართლებელს.

ინდუქციის სიძნელე ს. წერეთელს ესმის როგორც უსასრულობის ამოწურვის სიძნელე; ზოგადის მიღებისათვის აუცილებელი ხდება უსასრულობის „გავლა", სახელდობრ, უსასრულო ერთეულების თუ კერძოების გავლა. თუ უსასრულობის ქვეშ მარტოოდენ პოტენციალურ უსასრულობას ვიგულისხმებთ, მაშინ მისი გავლა და უსასრულობის ამოწურვა მართლაც შეუძლებელი იქნება, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ინდუქციის ალბათობა დაუძლეველია და აუცილებლობას ვერასოდეს ვერ მივიღებთ.

ამ სიძნელიდან გამოსავალს ს. წერეთელი ე. წ. „ჰეშმარიტი" უსასრულობის აღიარებაში ხედავს, რომელიც პოტენციალური უსასრულობისაგან განსხვავებით დადებით უსასრულობას წარმოადგენს.

ს. წერეთელი აღნიშნავს, რომ წინააღმდეგობას ორი მხარე აქვს, რომელთაგან თითოეული სრულ კერძოს, როგორც სრულ სასრულს, წარმოადგენს. „რადგან ასეთი კერძო არის მხოლოდ ორი და მესამე გამორიცხულია, ამიტომ მათი „გავლა" შეიძლება და ხორციელდება. ორი ასეთი კერძოს დადგენით უკვე გავლილია კერძოს სფერო. ამ კერძოების დადგენით დგინდება მათთვის აუცილებელი ერთიანობა (მათი ძირი). ეს ერთიანობა არის სრული ზოგადი (უსასრულო). ამრიგად ხორციელდება კერძოდან ზოგადზე გადასვლა და უსასრულობის გავლა"[55].

გარდა ამისა, ამბობს ს. წერეთელი, უსასრულობის „გავლა" სხვა გზითაც შეიძლება მოხდეს. თუ სრული კერძო არის მხოლოდ ორი, ორივე კერძო კატეგორიალურ ფორმაში მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ეს ნიშნავს, რომ „კერძოების უსასრულობის გავლა ხდება კერძოს კატეგორიაში". ამაში ხედავს ს. წერეთელი უსასრულობის „გავლის" სიძნელის გადაწყვეტას.

55 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 637.

დასასრულ, ს. წერეთელი ფიქრობს, რომ ინდუქციის პრობლემის გადაწყვეტა უსასრულო დასკვნაში უნდა მოხდეს. უსასრულო დასკვნის მომენტების დამოკიდებულებაში ადგილი აქვს თავისებურ ინდუქციას, დედუქციასა და რედუქციას. ამ მომენტების გარჩევას ს. წერეთელი ინდუქციის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტისათვის აუცილებლად თვლის.

ინდუქციისათვის, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ არის აუცილებელი „ყველა", არამედ მისთვის საკმარისია ერთი ერთეულიც. ერთეულში არსებული ერთიანობა გარკვეული მომენტებისა არის ზოგადობა, რომლის მიღებისათვის ერთი ერთეულიც საკმარისია. მაშასადამე, ინდუქცია, როგორც კერძოდან ზოგადის მიღება, ერთი ერთეულის სფეროშიც უნდა შესრულდეს, „სადაც კერძო იქნება ერთეულის ერთმხრიობა, ზოგადი კი — ერთეულში არსებული ერთიანობა. შინაარსეული კერძო გადავა შინაარსეულ ზოგადში. შინაარსეული ინდუქცია არის ერთმხრიობიდან ერთიანობაზე გადასვლა"[56].

შინაარსეულ ინდუქციას ს. წერეთელი „კატეგორიალურს" უწოდებს, ვინაიდან აქ ხორციელდება კერძოს კატეგორიიდან ზოგადის კატეგორიაზე გადასვლა, რასაც დასკვნის ფორმა აქვს. კერძოდან ზოგადზე გადასვლა აუცილებლობით სრულდება, ვინაიდან ზოგადის გარეშე არსებული კერძო თვითონ იქცევა ზოგადად. კერძოს უარყოფა ზოგადია, ზოგადის უარყოფა კი — კერძო. „კერძო თავისი ბუნებით არის ზოგადის უარყოფა, მაგრამ ის არის ამავე დროს მისი უარყოფის უარყოფა, რომელიც ზოგადს ნიშნავს. ამიტომ კერძო გადადის ზოგადში. კერძოს და ზოგადის, როგორც ერთიმეორის უარყოფის უარყოფა, ადგენს მათ იგივეობრივს — ერთიანობას, რომელიც შინაარსეულ ზოგადობას წარმოადგენს"[57].

შინაარსეული ინდუქცია ს. წერეთელს ესმის როგორც აბსტრაქტულიდან კონკრეტულზე გადასვლა, ვინაიდან ერთმხრიობა აბსტრაქტულია, ერთმხრიობათა ერთიანობა კი — კონკრეტული.

ს. წერეთელი განიხილავს შინაარსეული ანუ კატეგორიალური დედუქციის საკითხსაც. ზოგადიდან, როგორც კატეგორიიდან, კერძოს, როგორც კატეგორიის, აუცილებელი გამოყვანა არის შინაარსეული დედუქციის განხორციელება. დედუქცია სინთეზურია, ვინაიდან ზოგადიდან კერძოზე გადასვლა საპირისპიროში გადასვლას ნიშნავს, ხოლო საპირისპიროში გადასვლაზე მეტი სინთეზურობა

---

56 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 640.

57 ი ქ ვ ე, გვ. 643.

შეუძლებელია. დედუქციაშიც, მსგავსად ინდუქციისა, უარყოფითი დიალექტიკის მომენტი გვაქვს, მაგრამ იგი ამ მომენტზე „მეტია", ვინაიდან „ზოგადიდან კერძოში გადასვლა არა არის მხოლოდ საწინააღმდეგოს თავიდან მოუცილებლობა, არამედ იგი ამ უკანასკნელის შემცველი და გამმართლებული მთელია"[58].

ს. წერეთელი ამტკიცებს შინაარსეული (კატეგორიალური) რედუქციის არსებობასაც. იგი თვლის, რომ აქამდე არსებული რედუქციები არ არიან დასკვნები, არამედ შედეგის საფუძველზე მიყვანის ზოგადი მეთოდები. მსჯელობიდან, როგორც შედეგიდან, დანასკვზე, როგორც საფუძველზე, გადასვლის აუცილებლობა, ს. წერეთლის აზრით, რედუქციის აუცილებლობაა. შინაარსეული რედუქცია მხოლოდ კატეგორიების სფეროშია შესაძლებელი, ვინაიდან აქ ხორციელდება ლოგიკური შებრუნება; არა მარტო შედეგი განისაზღვრება საფუძვლით, არამედ საფუძველიც განისაზღვრება შედეგით.

ს. წერეთელი ამტკიცებს დედუქციის, ინდუქციისა და რედუქციის ურთიერთაუცილებლობას, რაც მათ ერთიანობას მოითხოვს. ეს მოთხოვნა ხორციელდება დიალექტიკურ მეთოდში, რომელიც უნივერსალურ მეთოდს წარმოადგენს. სამივე მეთოდი კერძო მეთოდებია, რომლებიც დიალექტიკურ მეთოდში გადადიან; ეს უკანასკნელი კი მათ მოხსნილი სახით შეიცავს.

ს. წერეთელი დიალექტიკური მეთოდის ელემენტებად თვლის ანალიზის, სინთეზისა და მათი ერთიანობის მეთოდს. ანალიზი, როგორც ცნობილია, რაიმედან წინასწარმოცემულის გამოყვანაა; სინთეზი ისეთი რაიმეს დაკავშირებაა, რაც დასაკავშირებელში არ იგულისხმება; ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი კი არის „რაიმე აზრიდან განსხვავებული აზრის გამოყვანის მეთოდი". სწორედ ამიტომ ს. წერეთელი პირველ ორ მეთოდს მესამე მეთოდის ცალმხრიობად თვლის. მესამე მეთოდს (ანალიზ-სინთეზის ერთიანობას) დიალექტიკური ხასიათი აქვს, ანალიზისა და სინთეზის მეთოდები კი მისი მომენტებია.

ანალიზის მეთოდი, ამბობს ს. წერეთელი, ტავტოლოგიურობის სფეროში გამოიყენება, სინთეზური მეთოდი კი — სინთეზურ ლოგიკაში. ეს მეთოდები ერთმანეთს მოითხოვენ, ხოლო მათი გამოყენების გარეშე ლოგიკა შეუძლებელია.

ანალიზ-სინთეზურობის ერთიანობა აშკარად ჩანს, უწინარეს ყოვლისა, ცნებაში. ცნებაში ნაგულისხმები იგივეობა, ს. წერეთ-

---

58 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 644.

ლის აზრით, ანალიზურობაა, ხოლო მასში არსებული განსხვავებული ერთიანობა — სინთეზურობა; იგი არის ანალიზურობის შემცველი სინთეზურობა. „ცნება, როგორც დასკვნის ზოგადი აზრი,... არ შეიძლება არ იყოს ანალიზ-სინთეზურობის ერთიანობა"[59].

ასევე ანალიზ-სინთეზურობის ერთიანობას წარმოადგენს დასაბუთება. ეს უკანასკნელი შეუძლებელი იქნება იმ შემთხვევაში, თუ საფუძველი და შედეგი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან; დასაბუთების ტავტოლოგიურობა შეცდომაა. აქედან გამომდინარეობს, რომ დასაბუთება ანალიზ-სინთეზურობის ერთიანობა უნდა იყოს.

კერძო ლოგიკური მეთოდების განხილვის შემდეგ ს. წერეთელი გადადის დასაბუთების დიალექტიკურ მეთოდზე, როგორც უნივერსალურ მეთოდზე, რომელსაც ზემო განხილული მეთოდები ექვემდებარებიან. დიალექტიკური მეთოდის უნივერსალურობის დასადასტურებლად ს. წერეთელს რამდენიმე საბუთი მოაქვს.

დიალექტიკური მეთოდი, ამტკიცებს ს. წერეთელი, წინააღმდეგობის ერთიანობის მეთოდია, რომელზე უმაღლესი და მისი დამქვემდებარებელი შეუძლებელია, რადგან შეუძლებელია წინააღმდეგობის ერთიანობის უარყოფა; „მისი უარყოფა მასვე მოითხოვს და მასვე ადგენს". ფორმალურ-ლოგიკური საზღვარი წინააღმდეგობაა, ხოლო წინააღმდეგობის ერთიანობა — ამ საზღვრის გადალახვა და ლოგიკური უსაზღვროებაა, ლოგიკური უსასრულობაა; ცხადია, იგი უნდა იყოს უნივერსალური.

დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი, ამტკიცებს ს. წერეთელი, ლოგიკურის კატეგორიის აზრს ემყარება; ლოგიკურის კატეგორიაზე უფრო ზოგადი კი შეუძლებელია; იგი აზროვნების უკანასკნელი საშუალება-საფუძველია, ლოგიკურის ძირია. ამიტომ „დიალექტიკურ მეთოდზე უმაღლესი მეთოდი დასაბუთებისა შეუძლებელია; ის არის უნივერსალური მეთოდი ლოგიკურში, დასაბუთებაში (და არა მხოლოდ დასაბუთებაში)"[60].

დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი, ს. წერეთლის აზრით, უსასრულო დასკვნის მეთოდია; უსასრულო დასკვნაში განხორციელებული აუცილებლობა უმაღლესი ლოგიკური აუცილებლობაა. ამიტომ დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის მიერ ნაგულისხმები აუცილებლობის ფორმა, წესი და კანონი არის ლოგიკურის უნივერსალური ფორმა, წესი და კანონი.

გარდა ამისა, ცნობილი მეთოდები ინდუქცია, დედუქცია და

---

59 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 651.
60 ი ქ ვ ე. გვ. 662.

რედუქცია მოთხოვენ დიალექტიკურ მეთოდს, როგორც თავის საფუძველსა და გამმართლებელს. ეს უკანასკნელი კი სხვას თავის საფუძვლად აღარ მოითხოვს; იგი უნივერსალური მეთოდია.

ამ (და სხვა) მოსაზრებების საფუძველზე ს. წერეთელი დაასკვნის, რომ დიალექტიკური მეთოდი დასაბუთების უნივერსალურ ლოგიკურ მეთოდს წარმოადგენს. დასაბუთების მეთოდი ლოგიკაში უნდა იყოს უნივერსალური მეთოდი. ლოგიკური უნივერსალური მეთოდის ქვეშ მას ესმის აზრის ლოგიკური ფორმების განვითარების წესი, ფორმა. აზრის ლოგიკური ფორმები მარტივიდან რთულისაკენ ვითარდება შინაგანი წინააღმდეგობის წარმოშობა-გადაწყვეტის გზით. ამიტომ ლოგიკურის შინაარსის (ლოგიკური ფორმები) განვითარების ფორმა არის დადებით-დიალექტიკური ფორმა. ფორმალურ-ლოგიკური მეთოდები ინდუქცია, დედუქცია და რედუქცია, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, კერძო ლოგიკურ მეთოდებადაა გამოცხადებული. დასაბუთების კერძო ლოგიკურ მეთოდს ს. წერეთელი ისეთ მეთოდს უწოდებს, რომელიც რაღაც დაუსაბუთებელს ეყრდნობა და მომენტის სახით შეიცავს. მათგან განსხვავებით უნივერსალური ლოგიკური მეთოდი დასაბუთებიდან დაუსაბუთებელს სისრულით გამორიცხავს. დასაბუთების კერძო ლოგიკური მეთოდები ერთიმეორის საპირისპირო მეთოდებია, მაგრამ ისინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ერთმანეთს აუცილებლობით მოითხოვენ; ამ აუცილებლობითი მოთხოვნის ქვეშ ს. წერეთელს უნივერსალური ლოგიკური მეთოდის აუცილებლობა ესმის. თუ დასაბუთების ლოგიკური მეთოდები კერძოსა და ზოგადის ერთიანობის ცალმხრიობებს წარმოადგენენ, სამაგიეროდ უნივერსალური მეთოდი კერძოსა და ზოგადის ერთიანობის მეთოდია. კერძოსა და ზოგადის, როგორც დაპირისპირებულთა, ერთიანობა დიალექტიკურია; ამიტომ დიალექტიკური ბუნებისა უნდა იყვნენ კერძო ლოგიკური მეთოდებიც, რამდენადაც ზოგადიდან კერძოზე გადასვლა (დედუქცია) და პირიქით (ინდუქცია) საპირისპირო გადასვლებს წარმოადგენენ. ამიტომ ფორმალურ-ლოგიკური კერძო მეთოდებისაგან განსხვავებით უნდა არსებობდნენ, ს. წერეთლის აზრით, კერძო შინაარსეული მეთოდები. ეს მეთოდებია შინაარსეული დედუქცია, შინაარსეული ინდუქცია და სხვ., რომლებიც შინაარსეული კერძოსა და ზოგადის დამოკიდებულებას ემყრებიან და კატეგორიების გადასვლაში სისრულით ხორციელდებიან. სწორედ ამიტომ უწოდებს მათ ს. წერეთელი კატეგორიალურ მეთოდებს.

ზემოხსენებული კერძო ლოგიკური მეთოდები დიალექტიკური მეთოდის, როგორც უნივერსალური ლოგიკური მეთოდის მომენტე-

ბადაა წარმოდგენილი ს. წერეთლის ლოგიკურ კონცეფციაში. წინააღმდეგობათა ერთიანობის ლოგიკური მეთოდი უსასრულო დასკვნის მეთოდს წარმოადგენს. ეს მეთოდი, ს. წერეთლის აზრით, იმავე დროს ლოგიკური დალაგების მეთოდიცაა, ვინაიდან იგი არის აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ სვლის მეთოდი. დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის შინაარსს ის შეადგენს, რომ იგი არის 1. ანალიზ-სინთეზის ერთიანობის მეთოდი, 2. ცნების ლოგიკური განსაზღვრების მეთოდი, 3. უშუალობა-შუალობის ერთიანობის მეთოდი, და, რაც მთავარია, 4. ლოგიკური განვითარების მეთოდი, რომელიც ლოგიკის მეცნიერებაში ხორციელდება, როგორც აზრის ფორმათა განვითარებითი კავშირი, სადაც აზრის ფორმების შინაგანი ანტინომიების გაშლა-გადაწყვეტა ხორციელდება. ამ უკანასკნელ მომენტს ს. წერეთელი განსაკუთრებით გამოყოფს და უფრო ვრცლადაც განიხილავს. ამიტომ ჩვენ მის შესახებ რამდენადმე შევჩერდებით.

ს. წერეთელი ამოდის კ. მარქსის იმ დებულებიდან, რომ ლოგიკური რეალურ-ისტორიულის ასახვას წარმოადგენს, კერძოდ, იგი არის შემეცნებით-ისტორიულის ანუ შემეცნების ისტორიის ზოგადი მხარე. ასეა წარმოდგენილი ლოგიკური ჰეგელთან, მარქსთან და ლენინთან. კ. მარქსის „კაპიტალის" სისტემა, როგორც კატეგორიების სისტემა, ამბობს ს. წერეთელი, ეს არის ისტორია, რომელიც აზრობრივადაა წარმოდგენილი არსებითის, ზოგადის მხრივ. ისტორიულად ჯერ იყო საქონელი, შემდეგ ფული და, ბოლოს, კაპიტალი. ამ კატეგორიების სისტემა, როგორც განვითარება, ისტორიულის ამსახველია. აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ „ლოგიკური განვითარება ობიექტური ხასიათისაა, რადგან ის ისტორიულობის ასახვას წარმოადგენს"[61].

ს. წერეთელს მიაჩნია, რომ ისტორიულად არსებობდა და არსებობს სასრული ლოგიკური და უსასრულო ლოგიკური (ამდენად ლოგიკური ისტორიულის ასახვას წარმოადგენს, ე. ი. დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია ლოგიკურის ისტორიული განვითარების ასახვაა). სასრული ლოგიკურის სფერო, როგორც აღვნიშნეთ, ფორმალური ლოგიკაა, ხოლო უსასრულო ლოგიკური დიალექტიკურ-ლოგიკურს წარმოადგენს. ფორმალური ლოგიკის არსებობა განპირობებულია იმით, რომ „სასრული ლოგიკურის ცალკე წარმოდგენა შესაძლებელია". მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც უსასრულო ლოგიკურის, ე. ი. დიალექტიკურ-ლოგიკურის ერთი მხარეა. სასრუ-

---

61 ს. წ ე რ ეთ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 678.

ლი ლოგიკური, ს. წერეთლის მიხედვით, მოიცავს ფორმალურ-ლოგიკურსა და უარყოფით დიალექტიკურ-ლოგიკურს; ამ უკანასკნელის ცალკე წარმოდგენა, მისი დამოუკიდებლად არსებობა შეუძლებელია, რადგან იგი გვაძლევს არა ლოგიკურს, არამედ სოფისტიკურს, ლოგიკურის უარყოფას. დიალექტიკურ-ლოგიკური თავის თავში შეიცავს (იქვემდებარებს) ფორმალურ-ლოგიკურსაც და უარყოფით დიალექტიკურ-ლოგიკურსაც; თვითონ დიალექტიკურ-ლოგიკური კი დადებითობით ხასიათდება.

ფორმალურ-ლოგიკური, ამბობს ს. წერეთელი, ერთმნიშვნელოვანი ლოგიკურია; იგი ერთი მნიშვნელობის არსებობას უშვებს; ასეთი ლოგიკური ანალიზურია, რადგან იგი „არ სცილდება რაიმე განსაზღვრულობის ფარგლებს". სწორედ ამიტომ ფორმალურ ლოგიკაში დაპირისპირებულთა აუცილებელი კავშირი შეუძლებლადაა მიჩნეული, რაც ფორმალური ლოგიკის შეზღუდულობას გვიჩვენებს.

ს. წერეთელი მიუთითებს კანტზე, რომელმაც ანტინომიების გარჩევით პირველად შეამჩნია ლოგიკურისათვის ორმნიშვნელოვნების აუცილებლობა, ნათელი გახადა რაიმესათვის მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობა, რაც სწორედ უსასრულობის ცნებამ მოითხოვა. მაგრამ კანტი უარყოფითი დიალექტიკის თვალსაზრისზე დარჩა. მან უარყოფითი დიალექტიკა — რაიმესათვის მისი საწინააღმდეგოს აუცილებლობა — დაუძლეველ შეცდომად ჩათვალა.

დადებითი დიალექტიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ადგენს ისეთ ერთმნიშვნელოვნებას, რომელიც „ორმნიშვნელოვანის მომხსნელ-შემნახველია; ეს არის უარყოფითი დიალექტიკის შემცველი დადებითი დიალექტიკა, როგორც გარკვეული სინთეზი ერთმნიშვნელოვნების და ორმნიშვნელოვნების მქონე ლოგიკურობისა, როგორც მისი ცალმხრიობის ერთიანობა"[62].

უარყოფითი დიალექტიკურ-ლოგიკური, როგორც ორმნიშვნელოვანი, ს. წერეთლის აზრით, გარკვეული რეფლექსურობით ხასიათდება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ უარყოფითში დადებითი „ჩანს", ხოლო დადებითში — უარყოფითი; ასევე კერძოში „ჩანს" ზოგადი და პირიქით. ამგვარ რეფლექსურობას ს. წერეთელი არ თვლის „სრულ რეფლექსურობად" და მოითხოვს მის დაძლევას. იგი დაიძლევა ლოგიკურის კატეგორიებისა და, განსაკუთრებით, უსასრულო დასკვნის რეფლექსურობით, რომელიც ლოგიკურ თვითდადგენას წარმოადგენს. უსასრულო დასკვნა მხოლოდ წინააღმ-

---

62 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 682.

დეგობა კი არ არის, როგორც ამას ადგილი აქვს უარყოფით-დიალექტიკურ-ლოგიკურში, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობა; სწორედ ამიტომ მას ს. წერეთელი დადებით-დიალექტიკურ-ლოგიკურად თვლის.

ამდენად, ამბობს ს. წერეთელი, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ერთგვარ „სამმნიშვნელობას"; მაგრამ „მესამე" მნიშვნელობა სასრული კი არ არის, ე. ი. მართლაც მესამე კი არ არის, არამედ იგი უსასრულობის ბუნებისაა, თავის თავში შეიცავს ორმნიშვნელობასაც და ერთმნიშვნელობასაც.

ამ შემთხვევაში ს. წერეთელს იმის ჩვენება სურს, რომ „ერთმნიშვნელოვანი ლოგიკური თავისი ბუნებით გადადის ორმნიშვნელოვანში, რომელიც მართლდება „სამ" მნიშვნელოვან ლოგიკურში, როგორც უსასრულო ლოგიკურში — დადებით დიალექტიკურ-ლოგიკურში". ყოველივე ეს კი იმის დასაბუთებას ემსახურება, რომ „ლოგიკურის ცნება ლოგიკურ განვითარებას, როგორც გარკვეულ დასაბუთებას, წარმოადგენს"[63].

აზრის ფორმათა კავშირი, ამბობს ს. წერეთელი, არის ლოგიკური განვითარება, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობის წარმოშობა-გადაწყვეტის გზით ხორციელდება და წინააღმდეგობის ერთიანობით, როგორც თვითდადგენით, სრულდება. ლოგიკურის ცნება სისრულით წარმოსდგება ლოგიკური განვითარების ბოლოს, თვითონ განვითარებაში. ლოგიკური, ამბობს ს. წერეთელი, არის განვითარება; ამიტომ მისი შესაბამისი მეთოდი არის განვითარების მეთოდი.

დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, ს. წერეთლის აზრით, სისრულით წარმოსდგება ლოგიკურის თვითდადგენის მეთოდში. დასაბუთების დიალექტიკური მეთოდი არის წინააღმდეგობის ერთიანობის ანუ შინაგანი უარყოფით თვითდადგენის მეთოდი, რომლის რეალურ საფუძველს ობიექტური დიალექტიკა წარმოადგენს.

ფორმალურ ლოგიკაში, ამტკიცებს ს. წერეთელი, დასაბუთება გაგებულია როგორც გარეგანი საფუძვლით რაიმეს დადგენა ანუ რაიმეს დადგენა სხვის საფუძველზე. ეს გარემოება იწვევს უსასრულო რეგრესს დასაბუთებაში, ვინაიდან საჭირო ხდება დამსაბუთებლის დასაბუთება და ასე უსასრულოდ, რაც დასაბუთების შეუძლებლობას ნიშნავს. ამიტომ ამ რეგრესის „შეჩერებას" ცდილობენ

---

63 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 683.

აქსიომების — დაუსაბუთებელი დებულებების — შემოტანით. ს. წერეთელს ეს გზა მიუღებლად მიაჩნია, ვინაიდან თვლის, რომ „დასაბუთებაში რეგრესის შეჩერება დაუსაბუთებლით შეუძლებელია".

ნამდვილი დასაბუთება, ს. წერეთლის აზრით, შინაგან საფუძველს უნდა ემყარებოდეს; იგი უნდა იყოს შინაგანი საფუძვლით დასაბუთება; ეს იქნება წრიული დასაბუთება ისე, რომ წრიულობა შეცდომას არ უნდა წარმოადგენდეს. დასაბუთების წრიულობის გამართლება კი, მისი აზრით, შესაძლებელია მაშინ, თუ აღმოჩნდა დასკვნის ისეთი ფორმა, რომელიც დასაბუთების წრიულობის ლოგიკური ფორმა იქნება. ეს არის უსასრულო დასკვნა. ლოგიკური თვითდადგენის მეთოდი უსასრულო დასკვნის მეთოდია; იგი არის ლოგიკური რეფლექსურობის მეთოდი, უნივერსალური მეთოდი. სწორედ ეს მეთოდია, ს. წერეთლის მიხედვით, ლოგიკური განვითარების ზოგადობის ფორმა, რაც დასაბუთების უმაღლეს ზოგადობას წარმოადგენს, რომლის ფორმა არის უსასრულო დასკვნა. ამრიგად, უსასრულო დასკვნას ს. წერეთელი დასაბუთების სრულ ფორმად თვლის.

ს. წერეთელს მიაჩნია, რომ უსასრულო დასკვნა თავის მომენტად შეიცავს მთელი ლოგიკის შინაარსს. „მთელი ლოგიკის სისტემის შინაარსი არის გაშლილი უსასრულო დასკვნა. მთელი ლოგიკა შეკრულია ერთ სრულ ზუალობით კავშირში, გამოიხატება ერთი დასკვნით — უსასრულო დასკვნით"[64].

დასაბუთების დიალექტიკური მეთოდის გარჩევის საფუძველზე ს. წერეთელი აჩვენებს ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის დამოკიდებულების სქემას მათი ცალკეული მომენტების ურთიერთდაპირისპირების საშუალებით:

ფორმალური ლოგიკა	დიალექტიკური ლოგიკა
ანალიზურობა	სინთეზურობა
ერთმნიშვნელოვნება	ორმნიშვნელოვნება
არაწინააღმდეგობრიობა	წინააღმდეგობრიობა
სწორხაზობრიობა	წრიულობა
არარეფლექსურობა	რეფლექსურობა
სასრულობა	უსასრულობა
სხვით დადგენა	თვითდადგენა
„ორნიშნა"	„სამნიშნა".

64 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 690.

ამასთანავე ს. წერეთელი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფორმალური ლოგიკა (სქემის მარცხენა მხარე) დიალექტიკური ლოგიკის (სქემის მარჯვენა მხარე) მომენტია[65].

ს. წერეთლის „დიალექტიკური ლოგიკის" უკანასკნელი თავი შეეხება დასაბუთების საწყისის პრობლემას, რომელსაც მან სპეციალური წიგნი მიუძღვნა, ამიტომ ამ პრობლემას აქ მოკლედ განვიხილავთ.

დასაბუთების საწყისის პრობლემა, ამტკიცებს ს. წერეთელი, დასაბუთების არსების პრობლემაა. დასაბუთების რეალური საწყისი არის ობიექტური სინამდვილის კანონზომიერება, რომლის თავისებურ ასახვასაც ის წარმოადგენს, და ადამიანის რევოლუციურ-გარდამქმნელი პრაქტიკა; დასაბუთების ლოგიკური საწყისი კი არის ის, რაც დასაბუთების არსებას შეადგენს. დასაბუთების საწყისის შესახებ საკითხი შეიცავს სიძნელეს, ამიტომ ის პრობლემას წარმოადგენს. ეს სიძნელე, ს. წერეთლის აზრით, ისაა, რომ თუ საწყისი, როგორც გარკვეული დებულება, დასაბუთებულია, მაშინ საწყისი იქნება არა ეს დებულება, არამედ მისი დამსაბუთებელი და ა. შ. თუ დებულების დასაბუთება მისთვის გარეგანი საფუძვლის მონახვას ნიშნავს, მაშინ უსასრულობაში რეგრესი აუცილებელია. თუ დასაბუთების საწყისი დებულება დაუსაბუთებელია, მაშინ დაუსაბუთებლობის და დასაბუთებადობის კავშირი გამოუვალ წინააღმდეგობას ქმნის; ინტუიცია არ შეიძლება იყოს დასაბუთების საწყისი, რადგან იგი არალოგიკური მდგომარეობაა. არალოგიკურის და ლოგიკურის კავშირი კი შეუძლებელია. დასაბუთების მიმართ სკეპტიციზმი, ე. ი. დასაბუთების უარყოფა შეუძლებელია, რადგან ასეთი უარყოფა თვითონ ასრულებს დასაბუთების როლს; უაზრობაა დაასაბუთო დასაბუთების შეუძლებლობა.

დასაბუთების საწყისი უნდა იყოს დადებითი, რადგან უარყოფითი დადებითს წინასწარ გულისხმობს, მაგრამ იგი უნდა შეიცავდეს უარყოფის მომენტსაც; წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფითი დადებითს შინაგნად, აუცილებლობით არ დაუკავშირდება. შინაგანი უარყოფის შემცველი დადებითობა არის გარკვეული ერთიანობა, შინაარსეული ზოგადობა, რომელიც, როგორც საწყისის აუცილებლობა ნიშნავს შედეგისათვის საფუძვლის აუცილებლობას; ამიტომ დასაბუთების ლოგიკური საწყისი უნდა იყოს თვითსაფუძველი, გარკვეული თვითდადგენა. ასეთი არ შეიძლება იყოს აქსიომა,

---

65 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 693.

თუმცა აქსიომის „სიცხადე“ რაღაც თავისთავადობაზე მიუთითებს. დასაბუთების საწყისი არ შეიძლება იყოს აქსიომა, როგორც დაუსაბუთებელი — უშუალო — დებულება, რადგან ის გაშუალებულია დასაბუთების მთელი შინაარსით (სწორედ ამიტომ მოითხოვს დასაბუთების სხვადასხვა სისტემა განსხვავებულ აქსიომებს). დასაბუთების საწყისი სწორედ მისი საწყისია. აქსიომის არჩევა, ის, რომ აქსიომად გამოდგება ეს და არა სხვა დებულება, უკვე მისი დასაბუთებაა (ე. ი. აქსიომის მოხსნაა).

ს. წერეთელი ფიქრობს, რომ დასაბუთების საწყისი უნდა იყოს ლოგიკური უშუალობის (არა ინტუიციის) და შუალობის ერთიანობა, რადგან შეუძლებელია როგორც წმინდა უშუალო, ასევე წმინდა შუალობითი (უშუალო არის შუალობის ერთი მხარე — მომენტი). უშუალოს და შუალობის ერთიანობა დასაბუთებაში არსებობს როგორც შინაარსეული კერძოს და ზოგადის ერთიანობა. დასაბუთებაში შინაარსეული კერძოს და ზოგადის ერთიანობა კატეგორიული ფორმით არსებობს დადგენა-უარყოფის ერთიანობის სახით, რაც რაიმეს უარყოფით მისსავე დადგენას წარმოადგენს.

ამრიგად, ს. წერეთელი ფიქრობს, რომ დასაბუთების საწყისი არის უსასრულო დასკვნა.

ასეთია, მოკლედ, ს. წერეთლის დიალექტიკურ-ლოგიკური კონცეფცია, რომელიც, არსებითად, უსასრულო დასკვნის თეორიას წარმოადგენს.

თავი მეოთხე

დიალექტიკური მატერიალიზმის მკვლევარი

§ 1. წინასწარი შენიშვნები

თუმცა ს. წერეთლის ვიწრო სპეციალობას ლოგიკა წარმოადგენდა, მაგრამ მისი გამოკვლევების მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია დიალექტიკური მატერიალიზმისა და ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებისადმიც. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად ს. წერეთლის ყურადღების ცენტრში ყოველთვის მაინც უსასრულო დასკვნის თეორია იდგა და ამ კუთხით განიხილავდა ყველა ფილოსოფიურ პრობლემას, ამ თეორიის დასაბუთებას ემსახურებოდა მისი ყოველი ნაშრომი, ეხებოდა იგი დიალექტიკური მატერიალიზმის, თუ ფილოსოფიის ისტორიის საკითხებს. ამდენად ს. წერეთელი სისტემატიკოსი მოაზროვნე იყოს. ამ დებულების სისწორეში ადვილად დავრწმუნდებით, როდესაც გავაანალიზებთ მის ნაშრომებს ფილოსოფიის სხვადასხვა დარგში და, უწინარეს ყოვლისა, დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემებზე.

ბუნებრივია, რომ ს. წერეთლისათვის, როგორც დიალექტიკური ლოგიკის მკვლევარისათვის, დიალექტიკური მატერიალიზმი მისი მეორე სპეციალობა იყო; დიალექტიკური ლოგიკა ხომ დიალექტიკის პრინციპიდან ამოდის, მას ემყარება და, ცხადია, დიალექტიკური ლოგიკის ისეთი სერიოზული მკვლევარი, როგორიც ს. წერეთელი იყო, იმავე დროს დიალექტიკური მატერიალიზმის სპეციალისტიც უნდა ყოფილიყო. ამით აიხსნება მისი ერუდიცია არა მარტო დიალექტიკური მატერიალიზმის, არამედ აგრეთვე იდეალისტური დიალექტიკის (კერძოდ, ჰეგელის ფილოსოფიის) დარგში.

ს. წერეთლის გამოკვლევები დიალექტიკური მატერიალიზმის პრობლემებზე სამ ჯგუფად შეიძლება გავყოთ: 1. ნაშრომები, რომლებიც ეხებიან დიალექტიკის თეორიას (დიალექტიკის ნიშნები,

კანონები და მათი ურთიერთკავშირი, დიალექტიკა და მეტაფიზიკა, მეცნიერების კანონების ბუნება და სხვ.), 2. გამოკვლევა ჰეშმარიტების დიალექტიკურ-ლოგიკური ბუნების შესახებ და 3. გამოკვლევა დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ. მოკლედ დავახასიათებთ თითოეულ მათგანს.

§ 2. მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის პრობლემები

ს. წერეთლის ერთ-ერთ საუკეთესო გამოკვლევას მატერიალისტური დიალექტიკის დარგში წარმოადგენს მისი ნაშრომი „დიალექტიკის სტალინური განსაზღვრების ბუნებისათვის", რომელიც 1950 წელს ფილოსოფიის ინსტიტუტის „შრომების" მეორე ტომში დაიბეჭდა[1]. ამ სტატიაში ავტორი აანალიზებს დიალექტიკის ცნების ნიშნებს, რომლებიც მოცემული იყო ი. ბ. სტალინის ნაშრომში „დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ" და აჩვენებს მათ ურთიერთკავშირს. აქ მოპოვებული შედეგები ს. წერეთელმა შეიტანა თავის მონოგრაფიაში „ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის" და გაიმეორა ამავე წიგნის მეორე გამოცემაში „ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ".

დიალექტიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომში, არის განვითარების თეორია; იგი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ რა კანონებს ექვემდებარება განვითარება, რა არის მისი არსება? დიალექტიკა თვლის, რომ განვითარებას უნივერსალური ხასიათი აქვს; ყველაფერი ვითარდება — როგორც მატერიალურ სინამდვილეში, ასეკე ჩვენს აზროვნებაში. აქედან გამომდინარეობს, რომ უნდა ვითარდებოდეს თვითონ განვითარების თეორიაც; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა განვითარებადი სინამდვილის ასახვა. ეს განვითარება უნდა ჩანდეს თვითონ დიალექტიკის ცნებაში, რომელიც „რეალური სინამდვილის განვითარების უზოგადესი კანონების ასახვას წარმოადგენს"[2]. დიალექტიკის ცნების ნიშნების ურთიერთკავშირის ანალიზის საფუძველზე ს. წერეთელი ცდილობს აღმოაჩინოს დიალექტიკის ცნების დიალექტიკური ხასიათი.

ი. ბ. სტალინი დიალექტიკის ოთხ ნიშანს ასახელებს: 1. ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა საგნებსა და მოვლე-

---

1 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დიალექტიკის სტალინური განსაზღვრების ბუნებისათვის, „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები", ტ. II, თბილისი, 1950, გვ. 73—85.

2 ი ქ ვ ე. გვ. 77.

ნებს შორის; 2. მოძრაობისა და განვითარების განუწყვეტლობა; 3. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლა; 4. შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც განვითარების წყარო. თითოეული ამ ნიშანთაგანი, ამტკიცებს ს. წერეთელი, მოითხოვს მეორეს; ხოლო მეოთხე ნიშანი ყველაფრის ამხსნელსა და საფუძველს წარმოადგენს. ოთხივე ერთად დიალექტიკის ცნებას იძლევა; ვინაიდან ისინი დიალექტიკის ცნების ნიშნებია; სწორედ ამიტომ მათი საშუალებით უნდა მოხდეს დიალექტიკის ცნების განსაზღვრება.

დიალექტიკის ამ ნიშნებს შორის, ამტკიცებს ს. წერეთელი, სრულიად გარკვეული თანმიმდევრობაა, კავშირია. ეს კავშირი თვითონ არის დიალექტიკური, კერძოდ, 1. „თვითონ ნიშანთა შორის არის გარკვეული ურთიერთკავშირი და გაპირობება", 2. დიალექტიკის ნიშანთა კავშირი თვითონ წარმოადგენს გარკვეულ განვითარებას; ერთი ნიშნის განვითარება მეორე ნიშანს იძლევა და ა. შ. 3. ყოველი მომდევნო ნიშანი წინა ნიშნიდან მიიღება, როგორც ახალი, უფრო ღრმა და კონკრეტული წინა ნიშნებთან შედარებით; 4. საბოლოოდ კი, „ყოველი ნიშნის არსებას და ამიტომ მთელი დიალექტიკის არსებას წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს"[3]. ამ დებულებების გაშლა-დასაბუთებას ემსახურება ს. წერეთლის ზემოხსენებული ნაშრომი.

დიალექტიკის პირველი ნიშნის მიხედვით, საგნებსა და მოვლენებს შორის მკაცრი ურთიერთკავშირი და ურთიერთგანპირობებულობა არსებობს. თუ ამ ნიშნის აბსტრაქციას მოვახდენთ, მოვწყვეტთ მას სხვა ნიშნებისაგან და მით დავკმაყოფილდებით, მაშინ, ს. წერეთლის აზრით, დიალექტიკის ნაცვლად მივიღებთ მეტაფიზიკას, კერძოდ, სინამდვილე წარმოგვიდგება როგორც მკვდარი, უძრავი და უცვლელი, „მკაცრად შეკრული" და „შეზოჭილი", „მოძრაობისა და განვითარების გარეშე მყოფი". ეს გარემოება ადასტურებს, რომ „პირველი ნიშანი დიალექტიკის აუცილებელი ნიშანია, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი; მისი ცალკე წარმოდგენა, მისთვის აბსოლუტური მნიშვნელობის მიცემა დიალექტიკის უარყოფა იქნებოდა. მაშასადამე, დიალექტიკის პირველ ნიშანს ახასიათებს ისეთი რამ, რომლის აბსოლუტურად წარმოდგენა დიალექტიკას გააუქმებდა"[4]. აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ დიალექტიკის პირველი ნიშანი, ცალკე აღებული, არასაკმარისია, ნაკლოვანია; იგი არა მარტო ვერ გვაძლევს დიალექტიკის ცნების განსაზღვრებას, არამედ, პირი-

---

3 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 78.

4 ი ქ ვ ე.

ქით, მისი გააბსოლუტურება დიალექტიკას აუქმებს. დიალექტიკის პირველი ნიშნის ნაკლის მოხსნა, მისი შევსება ხდება მეორე ნიშნით; იგი მოითხოვს და ემყარება მეორე ნიშანს. „დიალექტიკის პირველ ნიშანს მხოლოდ მეორე ნიშნით აქვს აზრი; პირველი ნიშნის საფუძველი და შესაძლებლობა მეორე ნიშანშია. პირველი ნიშანი მეორე ნიშანშია მოხსნილი და შენახული. პირველი ნიშანი მეორე ნიშნის მხოლოდ ერთი მხარეა. რომელიმე მოვლენის ის მხარე, რომელიც ამ მოვლენის მოხსნასა და ახალში გადასვლას მოითხოვს და, მაშასადამე, კავშირის საფუძველს წარმოადგენს, არის ამ მოვლენის არსებითი და დაუძლეველი (თვით სხვის დამძლევი) მხარე"[5]. ასეთი მჭიდრო, შინაგანი კავშირია პირველსა და მეორე ნიშანს შორის; მეორე ნიშანი არის პირველის განვითარება, მას პირველი ნიშანი თავისი ბუნებით მოითხოვს, როგორც თავის საფუძველსა და ამხსნელს.

ასევე ითქმის დიალექტიკის სხვა ნიშნების შესახებაც; „ცალკე წარმოდგენილი მეორე ნიშანი დიალექტიკისა არ აკმაყოფილებს დიალექტიკის მოთხოვნებს; პირიქით, მისი აბსოლუტური გამოცალკევება დიალექტიკას გამორიცხავს, ნამდვილ დიალექტიკას ეწინააღმდეგება"[6]. დიალექტიკის მეორე ნიშანი, ცალკე აღებული, არ გვაჩვენებს განვითარების არსებას და ამიტომ გაურკვევლობას ქმნის. იგი, აბსტრაქტულად განხილული, განუწყვეტელი პროცესის არსებობაზე მიუთითებს და ნამდვილი განვითარება რაოდენობრივ ცვლილებებზე დაჰყავს. მაშასადამე, „დიალექტიკის მეორე ნიშანი აუცილებელია, მაგრამ სრულიადაც არ არის საკმარისი დიალექტიკის ბუნების გამოსახატავად". ერთი სიტყვით, ვერც მეორე ნიშანი ხსნის განვითარების ბუნებას, ვერ გვაჩვენებს, თუ როგორ ხდება განვითარება.

შემდგომ ნაბიჯს დიალექტიკის მესამე ნიშანი წარმოადგენს; იგი გვეუბნება, რომ „ნამდვილი განვითარება მაშინ კი არა გვაქვს, როცა წრისებური მოძრაობა და განმეორება ხდება, არამედ მაშინ, როცა განვითარება ძირეულ, თვისებრივ ცვლილებებს შეიცავს, როცა იგი ნახტომისებურია"[7]. ეს ნიშნავს, რომ „მეორე ნიშნის დედაარსი მესამე ნიშანშია, პირველი უკანასკნელის საფუძველზეა შესაძლებელი". განვითარება, რომელზეც დიალექტიკის მეორე ნიშანი ლაპარაკობს, მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი, როცა ნახტომისებუ-

---

5 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 79.
6 ი ქ ვ ე, გვ. 80.
7 ი ქ ე ე, გვ. 80—81.

რია, ე. ი. როცა თვისებრივი ცვლილებები მომზადებულია რაოდენობრივი ცვლილებებით. სწორედ ასეთია განვითარება.

მაგრამ რა არის მესამე ნიშნის არსება? რის საფუძველზე სრულდება რაოდენობრივი ცვლილებების გადასვლა თვისებრივში? თუ არ მოინახა მესამე ნიშნის არსება, საფუძველი ,მაშინ თვისებრივი ნახტომები (ახლის წარმოშობა) სასწაულის ხასიათს მიიღებს და ისევ მეტაფიზიკური აზროვნების ტყვეობაში აღმოჩნდებით. განვითარების საფუძვლის ჩვენება, მისი ახსნა კი განვითარების ბუნების საბოლოო გარკვევა იქნება; აღარაფერი არ დაგვრჩება განვითარების პროცესში ასახსნელი და ამიტომ „აღარ დაისმება შემდეგი საკითხი მეხუთე ძირითადი ნიშნის შესახებ". მეოთხე ნიშანი იქნება მესამე ნიშნის არსება, ე. ი. განვითარების არსების გამომთქმელი, ხოლო „განვითარების არსებას კი სხვა არსება აღარ დასჭირდება"; მაშასადამე, მესამე ნიშანი მოითხოვს მეოთხეს როგორც თავის ამხსნელს.

მეოთხე ნიშანია შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც განვითარების არსება. ნამდვილი განვითარების არსებასა და საფუძველს წინააღმდეგობის ერთიანობა წარმოადგენს; განვითარება შინაგანი წინააღმდეგობის გახსნის (გადალახვის) გზით სრულდება. მხოლოდ ასეთი განვითარებაა ნამდვილი განვითარება, თვითგანვითარება, ვინაიდან მისი წყარო მის გარეთ კი არ არის გატანილი, არამედ სწორედ მასშია, მის შიგნითაა.

ს. წერეთელი თვლის, რომ დიალექტიკის მეოთხე ნიშანი ყველა წინა ნიშნების საფუძველი და ამხსნელია; კერძოდ, იგი საფუძველია მესამე ნიშნისა, მესამე — მეორისა, ხოლო მეორე ნიშანი პირველ ნიშანს ხსნის, მის განვითარებას წარმოადგენს. ამ აზრით დიალექტიკის მეოთხე ნიშანი — წინააღმდეგობის ერთიანობა — „უძირითადესი ნიშანია, იგი ყველა ნიშნის განმსაზღვრელია"[8].

ამასთანავე, ამტკიცებს ს. წერეთელი, დიალექტიკის თითოეული, ცალკე აღებული ნიშანი შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია, თავის თავში თავის უარყოფას შეიცავს და შემდგომ ნიშანს მოითხოვს. თვითონ „წინააღმდეგობის ნიშანი კი ყველაფრის ამხსნელია, იგი შინაგანი წყაროა განვითარებისა". ამაში ხედავს ს. წერეთელი დიალექტიკის ნიშნების ურთიერთგანპირობებულობასა და მთლიანობას. ამრიგად, დაასკვნის იგი, „დიალექტიკის ცნების განსაზღვრება, როგორც ასახვა ობიექტური დიალექტიკისა, თვითონ არის დიალექტიკური"[9].

---

8 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

9 ი ქ ვ ე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ს. წერეთლის ყურადღების ცენტრში ლოგიკური პრობლემები იდგა; ამჯერადაც მის მიერ მიღებულ შედეგს ავტორი ლოგიკის პრობლემების გადასაჭრელად იყენებს. სახელდობრ, იგი ამტკიცებს, რომ საგნის არსება შინაგანი წინააღმდეგობაა, ხოლო ცნება კი საგნის არსების ასახვას წარმოადგენს. აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ „რაიმე საგნის ცნება, როგორც დიალექტიკის მაგალითი, არსებითად წინააღმდეგობის ერთიანობის ნიშნის შემცველი უნდა იყოს"[10].

დიალექტიკის ცნების ზემოაღნიშნული განსაზღვრება, ს. წერეთლის მიხედვით, პრინციპულად განსხვავდება ფორმალურ ლოგიკაში არსებული ცნების განსაზღვრების გაგებისაგან. ჩვეულებრივი აზრით, ცნების განსაზღვრება ცნების არსებითი ნიშნების ჩამოთვლაა და ამდენად იგი ზერელეა; ამ ნიშანთა შორის არსებული კავშირი ფორმალურ-ლოგიკურ დეფინიციაში ნაჩვენები არ არის; გარდა ამისა, ძველი ლოგიკა მოითხოვს, რომ ცნებამ საგნის არსება ასახოს; მაგრამ ფორმალური ლოგიკა არ ასრულებს მის მიერ წამოყენებულ მოთხოვნას, რაც მის არსებით ნაკლოვანებაზე მეტყველებს. „საგნის არსება მისი შინაგანი წინააღმდეგობაა, ამიტომ ამ საგნის ცნების განსაზღვრების უარსებითესი ნიშანი სწორედ წინააღმდეგობის ერთიანობას უნდა წარმოადგენდეს" — დაასკვნის ს. წერეთელი[11].

დიალექტიკის ცნების ნიშნების ურთიერთკავშირი, ს. წერეთლის აზრით, განვითარებას იმიტომ წარმოადგენს, რომ ისინი მატერიალური სინამდვილის განვითარებას ასახავენ. დიალექტიკის პირველი ნიშანი მეორეზე უფრო მარტივი და აბსტრაქტულია, მეორე ნიშანი კი პირველზე უფრო კონკრეტულია; მეორე ნიშანი, თავის მხრივ, მესამესთან შედარებით უფრო აბსტრაქტულია და ა.შ. „მეოთხე ნიშანი კი უკონკრეტულესი ნიშანია". ასევე პირველი ნიშანი ყველა ნიშნებზე უფრო გარეგანია, გარეგან ვითარებას ასახავს, მეოთხე ნიშანი კი ყველაზე შინაგანია, დიალექტიკის არსებაა და ამიტომ ყველა დანარჩენი ნიშნების განმსაზღვრელია. უკვე ამაში ჩანს დიალექტიკის ნიშანთა ურთიერთკავშირის განვითარებადი ხასიათი.

ს. წერეთელი ხაზს უსვამს დიალექტიკის მეოთხე ნიშნის — წინააღმდეგობის ერთიანობის — უპირატეს როლს სხვა ნიშნებთან შედარებით. იგი წერს: „დიალექტიკის ნიშნები შეიძლება წარმოვი-

---

10 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 82.

11 ი ქ ვ ე, გვ. 82—83.

დგინოთ როგორც მომენტები, რომელთა შორის ერთი უძირითადესია, გაბატონებული და „გარეგადამწყდომია", ყველა სხვის ამხსნელია და თავის თავსაც ხსნის და განსაზღვრავს; ასეთია წინააღმდეგობის ერთიანობა"[12].

დიალექტიკის ცნება, ს. წერეთლის მიხედვით, სანიმუშოა; „ყოველი საგნის ცნება დიალექტიკის ცნების მაგალითს წარმოადგენს, რადგან იგი საგნის არსების ამსახველი უნდა იყოს. დიალექტიკის განსაზღვრება თვითონ არის დიალექტიკური ხასიათის და, როგორც ვნახეთ, სრულიად სხვა ბუნებისაა, ვიდრე ფორმალურ-ლოგიკური დეფინიცია"[13].

აქვე საჭიროა გავიხსენოთ, რომ ეს ნაშრომი იმ პერიოდში იწერებოდა, როდესაც ს. წერეთელი ინტენსიურად ეძებდა ლოგიკურის დიალექტიკურ განსაზღვრებას. იგი კარგად ხედავს ცნების განსაზღვრების შესახებ ტრადიციული ლოგიკის მოძღვრების ნაკლოვანებას და მას დიალექტიკურ-ლოგიკურ კონცეფციას უპირისპირებს. ს. წერეთელი ლაპარაკობს „თვისებრივად ახალი ლოგიკის" შესახებ, რომლის ქვეშ დიალექტიკურ ლოგიკას გულისხმობს. ამასთანავე ლოგიკურის ბუნების გასაგებად გადამწყვეტ მნიშვნელობას ზოგადის გაგებას ანიჭებს. დიალექტიკური ლოგიკა, ამტკიცებს იგი, დაფუძნებულია კონკრეტულ და არა აბსტრაქტულ ზოგადზე; კონკრეტული ზოგადი შინაარსეული ზოგადია. ცნების მოცულობასა და შინაარსს შორის დიალექტიკური ლოგიკის სისტემაში არ არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება; ცნების მოცულობის გაზრდა მის შინაარსობლივ გაღარიბებას კი არ იწვევს, არამედ უფრო მეტი შინაარსის, მეტი განსაზღვრულობის ქონას; ზოგადობა არ ნიშნავს ცნების მოცულობას, როგორც ეს ფორმალურ ლოგიკას ესმოდა, არამედ შინაარსის ზოგადობას, ხოლო „შინაარსის კონკრეტული ზოგადობა არის შინაგანი უარყოფის შემცველი ერთიანობა. იგი წინააღმდეგობის **ერთიანობაა**. ასეთი ზოგადობის ფორმა არის კანონი"[14].

ს. წერეთელი თვლის, რომ „წინააღმდეგობის ერთიანობა არის დაუბოლოებელი განვითარების კანონი", ხოლო ვინაიდან წინააღმდეგობის ერთიანობა, როგორც დიალექტიკის მეოთხე ნიშანი, ყველა დანარჩენი ნიშნების საფუძველია, მათ არსებას გამოხატავს, ამიტომ დიალექტიკის ცნების განსაზღვრება „ჭეშმარიტი და-

---

12 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 84.
13 ი ქ ვ ე.
14 ი ქ ვ ე.

უბოლოებლობის არსებას" გვაჩვენებს; „წინააღმდეგობის ერთიანობაზე აგებული ლოგიკა დაუბოლოებელი განვითარების ამსახველი ლოგიკაა" — დაასკვნის იგი[15]. აქაც საქმე ეხება ისევ ლოგიკას, კერძოდ, დიალექტიკურ ლოგიკას და, საბოლოოდ, უსასრულო დასკვნის თეორიას, რომლის ცნება ს. წერეთელს იმ დროს უკვე მოპოვებული ჰქონდა.

მატერიალისტური დიალექტიკის პრობლემებს ეხება ს. წერეთლის სტატია „დიალექტიკა და მეტაფიზიკა", რომელიც დაიბეჭდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ სახელმძღვანელოში: „დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები" (1955); იგივე ნაშრომი გამეორებით გამოქვეყნდა 1970 წელს წიგნში: „დიალექტიკური მატერიალიზმი".

ამ ნაშრომში ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავს მეტაფიზიკის ცნების ორგვარ გაგებას — მსოფლმხედველობრივსა და მეთოდოლოგიურს — და განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება უკანასკნელზე, ვინაიდან მეტაფიზიკის, როგორც აზროვნების წესის, გაგების გარეშე დიალექტიკური მეთოდის საფუძვლიანი გაგება შეუძლებელია. მეტაფიზიკური აზროვნების წესის პირველ ნიშანს, აღნიშნავს ს. წერეთელი, მოვლენათა ურთიერთკავშირის, ურთიერთგანპირობებულობის უარყოფა წარმოადგენს. მეტაფიზიკოსები, ცხადია, კარგად ხედავენ ემპირიულ სინამდვილეში არსებულ მოვლენათა ურთიერთკავშირს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ ამ კავშირის ახსნა, ისევე როგორც ისინი არ უარყოფენ მოძრაობას, როგორც ემპირიულ ფაქტს, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნიათ მისი მოაზრება, „ცნებათა ლოგიკაში" გამოხატვა.

მართლაც, აღნიშნავს ს. წერეთელი, „მოვლენათა შორის ნამდვილი ურთიერთკავშირის გაგება რთულია"; ეს სირთულე იმდენად დიდია, რომ მატერიალისტური დიალექტიკის შექმნამდე მისი სისრულით დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. „მოვლენათა შორის ურთიერთკავშირი მაშინ იქნება დასაბუთებული, — წერს ს. წერეთელი, — თუ მოვლენათა სიმრავლეში ერთი საერთო და ზოგადი იქნება აღმოჩენილი და ერთისა და სიმრავლის საკითხი გადაწყდება ისე, რომ მათი ერთიანობა მეცნიერულად დასაბუთდება. ასეთის შესრულება მხოლოდ მატერიალისტური დიალექტიკის სფეროშია შესაძლებელი"[16]. ფილოსოფიური აზროვნება უძველესი დროიდან მიისწრაფოდა ამ პრობლემის გადაჭრისაკენ, მაგრამ იგი მარქსისტული ფილოსოფიის წარმოშობამდე არ მოხერხდა.

15 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 84—85.

16 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, თბილისი, 1955, გვ. 90.

საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირის გაგება შეუძლებელი აღმოჩნდება, „თუ ურთიერთკავშირი გაგებულ იქნა როგორც გაქვავებული, უძრავი და უცვლელი მოვლენების კავშირი". სხვაგვარად რომ ვთქვათ, „მოვლენათა ურთიერთკავშირი მხოლოდ მაშინ გაიგება, თუ მოვლენებს მოძრაობა-განვითარებაში განვიხილავთ", ეს ნიშნავს, რომ „ურთიერთკავშირის აღება მოძრაობა-განვითარების გარეშე მეტაფიზიკას იძლევა"[17]. აქედან ცხადია, რომ მოვლენათა ურთიერთკავშირის აღიარება ჯერ კიდევ არ ნიშნავს მეტაფიზიკის დაძლევას; ამისათვის საჭიროა სინამდვილის განხილვა მოძრაობა-განვითარებაში.

მაგრამ ს. წერეთელი მიუთითებს, რომ მეტაფიზიკის დასაძლევად საკმარისი არ არის არც მოძრაობა-განვითარების დაშვება, ვინაიდან არსებობს განვითარების არა მხოლოდ დიალექტიკური, არამედ მეტაფიზიკური კონცეფციაც. მეტაფიზიკას განვითარება ესმის როგორც შემცირება და გაზრდა, რიცხობრივი ცვალებადობა, განმეორება. განვითარების მეტაფიზიკური კონცეფცია, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, ყურადღების გარეშე ტოვებს მამოძრავებელ ძალას, მის წყაროს.

მეტაფიზიკური თვალსაზრისი განვითარების შესახებ, აღნიშნავს ს. წერეთელი, სინამდვილეში განვითარების უარყოფაა და არა მისი დასაბუთება, ვინაიდან, განვითარება ახლის წარმოშობას ნიშნავს და არა ძველის განმეორებას, რიცხობრივ შემცირება-გადიდებას; რაოდენობრივი ცვალებადობა (ზრდა–შემცირება) იმას განხილავ მოძრაობა-განვითარებაში.

მეტაფიზიკური აზროვნების წესი არსებითად თვისებრივი ცვალებადობის შესაძლებლობას უარყოფს; იგი უარყოფს ნახტომებს და განვითარება ესმის როგორც მხოლოდ ევოლუციური ცვალებადობა; ეს კი არსებითად განვითარების უარყოფაა. ცვალებადობას, მეტაფიზიკის მიხედვით, არსებითი ხასიათი არა აქვს; არსება არ იცვლება, იგი მარადიულია; იცვლება მარტოოდენ ის, რაც არა არსებითია, არაძირითადია. ასე ესმოდა ცვალებადობის ბუნება ყველა მეტაფიზიკოსს.

მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, აღნიშნავს ს. წერეთელი, სინამდვილის მამოძრავებელია თვითონ მასში არსებული წინააღმდეგობა, რასაც მეტაფიზიკა დაბეჯითებით უარყოფს. ამით მეტაფიზიკა უარყოფს სინამდვილის ნამდვილ მამოძრავებელ ძალას და, ამდენად, მოძრაობასაც. მეტაფიზიკოსები წინააღმდეგობას

---

17 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 92.

აღმოაჩენენ მოძრაობაში და ამის საფუძველზე უარყოფენ მას, ვინაიდან მათ „ყოველგვარი წინააღმდეგობა შეცდომად მიაჩნიათ“. ამის კლასიკური მაგალითი ჯერ კიდევ ძენონმა მოგვცა. ამრიგად, დაასკვნის ს. წერეთელი, „აზროვნების მეტაფიზიკური წესი ისეთი წესია, რომელიც სინამდვილის მოვლენებს განიხილავს ურთიერთკავშირის, მოძრაობა-განვითარების, თვისებრივი ცვალებადობისა და შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე; მისთვის სინამდვილის მოვლენები ერთიმეორისაგან განცალკევებულია, ყველაფერი, არსებითად, უძრავი და მარადიულია; არსებობს მხოლოდ განმეორებანი და არა თვისებრივი ცვალებადობანი. შინაგანი წინააღმდეგობის შეუძლებლობა საგნის არსებობის შესაძლებლობაა“[18].

მეტაფიზიკა, აღნიშნავს ს. წერეთელი, აზროვნების განვითარების კანონზომიერ საფეხურს წარმოადგენდა და, ერთი შეხედვით, მას გარკვეული საფუძველიც ჰქონდა; კერძოდ, მეტაფიზიკა ცალმხრივობის გაზვიადებას, მის გააბსოლუტურებას წარმოადგენს; იგი სინამდვილის ერთ მხარეს ამჩნევს, მეორეს კი — ვერა; ამაშია მეტაფიზიკის მთავარი შეცდომა. მაგალითად, მოძრაობაში ორი მხარეა — ცვალებადობა და მდგრადობა. მეტაფიზიკა ერთ-ერთ მათგანს, სახელდობრ, მდგრადობას (უძრაობას) იღებს, აზვიადებს ამ ცალმხრივობას, ააბსოლუტურებს მას, რის გამოც ხელიდან უქრება თვითონ მოძრაობა. მდგრადობის გარეშე არ არსებობს მოძრაობა, მაგრამ იგი არც ცვალებადობის გარეშეა. ერთ-ერთი მათგანის გაზვიადებას, მეორისაგან მოწყვეტას შეცდომამდე მივყავართ. „ცალმხრივობა შეცდომას წარმოადგენს, რადგან ცალმხრივ თვალსაზრისს საგნის ერთი მხარე მთელ საგნად მიაჩნია. ამიტომ მეტაფიზიკა მთლიანად ყალბი თვალსაზრისია, თუმცა ისტორიულად მან გარკვეული დადებითი როლიც შეასრულა, რადგან მთელი საგნის შესწავლისათვის მისი ცალკეული მხარეების ანალიზი იყო საჭირო“[19].

ახასიათებს რა მეტაფიზიკის ორგვარ — მსოფლმხედველობრივსა და მეთოდოლოგიურ — გაგებას, ს. წერეთელი მიუთითებს მათ შორის კავშირზე. იგი წერს: „მეტაფიზიკა როგორც ფილოსოფიის დარგი, რომელიც სწავლობდა ფიზიკის საფუძვლად მდებარე სამყაროს, ამ სფეროს განიხილავდა, როგორც რაღაც მარადიულს და, საბოლოოდ, ღმერთამდე მიდიოდა, მეტაფიზიკა სწავლობდა იმას, რაც მარადიულად უცვლელი იყო. აი, ეს უცვლელობა თუ გად-

---

18 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 97.

19 იქვე, გვ. 99.

მოტანილ იქნა სინამდვილის ყველა სფეროში, მაშინ მივიღებთ აზროვნების მეტაფიზიკურ წესს, რომელიც ყველაფერს უძრაობაში განიხილავს. ეს არის საერთო „მეტაფიზიკის“ ამ ორ გაგებას შორის“[20]. მართალია, ს. წერეთელი აღნიშნულ საკითხზე მხოლოდ ამ მოკლე შენიშვნით კმაყოფილდება, მაგრამ ამით აჩვენებს იმ არსებით კავშირს, რაც მეტაფიზიკის ამ ორ გაგებას შორის არსებობს და რაც მათ, არსებითად, ერთ ცნებად აერთიანებთ.

ს. წერეთელი კიდევ უფრო ვრცლად და დეტალურად განიხილავს დიალექტიკის ცნებას. კერძოდ, იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს დიალექტიკის ძველსა და თანამედროვე გაგებას. ძველი გაგებით დიალექტიკა კამათის ხელოვნებას ნიშნავდა; პლატონს დიალექტიკა ესმოდა როგორც მსჯელობათა დაპირისპირების საშუალებით ჭეშმარიტების მიღწევის ხელოვნება. ყალბია დიალექტიკის ცნების პლატონისეული გაგება, შენიშნავს ს. წერეთელი, მაგრამ ის კი სწორია, რომ დიალექტიკისათვის არსებითია წინააღმდეგობა.

დიალექტიკა, როგორც აზროვნების წესი, ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში ფიგურირებდა, თუმცა მას გულუბრყვილო, მაშასადამე, არამეცნიერული სახე ჰქონდა. ჰერაკლიტემ — ძველი ბერძნული დიალექტიკის უდიდესმა წარმომადგენელმა — „წინააღმდეგობა ვერ გაიგო ისე ღრმად, რომ მის საფუძველზე განვითარება დაესაბუთებინა“[21].

დიალექტიკის ბრწყინვალე ნიმუშები მოგვცა არისტოტელემ, რომელიც, ვ. ი. ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, „თავს იმტვრევდა“ დიალექტიკის გარშემო. მართალია, არისტოტელემ ჩამოაყალიბა წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონი, რომელსაც იგი როგორც არსის, ასევე აზრის კანონად თვლიდა, მაგრამ ამასთანავე „დიალექტიკური აზროვნების მრავალი ნიმუშიც მოგვცა“. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშს წარმოადგენს ერთეულისა და ზოგადის ერთიანობის აღიარება არისტოტელეს მიერ. პლატონის იდეების თეორიის კრიტიკის პროცესში, შენიშნავს ს. წერეთელი, არისტოტელემ ჩამოაყალიბა ზოგადისა და ერთეულის განუყრელობის თვალსაზრისი. თუ ზოგადს ერთეულისაგან მოვწყვეტთ, მაშინ თვით გადაიქცევა ერთეულად და, მაშასადამე, ზოგადის უარყოფას მივიღებთ. ერთეული, არისტოტელეს მიხედვით, ზოგადს თავის არსებად შეიცავს, იგი საგნის არსებით გარკვეულობას წარმოადგენს და, მაშასადამე, ზოგადი და ერთეული ერთიანობაშია. მართალია, ამბობს ს. წერეთელი,

---

20 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 100.

21 ი ქ ვ ე, გვ. 104.

„არისტოტელემ ერთეულისა და ზოგადის ნამდვილი ერთიანობა ვერ გაიგო და დიალექტიკურად დაწყებული საქმე მეტაფიზიკით დაამთავრა“, მაგრამ აზრი ზოგადისა და ერთეულის ერთიანობის შესახებ მაინც მისი დიალექტიკური აზროვნების საუკეთესო ნიმუშია[22].

ფილოსოფიის ისტორიაში, ამტკიცებს ს. წერეთელი, განუწყვეტლად წარმოებდა ბრძოლა დიალექტიკურსა და მეტაფიზიკურ თვალსაზრისებს შორის. სწორედ ამიტომ „ფილოსოფიის ისტორია მარტო მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორია კი არაა, არამედ დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ბრძოლის ისტორიაცაა“[23].

ს. წერეთელი კანტის უარყოფითი დიალექტიკის მთავარ შეცდომას იმაში ხედავს, რომ იგი „დიალექტიკას მხოლოდ გონებაში ათავსებდა და მას შეცდომად თვლიდა“[24]. უფრო პროგრესულია ჰეგელის დიალექტიკა, რომელიც დადებითობით ხასიათდება. წინააღმდეგობა, ჰეგელის მიხედვით, მთელ სინამდვილეში არსებობს; შინაგანი წინააღმდეგობა მოძრაობა-განვითარების წყაროს წარმოადგენს. „ჰეგელმა — წერს ს. წერეთელი — სასტიკად გააკრიტიკა აზროვნების მეტაფიზიკური წესი და ჩამოაყალიბა დიალექტიკის ნიშნები“. მაგრამ ჰეგელის დიალექტიკა იდეალისტურმა სისტემამ დაამახინჯა.

მარქსისტული დიალექტიკა, ამბობს ს. წერეთელი, მოძრაობისა და განვითარების ამხსნელს თვითმოძრავსა და განვითარებადში ხედავს. „აზროვნების დიალექტიკური წესი სინამდვილეს თვითმოძრაობაში განიხილავს“. მოძრაობა-განვითარების წყაროა დაპირისპირებულთა ბრძოლა, რომელიც საგანს ცვლის, ძველს სპობს და ახალს წარმოშობს. წინააღმდეგობა არსებობს არა მხოლოდ ობიექტურ სინამდვილეში, არამედ მის ამსახველ აზრშიც; სუბიექტური დიალექტიკა არის ობიექტური დიალექტიკის ასახვა. დიალექტიკის კანონებს უნივერსალური ხასიათი აქვთ.

დიალექტიკის თეორიის საკითხები გარჩეულია აგრეთვე სტატიაში „მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები“, რომელიც იმავე სახელმძღვანელოში (1955) დაიბეჭდა.

მოვლენათა ურთიერთკავშირის ახსნა, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ ნაშრომში, ცვალებადობის დაშვების საფუძველზე შეიძლება.

---

22 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 105.
23 ი ქ ვ ე, გვ. 107.
24 ი ქ ვ ე, გვ. 108.

„მხოლოდ მოძრაობის, ცვალებადობისა და განვითარების შინაგანი კანონების აღმოჩენამ ნათელყო ის, თუ როგორ უკავშირდებიან ერთიმეორეს მოვლენები“[25]. ერთი მოვლენის გადაქცევა მეორე მოვლენად შინაგანი ძალების არსებობის საფუძველზე, მეორისა — მესამედ და ა. შ. არის მოვლენათა ურთიერთკავშირი. კანონი სწორედ მოვლენათა შინაგან, არსებით კავშირს წარმოადგენს.

კანონი, ამტკიცებს ს. წერეთელი, ერთი მხრივ უცვლელია, ვინაიდან იგი ყოველგვარ განვითარებაში ბატონობს. კანონი არის ის, რაც ცვალებადს და ცვალებადობას ხსნის. მაგრამ, მეორე მხრივ, კანონები იცვლებიან, რამდენადაც ისინი „განვითარების ყოველ საფეხურზე კონკრეტული სახით გამოვლინდებიან“. კანონის გამოვლენა ყოველთვის გარკვეული სპეციფიკით ხასიათდება. მაგალითად, როგორც კაპიტალიზმს, ასევე სოციალიზმს შინაგანი წინააღმდეგობა ამოძრავებთ, მაგრამ ეს შინაგანი წინააღმდეგობა სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სახეს იღებს; კაპიტალიზმის პირობებში მას ანტაგონისტური ხასიათი აქვს, სოციალიზმში კი არაანტაგონისტური წინააღმდეგობა არსებობს.

განვითარება, ამბობს ს. წერეთელი, ახლის წარმოშობაა, მაგრამ ყოველი ახლის წარმოშობა არ არის განვითარება. გარკვეული აზრით ახლის წარმოშობა მექანიკურ მოძრაობაშიც გვაქვს. მაგალითად, მოძრავი სხეული ყოველთვის ახალ ადგილზე გადადის; წინააღმდეგ შემთხვევაში არც მოძრაობა იქნებოდა. მაგრამ განვითარება, ასეთი ახლისაგან განსხვავებით, თვისებრივად ახლის წარმოშობაა; ამ უკანასკნელს კი პროგრესული ხასიათი აქვს. თვისებრივად ახლის წარმოშობა ნიშნავს ძველთან შედარებით უფრო მაღალის წარმოშობას; ახალი ძველზე უფრო მაღალია. ამრიგად, „განვითარება არის ისეთი აუცილებელი კავშირი, სადაც ახალი, როგორც უფრო მაღალი, წარმოიშობა, სადაც პროგრესს აქვს ადგილი“[26].

განვითარების პროცესში მიღებული ახალი ძველზე არა მარტო უფრო მაღალია, არამედ აგრეთვე უფრო რთულიცაა; „განვითარება მარტივიდან რთულისაკენ აღმავალი პროცესია“. მაგრამ ამ პროცესს აქვს არა სწორხაზობრივი, არამედ სპირალისებური ფორმა, ვინაიდან თავისთავში ერთგვარ უკანდახევასაც შეიცავს.

რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლის კანონი, ამბობს ს. წერეთელი, განვითარების პროცესის გზის დახასიათებას იძლევა. რაოდენობა საგნის არაძირეული, გარეგანი განსაზღვ-

---

25 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 173.
26 ი ქ ვ ე, გვ. 174.

რულობაა, თუმცა მატერიალური საგანი რაოდენობის გარეშე შეუძლებელია. თვისებრიობა კი არის „საგნის შინაგანი, არსებითი, ძირეული განსაზღვრულობა, რომლის არსებობა-არარსებობა საგნის არსებობა-არარსებობას უდრის"[27]. თვისებრიობის შეცვლა საგნის შეცვლას ნიშნავს, რაოდენობრივი ცვალებადობა კი გარკვეულ ზომამდე საგნის შეცვლას არ იწვევს.

თვისებრიობა არა მხოლოდ განასხვავებს ერთ საგანს სხვა საგნებისაგან, არამედ იგი საერთოცაა ერთგვარი საგნებისათვის, რამდენადაც მათ ერთი ძირეული განსაზღვრება გააჩნიათ.

რამდენადაც რაოდენობა და თვისებრიობა განსაზღვრულობებს წარმოადგენენ, ამდენად არსებობს რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვარი. რაოდენობრივი საზღვარი საგნის სიდიდის საზღვარია, თვისებრივი საზღვარი კი იმას გვეუბნება, რომ ეს საგანი სწორედ ეს საგანია და არა სხვა. აქაც ცხადად ჩანს თვისებრიობის ძირეული ხასიათი.

რაოდენობრივ ცვლილებებს ევოლუციური ხასიათი აქვთ და იქ ნახტომები გამორიცხულია; თვისებრივი ცვალებადობა კი სწორედ ნახტომებით სრულდება. განვითარების ნახტომისებური ხასიათის უარყოფა თვითონ განვითარების უარყოფას ნიშნავს.

განხილული კანონი, აღნიშნავს ს. წერეთელი, გვიჩვენებს იმას, თუ როგორ ხდება განვითარება. იგი გვიჩვენებს, რომ „განვითარება, როგორც ახლის წარმოშობა, ხორციელდება რაოდენობრივი ცვალებადობის თვისებრივში და პირუკუ კანონზომიერი ნახტომისებური გადასვლით"[28]. ამრიგად, ამ კანონს განვითარების თეორიაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

განიხილავს რა რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში და პირუკუ გადასვლის კანონს, ს. წერეთელი აკრიტიკებს ამ კანონის ჰეგელისეულ ინტერპრეტაციას და ამასთანავე აღნიშნავს მის რაციონალურ მარცვალს.

უარყოფის უარყოფის კანონი, ამბობს ს. წერეთელი, განვითარების პროცესს სხვა ასპექტით ახასიათებს; კერძოდ, იგი აჩვენებს იმას, თუ როგორ ხდება აღმავალი, წინსვლითი პროცესი. ეს კანონი უშუალო კავშირშია ზემოთ განხილულ კანონთან; ერთი თვისებრიობის მეორეში გადასვლა (რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვების გზით) ძველი თვისებრიობიდან ახალი თვისებრიობის

---

27 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 179.
28 ი ქ ვ ე, გვ. 199.

წარმოშობაა. „ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალი თვისებრიობა ძველი თვისებრიობის უარყოფას წარმოადგენს“[29].

უარყოფას დიალექტიკაში აბსოლუტური მნიშვნელობა არა აქვს. წარმოშობა და მოსპობა არ არის არარაობიდან ქმნადობა ან არარაობად გადაქცევა. „ძველის მოსპობა და ახლის წარმოშობა ცვალებადობას ნიშნავს; წარმოშობა-მოსპობა რაიმეს სხვა რაიმეთი შეცვლას ნიშნავს“[30]. ერთმანეთისაგან განასხვავებს რა მექანიკურსა და დიალექტიკურ უარყოფას, ს. ნერეთელი ამ უკანასკნელს დაწვრილებით განიხილავს.

დიალექტიკური უარყოფა, აღნიშნავს იგი, არა მხოლოდ უარყოფაა, ძველის მოხსნაა, არამედ, ამავე დროს, ძველიდან იმის შენახვაც, რაც აუცილებელია ახლის წარმოშობისა და განვითარებისათვის. წმინდა უარყოფის შემთხვევაში განვითარება შეუძლებელი იქნებოდა, ვინაიდან განვითარება მემკვიდრეობითობის გარეშე არ არსებობს. ერთი სიტყვით, დიალექტიკური უარყოფა არის მოხსნა-შენახვა.

დიალექტიკურ მატერიალიზმს განვითარება ესმის როგორც ზეაღმავალი პროცესი. ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ ახალი ძველს ემყარება, თუ იგი უარყოფს ძველს, მაგრამ ამავე დროს ინარჩუნებს იმას, რაც ზეაღმავალ სვლას განაპირობებს; „რომ უარყოფის დროს შენახვასაც არ ჰქონდეს ადგილი, მაშინ არა თუ ისტორიას არ ექნებოდა პროგრესული ხასიათი, არამედ თვითონ ისტორიაც შეუძლებელი იქნებოდა; რომ წარსული სრულიად იკარგებოდეს და იგი აწყმოში თავისებური სახით არ ინახებოდეს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ისტორია და მის შესახებ გარკვეული მეცნიერების შექმნა“[31].

ახლის მიერ ძველიდან რაიმეს შენახვა არ ნიშნავს ძველის ნაშთების შენარჩუნებას, რაც არა მარტო ხელს არ უწყობს განვითარებას, არამედ, პირიქით, აბრკოლებს მას. ძველიდან ინახება ის, რაც პროგრესულია, რაც ახლის წარმოშობა-განვითარებას განაპირობებს. ამიტომ ძველიდან შენახული ახალში განვითარებული სახითაა მოცემული, „განუვითარებელი განვითარებულის საფეხურია“. სწორედ ამიტომ აწყმოში, როგორც განვითარების მაღალ საფეხურში, მოჩანს ძველი, ადამიანის ანატომიაში მოჩანს მაიმუნის ანატომია, კაპიტალისტური ფორმაცია მოხსნილი სახით შეიცავს

---

29 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 199.

30 იქვე, გვ. 200.

31 იქვე, გვ. 201.

ციმას, რაც მას წინ უსწრებდა და რამაც მისი წარმოშობა განაპირობა და ა. შ.

ამასთანავე მოხსნა-შენახვა, ამტკიცებს ს. წერეთელი, შინაგანი ძალების ბაზაზე მზადდება; საგანი თავის განვითარებაში თავის თავის უარყოფით ამზადებს ახლის წარმოშობის პირობებს. იგი უარყოფს თავის თავს და ამ უარყოფის საშუალებით ვითარდება, ადის უფრო მაღალ საფეხურზე. ამიტომ ახალი ძველში მზადდება, ახლის წარმოშობის პირობები ძველში იქმნება.

შინაგანი უარყოფის შედეგად საგანი გადადის არა საერთოდ სხვაში, არამედ გარკვეულ სხვაში. ასე რომ არ იყოს, მაშინ არ იარსებებდა კანონზომიერება, არამედ ცვალებადობას ქაოსური ხასიათი ექნებოდა. ეს გარკვეული სხვა, აღნიშნავს ს. წერეთელი, არის სწორედ ის, რასაც ჰეგელი „თავის სხვას“ უწოდებდა. თვითონ ტერმინიც „მოხსნა-შენახვა“ ჰეგელს ეკუთვნის, რომლის შენარჩუნება ს. წერეთელს უკეთესის აღმოჩენამდე საჭიროდ მიაჩნია, ცხადია, ჰეგელის იდეალისტური თვალსაზრისის ჩამოცილებით.

განვითარების პროცესი, გადმოსცემს ს. წერეთელი დიალექტიკური მატერიალიზმის კონცეფციას, უარყოფის უარყოფის გზით ხორციელდება. ორმაგი უარყოფა შედეგად განვითარებულს, ახალს იძლევა, რომელიც მოხსნა-შენახვით ხასიათდება. იგი არ არის ძველის აღდგენა, მაგრამ განვითარების პროცესს არც სწორხაზობრივი ხასიათი აქვს; განვითარება სპირალისებურია, რასაც უარყოფის უარყოფის კანონი განაპირობებს.

ს. წერეთელი აკრიტიკებს უარყოფის უარყოფის კანონის ჰეგელისეულ გაგებას და აღნიშნავს, რომ ჰეგელმა უარყოფის უარყოფის ფორმა ნეოპლატონური ფილოსოფიიდან, კერძოდ, პროკლედან აიღო. ჰეგელის მიერ უარყოფის უარყოფის გაგება „პროკლეს ტრიადების ფორმის თავისებურ გამოყენებას წარმოადგენს“[32].

ჰეგელთან განვითარების პროცესს, აღნიშნავს ს. წერეთელი, თითქოს წინსვლითი ხასიათი აქვს, მაგრამ „საბოლოო ანგარიშში ჰეგელთანაც უკანდაბრუნების პროცესი გვაქვს. წინსვლა ჰეგელისათვის უკანდაბრუნება — საფუძველში, აბსოლუტის საკუთარ სიღრმეში წასვლაა“[33]. ამდენად განვითარებას ჰეგელის ფილოსოფიაში წრისებური ხასიათი აქვს, რაც მისივე დიალექტიკის მოთხოვნას ეწინააღმდეგება. აქ გამომჟღავნდა წინააღმდეგობა ჰეგელის სისტემასა და მეთოდს შორის.

---

32 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 207.

33 იქვე.

ჰეგელმა, აღნიშნავს ს. წერეთელი, განვითარების პროცესი აბსოლუტის თვითშემეცნების პროცესთან გააიგივა, რამაც განაპირობა მისი დიალექტიკის, კერძოდ, მის მიერ უარყოფის უარყოფის კანონის გაგების მისტიკურობა. მიუხედავად ამისა, დაასკვნის ს. წერეთელი, ჰეგელის თვალსაზრისი ამ კანონის შესახებ რაციონალურ მარცვლებს შეიცავს, რაც მატერიალისტურ დიალექტიკაში უნდა იქნას გამოყენებული. ასეთი რაციონალური მარცვალია ამ შემთხვევაში თვითონ უარყოფის უარყოფის იდეა, როგორც დიალექტიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი კანონისა.

ს. წერეთელი განსაკუთრებით ვრცლად განიხილავს დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის" კანონს, ვინაიდან ეს კანონი გვაჩვენებს განვითარების წყაროს, მის მამოძრავებელ ძალებს, და, მაშასადამე, განვითარების პროცესს ამომწურავად ახასიათებს. ს. წერეთლის განსაკუთრებული ინტერესი ამ კანონისადმი სრულიად გასაგებია თუნდაც იმიტომ, რომ უსასრულო დასკვნის თეორია, უწინარეს ყოვლისა, ამ კანონს ემყარება და დიალექტიკური ლოგიკის საფუძველსაც ეს კანონი (ცხადია, დიალექტიკის სხვა კანონებსა და კატეგორიებთან კავშირში) წარმოადგენს.

ერთი თვისებრიობის მეორეში გადასვლა, აღნიშნავს ს. წერეთელი, შეუძლებელი იქნებოდა, თუკი ის თვისებრიობა, რომელიც მეორეში გადადის, თავისთავთან სრულ იგივეობაში იმყოფებოდეს, თუკი იგი თავის თავში არავითარ წინააღმდეგობას არ შეიცავდეს. ასეთ შემთხვევაში „აუხსნელი დარჩება ის, თუ რას გადაჰყავს იგი მეორე თვისებრიობაში — რის საფუძველზე ხორციელდება ეს გადასვლა"[34]. აქედან გამომდინარეობს, რომ „ერთი თვისებრიობის მეორეში, როგორც თავის საწინააღმდეგოში, გადასვლა შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ მაშინ, თუ თვისებრიობა თავის შიგნით წინააღმდეგობას შეიცავს, თუ მოძრავი და განვითარებაში მყოფი საგანი წინააღმდეგობის შემცველია"[35]. ეს წინააღმდეგობა, რომელიც ერთი თვისებრიობის მეორეში გადასვლას განაპირობებს და, კიდევ მეტიც, ამ გადასვლის (განვითარების) წყაროს წარმოადგენს, არის შინაგანი წინააღმდეგობა. ყველაფერი თავის თავში შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას; ამის გარეშე განვითარების პროცესი შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ წინააღმდეგობას შეიცავს არა მხოლოდ განვითარება, არამედ საერთოდ მოძრაობა. თვითონ მექანიკური მოძრაობაც წინა-

---

34 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 210.

35 ი ქ ვ ე.

აღმდეგობის არსებობით აიხსნება. ჟენონმა მოძრაობაში წინააღმდეგობა აღმოაჩინა, მაგრამ იგი სწორედ ამის გამო უარყო; წინააღმდეგობის ფაქტი მოძრაობას კი არ უარყოფს, არამედ, პირიქით, ადასტურებს.

წინააღმდეგობა არსებობს ქმედება-უკუქმედებას, მიზიდულება-განზიდულებას, დადებითსა და უარყოფით მუხტებს, ქიმიურ ანალიზსა და სინთეზს, ასიმილაციასა და დისიმილაციას შორის და ა. შ. შინაგანი წინააღმდეგობა იწვევს სოციალურ განვითარებას, აზროვნების პროგრესს და ა. შ. „ის გარემოება, რომ დიალექტიკა არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ, — ამბობს ს. წერეთელი, — არსებითად იმას ნიშნავს, რომ ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების პროცესები დაპირისპირებულთა ერთიანობებს წარმოადგენენ. შინაგანი წინააღმდეგობა არის ყოველგვარი მოძრაობის, ცვალებადობა-განვითარების არსება“[36].

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის“ კანონის ანალიზის პროცესში ს. წერეთელი განიხილავს ისეთ ცნებებს, როგორიცაა იგივეობა, ერთიანობა და წინააღმდეგობა, არკვევს შინაგანი წინააღმდეგობის მხარეებს, დაპირისპირებულთა ერთიანობის მომენტებს, წინააღმდეგობის სახეებს და ა. შ.

ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც „დაპირისპირებულთა ერთიანობისა“ და „დაპირისპირებულთა იგივეობის“ ცნებებს ჰეგელიანურად აცხადებენ და მოითხოვენ მათზე უარისთქმას მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის გადმოცემის პროცესში. მართალია, ამ ცნებებს ჰეგელიც ხმარობდა, მაგრამ მათ მატერიალისტურ დიალექტიკაში სულ სხვა შინაარსი აქვთ. „ჰეგელის დიალექტიკის და მატერიალისტური დიალექტიკის მსგავსება ამ საპირისპირო მეთოდთა იგივეობად რომ მივიჩნიოთ (როგორც ამას ადგილი ჰქონდა მარქსიზმის რევიზიონისტებთან), — დაასკვნის ს. წერეთელი, — მაშინ მატერიალისტური დიალექტიკის უარყოფის გზას დავადგებოდით“[37].

ს. წერეთელი არ ეთანხმება აგრეთვე იმათ, ვინც იგივეობისა და ერთიანობის ცნებებს ერთმანეთისაგან არ განასხვავებს. იგი თვლის, რომ იგივეობის ცნება მეტაფიზიკასა და დიალექტიკაში სხვადასხვაგვარად მოიხმარება. მეტაფიზიკური იგივეობა წმინდა

---

36 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 216.
37 იქვე, გვ. 217.

იგივეობაა ყოველგვარი განსხვავების გარეშე, დიალექტიკური იგივეობა კი თავის თავში განსხვავებას შეიცავს.

დაპირისპირებულთა „ბრძოლა", რომელიც განვითარების წყაროს წარმოადგენს, ერთიანობის გარეშე შეუძლებელია. ბრძოლა და წინააღმდეგობა გარკვეულ ერთიანობას გულისხმობს, „შეუძლებელია შინაგანი წინააღმდეგობა ერთიანობაში არ იყოს. ერთსა და იმავე საგანში არსებული წინააღმდეგობა, ცხადია, ერთიანობაშია"[38]. დაპირისპირებულთა „ბრძოლა" ერთიანობის გარეშე, შენიშნავს ს. წერეთელი, ამ ცნების მეტაფიზიკური და მექანისტური გაგებაა და არა დიალექტიკური.

ყოველი წინააღმდეგობა და დაპირისპირება ბრძოლას არ ნიშნავს; მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი, ერთეული და ზოგადი და ა. შ. წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას ქმნიან, მაგრამ ისინი ერთმანეთს არ ებრძვიან. სწორედ ამიტომ ს. წერეთელი ამჯობინებს, რომ ბრძოლა გაიგოს როგორც დაპირისპირებისა და ერთიანობის სახე და არა გაუიგივოს ისინი ერთმანეთს.

დაპირისპირებულთა ერთიანობის ცნების საზრისი იმაშია, შენიშნავს ს. წერეთელი, რომ „დაპირისპირებულნი ერთმანეთს გაგანაპირობებენ და გარკვეულ პირობებში ერთიმეორეშიც გადადიან"[39]. ამ ერთიანობის გარეშე მათი დაპირისპირება შეუძლებელი იქნებოდა.

მაგრამ ერთიანობის ცნება მატერიალისტურ დიალექტიკაში სხვადასხვა აზრით იხმარება. ერთ შემთხვევაში მის ქვეშ გულისხმობენ შედარებით მდგრადობას, უძრაობას, მაშინ როდესაც მოძრაობა და წინააღმდეგობა აბსოლუტური მნიშვნელობითაა აღებული. ამ შემთხვევაში ვამბობთ, რომ წინააღმდეგობა აბსოლუტურია, ერთიანობა კი — შეფარდებითი. ამ შემთხვევაში წინააღმდეგობის აბსოლუტურობა გაგებულია როგორც მოძრაობის აბსოლუტურობა.

მაგრამ აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ თითქოს ერთიანობა და წინააღმდეგობა ერთმანეთს გამორიცხავენ ან მოძრაობა გამორიცხავს უძრაობას და პირიქით. დიალექტიკა სწორედ შეფარდებითისა და აბსოლუტურის ერთიანობაშია და არა მათ გათიშვაში. მოძრაობა არ არსებობს ასეთი (შეფარდებითი) უძრაობის გარეშე. „აბსოლუტური არ არსებობს შედარებითის გარეშე, ისევე როგორც შედარებითი — აბსოლუტურის გარეშე; წინააღმდეგო-

---

38 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 218.
39 იქვე, გვ. 219.

ბა, როგორც აბსოლუტური, ერთიანობაშია — შედარებითშია"[40]. თუ მათ ერთმანეთისაგან მოვწყვეტთ, მაშინ, დიალექტიკის ნაცვლად, სუბიექტივიზმსა და რელატივიზმს, სოფისტიკასა და სკეპტიციზმს მივიღებთ. აქედან გამომდინარეობს, რომ „ერთიანობა არ არის წმინდა შედარებითი, არც წინააღმდეგობაა წმინდა აბსოლუტური; წმინდა შედარებითი და წმინდა აბსოლუტური არაფერი არ არსებობს"[41].

ერთიანობა არ არის წინააღმდეგობაში დამატებით მოაზრებული ცნება; „წინააღმდეგობას თვითონ ახასიათებს ერთიანობა, რადგან ეს უკანასკნელი სხვა არაფერია, თუ არა მოწინააღმდეგეთა აუცილებელი დადებითი (უარყოფის შემცველი) კავშირი"[42]. აქედან ცხადია, რომ წინააღმდეგობა არ შეიძლება გავიგოთ როგორც ერთიანობის საფუძველზე წარმოშობილი რამ. წინააღმდეგობას იმთავითვე ახასიათებს ერთიანობა. თუ წინააღმდეგობის წარმოშობის საფუძვლად ერთიანობას მივიჩნევთ, მაშინ ეს ერთიანობა წმინდა სახით იქნება წარმოდგენილი, რაც დიალექტიკის უარყოფაა და არა მისი დასაბუთება.

აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ წინააღმდეგობის ერთიანობაში არც ერთს არ შეიძლება მეორის მიმართ უპირატესობა მივანიჭოთ, არც წინააღმდეგობას და არც ერთიანობას. სინამდვილეში არსებობს წინააღმდეგობის ერთიანობა, რაც იმას ნიშნავს, რომ დაპირისპირებულნი ერთმანეთს უარყოფენ და ამ შინაგანი უარყოფით ერთიანობაშიც იმყოფებიან.

მატერიალისტური დიალექტიკის მიხედვით, წინააღმდეგობის არსებით მომენტს უარყოფა წარმოადგენს. უარყოფა კავშირსა და ერთიანობას კი არ უარყოფს, არამედ თვითონ არის კავშირის მომენტი. სწორედ „უარყოფა ქმნის ერთიანობას, რადგან შინაგანი წინააღმდეგობის მხარეები ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ; ისინი არა მხოლოდ უარყოფენ ერთიმეორეს, არამედ კიდეც ადგენენ"[43].

შინაგანი წინააღმდეგობა, ამბობს ს. წერეთელი, ორმაგ უარყოფას წარმოადგენს, ვინაიდან შინაგანი წინააღმდეგობის თითოეული მხარე უარყოფის უარყოფაა. ეს ორმხრივი უარყოფის უარყოფა განსაზღვრავს განვითარების პროცესში ერთი თვისებრიობის მეორეში გადასვლას. ამასთან დაკავშირებით ს. წერეთელი მიუთი-

---

40 დიალექტიური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 221.

41 იქვე.

42 იქვე, გვ. 222.

43 იქვე, გვ. 224.

თებს დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის“ კანონის ფუნდამენტურ ხასიათზე დიალექტიკის სხვა კანონებთან შედარებით. „შინაგანი წინააღმდეგობის კანონი უფრო მთავარია, — წერს იგი, — ვიდრე უარყოფის უარყოფის კანონი“[44].

ორმხრივი — ურთიერთუარყოფა — შენიშნავს ს. წერეთელი, ერთიანობის გარეშე არ არსებობს; წინააღმდეგ შემთხვევაში დაპირისპირებულნი ერთმანეთს მოსპობდნენ ან სრული წონასწორობა დამყარდებოდა; ნამდვილად კი ურთიერთდაპირისპირებულნი ერთიანობაშიც იმყოფებიან; ეს ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთს არა მხოლოდ უარყოფენ, არამედ კიდეც ადგენენ. ამასთან ეს ერთიანობა წინააღმდეგობას არა მარტო არ ასუსტებს, არამედ სწორედ მის შესაძლებლობას წარმოადგენს.

ურთიერთუარყოფის პროცესი, ამტკიცებს ს. წერეთელი, იმას კი არ ნიშნავს, რომ ურთიერთუარმყოფელსა და ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეთ. ნამდვილად კი ეს მხარეები წინააღმდეგობაში დადებითსა და უარყოფით მნიშვნელობას იძენენ. წინააღმდეგობის ერთ-ერთი მხარე, თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის, იძულებულია შეინახოს საპირისპირო მხარე; ეს გარემოება არის წინააღმდეგობის დადებითი მხარე, ვინაიდან იგი დადებითად არის განწყობილი წინააღმდეგობისადმი, ინახავს მას. მაგრამ იგი იმავე დროს უარყოფითი მხარეცაა წინააღმდეგობის უარყოფისა და განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან იგი წინააღმდეგობის ძველი, კონსერვატიული მხარეა. ასეთია, მაგალითად, კერძო საკუთრება, რომელიც თავისი არსებობის შენარჩუნებისათვის ინახავს საპირისპირო მხარეს — პროლეტარიატს.

მაგრამ ამ წინააღმდეგობის მეორე მხარე — პროლეტარიატი — იძულებულია გააუქმოს თავისი თავი, როგორც პროლეტარიატი, და ამით გააუქმოს მისი საპირისპირო — კერძო საკუთრება, რაც მას პროლეტარიატად აქცევს. ეს არის წინააღმდეგობის უარყოფითი მხარე, ვინაიდან იგი ხსნის, უარყოფს წინააღმდეგობას. მაგრამ განვითარების თვალსაზრისით კი იგი წინააღმდეგობის ნამდვილ დადებით მხარეს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ს. წერეთელი ემყარება კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომს „წმინდა ოჯახი“, სადაც მოცემულია წინააღმდეგობის მხარეების ანალიზი. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების შესაბამისი დებულებების ანალიზის საფუძველზე ს. წერეთელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „წინააღმდეგობას ორი მხარე აქვს; ამ ორი მხარიდან გან-

---

44 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 225.

ვითარების თვალსაზრისით ერთი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მეორე, მაგრამ მათ უერთმანეთოდ არსებობა არ შეუძლიათ და ერთ მთელ საგანს შეადგენენ, რომელიც სწორედ შინაგანი წინააღმდეგობით მოძრაობსა და ვითარდება"[45].

დაპირისპირებულთა მომენტებად ს. წერეთელი ასახელებს ერთიანობას, უარყოფას, დაპირისპირება-წინააღმდეგობას ანუ ბრძოლას. იგი ერთმანეთისაგან განასხვავებს ერთიანობასა და იგივეობას; „იგივეობრივი არის ის, რითაც... ერთი მეორისაგან განსხვავდება". მეორე მხრივ, „იგივეობა ყოველთვის გულისხმობს განსხვავებას"[46].

იგივეობრივი, რაც ორ საგანს ერთმანეთისაგან განასხვავებს, არის გვარი; „განსხვავება გვარის საშუალებით ხდება... მაგრამ თუ ხაერთოსათვის აუცილებელია განსხვავებულთა თავისებური ნიშნები, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს არა უბრალო იგივეობასთან, არამედ ერთიანობასთან, რომელიც მხოლოდ უბრალო განსხვავებასთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ დაპირისპირებასა და წინააღმდეგობასთან"[47]. ერთიანობა განსხვავებულთა აუცილებელი დადებითი კავშირია, რომელიც თავის თავში უარყოფის მომენტსაც შეიცავს. განსხვავებასა და დაპირისპირებას უარყოფა ქმნის; განსხვავება უარყოფის გზითაა შესაძლებელი ანუ „უარყოფა განსხვავების არსებას წარმოადგენს".

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს არსებითსა და არაარსებით განსხვავებას; უარყოფის როლი ამ ორი სახის განსხვავებაში სხვადასხვაა; უარყოფა, რომელიც არსებით განსხვავებას ქმნის, განსხვავდება იმ უარყოფისაგან, რომელიც არაარსებით განსხვავებას განაპირობებს. არსებით განსხვავებას შეიძლება წინააღმდეგობა ვუწოდოთ; წინააღმდეგობაში კი ორმხრივი უარყოფა გვაქვს.

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს წინააღმდეგობასა და დაპირისპირებას; წინააღმდეგობა შეიძლება წმინდა უარყოფად მივიჩნიოთ; აქ მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთს უარყოფენ და დადებითს არაფერს შეიცავენ. „დაპირისპირების დროს კი მხოლოდ უარყოფა კი არა გვაქვს, არამედ უარმყოფელი დადებითი შინაარსისაა"[48]. მიუხედავად ამისა, არსებაში წინააღმდეგობა და დაპირისპირება ერთმანეთისაგან არ განსხვავდება.

---

45 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 228.

46 იქვე.

47 იქვე.

48 იქვე, გვ. 230.

დაპირისპირების ქვეშ ზოგჯერ ისეთ წინააღმდეგობას გულისხმობენ, რომელიც კონფლიქტში გადადის. ასეთია, მაგალითად, წინააღმდეგობა საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის ანტაგონისტურ საზოგადოებაში, რაც აფეთქებით მთავრდება. მაგრამ დაპირისპირებას ყოველთვის ასეთი შინაარსი როდი აქვს.

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს შინაგანსა და გარეგან, ანტაგონისტურსა და არაანტაგონისტურ, მთავარსა და არამთავარ წინააღმდეგობას. შინაგანი წინააღმდეგობა შინაგანი ძალაა, რომელიც მოძრაობასა და ცვალებადობას განაპირობებს; გარეგანი წინააღმდეგობა კი ხან ხელს უწყობს, ხან კი ხელს უშლის წინააღმდეგობას. იგი არ შეიძლება მოძრაობისა და განვითარების წყაროდ ჩაითვალოს.

მხოლოდ გარეგანი წინააღმდეგობის აღიარებას და შინაგანის უარყოფას ამტკიცებს ს. წერეთელი, მისტიკამდე მივყავართ. ამით იყო განპირობებული „პირველი ბიძგის" თეორიის ჩამოყალიბება მექანისტურ მსოფლმხედველობაში. მაგრამ არც მხოლოდ შინაგანი ძალების აღიარება და გარეგანის უარყოფა შეიძლება. შინაგანი და გარეგანი წინააღმდეგობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. „შინაგანი წინააღმდეგობა საგნის მამოძრავებელი წყაროა, იგი განსაზღვრავს გარეგანი წინააღმდეგობის ხასიათს; მაგრამ გარეგანი წინააღმდეგობა გარკვეულ გავლენას ახდენს საგნის განვითარებაზე; არსებობს დიალექტიკური კავშირი გარეგანსა და შინაგანს შორის საერთოდ, კერძოდ კი — გარეგანსა და შინაგან წინააღმდეგობას შორის"[49]

ანტაგონისტური და არაანტაგონისტური წინააღმდეგობანი, აღნიშნავს ს. წერეთელი, საზოგადოებისათვის დამახასიათებელი შინაგანი წინააღმდეგობის ფორმებია. წინააღმდეგობის ეს ორი ტიპი ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ წინააღმდეგობის მხარეების ანალიზის საფუძველზე. ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის წინააღმდეგობაში ბურჟუაზია ესწრაფვის შეინახოს წინააღმდეგობა, ე. ი. შეინახოს პროლეტარიატი, რომლის გარეშე მას არსებობა არ შეუძლია ამიტომ ბურჟუაზია დადებით დამოკიდებულებაშია კაპიტალისტური წინააღმდეგობისადმი, იგი წინააღმდეგობის დადებითი მხარეა. პროლეტარიატი კი, პირიქით, უარყოფით დამოკიდებულებაშია კაპიტალისტური წინააღმდეგობისადმი; მას სურს მისი მოსპობა; ამიტომ იგი წინააღმდეგობის უარყოფითი მხარეა. ბურჟუაზია

---

49 ი ქ ვ ე, გვ. 235.

იბრძვის თავის თავის და, მაშასადამე, კაპიტალისტური წინააღმდეგობის შენარჩუნებისათვის. ამიტომ „ამ წინააღმდეგობის გადაწყვეტა ასეთ პირობებში მხოლოდ მისი დანგრევით შეიძლება. ამიტომ საჭიროა აფეთქება და ძველი საზოგადოების დანგრევა“[50]. ეს არის ანტაგონისტური წინააღმდეგობა.

არაანტაგონისტურ წინააღმდეგობაში, აღნიშნავს ს. წერეთელი, სულ სხვა სურათი გვაქვს. თუ ანტაგონისტურ საზოგადოებაში წინააღმდეგობის ერთი მხარე ინახავს წინააღმდეგობას და ამით ცდილობს შეაჩეროს საზოგადოების განვითარება (ამდენად იგი განვითარების თვალსაზრისით უარყოფითი ხასიათისაა), „არაანტაგონისტურ წინააღმდეგობაში ორივე მხარე წინააღმდეგობისა განვითარებას უწყობს ხელს. რადგან არსებული წინააღმდეგობის განვითარება, ამავე დროს, განვითარების ხელის შეწყობაც არის“[51]. ასე ხსნის ს. წერეთელი ანტაგონისტური და არაანტაგონისტური წინააღმდეგობის ბუნებას.

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს აგრეთვე მთავარსა და არამთავარ წინააღმდეგობას; მთავარს იგი უწოდებს იმ წინააღმდეგობას, რომელიც მოვლენის არსებას განსაზღვრავს; არამთავარი კი მოვლენის რომელიმე მხარის თავისებურების განმსაზღრელი წინააღმდეგობაა. მთავარი წინააღმდეგობა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს, რომლის საფუძველზეც აიხსნება არამთავარი წინააღმდეგობანი. გარკვეულ პირობებში შესაძლებელია მთავარი წინააღმდეგობა არამთავარი წინააღმდეგობის როლში გამოვიდეს და პირიქით. ერთი სიტყვით, გარკვეულ პირობებში წინააღმდეგობანი ადგილებს იცვლიან. მიუხედავად ამისა, მთავარი წინააღმდეგობა ყოველთვის მთავარი რჩება.

დაპირისპირებულთა ერთიანობისა და „ბრძოლის“ კანონი იდეალიზმის პოზიციებიდან ჰეგელმა დაამუშავა, მაგრამ იგი — ჰეგელის დიალექტიკა — მისმა იდეალისტურმა სისტემამ გააყალბა და დაამახინჯა.

დიალექტიკის ძირითადი კანონების განხილვის შემდეგ ს. წერეთელი არკვევს დიალექტიკის ნიშნებისა და კანონების ურთიერთკავშირს. მისი აზრით, „დიალექტიკის ყველა ნიშანი არ არის კანონი, მაგრამ დიალექტიკის კანონები, როგორც დიალექტიკისათვის და-

---

50 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ 237.
51 ი ქ ვ ე, გვ. 238.

მახასიათებელი, მის ნიშნებს წარმოადგენენ"[52]. დიალექტიკის კანონები განვითარების კანონებია; ისინი განვითარების პროცესს სხვადასხვა კუთხით ახასიათებენ; ამიტომ ისინი დიალექტიკის ნიშნებადაც შეიძლება განვიხილოთ, რადგან მათ გარეშე დიალექტიკის ცნების განსაზღვრა შეუძლებელია.

დიალექტიკის ძირითად კანონებთან დაკავშირებით ს. წერეთლის ყურადღება მიიპყრო მეცნიერების კანონების ბუნებამ, რომელსაც მან სპეციალური წიგნი მიუძღვნა[53]. ამ წიგნში გაანალიზებულია მეცნიერების კანონის ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი, ნაჩვენებია საზოგადოების განვითარების კანონების სპეციფიკა, საზოგადოების ზოგადი და სპეციფიკური კანონები და სხვ. ამ ნაშრომში მოპოვებული შედეგები აისახა ავტორის სხვა თხზულებებშიც.

ს. წერეთელი იწყებს მატერიალისტური დიალექტიკის ცნობილი განსაზღვრების ანალიზით. როდესაც დიალექტიკას განსაზღვრავთ როგორც მეცნიერებას ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ, ამბობს ს. წერეთელი, მაშინ ვგულისხმობთ, რომ დიალექტიკის კანონებს უნივერსალური მნიშვნელობა აქვთ; არსებობს არა მხოლოდ ობიექტური დიალექტიკა, არამედ სუბიექტურიც; ეს ნიშნავს, რომ არა მხოლოდ ობიექტური სინამდვილე ვითარდება, არამედ მისი ამსახველი აზროვნებაც. ამასთანავე დიალექტიკის ცნების განსაზღვრებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს განვითარების ცნებას, ვინაიდან „დიალექტიკა თვითონ განვითარებაა, რომელსაც სინამდვილე დაუსრულებლივ განიცდის"[54]. სწორედ ამიტომ დიალექტიკას განსაზღვრავენ როგორც მეცნიერებას ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზე.

ასევე მნიშვნელოვანია დიალექტიკის ცნების განსაზღვრებაში სიტყვა „უზოგადესი"; ამის გარეშე დიალექტიკას, როგორც ფილოსოფიურ მეცნიერებას, სპეციალური მეცნიერებისაგან ვერ განვასხვავებთ. ყოველ მეცნიერებას თავისი საგანი აქვს; ასევეა დიალექტიკაც. ზემოხსენებული განსაზღვრება დიალექტიკის საგნის ზოგად დახასიათებას იძლევა.

ადამიანის ცოდნის ობიექტი, ამბობს, ს. წერეთელი, არის მატერიალური სინამდვილე. მაგრამ ვინაიდან მატერიალური მოვლენე-

---

52 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 246.

53 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, თბილისი, 1955.

54 ი ქ ვ ე, გვ. 9.

ბის არსებას მათი შინაგანი კანონზომიერება წარმოადგენს, ამიტომ შეიძლება ვთქვათ, რომ ცოდნა არის მატერიალური მოვლენების კანონზომიერების ცოდნა.

მატერიალური სინამდვილის კანონზომიერება, უწინარეს ყოვლისა, თვითონ არის მატერიალური; შეუძლებელია იგი იდეალური იყოს; ეს იქნებოდა იდეალიზმი და არა მატერიალიზმი. „მატერიაში არსებული კანონზომიერება სხვა არაფერია, თუ არა მატერიალური მოვლენების კავშირი, ის ურთიერთკავშირი, რომელიც მოძრაობის სახით არსებობს“[55]. სწორედ ამიტომ მისი მატერიალურობის უარყოფა შეცდომაა.

მოძრაობას სხვადასხვა ფორმა აქვს, რომლებიც სპეციალურ მეცნიერებათა შესწავლის საგანია. მეცნიერებანი სწავლობენ მოძრაობის ფორმებს და ამ ფორმების ურთიერთკავშირს. მეცნიერებათა კლასიფიკაცია სწორედ აქედან ამოდის.

მოძრაობის ფორმების ურთიერთკავშირი, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ ნიშნავს მათი ურთიერთდაყვანის შესაძლებლობას. მოძრაობის ფორმების ურთიერთდაყვანა მეცნიერებათა ურთიერთდაყვანასაც გამოიწვევდა, რაც ყალბი თვალსაზრისია. ბიოლოგიური პროცესები კავშირშია ქიმიურ პროცესებთან, მაგრამ მათზე არ დაიყვანებიან; სწორედ ამიტომ ბიოლოგია არ დაიყვანება ქიმიაზე. ასევე ითქმის სხვა მეცნიერებაზეც.

ფილოსოფია, სპეციალური მეცნიერებისაგან განსხვავებით, სინამდვილის უზოგადეს კანონებს სწავლობს; მაშასადამე, მას აქვს თავისი, სპეციალური მეცნიერებებისაგან განსხვავებული, საგანი და, ცხადია, ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანება.

მეცნიერების კანონები მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური შეიძლება იყოს, რაც ადამიანის ნება-სურვილისაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს. სწორედ ამიტომ კანონები არც იქმნებიან და არც ისპობიან. ობიექტური კანონის დარღვევა არ შეიძლება. ამ ნიშნით იგი ნორმატიული კანონებისაგან განსხვავდება, რომელთაც ადამიანები ქმნიან და აუქმებენ.

მეცნიერების კანონები, მართალია, ობიექტურია, მაგრამ, ს. წერეთლის აზრით, ისინი შეიძლება ნორმადაც გამოვიყენოთ. ასე იქცევა, მაგალითად, მშენებელი ინჟინერი, როდესაც იგი მსოფლიო მიზიდულობის კანონს, რომელიც ფიზიკური და, მაშასადამე, ობიექტურია, ნორმად იყენებს. მაგრამ ეს გარემოება ობიექტურ კანონს ნორმატიულად არ აქცევს. ს. წერეთელი აზროვნების ლოგიკური კა-

---

55 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 14.

ნონების ობიექტურობის თვალსაზრისზე დგას. ცნობილია, რომ ზოგიერთი ლოგიკოსი აზროვნების კანონების ობიექტურობას იმ საბუთით უარყოფს, რომ აზროვნების კანონების დარღვევა, ე. ი. შეცდომა ფაქტია, ობიექტური კანონების დარღვევა კი შეუძლებელია. წინააღმდეგ ამ შეხედულებისა, ს. წერეთელი თვლის, რომ „შეცდომაში ჩაეარდნა ამ კანონთა დარღვევა კი არ არის, არამედ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ ავმაღლდით ამ კანონის მოთხოვნამდე, არ შევასრულეთ ამ კანონის მოთხოვნა. ობიექტური კანონის დარღვევა ამ შემთხვევაში მაშინ გვექნებოდა, აღნიშნული კანონის დარღვევის დროსაც რომ შესაძლებელი იყოს ჭეშმარიტების მიღწევა“[56]. ცოტა ქვემოთ იგი წერს: „აზროვნების ლოგიკური კანონები ობიექტური ხასიათისანი არიან, რადგან მათ ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით კი არ ვქმნით, არამედ, პირიქით, მათ [illegible] სწორი და ჭეშმარიტი აზროვნება ხორციელდება იმისდა მიუხედავად, ვიცით თუ არა მისი კანონები. ობიექტური კანონების გარეშე ლოგიკა, როგორც მეცნიერება, არ იარსებებდა“[57]. არც ნორმატიული კანონებია ობიექტურობას სავსებით მოკლებული. მაგალითად, იურიდიული კანონები, რომლებიც ნორმატიული არიან, ეპოქის მოთხოვნებს უნდა პასუხობდნენ, ისინი გარკვეული ობიექტური პირობების შესაბამისად უნდა იყვნენ შექმნილი. ამიტომ ნორმატიულ კანონებს ობიექტური საფუძველი და მნიშვნელობა აქვთ. მაგრამ ეს გარემოება მათ ნორმატიულობას არ ხსნის, ვინაიდან მათ ადამიანები ქმნიან და აუქმებენ, რაც ბუნებრივი კანონის მიმართ შეუძლებელია.

მაგრამ ს. წერეთელი უარყოფს ობიექტური კანონების უცვლელობას. კანონებს სხვადასხვა ხანგრძლივობა ახასიათებთ; საზოგადოების განვითარების კანონები უფრო ნაკლებად ხანგრძლივია, ვიდრე ბუნების კანონები, მაგრამ პირველნი უფრო ნაკლებად ობიექტური როდია. ს. წერეთელს დასაშვებად მიაჩნია ობიექტური კანონების კონკრეტიზაცია-განვითარებაც. მაგალითად, „ზედმეტი ღირებულების კანონი ვითარდება და კონკრეტული ხდება იმპერიალიზმის პირობებში. იგი თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი კანონის სახეს იღებს“[58]. მაგრამ არც ეს გარემოება უარყოფს კანონის ობიექტურობას; პირიქით, იგი კიდევ უფრო ადასტურებს მას.

კანონის ობიექტურობას არ უარყოფს ძირითადი და არაძირითადი კანონების არსებობის ფაქტიც. არაძირითადი კანონები ძირი-

---

56 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 25.

57 ი ქ ვ ე, გვ. 28.

58 ი ქ ვ ე, გვ. 27.

თადს ობიექტურად ექვემდებარება; ისინი მეორადი არიან ძირითად კანონებთან შედარებით. კანონების მეორადობა შეიძლება ნიშნავდეს, ერთი მხრივ, მათ არაძირითადობას, ძირითად კანონებზე დაქვემდებარებას, ხოლო, მეორე მხრივ, იმას, რომ გარკვეული კანონები, მაგალითად, აზროვნებისა ობიექტური სინამდვილის ასახვას და, მაშასადამე, მეორადს წარმოადგენენ. მაგრამ აზროვნების კანონების მეორადობა მათ ობიექტურობას სრულიადაც არ გამორიცხავს.

კანონის ობიექტურობა, ე. ი. ჩვენი ნებისაგან დამოუკიდებლობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ ნიშნავს მის არსებობას ჩვენს გარეშე. „ობიექტური კანონი შეიძლება ჩვენი შინაგანი კანონიც იყოს"[59]. შინაგნობა ობიექტურობას არ აუქმებს და, პირიქით, ობიექტურობა ყოველთვის გარე არსებობაზე არ მიუთითებს. აზროვნების კანონები ობიექტურია, მაგრამ ისინი ბუნებაში (ცნობიერების გარეშე) არ არსებობენ. ასევე ითქმის ფსიქიკის კანონებზე, რომელთაც ფსიქოლოგია სწავლობს. ეს კანონები ობიექტურია (სხვაგვარად ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, შეუძლებელი იქნებოდა) არა იმიტომ, რომ ისინი ფსიქიკის გარეთ (ბუნებაში) არსებობენ, არამედ იმიტომ რომ ობიექტური სინამდვილის ასახვას წარმოადგენენ. თვითონ ნებისყოფის კანონებსაც კი ობიექტური ხასიათი აქვთ. კანონი არ შეიძლება სუბიექტური იყოს; „სუბიექტური კანონი არ არის კანონი. მეცნიერებას მხოლოდ ობიექტურ კანონებთან აქვს საქმე. სულ ერთია, ეს კანონები არსებობენ ობიექტურად თუ სუბიექტში"[60]. მეცნიერების კანონების ობიექტურობის უარყოფა თვითონ მეცნიერების უარყოფას ნიშნავს.

ამრიგად, ობიექტურობა მეცნიერების კანონის ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს.

მაგრამ ობიექტურობის ნიშანი, ამბობს ს. წერეთელი, კანონის დასახასიათებლად საკმარისი არ არის. ობიექტურია არა მხოლოდ კანონები, არამედ საგნები და მოვლენებიც; ამიტომ ობიექტურობის ნიშნით კანონსა და მოვლენას ერთმანეთისაგან ვერ განვასხვავებთ.

მეცნიერების კანონების შემდეგი არსებითი ნიშანია აუცილებლობა; მეცნიერება აუცილებლობას იმეცნებს. „საერთოდ ყოველი მეცნიერება აუცილებლობის ცოდნაა და მტერია შემთხვევითობისა"[61]. ცოტა ქვემოთ ს. წერეთელი აღნიშნავს, რომ „მეცნიერება

---

59 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ 31.
60 ი ქ ვ ე, გვ. 33.
61 ი ქ ვ ე, გვ. 39.

სხვას არაფერს არ სწავლობს, თუ არა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების მოვლენებში არსებული ობიექტური კანონზომიერებისათვის დამახასიათებელ აუცილებლობას. აუცილებლობის გარეშე შეუძლებელია როგორც მეცნიერება, ცოდნა, ისე მიზანდასახული პრაქტიკული მოქმედება"[62].

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს საგანში არსებულ სიღრმისეულ ანუ შინაგან და გარეგან მხარეებს. შინაგანი მხარე არსებითია, მისი არსებაა, გარეგანი კი არაარსებითია, მოვლენაა. სხვაგვარად ეს ნიშნავს, რომ საგანი არსებისა და მოვლენის მთლიანობას წარმოადგენს; მათი ერთმანეთში აღრევა შეცდომაა.

საგანთა და მოვლენათა შორის არსებული ურთიერთკავშირი, ამტკიცებს ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, მათი შინაგანი ბუნებიდან მომდინარეობს. ასეთი კავშირი (ე. ი. შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე კავშირი) აუცილებელი და კანონზომიერი კავშირია. აუცილებელი სწორედ იმას ეწოდება, რაც საგნის არსებიდან გამომდინარეობს, ხოლო შემთხვევითი — არსებიდან არ გამომდინარეობს. მოვლენათა ურთიერთობა თითქოს შემთხვევითი და გარეგანია, მაგრამ სინამდვილეში ისინი შინაგან აუცილებლობას ექვემდებარებიან და მით აიხსნებიან. „გარეგანი შინაგანით აიხსნება". შინაგანი აუცილებლობა კანონის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია. სწორედ ამიტომ კ. მარქსი კანონს განსაზღვრავს როგორც მოვლენათა შორის არსებულ შინაგან, აუცილებელ კავშირს.

მოვლენა არსების გამოვლენაა; იგი შემთხვევითად გვეჩვენება, მაგრამ მას შინაგანი კანონზომიერება გააჩნია; ის, რაც მისთვის შინაგანია, არის მისი არსება. ეს უკანასკნელი ზედაპირზე არ ჩანს. ასე რომ არ იყოს, მაშინ „ყოველგვარი მეცნიერება ზედმეტი იქნებოდა". მეცნიერება იკვლევს და აღმოაჩენს არსებას; მეცნიერული შემეცნება არსებითის, აუცილებელის აღმოჩენაა.

ს. წერეთელს კანონი ესმის როგორც განვითარების კანონი. იგი ამოდის კ. მარქსის იმ დებულებიდან, რომ კანონი არის „გაბატონებული ტენდენცია". აქედან იგი დაასკვნის, რომ „კანონი, როგორც ტენდენცია, მხოლოდ ერთიმეორის გვერდით ერთდროულად არსებულ მოვლენათა აუცილებელ შინაგან კავშირს კი არ წარმოადგენს, არამედ ერთიმეორის შემდეგ დროში გაშლილ ცვალებად მოვლენათა აუცილებელ კავშირსაც. კანონი არსებულის და მომავლის კავშირია; კანონი განვითარების კანონია. ნამდვილი აუცილებელი კავშირი სწორედ მოძრაობისა და განვითარების კავშირია"[63].

---

62 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 49.
63 ი ქ ვ ე, გვ. 46.

მხოლოდ აუცილებლობის აღიარება და შემთხვევითობის ობიექტურობის უარყოფა, როგორც ამას ადგილი ჰქონდა მექანისტურ დეტერმინიზმში, ამტკიცებს ს. წერეთელი, თვითონ აუცილებლობის უარყოფაა. „თუ ყველაფერი აუცილებლობას ექვემდებარება იმ აზრით, რომ ყველაფერი წინასწარაა გათვალისწინებული, მაშინ, ე. წ. აუცილებლობა უბრალო ცარიელ სიტყვად რჩება“[64]. წმინდა აუცილებლობის დაშვება ფატალიზმის და მეცნიერების უარყოფას ნიშნავს.

კიდევ უფრო შეცდომაა მარტოოდენ შემთხვევითობის აღიარება; შემთხვევითობის გააბსოლუტურება კანონზომიერების უარყოფაა, წმინდა შემთხვევითობისადმი დამონებაა, ასეთ პირობებში კი შეუძლებელია მეცნიერული წინასწარხედვა და, საერთოდ, მეცნიერული შემეცნება, ვინაიდან მეცნიერება კანონზომიერებასა და აუცილებლობას ადგენს; იგი აღმოაჩენს კანონს, რომელსაც აუცილებლობის ხასიათი აქვს.

მიზეზი აქვს როგორც აუცილებელს, ასევე შემთხვევითს. ს. წერეთელი თვლის, რომ „საგნის შემთხვევითი მხარე გარეგან და არა შინაგან მიზეზზეა დამოკიდებული“. მაგრამ ეს არ ნიშნავს მის დამოუკიდებლობას არსებისაგან. არაარსებითი მხარე არსებითს, არსებას ემყარება, თუმცა მაინც გარეგანსა და არაარსებითს წარმოადგენს. არსებითი კავშირი ამ შემთხვევაში გარეგანი კავშირის სახით გამოვლინდება და შემთხვევითობის ფორმას იღებს. ამრიგად, აუცილებლობა არსებითი კავშირია, შემთხვევითობა — არაარსებითი. არსებითს გამოვლენის პროცესში კიდევ რაღაც (გარეგანი) ემატება; სწორედ ამიტომ შემთხვევითი არის აუცილებლობის გამოვლენის ფორმა და დამატება.

ამრიგად, აუცილებლობასა და შემთხვევითობას შორის, აღნიშნავს ს. წერეთელი, აუცილებელი კავშირია; აუცილებლობა შემთხვევითში გამოვლინდება, ხოლო შემთხვევითი აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა. ეს ნიშნავს, რომ შემთხვევითობასა და აუცილებლობას შორის დიალექტიკური ერთიანობაა. „შემთხვევითობა აუცილებლობის საპირისპიროა, მაგრამ ისინი ისეთ აუცილებელ კავშირში არიან ერთმანეთთან, რომ ერთიმეორის გარეშე არ არსებობენ“[65].

აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთკავშირის დადასტურებად ს. წერეთელი თვლის მათ ურთიერთგადასვლას. შემ-

---

64 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ. გვ. 49.
65 ი ქ ვ ე, გვ. 60.

თხვევითი შეიძლება აუცილებელი გახდეს და, პირიქით, აუცილებელი — შემთხვევითი. ეს ნიშნავს, რომ „შემთხვევითობას და აუცილებლობას შედარებითი და არა აბსოლუტური ხასიათი აქვთ. ის, რაც შემთხვევითია ერთგვარ დამოკიდებულებაში, შეიძლება აუცილებელი იყოს მეორეგვარ დამოკიდებულებაში"[66]. აუცილებლობა და შემთხვევითობა თავიანთ საზრისს სხვადასხვა მიმართებაში იძენენ. ბიოლოგიური კანონზომიერება ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელია, მაგრამ საზოგადოებისათვის შემთხვევითია.

კანონის შემდეგ არსებით ნიშნად ს. წერეთელს მიაჩნია შედარებითი იდენტურობა, იგივეობრიობა. „კანონი — წერს იგი — არის შედარებით მყარი და მუდმივი, შედარებით იდენტური რამ მოვლენათა ცვალებადობაში, მათ მოძრაობა-განვითარებაში"[67]. მოძრაობა-ცვალებადობა გარკვეული კანონზომიერების მქონეა, ე. ი. მასში გარკვეული მდგრადობაცაა. ცვალებადობა არა მხოლოდ ცვალებადობაა, არამედ იგი გარკვეულ მდგრადობასაც გულისხმობს. წინააღმდეგ შემთხვევაში ცვალებადობაში არავითარი კანონზომიერება არ იარსებებდა. კანონი სწორედ ამ მდგრადს, შედარებით უცვლელს, იდენტურს გამოხატავს.

კანონის ამ არსებითი ნიშნიდან ს. წერეთელს უშუალოდ გამოჰყავს შემდეგი ნიშანი — ზოგადობა. კანონი, როგორც შედარებით იდენტური, იგივეობრივი, ცხადია, ზოგადია იმ მოვლენებისათვის, რომლის კანონსაც იგი წარმოადგენს. ამაზე მიუთითებს აგრეთვე კანონის აუცილებლობაც. აუცილებელი კავშირი სხვადასხვას კავშირია, იგი საერთოა სხვადასხვა მოვლენისათვის. „მრავლისათვის საერთო და იგივეობრივი არის ის ზოგადი, რომელიც კანონის ერთ-ერთ არსებით ნიშანს შეადგენს"[68]. ზოგადობის გარეშე კანონი შეუძლებელია; კანონს აზრი აქვს სწორედ ზოგადობის გამო. კანონი არის ზოგადობის ფორმა ბუნებაში.

მეცნიერების მიერ კანონების აღმოჩენა ნიშნავს სწორედ მოვლენებში, ცვალებადში, სიმრავლეში აუცილებლობისა და ზოგადობის აღმოჩენას. მაგრამ კანონის ზოგადობა არ არის საერთოდ ზოგადობა, ვინაიდან ზოგადი შეიძლება არაარსებითიც იყოს. კანონი არსებითი ხასიათის ზოგადია; მისი ზოგადობა აოსების, სიღრმისეული ზოგადობაა. ამგვარად გაგებული ზოგადი არის „საგნის არსებით მომენტთა ერთიანობა, როგორც ცალკეული აუცილებელი კავშირი, რომელიც განვითარების საფეხურთა კანონიცაა, ამ

66 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ 63.

67 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 159.

68 ი ქ ვ ე. გვ. 163.

აზრით მისი ზოგადობაცაა, როგორც განვითარების არსება; განვითარების საფეხურები არსებას გარკვეული სახით გამოავლენენ"[69].

კანონის არსებითი ნიშნების ანალიზის საფუძველზე ს. წერეთელი ასე განსაზღვრავს კანონის ცნებას: „კანონი არის მოძრაობა-განვითარებაში მყოფ მოვლენათა ობიექტური, აუცილებელი, არსებითი კავშირის ზოგადობის ფორმა. უძირითადესი კანონი კი არის დაპირისპირებულთა შინაგანი, აუცილებელი დადებითი კავშირი, ერთიანობა"[70].

კანონის ზოგადი ბუნების დახასიათების შემდეგ ს. წერეთელი განიხილავს, ერთი მხრივ, დიალექტიკის ძირითად კანონებს, ხოლო, მეორე მხრივ საზოგადოების განვითარების ზოგადსა და სპეციფიკურ კანონებს. პირველის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი; მოკლედ გადმოვცემთ. ს. წერეთლის მოსაზრებებს საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ.

აქ ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, აღნიშნავს, რომ კანონის არსებითი ნიშნების დახასიათება ყოველგვარ კანონს ეხება და მეცნიერების კანონის ზოგად ბუნებას ავლენს; მაგრამ ბუნებას, საზოგადოებასა და აზროვნებას, როგორც სინამდვილის სამ სხვადასხვა სფეროს, თავიანთი სპეციფიკური კანონებიც გააჩნიათ. ამ შემთხვევაში იგი განიხილავს საზოგადოების განვითარების კანონების სპეციფიკურობას, მათ განსხვავებას ბუნებისა და აზროვნების კანონებისაგან.

საზოგადოების კანონების განსხვავება ბუნების კანონებისაგან, აღნიშნავს ს. წერეთელი, უდავოა. გეოგრაფიული გარემოს ცვალებადობის კანონები არ შეიძლება საზოგადოებაზე გადავიტანოთ, ვინაიდან საზოგადოების განვითარება ბუნებასთან შედარებით სწრაფად მიმდინარეობს. ამიტომ უნდა არსებობდნენ საზოგადოებრივი განვითარების სპეციფიკური კანონები. საზოგადოების განვითარების ახსნა მექანიკის კანონებით, რასაც მექანისტური მატერიალიზმი აკეთებდა საზოგადოების სპეციფიკის უარყოფას ნიშნავდა.

მეორე მხრივ ს. წერეთელი აკრიტიკებს რიკერტისა და სხვა სუბიექტური იდეალისტების თვალსაზრისს, რომლებიც ვერ ხედავენ საერთოს ბუნებისა და საზოგადოების განვითარებას შორის, წყვეტენ მათ ერთმანეთისაგან და უარყოფენ ისტორიაში კანონებისა და კანონზომიერების არსებობას, უარყოფენ ისტორიას, როგორც მეცნიერებას. ს. წერეთელი თვლის, რომ ისტორია, როგორც მეც-

69 დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, გვ. 166.

70 იქვე, გვ. 168.

ნიერება, უარყოფილია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობას ქაოსად წარმოადგენენ, ე. ი. როდესაც უარყოფენ კანონზომიერების არსებობას ისტორიაში და, მაშასადამე, ამ უკანასკნელს წყვეტენ ბუნებისაგან (სუბიექტური იდეალიზმი), არამედ მაშინაც, როდესაც საზოგადოების განვითარების კანონზომიერება ბუნების კანონზომიერებაზე დაჰყავთ და ამდენად სოციალური განვითარების სპეციფიკას უარყოფენ (მექანიციზმი). საზოგადოების განვითარების შესახებ მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავება დაკავშირებულია ისტორიის მატერიალისტური გაგების ჩამოყალიბებასთან.

აანალიზებს რა ისტორიის მატერიალისტურ გაგებას, ს. წერეთელი აღნიშნავს, რომ „ბუნებასა და საზოგადოებას შორის არც უფსკრულია და არც განუსხვავებულობა-იგივეობა; საზოგადოების განვითარებას საკუთარი, შინაგანი, ობიექტური კანონზომიერება აქვს და საზოგადოების შესახებ მეცნიერების საგანს სწორედ ეს კანონზომიერება შეადგენს“[71].

ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს ორგვარ საზოგადოებრივ კანონებს: მთელი საზოგადოების საერთო კანონებს ანუ საზოგადოების ზოგად კანონებსა და საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციათა დამახასიათებელ კანონებს.

საზოგადოების განვითარების საფუძველს წარმოების განვითარება წარმოადგენს. წარმოებას, სპეციფიკურ ნიშნებთან ერთად, მთელი ეპოქისათვის საერთო ნიშნებიც აქვს, ამიტომ წარმოების ცნების განსაზღვრება კ. მარქსის მიერ („ყოველი წარმოება არის ბუნების საგნების მითვისება ინდივიდის მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით“[72]) ყველა ეპოქის წარმოებას შეეხება. ამის საფუძველზე ს. წერეთელი დასკვნის, რომ „რადგან წარმოების საერთო და ზოგადი ნიშნები არსებობს, ამიტომ შეიძლება ლაპარაკი საერთოდ საზოგადოების შესახებ; ამიტომ არსებობს საერთოდ საზოგადოების ზოგადი კანონებიც, წინაალმდეგ შემთხვევაში საზოგადოების ეპოქები ერთმანეთისაგან მოწყვეტილი იქნებოდნენ და საზოგადოების განვითარების საფეხურები პროგრესული ხასიათის არ იქნებოდნენ, — და ყოველი ახალი საფეხურის დაწყებისას ისტორია თავიდან დაიწყებოდა; ეს კი ადანიანთა საზოგადოების სრულიად ყალბი გაგება იქნებოდა“[73].

---

71 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 59.

72 კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბილისი, 1953, გვ. 262.

73 ს. წ ერ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 101.

საზოგადოების განვითარების ზოგად კანონთა შორის ს. წერეთელი განიხილავს საწარმოო ძალთა ხასიათისადმი წარმოებით ურთიერთობათა სავალდებულო შესაბამისობის კანონს, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა შორის ურთიერთობის კანონს, საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ერთიანობის კანონს. ამავე დროს ეს უკანასკნელი მას წინააღმდეგობის ერთიანობის კანონად მიაჩნია და მას უზოგადეს კანონად თვლის[74].

ს. წერეთელი ამ კანონებს შორის გარკვეულ სუბორდინაციას ამყარებს. იგი თვლის, რომ „პირველი კანონი მეორეს ექვემდებარება, მეორე კი — მესამეს. აქ აღნიშნული მესამე კანონი ძირითადი ანუ უზოგადესი კანონია აღნიშნულ სამ ზოგად კანონს შორის“[75]. გარდა ამისა, ამტკიცებს ს. წერეთელი, „საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის ერთიანობის კანონი წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნებისაა, იგი დიალექტიკის მეოთხე ძირითად ნიშანს (დიალექტიკის ბირთვს) უშუალოდ გამოხატავს, მის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენს“[76].

ამასთანავე ს. წერეთელი მიუთითებს, რომ საზოგადოების განვითარებისათვის, ყველა ფორმაციისათვის ზოგადი კანონები იმავე დროს შეიძლება განვიხილოთ როგორც სპეციფიკური კანონები მთელი საზოგადოებისათვის, როდესაც საზოგადოებასა და ბუნებას ერთმანეთს შევუპირისპირებთ. საზოგადოების ზოგადი კანონები ბუნების კანონებისაგან თვისებრივად განსხვავებულია და ამდენად ისინი საზოგადოების სპეციფიკურ კანონებს წარმოადგენენ.

საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების ანალიზის შემდეგ ს. წერეთელი გადადის საზოგადოებრივ ფორმაციათა სპეციფიკური კანონების განხილვაზე.

ვინაიდან, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, არ არსებობს წარმოება საერთოდ, არამედ იგი ყოველთვის კონკრეტულია, ამიტომ ს. წერეთლის აზრით, უნდა არსებობდეს საზოგადოებრივ ფორმაციათა სპეციფიკური კანონებიც. ამასთანავე თითოეულ საზოგადოებრივ ფორმაციას შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე კანონი, მაგრამ მათგან ძირითადი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს; დანარჩენი კანონები კი არაძირითადი და დაქვემდებარებული იქნებიან. რამდენიმე ძირითადი კანონის დაშვება თვითონ ძირითადის ცნებას ეწინააღმდეგება. ძირითადი კანონი იმ კანონს ეწოდება — წერს ს. წერეთე-

---

74 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 113—119.
75 ი ქ ვ ე, გვ. 121.
76 ი ქ ვ ე.

ლი, „რომელიც განსაზღვრავს ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი წარმოების განვითარების ყველა მთავარ მხარეს, ე. ი. მის არსებას. რომელიმე ფორმაციის არაძირითადი კანონი არის ის კანონი, რომელიც განსაზღვრავს ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი წარმოების განვითარების რომელიმე ცალკეულ მხარეს, რომელიმე ცალკეულ პროცესს"[77].

ამ აზრს ს. წერეთელი უფრო ზოგადად ასე გამოთქვამს: „რაიმე საგნის განვითარების ძირითადი კანონი ამ განვითარების არსების განმსაზღვრელი კანონია. ეს არის ის, რაც საგნის განვითარების შინაგან მამოძრავებელს წარმოადგენს. ასეთი კანონი ყოველგვარი მოძრაობა-განვითარებისათვის არის შინაგანი წინააღმდეგობის კანონი. არაძირითადი კი ის კანონი იქნება, რომელიც საგნის განვითარების რომელიმე ცალკეული მხარის განმსაზღვრელია"[78]. ამრიგად, ძირითად კანონს ს. წერეთელი განვითარების შინაგან მამოძრავებელს უწოდებს, რომლის ქვეშ მას შინაგანი წინააღმდეგობის კანონი ესმის. სწორედ შინაგანი წინააღმდეგობა არის მოძრაობა-განვითარების წყარო; ის არის განვითარების არსების განმსაზღვრელი კანონი. ასეთი (ძირითადი) კანონი, ცხადია, ყველა დანარჩენი (არაძირითადი) კანონების დამქვემდებარებელი უნდა იყოს. მართლაც, ს. წერეთელი თვლის, რომ „ძირითადი ისეთი კანონი იქნება, რომელიც არაძირითად კანონებს იქვემდებარებს".

ძირითადი და არაძირითადი კანონების სპეციფიკაციის შემდეგ ს. წერეთელი განიხილავს ცალკეული საზოგადოებრივი ფორმაციების კანონებს, ვრცლად ჩერდება სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის განხილვაზე და აჩვენებს მის სპეციფიკას, გაანსხვავებას ანტაგონისტური საზოგადოების ფორმაციების, კერძოდ, კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, ს. წერეთელი თვლის, რომ საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონები ბუნების კანონებთან შეპირისპირებაში შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოების სპეციფიკური კანონები, ე. ი. იმად, რითაც ისინი ბუნების კანონებისაგან განსხვავდებიან. საზოგადოების განვითარების ზოგად კანონებს მთელი სინამდვილის (უზოგადესი) კანონების მიმართ კერძო ხასიათი აქვთ. დაახლოებით ასევე შეიძლება ითქვას საზოგადოების ზოგადი და სპეციფიკური კანონების მიმართ. ყველა კანონი ზოგადია, მაგრამ საზოგადოების სპეციფიკური კანონები, რომლებიც

---

77 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 124.
78 ი ქ ვ ე.

ცალკეულ ფორმაციებში მოქმედებენ, ექვემდებარებიან საზოგადოების ზოგად კანონებს და, მაშასადამე, მათ მიმართ კერძო ხასიათი აქვთ.

მთელი საზოგადოების განვითარების ზოგადი კანონების არსებობა, აღნიშნავს ს. წერეთელი, არ გამორიცხავს ცალკეული ფორმაციების სპეციფიკური კანონების ურთიერთდაპირისპირებას. ერთი ფორმაციის კანონი მეორეს ეწინააღმდეგება, თუმცა ყველა ფორმაციას საერთო (ზოგადი) კანონებიც აქვთ.

რა ურთიერთობაა საზოგადოების განვითარების ზოგად კანონებსა და ცალკეული ფორმაციების ძირითად კანონებს შორის? ისინი ერთიმეორის „გვერდით" ხომ არ არსებობენ? ეს რომ ასე იყოს, აღნიშნავს ს. წერეთელი, მაშინ თითოეული ფორმაციას ორი ძირითადი კანონი ექნებოდა, რაც შეცდომაა, ვინაიდან ძირითადი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. ამ საკითხს ს. წერეთელი ასე წყვეტს: ამა თუ იმ ფორმაციის ძირითადი კანონი „საზოგადოების ზოგადი კანონის კონკრეტული სახეა და არა მის გვერდით არსებული მეორე ძირითადი კანონი"[79]. ეს ნიშნავს,რომ „ზოგადი და სპეციფიკური კანონები ერთიმეორის გვერდით კი არ არიან დალაგებული, არამედ ერთიმეორეში მოქმედებენ; ისინი ერთიანი პროცესის, ერთიანი კანონზომიერების მხარეებს, ან ერთიმეორის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენენ. არა მხოლოდ მოვლენები არიან ურთიერთკავშირში, არამედ მათში არსებული კანონებიც"[80].

§ 3. ჰეშმარიტების პრობლემა

დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის საკითხებს, კერძოდ, ჭეშმარიტების პრობლემას ეხება ს. წერეთლის წიგნი: „ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი". ამ ნაშრომის ძირითადი დებულებანი დაიბეჭდა ჟურნალ „Вопросы философии"-ს ფურცლებზე სათაურით. „К ленинскому пониманию диалектической природы истины"[81] ს. წერეთლის თვალსაზრისს ჭეშმარიტების შესახებ გადმოვცემთ ზემოხსენებული წიგნის მიხედვით, ვინაიდან იქ ეს თვალსაზრისი უფრო ვრცლად და ყოველმხრივადაა წარმოდგენილი.

---

79 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, გვ. 142.

80 ი ქ ვ ე, გვ. 142—143.

81 «Вопросы философии». № 4, 1960.

ჰეშმარიტების პრობლემის კვლევისას ს. წერეთელი იმ დებულებიდან ამოდის, რომ „აზრი, რომელიც სინამდვილეს, სახელდობრ, დიალექტიკურ სინამდვილეს ასახავს, თვითონაც დიალექტიკური ბუნებისაა“[82]. ცხადია, ჰეშმარიტებაც,როგორც დიალექტიკური სინამდვილის ამსახველი აზრი,დიალექტიკური იქნება. სწორედ ამიტომ ს. წერეთელი მიზნად ისახავს გაარკვიოს ჰეშმარიტების დიალექტიკური ბუნება, კერძოდ, ჰეშმარიტების ლენინური გაგების დიალექტიკურ-ლოგიკური არსი. მთელი კვლევა კი დიალექტიკური ლოგიკის პრობლემების შემდგომ დამუშავებას ემსახურება, ვინაიდან ავტორი თვლის, რომ „ჰეშმარიტების ბუნების ლენინურ გაგებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დიალექტიკური ლოგიკის პრობლემათა გადაწყვეტისათვის, კერძოდ, იმის გადაწყვეტისათვის, რომ ჰეშმარიტების დიალექტიკური ბუნების გამომხატველი ლოგიკური თვითონ არის დიალექტიკური“[83].

ს. წერეთელი ამ ნაშრომში, უწინარეს ყოვლისა, იმის დასაბუთებას ცდილობს, რომ ჰეშმარიტების ცნებას, კერძოდ, მის ლენინურ განსაზღვრებას დიალექტიკური ხასიათი აქვს. ჰეშმარიტება, ზოგადად, არის სინამდვილის ასახვა ჩვენს ცნობიერებაში, ჰეშმარიტია ჩვენი წარმოდგენების, აზრების ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია სუბიექტისაგან, და საერთოდ, კაცობრიობისაგან. ჰეშმარიტების ცნების ამ ლენინურ განსაზღვრებაში, ამტკიცებს ს. წერეთელი, ორი მომენტი იგულისხმება: აზრი და ობიექტი, საგანი. კერძოდ, აქ ნათქვამია ის, რომ „აზრში უნდა იყოს ის, რაც საგნობრივი, ობიექტური, არააზრობრივი, არასუბიექტური ხასიათისაა. სუბიექტში უნდა იყოს არასუბიექტური; ობიექტური; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება ჰეშმარიტება“[84].

ამრიგად, ჰეშმარიტების ლენინური განსაზღვრება სუბიექტურისა და ობიექტურის,აზრისა და საგნის ურთიერთობას არკვევს. საგანი, ცხადია, არ შეიძლება აზრში უშუალოდ მოთავსდეს; „შემეცნების თვალსაზრისით საგნის აზრში ყოფნა ამ საგნის მხოლოდ ცოდნას ნიშნავს“. მიუხედავად ამისა, ჰეშმარიტების ლენინური განსაზღვრება ენობრივი გამოთქმის მიხედვითაც კი მის დიალექტიკურობაზე მიუთითებს; იგი გვეუბნება, რომ „ჰეშმარიტება გვაქვს მაშინ, თუ აზრში არის ის, რაც არ არის აზრი; რაც არააზრობრივია; მაგრამ ეს არააზრობრივი აზრში არსებობს ცოდნის, ასახვის ფორ-

---

82 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჰეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1960, გვ. 3.

83 ი ქ ვ ე.

84 ი ქ ვ ე, გვ. 5.

მით"[85]. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების ლენინური განსაზღვრება ორი სხვადასხვას (დაპირისპირებულის) ერთიანობის გამოთქმას წარმოადგენს. „ჭეშმარიტება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ აზრს შეუძლია თავის შინაარსად იქონიოს ის, რაც მისგან სრულიად დამოუკიდებელია"[86]. ამრიგად, აქ გარკვეულად დაპირისპირებულთა ერთიანობა გვაქვს, რასაც ჭეშმარიტების ლენინური განსაზღვრა გამოთქვამს. აზრის ერთიანობა იმასთან, რაც აზრისაგან სრულიად დამოუკიდებელია, მაგრამ აზრის შინაარსს შეადგენს, დაპირისპირებულთა ერთიანობის გამოთქმაა. ეს განსაზღვრება, ს. წერეთლის აზრით, დადებითია, თუმცა თავის თავში უარყოფის მომენტსაც შეიცავს; ამაში მეღავნდება მისი დიალექტიკური ბუნება. ს. წერეთლის წიგნი ამ დებულების ილუსტრაციას წარმოადგენს, მის დასაბუთებას ემსახურება. კერძოდ, ავტორი მიზნად ისახავს გაარკვიოს, თუ როგორ წარმოადგენს ჭეშმარიტების ცნების ლენინური განსაზღვრება დაპირისპირებულთა ერთიანობას, ე. ი. მიზნად ისახავს ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნებიკ ჩვენებას.

ამ მიზნით, ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავს სუბიექტურისა და ობიექტურის დიალექტიკურ დამოკიდებულებას ჭეშმარიტებაში. აზროვნება, როგორც ფსიქიკის ელემენტი, ამბობს იგი, სუბიექტურია. აზროვნება, ცნობიერება შემმეცნებელია, სუბიექტია; ეს ნიშნავს, რომ შემეცნების თვალსაზრისით აზროვნება სუბიექტურია, რამდენადაც იგი სუბიექტში არსებობს და არა მის გარეთ; მაგრამ ჭეშმარიტების თვალსაზრისით აზროვნებას ობიექტური შინაარსი აქვს. ამიტომ საჭიროა გაირკვეს თუ რა ურთიერთობაა სუბიექტურსა და ობიექტურს შორის ჭეშმარიტ აზრში.

ჭეშმარიტების სუბიექტურობის აღიარება, ამტკიცებს ს. წერეთელი, შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ იგი საერთოდ აუქმებს ჭეშმარიტებას; თუ ყველაფერი ჭეშმარიტია, მაშინ, მეორე მხრივ, არაფერი არ არის ჭეშმარიტი. ჭეშმარიტების სუბიექტურობის დაშვების სიყალბე მის ობიექტურობას ასაბუთებს. ჭეშმარიტება ობიექტურია, მაგრამ არა ისეთი ობიექტური, როგორიცაა ცნობიერების გარეშე არსებული საგნები და მოვლენები; ჭეშმარიტება აზრის ნიშანია და მას საგნობრივი არსებობა, ცხადია, არა აქვს. ამ გაგებით ჭეშმარიტება არ არის ობიექტური.

ს. წერეთელი უარყოფს ჭეშმარიტების ალბათურობის თვალსაზრისს; ალბათური იმას ეწოდება, რაც ჭეშმარიტებას ჰგავს, მაგრამ

---

85 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 5.

86 ი ქ ვ ე.

თვითონ არ არის ჭეშმარიტი; ეს კი, მისი აზრით, ნიშნავს, რომ ალბათურს ჭეშმარიტებით აქვს აზრი და გამართლება; იგი გულისხმობს ჭეშმარიტებას და, მაშასადამე, მას ჭეშმარიტების შეცვლა არ შეუძლია.

არც ჭეშმარიტების უარყოფა შეიძლება; ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ უნდა ჩავთვალოთ ჭეშმარიტად და, მაშასადამე, ამით თვითონ ჭეშმარიტების არსებობას დავასაბუთებთ. „ჭეშმარიტება აუცილებლად არსებობს. მისი უარყოფა შეუძლებელია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტების ობიექტურობა აუცილებლად უნდა ვაღიაროთ"[87].

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ „ჭეშმარიტება სუბიექტურისა და ობიექტურის გარკვეულ ერთიანობაში მდგომარეობს"[88]. შეუძლებელია უარვყოთ ჭეშმარიტების სუბიექტურობაც და ობიექტურობაც. ჭეშმარიტების სუბიექტურობის უარყოფის შემთხვევაში დაგვრჩება მხოლოდ ობიექტური საგანი და, მაშასადამე, ჭეშმარიტების საკითხიც მოიხსნება; ასევე ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფას ჭეშმარიტების გაუქმებამდე მივყავართ. ერთადერთ გამოსავალს ს. წერეთელი იმაში ხედავს, რომ ჭეშმარიტება სუბიექტურისა და ობიექტურის ერთიანობად გამოვაცხადოთ.

ჭეშმარიტება არც მხოლოდ სუბიექტურია და არც მხოლოდ ობიექტური; იგი უნდა ვეძიოთ სუბიექტში, კერძოდ, სუბიექტის ობიექტურ შინაარსში. სწორედ ამაზე მიუთითებს ჭეშმარიტების ცნების ლენინური განსაზღვრება.

ჭეშმარიტების ობიექტურობის ქვეშ ს. წერეთელს აზრის ობიექტური შინაარსი ესმის, რომელიც ობიექტურად არსებული საგნითაა განსაზღვრული. იგი აზრის ობიექტური შინაარსია, მაგრამ მაინც აზრის განსაზღვრულობაა. აქ მეღავნდება მისი სუბიექტურობა. „ობიექტური შეიძლება არსებობდეს აზრში სწორედ სუბიექტურ ფორმაში, თვითონ აზრის ფორმაში"[89]. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტება მაშინ გვაქვს, როდესაც საგნის ობიექტური შინაარსი სუბიექტურ ფორმაში წარმოსდგება. „ჭეშმარიტება — ამბობს ს. წერეთელი — არის ობიექტურის სუბიექტური სახე; ჭეშმარიტება, როგორც აზრის ობიექტური შინაარსი, არის ობიექტური საგნის სუბიექტური სახე. საგანი სუბიექტურ ფორმაში, აზრის ფორმაში უნდა წარმოსდგეს და მხოლოდ მაშინ გვეძლევა ჭეშმარიტება"[90]. სწორედ ეს

---

87 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 10.

88 ი ქ ვ ე.

89 ი ქ ვ ე. გვ. 11.

90 ი ქ ვ ე, გვ. 12.

არის, ს. წერეთლის მიხედვით, ჭეშმარიტებაში სუბიექტურისა და ობიექტურის დამოკიდებულების დიალექტიკა; აქ მყღავნდება, რომ ჭეშმარიტება დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს.

მაგრამ ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნება, ს. წერეთლის აზრით, მარტოოდენ ამით არ ამოიწურება. ჭეშმარიტების რელატიური (შეფარდებითი) და აბსოლუტური მომენტების განხილვა ამ გარემოებას კიდეე უფრო ცხადყოფს. ამიტომ ს. წერეთელი ამჯერად იკვლევს რელატიურისა და აბსოლუტურის დამოკიდებულებას ჭეშმარიტებაში.

ზოგიერთი ფილოსოფოსი (მაგ., პარმენიდე, დემოკრიტე, პლატონი, არისტოტელე და სხვ.) ჭეშმარიტების აბსოლუტურობის საფუძველს შემეცნების საგნის მარადიულობაში ხედავს. უცვლელი, მარადიული ობიექტის შესახებ ცოდნა აგრეთვე უცვლელი და მარადიულია, აბსოლუტურია. ს. წერეთელი აკრიტიკებს ამ თვალსაზრისს და აღნიშნავს, რომ შემეცნების საგნის უცვლელობა ჭეშმარიტების აბსოლუტურობას მაინც ვერ უზრუნველყოფს. შეიძლება დავუშვათ შემეცნების საგნის უცვლელობა და, იმავე დროს, ამ საგნის შესახებ აზრის ცვალებადობაც და ჭეშმარიტებაც. სრულიადაც არ არის სავალდებულო, რომ უცვლელი საგნის შესახებ აზრი აგრეთვე უცვლელი იყოს. ერთი სიტყვით, „ჭეშმარიტების აბსოლუტურობა არ ნიშნავს ჭეშმარიტი აზრის საგნის უცვლელობას"[91].

ჭეშმარიტების აბსოლუტურობას ვერც შემეცნების უნარის უცვლელობა უზრუნველყოფს. პირიქით, აბსოლუტური ჭეშმარიტების მიღწევა შესაძლებელია შემეცნების უნარის განვითარების პირობებში.

ზოგჯერ ჭეშმარიტების აბსოლუტურობის ქვეშ ჩვენი ცოდნის უცვლელობა ესმით; მაგრამ ჭეშმარიტების ცვალებადობის აღიარება ჭეშმარიტების უარყოფა როდია. ჭეშმარიტება პროცესია, იგი სრულყოფასა და განვითარებას განიცდის, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მისი აბსოლუტურობის უარყოფას. „აბსოლუტური ჭეშმარიტების უარყოფა — შენიშნავს ს. წერეთელი — საერთოდ ჭეშმარიტების უარყოფაა. ჭეშმარიტება ყოველთვის შეიცავს აბსოლუტურის მომენტს"[92].

აბსოლუტური ჭეშმარიტების ქვეშ ცოდნის ობიექტურობა და სისრულე იგულისხმება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტების ობიექტურობა მის აბსოლუტურობასაც ნიშნავს; ამიტომ აბსოლუ-

---

91 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 15.

92 ი ქ ვ ე, გვ. 16.

ტური ჭეშმარიტების უარყოფა იმავე დროს ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფაცაა. ჩვენი ცოდნის არასისრულე, ამბობს ს. წერეთელი, არ უარყოფს ჭეშმარიტების აბსოლუტურობას. თვითონ ცოდნის მიახლოება სისრულისადმი ჭეშმარიტების ობიექტურობას, მის აბსოლიტურობას ამტკიცებს. მართალია, აბსოლუტური ჭეშმარიტება, როგორც სინამდვილის ამომწურავი ცოდნა, მიუწვდომელია, მაგრამ აბსოლუტური ჭეშმარიტება არსებობს ცოდნის სისრულის ყოველ ეტაპზე ნაწილობრივი სახით. რელატიური, შეფარდებითი ჭეშმარიტება სწორედ ასეთ ნაწილობრივ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას ეწოდება. აქედან ცხადია, რომ რელატიური ჭეშმარიტების არსებობის აღიარება უკვე ამყოვანებს ჭეშმარიტების დიალექტიკურ ხასიათს, ვინაიდან რელატიურობა და აბსოლუტურობა ერთმანეთს უპირისპირდება, მაგრამ ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ რელატიური შეიცავს აბსოლუტურს.

ს. წერეთელი ერთმანეთისგან მიჯნავს რელატივიზმსა და რელატიური ჭეშმარიტების აღიარებას. რელატივიზმი ჭეშმარიტების სუბიექტურობის, აბსოლუტური პირობითობის დაშვებაა და, მაშასადამე, ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფასაც ნიშნავს. ამაშია მისი შეცდომა; ჭეშმარიტების ობიექტურობის უარყოფა იგივეა, რაც ჭეშმარიტების უარყოფა საერთოდ[93].

ჭეშმარიტების რელატიურობის საფუძველს ს. წერეთელი, ერთი მხრივ, სინამდვილის განუწყვეტელ ცვალებადობა-განვითარებაში ხედავს; სწორედ ამის გამო შეუძლებელია სინამდვილის სრული, აბსოლუტური შემეცნება. ჭეშმარიტება ყოველთვის რელატიურია. მაგრამ, მეორე მხრივ, თუნდაც სინამდვილე უცვლელი იყოს, აბსოლუტური ჭეშმარიტება მაინც მიუწვდომელი იქნებოდა ცოდნის ობიექტის, ე. ი. ობიექტური სინამდვილის უსასრულო მრავალმხრიობისა და სიღრმის გამო. ერთი სიტყვით, ს. წერეთელი თვლის, რომ „ჭეშმარიტების შეფარდებითობის საფუძველი მხოლოდ ის კი არაა, რომ სინამდვილე მუდმივ განვითარებაშია, რომ შემეცნების ფარგლები ყოველთვის შეზღუდულია, თუმცა ეს ფარგლები მუდამ იცვლებიან და მათი გადალახვის პროცესი უსასრულოდ გრძელდება“[94]. მართალია, ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობანი შეუზღუდველია, მაგრამ ამ შესაძლებლობათა განხორციელება ყოველ მოცემულ ეტაპზე შეზღუდულია. სწორედ ეს იწვევს ჭეშმარიტების რელატიურობას, თუმცა რელატიური ჭეშმარიტება ყოველთვის

---

93 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 19.

94 ი ქ ვ ე, გვ. 20.

შეიცავს თავის თავში თავის საპირისპირო აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ამ აზრითაც ჭეშმარიტება დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს.

რელატიური ჭეშმარიტება ჭეშმარიტებისა და შეცდომის ერთიანობაა; იგი ჭეშმარიტებაა, მაგრამ არა აბსოლუტური, არამედ არასრული, რომელიც თავის თავში შეცდომასაც შეიცავს. სწორედ ამას ნიშნავს მისი რელატიურობა; რელატიური ჭეშმარიტება აბსოლუტური ჭეშმარიტების ნაწილობრიობას წარმოადგენს.

შემმეცნებელი სუბიექტი პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში სინამდვილის მხოლოდ ერთ მხარეს აქცევს ყურადღებას, სახელდობრ, იმას რაც მას ესაჭიროება, გამოაცალკევებს მას სხვა მხარეებისაგან და ამაში გამოიხატება მისი სუბიექტური მიდგომა სინამდვილისადმი. „ობიექტურიდან ცალკეული მხარეების გამოყოფა, რომელსაც ადამიანი ახდენს პრაქტიკულ-რევოლუციური მოქმედების პროცესში, ჭეშმარიტების ნაწილობრიობას — შეფარდებითობას გვაძლევს"[95].

მაგრამ ცალკე აღებულ ნაწილს სხვა თვისებები აქვს, ვიდრე იგივე ნაწილს მთელის სხვა ნაწილებთან ერთად. ჩვენი ცოდნა სინამდვილის ამა თუ იმ მხარის შესახებ მაინც ნაწილობრივი, ე. ი. რელატიური ჭეშმარიტება იქნება, ვინაიდან იგი განცალკევებული ნაწილის ცოდნაა და არა ნაწილისა მთელის სხვა ნაწილებთან კავშირში. ამასთანავე, აღნიშნავს ს. წერეთელი, აბსოლუტური ჭეშმარიტება რელატიურის მიღმა კი არ არსებობს, არამედ თვითონ მასშია მარცვლების სახით მოცემული, რომელთა დაგროვების გზით თანდათან უფრო სრულად ვიმეცნებთ სინამდვილეს.

აბსოლუტური და რელატიური ჭეშმარიტების ურთიერთობა, დაასკვნის ს. წერეთელი, აბსოლუტურისა და რელატიურის კატეგორიების ურთიერთობას ემყარება. აბსოლუტურს და რელატიურს შორის განსხვავება თვითონ არის რელატიური; ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს წმინდა აბსოლუტური ან წმინდა რელატიური. აბსოლუტურის აბსოლუტური უარყოფა რელატიურის გააბსოლუტურებას წარმოადგენს და, მაშასადამე,აბსოლუტურის მოუცილებლობას ამტკიცებს; ასევე რელატიურის უარყოფა აზრს უკარგავს აბსოლუტურსაც. ერთი სიტყვით, აბსოლუტური და რელატიური ურთიერთდაპირისპირებული ცნებებია და ამავე დროს ერთმანეთსაც ასაბუთებენ. „აბსოლუტური შეფარდებითიცაა — წერს ს. წერეთელი, — რამდენადაც მას აზრი აქვს რელატიურთან დაპირისპირებაში და რელატიურით. ამდენად აბსოლუტურისათვის აუცილებელია რე-

[95] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ლატიური. რელატიურსაც აზრი აქვს აბსოლუტურით, რელატიურის ცნება აუცილებლობით გულისხმობს აბსოლუტურს"[96]. ს. წერეთელი თვლის, რომ რელატიურისა და აბსოლუტურის დაპირისპირებაში, რაც, იმავე დროს, მათ აუცილებელ ერთიანობას განაპირობებს, აბსოლუტური პრიმატის მქონეა, უპირატესია; „ნამდვილი აბსოლუტური მათი, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობაა"[97].

ამრიგად, ჰეშმარიტების აბსოლუტური და რელატიური მომენტების განხილვის შედეგად ს. წერეთელი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „შეფარდებითი და აბსოლუტური ჰეშმარიტება ერთიმეორის საპირისპირონი არიან და აუცილებელ ერთიანობაშიც იმყოფებიან. ამდენად, ჰეშმარიტება, ამ მხრივაც დაპირისპირებულთა ერთიანობას წარმოადგენს"[98].

შემეცნება, ამტკიცებს ს. წერეთელი, ერთეულში ზოგადობის შემეცნებაა; ზოგადობის ფორმა შინაგანი სისრულის ფორმაა და უსასრულოს ფორმას წარმოადგენს. ზოგადობა, როგორც უსასრულობა, დაუსრულებლობა კი არაა, არამედ შინაგანი სისრულე. ამასთანავე უსასრულო არის სასრულის არსება, ისეთი რამ, რაც სასრულშია და უსასრულო სიმრავლის ამხსნელია. ჰეშმარიტება სასრულისა და უსასრულოს, როგორც დაპირისპირებულების, ერთიანობას წარმოადგენს. ჰეშმარიტება არა მხოლოდ სასრულია, არამედ უსასრულოც. „ის არის უსასრულოს, როგორც შინაგანი დასრულებულობის ფორმის, ერთეულში არსებული ზოგადობის ფორმის — კანონის, გამომხატველი"[99]. თუ შეფარდებით ჰეშმარიტებებს ერთეულებს ვუწოდებთ, მაშინ აბსოლუტური ჰეშმარიტება ზოგადი იქნება, რომელიც მოცემულია შეფარდებითში, როგორც გარკვეული სისრულე.

შემდეგ ს. წერეთელი გადადის ჰეშმარიტების კონკრეტულობის დიალექტიკური ბუნების გამოვლენაზე.

ადამიანის მიერ სინამდვილის ყოველმხრივი შემეცნება ჰეშმარიტების მიღწევას ნიშნავს. სინამდვილე მრავალმხრივია, ამიტომ მისი ამსახველი ჰეშმარიტება მრავალგანსაზღვრულობათა ერთიანობაა; ეს ნიშნავს ჰეშმარიტების კონკრეტულობას. მაგრამ სინამდვილის მრავალმხრივობის შემეცნება შესაძლებელია მისი ცალკეული მხარეების შემეცნების შედეგად. ამრიგად, მრავალმხრივის შემეცნება ცალმხრივობის შემეცნების გზით სრულდება. კონკრე-

---

96 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 34.

97 ი ქ ვ ე.

98 ი ქ ვ ე. 35.

99 ი ქ ვ ე, გვ. 37.

ტული — მრავალმხრივი — კი არ გამორიცხავს ცალმხრივს — აბსტრაქტულს — არამედ შეიცავს მას. თუკი სინამდვილის მრავალმხრიობის შემეცნება შეუძლებელი იყოს, მაშინ, ს. წერეთლის მიხედვით, არ იარსებებდა ჭეშმარიტების კონკრეტულობა, არამედ იგი ყოველთვის ცალმხრივი და აბსტრაქტული იქნებოდა. მაგრამ სინამდვილეში ჭეშმარიტება ყოველთვის კონკრეტულია, ვინაიდან სინამდვილის ერთი მხარის შემეცნება უკვე გულისხმობს სხვა მხარეების გარკვეულ ცოდნასაც (ყოვლ შემთხვევაში იმას მაინც, რომ სხვა მხარეებიც არსებობენ). ამდენად აბსტრაქტული და კონკრეტული ერთმანეთს გულისხმობენ.

ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ არა მხოლოდ რელატიური ჭეშმარიტება შეიცავს აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, არამედ, აგრეთვე, რელატიური ჭეშმარიტებანიც შეადგენენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას. ამ გარემოებას ადვილად ხსნის ჭეშმარიტების კონკრეტულობა. „აბსოლუტური ჭეშმარიტება შედგება სწორედ აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებისაგან, რომლებსაც ადგილი აქვს შეფარდებით ჭეშმარიტებებში, მაგრამ აქ მექანიკური შეჯამება კი არ გვაქვს, არამედ გარკვეული პროცესი, როგორც განახვავებულთა ერთიანობა; სრულიად გარკვეული კონკრეტული პროცესი, რომელიც საგნის ცვალებადობა-განვითარებას ადეკვატურად გამოხატავს, ისე რომ ამ გამოხატულებას ყოველთვის მიახლოებითი ხასიათი აქვს“[100].

ჭეშმარიტების კონკრეტულობა, ამბობს ს. წერეთელი მრავალმხრიობის ერთიანობაა; მრავალმხრიობაში კი არსებითია დაპირისპირებულთა ერთიანობა, ვინაიდან მრავალი მხარე საბოლოოდ შეიძლება ორ ურთიერთდაპირისპირებულზე დავიყვანოთ, რომლებიც არა მარტო უარყოფენ ერთმანეთს, არამედ „ერთიმეორესაც ავსებენ ერთიანობამდე და ერთიანობაში“. დაპირისპირებულთა ერთიანობა კონკრეტულის, როგორც მრავალ განსაზღვრულობათა ერთიანობის ძირს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ „უკონკრეტულესი თვითონ დაპირისპირებულთა ერთიანობაა. ჭეშმარიტების კონკრეტულობა, არსებითად, დაპირისპირებულთა ერთიანობას ნიშნავს“[101]. ეს გარემოება ნათელი ხდება ჭეშმარიტების უარყოფის მცდელობის შემთხვევაში. ჭეშმარიტების უარყოფა შეუძლებელია, ვინაიდან ასეთი უარყოფა თვითონ ასაბუთებს ჭეშმარიტების აუცილებლობას. ჭეშმარიტების უარყოფა თვითონ უნდა მივიღოთ ჭეშმარიტად და, მაშასადამე, იგი მისივე დასაბუთებაა. აქ, ს. წერეთლის აზრით, ყველაზე ნათლად ჩანს ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნება.

---

100 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44—45.

101 ი ქ ვ ე, გვ. 45.

ჰეშმარიტების ცნების განსაზღვრების საკითხს ს. წერეთელი დიალექტიკურ-ლოგიკურის პრობლემატიკას უკავშირებს. ამ მიზნით იგი საკმაოდ ვრცლად განიხილავს საკითხს ჰეშმარიტების დიალექტიკური ბუნების ლოგიკური ფორმის შესახებ.

ჰეშმარიტების დიალექტიკურობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, განაპირობებს ლოგიკურის სამივე ფორმის — ცნების, მსჯელობისა და დასკვნის — დიალექტიკურობას. „დიალექტიკური სინამდვილე აიძულებს აზროვნებას იყოს დიალექტიკური". დიალექტიკურია ჰეშმარიტება და ასეთივეა მისი გამომსახველი ლოგიკური ფორმები.

ცნებათა დიალექტიკა, უწინარეს ყოვლისა, მის ცვალებადობა-განვითარებაში გამოიხატება. ცნებები გადადიან ერთმანეთში, ხასიათდებიან მოქნილობით, რელატიურობით, რამდენადაც ისინი ურთიერთკავშირში, დაპირისპირებულთა ერთიანობაში იმყოფებიან, ცნებათა ურთიერთგადასვლა, მათი მოქნილობა, ამბობს ს. წერეთელი, სხვა არაფერია, თუ არა მათი შინგანი კავშირი გავითარება-მოძრაობის პროცესში. ცნებათა შინაგანი კავშირი კი ლოგიკური ბუნებისაა, ლოგიკური აუცილებელი კავშირია, რომელიც, მართალია, საბოლოოდ სინამდვილით განისაზღვრება, მაგრამ მას ამასთანავე სრულიად თავისებური ხასიათი აქვს.

ცნებათა შინაგანი კავშირი, მათი ურთიერთგადასვლა, რომელშიც ცნებათა დიალექტიკა გამოიხატება, ნიშნავს იმას, რომ „ერთი ცნება საკუთარი თავის გამართლებისათვის მეორე ცნებას საჭიროებს, მოითხოვს მას; ერთი ცნების სისრულით წარმოდგენისათვის აუცილებელია მეორე ცნება, როგორც პირველის გამმართლებელი საფუძველი"[102]. ეს ნიშნავს, რომ „ცნებები თავიანთი ბუნებით გადადიან ერთიმეორეში", რასაც განვითარების ხასიათი აქვს.

არა მხოლოდ ცნებებს აქვთ დიალექტიკური ხასიათი, არამედ მსჯელობებსაც; მსჯელობებიც, ისევე როგორც ცნებები, დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონს ექვემდებარებიან. მსჯელობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ერთდროულად დადებითიცაა და უარყოფითიც, რამდენადაც მსჯელობის სუბიექტი და პრედიკატი იგივეობრივიცაა და განსხვავებულიც, დაპირისპირებული ერთმანეთთან. გარდა ამისა, მსჯელობა რელატიურია, რაც იმაში გამოიხატება, რომ „ერთი მსჯელობა მეორის მიმართ დადებითიც შეიძლება იყოს და უარყოფითიც"[103].

---

102 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

103 ი ქ ვ ე, გვ. 54.

მსჯელობის ასეთი ბუნება, ს. წერეთლის აზრით, განპირობებულია იმით, რომ მსჯელობა დაპირისპირებულთა ერთიანობაა; იგი დადებითობასაც შეიცავს და უარყოფითობასაც. ამავე დროს ეს მომენტები აუცილებელ კავშირშია ერთსა და იმავე მსჯელობაში; კერძოდ, დადებითი მსჯელობა უარყოფითის მომენტს შეიცავს, ვინაიდან სუბიექტი არა მარტო არის პრედიკატი, არამედ არც არის, მისგან განსხვავებულია. მსჯელობა განსხვავებულთა სინთეზია. ასეთია ყოველგვარი მსჯელობა.

მსჯელობის გამართლება, მისი დასაბუთება დასკვნაში ხდება. ამიტომ ს. წერეთელი ფიქრობს, რომ „ჭეშმარიტების ბუნება უნდა წარმოსდგეს დასკვნის ფორმით, სადაც მსჯელობა აუცილებელი ელემენტი იქნება. დასკვნა სისრულით წარმოადგენს ჭეშმარიტების ბუნებას"[104]. ასეთი დასკვნა შუალობითი უნდა იყოს, რომელშიც მსჯელობანი ერთმხრიობებად იქნება წარმოდგენილი. ეს დასკვნა იქნება ერთმხრიობათა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა.

დღემდე ცნობილი დასკვნები, ამტკიცებს ს. წერეთელი, წინააღმდეგობის შეუძლებლობის კანონს ექვემდებარებიან. ლოგიკის ამ სფეროს იგი დაბოლოებულის ანუ სასრულის სფეროდ თვლის, ვინაიდან აქ საწინააღმდეგონი ერთმანეთს აბოლოებენ, ასრულებენ, ერთმხრიობებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორნიშნა ლოგიკურთან (ჭეშმარიტი ან ჭცდარი).

მიუხედავად ამისა, ს. წერეთლის აზრით, ამ სასრული ლოგიკურის სფეროში მოხმარებულია ისეთი პრინციპი, რომელიც პირდაპირ მიგვანიშნებს უსასრულობაზე, უპირობოზე. „ორნიშნა ლოგიკაში წერს ს. წერეთელი — გამოყენებულია ჭეშმარიტება-შეცდომის, როგორც კატეგორიების, ერთიანობის პრინციპი, რომელიც ამ ლოგიკაში ყველაფრის ამხსნელადაა მიჩნეული... ლოგიკა, რომელიც ორი ნიშნის (ჭეშმარიტება-შეცდომის) დაპირისპირებას ემყარება, გამოიყენებს ჭეშმარიტებისა და შეცდომის როგორც კატეგორიების, ერთიანობას, როგორც უპირობოს, სადაც მცდარობაც გარკვეულ „გამმართლებელ" და კატეგორიალურ რაიმედ არის მიჩნეული. აქ არის მითითება ისეთ მესამეზე, რომელიც არ ამოიწურება დაპირისპირებით"[105].

სრული, დიალექტიკური დასკვნა, ამბობს ს. წერეთელი, ისეთი შუალობითი კავშირია, რომელიც დაპირისპირებულთა ერთია-

---

104 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 61—62.

105 ი ქ ვ ე, გვ. 64.

ნობას წარმოადგენს. ასეთი დასკვნის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ზოგადისა და ერთეულის მაგალითი. მსჯელობები: „ერთეული არის ზოგადი“ და „ერთეული არ არის ზოგადი“ დაპირისპირებულთა ერთიანობას შეადგენენ. ამ რრი დებულების შუალობითი კავშირი, ე. ი. დასკვნა და მასში მოცემული აუცილებლობა სისრულით მაშინ გამოჩნდება, თუ ერთეულსა და ზოგადს, როგორც საპირისპირო მომენტებს, უარყოფის საშუალებით დაეკავშირებთ ან თუ მათ კავშირში არსებულ უარყოფასა და ურთიერთუარყოფას გამოვავლენთ. ზოგადის აღიარება და ერთეულის უარყოფა ზოგადს აქცევს ერთეულად; ასევე ზოგადის უარყოფა და ერთეულის აღიარება ერთეულს აქცევს ზოგადად. ამრიგად, ერთეულის უარყოფა, ისევე როგორც ზოგადისა, შეუძლებელია. თითოეული მაჯგანის უარყოფა მათვე ასაბუთებს და, მაშასადამე, მათ მოუცილებლობას ამტკიცებს. ეს ნიშნავს, რომ „ერთეულისა და ზოგადის ერთიმეორისათვის აუცილებლობა უარყოფით (ურთიერთუარყოფით) სრულდება. ერთეულისა და ზოგადის ერთიანობა, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობა, წარმოადგენს შინაგანი უარყოფის (ურთიერთუარყოფის) შემცველ შუალობით აუცილებელ კავშირს. ასეთი შუალობითი კავშირი არის დასკვნა, რომელშიც დიალექტიკურობა, ე. ი. დაპირისპირებულთა ერთიანობა ლოგიკურად სისრულით არის წარმოდგენილი“[106]. აქ საქმე გვაქვს ე. წ. უსასრულო დასკვნასთან, რომლის თითოეული მხარე არის მსჯელობა. მსჯელობანი ცალმხრიობანია, ხოლო დასკვნა საპირისპირო მსჯელობათა აუცილებელი ერთიანობაა. უსასრულო დასკვნა, ტრადიციული სილოგიზმისაგან განსხვავებით, არ მოითხოვს წანამძღვარებისა და დანასკვის განცალკევებულ მსჯელობებად წარმოდგენას, არამედ იგი სრული შუალობითი კავშირია.

უსასრულო დასკვნის დაშლა, მიუთითებს ს. წერეთელი, რვა მსჯელობას მოგვცემს, რომელთაგან თითოეული ცალმხრიობაა, ხოლო მათი ერთიანობა სრულ შუალობით კავშირს ე. ი. უსასრულო დასკვნას იძლევა.

ს. წერეთელი ფიქრობს, რომ ჰეშმარიტების ბუნების სრული ლოგიკური ფორმა არის დიალექტიკური დასკვნა, რადგან „ჰეშმარიტება... დაპირისპირებულ მსჯელობათა აუცილებელ დიალექტიკურ ერთიანობას წარმოადგენს“[107].

როცა ერთი დებულებით მეორე მტკიცდება ან უარიყოფა, მა-

---

106 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65—66.
107 ი ქ ვ ე, გვ. 66—77.

შინ საქმე გვაქვს გარკვეულ პირობითობასთან, ცალმხრიობასთან, რასაც ადგილი აქვს ფორმალურ ლოგიკაში. ამ სფეროში წინააღმდეგობის შეუძლებლობისა და გამორიცხული მესამის კანონი მოქმედებს. მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა გვაქვს მაშინ, როდესაც რაიმეს უარყოფა მასვე ასაბუთებს. ამ შემთხვევაში მიიღება ერთგვარი უპირობო და სისრულით წარმოსდგება დაპირისპირებულთა ერთიანობა. მაგალითად, „ჰეშმარიტების უარყოფით ჰეშმარიტების დასაბუთება არის დასკვნა — უარყოფის საშუალებით შესრულებული შუალობითი კავშირი, სადაც ლოგიკური აუცილებლობა მთელი სისრულით ჩქღაკნდება“[108].

ამრიგად, ს. წერეთელი დაასკვნის, რომ „ჰეშმარიტების ბუნების გამომხატველი ლოგიკური ფორმა თვითონ არის დიალექტიკური“. მთელი გამოკვლევა ამ დებულების დასაბუთებას ემსახურება.

ჰეშმარიტების პრობლემასთან დაკავშირებით ს. წერეთელი განიხილავს ე. წ. ონტოლოგიური ჰეშმარიტების კონცეფციას, რომელიც თავის სათავეს პლატონთან იღებს, ხოლო სხვადასხვა ვარიანტით წარმოდგენილია ჰეგელის, ბოლცანოს, ჰუსერლის, ჰაიდეგერისა და სხვათა ნააზრევში. ამ კონცეფციის თანასმად, ჰეშმარიტება აზრის ნიშანი კი არ არის, არამედ არსებულის თვისებაა.

ონტოლოგიური ჰეშმარიტების პლატონური გაგება, ამტკიცებს ს. წერეთელი, აბსოლუტურად გამორიცხავს დიალექტიკას, მოძრაობასა და ცვალებადობას, ვინაიდან ონტოლოგიური ჰეშმარიტება, პლატონის მიხედვით, აბსოლუტურად იგივეობრივია თავისთავთან, უცვლელია, მარადიულია. სამაგიეროდ ჰეგელმა სცადა ონტოლოგიური ჰეშმარიტების დიალექტიკური გაგება, თუმცა იდეალიზმის გამო ეს ცდა მარცხით დამთავრდა.

ჰეშმარიტების ონტოლოგიური გაგება, დაასკვნის ს. წერეთელი, შეუთავსებადია ჰეშმარიტების მარქსისტულ-ლენინურ თეორიასთან. თუ მივიღებთ იმას, რომ ჰეშმარიტება ასახვაა, მაშინ ონტოლოგიური ჰეშმარიტებაც უნდა იყოს ასახვა სხვა ჰეშმარიტებისა, ეს უკანასკნელიც სხვა ჰეშმარიტების ასახვა იქნება და ა. შ. უსასრულოდ. ეს კი სრული უაზრობაა.

წიგნის დასასრულს ს. წერეთელი განიხილავს ჰეშმარიტების კრიტერიუმის საკითხს.

ჰეშმარიტების შეცვლა ალბათობით, შენიშნავს ს. წერეთელი, არ შეიძლება, ვინაიდან ალბათურს სწორედ ჰეშმარიტით აქვს

---

108 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჰეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 69.

აზრი. ალბათობა ვერ შეცვლის ჭეშმარიტებას. ამასთანავე თუ ჭეშმარიტებას უარვყოფთ და მის ნაცვლად ალბათურს მივიღებთ, მაშინ ალბათობის მიღება აუცილებლად ჭეშმარიტად უნდა ვცნოთ და, მაშასადამე, ამით კვლავ ჭეშმარიტების არსებობას დავასაბუთებთ.

ჭეშმარიტების კრიტერიუმად არ შეიძლება ჩაითვალოს ამოსავალი დებულებების სიცხადე, როგორც ამას დეკარტე ფიქრობდა. „სიცხადე რომ კრიტერიუმად გამოვიყენოთ, მაშინ წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ ცხადი აზრი ყოველთვის ჭეშმარიტია". მაშასადამე, სიცხადე „თვითონ საჭიროებს შემოწმებას, ამიტომ კრიტერიუმად არ გამოდგება"[109].

ჭეშმარიტების კრიტერიუმად არ შეიძლება ჩაითვალოს არც ლოგიკური პრინციპები ან კატეგორიების წინასწარმოცემულობა (აპრიორიზმი), რადგან „ყოველგვარი ლოგიკური პრინციპი და კატეგორია, როგორც ჩვენი აზროვნების ფორმები, თვითონ არიან აზრები და ამიტომ პრობლემატურ-შესამოწმებელ სფეროში იმყოფებიან"[110]. შესამოწმებელი სწორედ აზრია და, მაშასადამე, ერთი აზრი მეორე აზრის კრიტერიუმად არ გამოდგება.

ჭეშმარიტების კრიტერიუმად ლოგიკური პრინციპების მიჩნევა, ამტკიცებს ს. წერეთელი, შეუწყნარებელია. ლოგიკური კავშირები, წესები თვითონ ემყარებიან ჭეშმარიტებას, ისინი თვითონ უნდა იყვნენ ჭეშმარიტი და, ცხადია, კრიტერიუმად არ გამოდგებიან. მაგალითად, შეიძლება ვთქვათ, რომ ჭეშმარიტებისათვის აუცილებელია წინააღმდეგობის არარსებობა, მაგრამ ეს უკანასკნელი ჭეშმარიტების საკმარის პირობად მაინც არ გამოდგება, ვინაიდან არაწინააღმდეგობრივი შეიძლება მცდარი აზრიც იყოს. ამრიგად, ლოგიკურ პრინციპს არ შეუძლია ჭეშმარიტების კრიტერიუმის როლის შესრულება.

ს. წერეთელი აკრიტიკებს იმათაც, ვინც თვლის, რომ ესა თუ ის დებულება ჭეშმარიტია მაშინ, თუ იგი დებულებათა სისტემას ეთანხმება (ვთქვათ, მეცნიერულ თეორიაში). სისტემასთან თანხმობა ჭეშმარიტების გარანტია ვერ იქნება, ვინაიდან ჭეშმარიტება არის აზრის თანხმობა ობიექტურ სინამდვილესთან და არა აზრის აზრთან თანხმობა. აზრი ამართლებს აზრს, მაგრამ ეს გამართლება სხვა გზით უნდა შემოწმდეს. ცოდნის კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს ცოდნა, რადგან საძებარი სწორედ ცოდნის კრიტერიუმია.

ს. წერეთელი დაასკვნის, რომ „აზრის ჭეშმარიტების კრიტე-

109 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომში, გვ. 83.

110 ი ქ ვ ე.

რიუმი თვითონ აზრი არ შეიძლება იყოს"[111]. ასეთ კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს ის, რაც არ არის ცოდნა. მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმია საგანი, არსი, ვინაიდან არსი გულგრილია იმისადმი, მას ასახავენ თუ არა, ან როგორ ასახავენ. საჭიროა იმის შემოწმება, აზრი სწორად ასახავს თუ არა არსს; ამას კი არსი ვერ იკისრებს. ერთი სიტყვით, ჭეშმარიტების კრიტერიუმია პრაქტიკა, ადამიანის მიერ სინამდვილის გარდამქმნელი მოქმედება.

პრაქტიკის ცნებას პრაგმატიზმიც ხმარობს, მაგრამ მარქსისტული გაგება პრაგმატიზმის პრაქტიკის ცნებისაგან დიამეტრულად განსხვავდება. პრაგმატიზმი პრაქტიკის ქვეშ პირად მოგებიანობას, სარგებლიანობას გულისხმობს; ასეთი „კრიტერიუმი" კი კრიტერიუმად არ გამოდგება, ვინაიდან იგი ჭეშმარიტებასა და შეცდომას ერთმანეთისაგან ვერ გაარჩევს. პრაქტიკა მარქსიზმში გაგებულია როგორც ადამიანის რევოლუციური მოქმედება ბუნებისა და საზოგადოების გარდასაქმნელად.

არსებობს ნელსონის არგუმენტი პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის, წინააღმდეგ. ნელსონი ასე მსჯელობს: თუ ჭეშმარიტების კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს ცოდნა, არამედ პრაქტიკა, მაშინ ამ კრიტერიუმს იმ შემთხვევაში გამოვიყენებთ, თუ წინასწარ გვეცოდინება, რომ ჭეშმარიტების კრიტერიუმი პრაქტიკაა. მაგრამ ესეც ხომ, თავის მხრივ, ცოდნაა და რა იქნება მისი კრიტერიუმი? ამრიგად, დაასკვნის ნელსონი, პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუმად არ გამოდგება. ნელსონის ამ არგუმენტს, ამბობს ს. წერეთელი, ქალა ექნებოდა მაშინ, თუკი პრაქტიკა ჩვენი ცოდნის მარტოოდენ კრიტერიუმი იყოს და მეტი არაფერი. თუკი ჩვენი ცოდნა პრაქტიკის გარეშე იქმნებოდეს და შემდეგ ვეძებდეთ მის კრიტერიუმს, მაშინ, მართალია, წინასწარ უნდა გვცოდნოდა, თუ რა კრიტერიუმით უნდა ვისარგებლოთ. მაგრამ პრაქტიკა არა მხოლოდ ჭეშმარიტებია საზომია, არამედ შემეცნების საფუძველიც. „პრაქტიკა ქმნის ცოდნას, მის ობიექტურობას". პრაქტიკაში ვაღწევთ ჭეშმარიტებას და ამდენად „პრაქტიკა, როგორც საფუძველი, წინ უსწრებს ცოდნას; ამიტომ ის უკვე გამოყენებულია, როცა იგი იწყებს კრიტერიუმის როლის შესრულებას"[112]. სწორედ ამიტომ ნელსონის არგუმენტი პრაქტიკის, როგორც ჭეშმარიტების კრიტერიუმის, წინააღმდეგ ძალას კარგავს.

---

111 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჭეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი, გვ. 87.

112 ი ქ ვ ე, გვ. 91.

პრაქტიკა, ამბობს ს. წერეთელი, კი არ ანიჭებს ჩვენს ცოდნას ჭეშმარიტებას, არამედ ამოწმებს მას. იგი ამართლებს ჩვენს მიერ უკვე მიღებულ ცოდნას, არკვევს მის ჭეშმარიტება-მცდარობას. ამავე საბუთით პრაქტიკა შემეცნების საფეხურად არ გამოდგება.

პრაქტიკას არ შეუძლია სავსებით დაადასტუროს ან უარყოს რაიმე აზრი; იგი ერთგვარ „გაურკვევლობას" შეიცავს, რაც რელატიური და აბსოლუტური ჭეშმარიტების განსხვავებას უკავშირდება. ს. წერეთელი თვლის, რომ „პრაქტიკის „გაურკვევლობა" ქმნის შეფარდებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების გაურკვევლობას". სწორედ პრაქტიკული საჭიროება გამოყოფს საგნის რომელიმე მხარეს ან მხარეებს, რითაც საფუძველი ეყრება ჭეშმარიტების ნაწილობრიობას, მის რელატიურობას. პრაქტიკის „გაურკვევლობა" ნებას არ აძლევს ცოდნას, რომ იგი აბსოლუტურად იქცეს; იგი ყოველთვის რელატიურია. ეს გარემოება, ცხადია, არ უარყოფს ცოდნის ნაწილობრივ აბსოლუტურობას. რელატიურობა სწორედ აბსოლუტურის ნაწილობრიობაა. ეს კი განპირობებულია იმით, რომ პრაქტიკაც და მის საფუძველზე წარმოშობილი ცოდნაც პროცესის ხასიათისაა.

ს. წერეთელი თვლის, რომ პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში ადამიანი სინამდვილეს სუბიექტურად უდგება, იგი გამოარჩევს (მისი პრაქტიკული ინტერესების შესაბამისად) სინამდვილის ერთ ან რამდენიმე მხარეს სხვა მხარეებისაგან; ეს ქმნის შემეცნების ერთმხრიობას, რომელშიც ჭეშმარიტება და მცდარობა ერთიანობაშია, ორივე ნაწილობრივადაა წარმოდგენილი. „ამიტომ პრაქტიკა კრიტერიუმის როლში გამოსვლისას სავსებით ვერ ადასტურებს და ვერც უარყოფს ჩვენს აზრებს"[113]. ეს იწვევს პრაქტიკის „გაურკვევლობას", რომელზეც ვ. ი. ლენინი მიუთითებს. ეს „გაურკვევლობა" იმავე პრაქტიკის პროცესში სწორდება. პრაქტიკის განვითარება განაპირობებს აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ სვლის პროცესს რელატიური ჭეშმარიტების გზით. ასე ხსნის ს. წერეთელი ჭეშმარიტებისა და შეცდომის შესაძლებლობას და პრაქტიკის კრიტერიუმის „გაურკვევლობას".

პრაქტიკა არ არის ცოდნა; იგი სწორედ პრაქტიკაა და არა თეორიულ-შემეცნებითი საქმიანობა; სწორედ ამიტომ მიუხედავად ამ „გაურკვევლობისა", პრაქტიკა თავის მხრივ ახალ კრიტერიუმს არ მოითხოვს; „ჭეშმარიტების ერთადერთი საბოლოო კრიტერიუმი არის პრაქტიკა"[114].

---

113 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

114 ი ქ ვ ე.

§ 4. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა

ახლა განვიხილოთ ს. წერეთლის თვალსაზრისი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის თეზისი, როგორც ცნობილია, ვ. ი. ლენინს ეკუთვნის[115]. საბჭოთა ფილოსოფიურ ლიტერატურაში არსებობს მრავალი ნაშრომი, რომელიც მიზნად ისახავს ვ. ი. ლენინის ამ დებულების ახსნას, მის ინტერპრეტაციას. მიუხედავად ამისა, ეს პრობლემა დღემდე პრობლემად რჩება და მისი საყოველთაოდ აღიარებული გადაწყვეტა ჯერჯერობით არ არსებობს. ამ პრობლემის გადაწყვეტა სცადა ს. წერეთელმაც, რომელმაც თავისი ლოგიკური თეორიის საფუძველზე მოგვცა ზემოხსენებული ლენინური დებულების თავისებური ინტერპრეტაცია და მრავალი ლოგიკური არგუმენტი წამოაყენა მის დასაბუთებლად. ამ პრობლემას ს. წერეთლის აზროვნებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან მასში თავს იყრიდა თითქმის ყველა ძირითადი საკითხი დიალექტიკური ლოგიკისა, ლოგიკისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ლოგიკაც უნდა იყოს და შემეცნების თეორიაც.

სწორედ ამიტომ სრულიად კანონზომიერი იყო ეს გარემოება, რომ ს. წერეთელი ამ პრობლემას არაერთგზის შეეხო. იგი განხილულია მის სხვადასხვა ნაშრომში, კერძოდ, წიგნში „დიალექტიკური ლოგიკა". მაგრამ აღნიშნული პრობლემა ყველაზე ფართოდ და სრულად გაანალიზებულია მის უკანასკნელ გამოკვლევაში „დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობისათვის", რომელიც ს. წერეთელმა ამ სტიქონების ავტორის თხოვნით დაწერა; იგი გამოქვეყნდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ კოლექტიურ ნაშრომში „დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის პრობლემები" (1966). ქვემოთ ს. წერეთლის თვალსაზრისს დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ ამ გამოკვლევის მიხედვით გადმოვცემთ.

იწყებს რა ვ. ი. ლენინის ზემოაღნიშნული დებულების კვლევას, ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, შენიშნავს, რომ ეს დებულება არ უნდა გავიგოთ როგორც ამ სამი მეცნიერების გაიგივება, რომელიმე მათგანის გაუქმება, ვთქვათ, ლოგიკისა და მხოლოდ შემეცნების თეორიის ან დიალექტიკის დატოვება. ვ. ი. ლენინის ზემოაღნიშნული დებულება, ს. წერეთლის აზრით,

---

115 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 38, გვ. 326.

არის ისეთი ახალი მეცნიერების შექმნის მოთხოვნა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იქნება ლოგიკაც, დიალექტიკაცა და შემეცნების თეორიაც. ეს ახალი მეცნიერება უნდა იყოს შემეცნების თეორიული დიალექტიკური ლოგიკა. „აზროვნების დიალექტიკურობაშია შემეცნებითობაც და ლოგიკურობაც". ეს არის ძირითადი თეზისი, რომლის დასაბუთებისადმია მიძღვნილი ს. წერეთლის ზემოაღნიშნული გამოკვლევა.

ეს ახალი მეცნიერება — დიალექტიკური ლოგიკა — ფორმალური ლოგიკისაგან განსხვავებით არის „დიალექტიკური აზროვნების ფორმის შემსწავლელი მეცნიერება". იგი სწავლობს „აზროვნების უმაღლეს ფორმას" — დიალექტიკურ აზროვნებას. დიალექტიკური ლოგიკა არის ის ლოგიკა, რომელიც გამოყენებულია კ. მარქსის თხზულებაში „კაპიტალი".

დიალექტიკური ლოგიკა, ამბობს ს. წერეთელი, სწავლობს ცნებათა დიალექტიკას, რომელიც საგანთა დიალექტიკის ამსახველია. ცნებათა დიალექტიკა, ერთი მხრივ, არის შემეცნების თეორიის შინაარსი და ამდენად იგი შემეცნების თეორიას მიეკუთვნება. მაგრამ ცნებათა დიალექტიკა, რამდენადაც ცნებებს ეხება, ლოგიკის შინაარსსაც შეადგენს. მესამე მხრივ, ცნებათა დიალექტიკა სწორედ დიალექტიკაა ე. ი. იგი, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, დაპირისპირებულთა ერთიანობამდე მიდის. ამის საფუძველზე ს. წერეთელი დაასკვნის, რომ „ის მეცნიერება, რომელიც ლოგიკის, დიალექტიკის და შემეცნების თეორიის იგივეობას წარმოადგენს, არის დაპირისპირებულთა ერთიანობაზე აგებული მეცნიერება; მის ძირითად კანონს სწორედ დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონი წარმოადგენს"[116].

ლოგიკა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ერთია; ორი ლოგიკის მოთხოვნა ულოგიკობაა, ვინაიდან მაშინ საჭირო გახდება მათი გამაერთიანებელი მესამე ლოგიკა და ა. შ. უსასრულოდ. მაგრამ შესაძლებელია ლოგიკურ მეცნიერებათა სიმრავლე, ისევე როგორც მათემატიკა ერთია, მაგრამ არსებობენ სხვადასხვა მათემატიკური მეცნიერებანი. ლოგიკის საგნის სხვადასხვა მხრით შესწავლა სხვადასხვა ლოგიკურ მეცნიერებას მოგვცემს. ერთი სიტყვით, „შესაძლებელია მრავალი ლოგიკური მეცნიერების აღიარება ისე, რომ ლოგიკის ერთობა არ დაირღვეს — შენარჩუნებულ იქნას ერთი ლოგიკა"[117].

---

116 იხ. კოლექტიური ნაშრომი: „დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის პრობლემები" (რედ. ს. ავალიანი), თბილისი, 1966, გვ. 146.

117 ი ქ ვ ე, გვ. 146—147.

ზოგიერთ საბჭოთა ფილოსოფოსს მიაჩნია, რომ უნდა ვილაპარაკოთ დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის არა იგივეობაზე, არამედ ერთიანობაზე. ს. წერეთელი კატეგორიულად უარყოფს ამ თვალსაზრისს და თვლის, რომ დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ერთიანობა პრობლემას სრულიადაც არ წარმოადგენს, ვინაიდან მათ ერთიანობაზე მარქსამდელი ფილოსოფიაც ლაპარაკობდა. იგი იმ თვალსაზრისს იცავს, რომ ამ სამი მეცნიერების ერთიანობა თავის განვითარებაში მათ იგივეობამდე მივიდა. მარქსიზმ-ლენინიზმი სწორედ მათ იგივეობას ამტკიცებს და არა ერთიანობას.

ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ ლაპარაკი, ს. წერეთლის აზრით, მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ლოგიკა არის ცოდნის ლოგიკა. ცოდნა არის ჭეშმარიტი აზრი. ჭეშმარიტი აზრი არის საგნის ასახვა, მისი გაგება-ცოდნა ანუ ჭეშმარიტი აზრი ობიექტურია (ჭეშმარიტების ობიექტურობის მნიშვნელობით). ობიექტური, ჭეშმარიტი აზრის ბუნებას შემეცნების თეორია იკვლევს, ხოლო მის წესებსა და კანონებს, მის ფორმებს ლოგიკა შეისწავლის. „ლოგიკის საგანს შეადგენს არა საერთოდ აზრი, არამედ ჭეშმარიტი, ობიექტური შინაარსის და ამ შინაარსით განსაზღვრული აზრის ფორმები, ასეთი აზრის კავშირთა კანონები და წესები“[118]. აქედან ცხადია, რომ ჭეშმარიტება, ე. ი. აზრის ობიექტური შინაარსი განსაზღვრავს ლოგიკასაც და შემეცნების თეორიასაც. ამდენად, „აზრის ობიექტურობის ასპექტში ერთმანეთს ემთხვევა ლოგიკა და შემეცნების — ცოდნის — თეორია; ლოგიკა არის ცოდნის, ჭეშმარიტი აზრის ლოგიკა“[119]. მართალია, ლოგიკაში არ შედის შემეცნების თეორიის ისეთი საკითხები, თუ როგორ ასახავენ შეგრძნება, აღქმა, წარმოდგენა, ცნება, მსჯელობა, დასკვნა ობიექტურად არსებულ საგნებსა და მოვლენებს, მაგრამ ლოგიკაც და შემეცნების თეორიაც ობიექტურ, ჭეშმარიტ აზრს შეისწავლის, ამდენად ისინი ერთი და იგივეა, ორივე ცოდნის თეორიაა. ლოგიკისა და შემეცნების თეორიისათვის ერთი და იგივეა ცოდნის, ჭეშმარიტი აზროვნების კანონები და ფორმები. ამ ასპექტით ისინი იგივეობრივი მეცნიერებანია. ლოგიკა, ამბობს ს. წერეთელი, ცოდნის ლოგიკაა; იგი ჭეშმარიტების ლოგიკას წარმოადგენს.

---

118 დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

119 იქვე.

ცნების დადგენა, ამტკიცებს ს. წერეთელი, მისი განსაზღვრებით სრულდება; განსაზღვრება კი განსაკუთრებულ მსჯელობას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი ან მცდარი. ამდენად „ცნებაც შეიძლება იყოს აზრი, რომელიც შეიძლება იყოს ჭეშმარიტი"[120]. მაშასადამე, ვინაიდან ცნება მსჯელობით (ან მსჯელობებით) დადგენილი აზრია, იგი ცოდნის ერთ-ერთი ფორმაა, საგნის ცოდნა-გაგებას წარმოადგენს. ეს გარემოებაც ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობაზე მიუთითებს.

ს. წერეთელი შემეცნების თეორიისა და ლოგიკის იგივეობის ერთ-ერთ საბუთად თვლის ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულების დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას. მარქსისტულ ფილოსოფიაში, ამტკიცებს იგი, კატეგორიების კავშირი, რომელსაც ლოგიკური ხასიათი აქვს, გაგებულია როგორც ისტორიულის ასახვა. „ცნებათა ლოგიკური კავშირი, სახელდობრ, ლოგიკურ განვითარებათა კავშირი არის რეალურ-ისტორიულის ზოგადი ფორმით ასახვა"[121]. ლოგიკა და შემეცნების თეორია იგივეობრივია კატეგორიების, როგორც აზროვნების გარკვეული ფორმების სფეროში. „ასეთი ლოგიკა დიალექტიკური ლოგიკაა, რადგან დიალექტიკურია კატეგორიების სისტემა"[122].

დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა, ს. წერეთლის აზრით, ემყარება შინაარსეული ზოგადის თვალსაზრისს. ზოგადობის ფორმალურ-ლოგიკური გაგება, სახელდობრ, როგორც მოცულობითი ზოგადისა, ს. წერეთელს არ აკმაყოფილებს. ამ შემთხვევაში, მისი აზრით, ცნებათა ლოგიკური დამოკიდებულება დაყვანილია საგანთა (რიცხვთა) დამოკიდებულებაზე, ვინაიდან ცნებათა დამოკიდებულების დაყვანა მოცულობების, კლასების დამოკიდებულებაზე სწორედ ამას ნიშნავს. სინამდვილეში კი, ამტკიცებს ს. წერეთელი, თვისებათა კავშირები ისეთ ზოგადობას შეიცავენ, რომელიც ტრადიციული მოცულობითი ზოგადისაგან განსხვავდება. ეს არის შინაარსეული ზოგადობა, როგორც განსხვავებულთა ერთიანობა, სინთეზური დამოკიდებულება, რაც კონკრეტულ ზოგადობას წარმოადგენს. ასეთი კონკრეტული ზოგადობები ერთმანეთისგან განსხვავდებიან შინაარსეულობის „მეტნაკლებობით". ყველაზე უფრო კონკრეტული და, იმავე დროს, უზოგადესი არის დაპირისპირებულთა, წინააღმდეგობათა

---

120 დასახ. ნაშრომი, გვ.152.
121 ი ქ ვ ე. გვ. 154.
122 ი ქ ვ ე. გვ. 155.

ერთიანობა, ვინაიდან დაპირისპირება და წინააღმდეგობა ყველაზე უფრო სრული განსხვავებაა.

ის ლოგიკა, რომელიც დიალექტიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობრივია, კატეგორიების, როგორც შემეცნების ისტორიის „საკვანძო პუნქტების", სისტემას წარმოადგენს. მას საქმე აქვს კატეგორიების ზოგადობასთან — უზოგადესობასთან. კატეგორიები, როგორც შემეცნების ფორმები, განსაზღვრავენ ასეთ ლოგიკას და ამიტომ იგი შემეცნების თეორიის იგივეობრივია. კატეგორიების კავშირს კი დიალექტიკური ხასიათი აქვს, ვინაიდან მასში ძირითადია წინააღმდეგობის ერთიანობის ზოგადობა. ამდენად „კატეგორიების ზოგადობაზე დამყარებული ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა"[123].

ჩვეულებრივად, აღნიშნავს ს. წერეთელი, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად ახსნისა და დასაბუთების განსხვავებას მიიჩნევენ. ახსნა ცოდნის მიღებაა, შემეცნებაა, დასაბუთება კი უკვე არსებული ცოდნის სისტემატიზაციას ეწევა. დიალექტიკურ ლოგიკაში, ამბობს ს. წერეთელი, რომელიც ერთსა და იმავე დროს დიალექტიკაცაა და შემეცნების თეორიაც, დასაბუთება ამასთანავე ახსნასაც წარმოადგენს, ვინაიდან დასაბუთებას სინთეზური ხასიათი აქვს (განსხვავებით ფორმალური ლოგიკის ანალიზური დასაბუთებისაგან). დასაბუთება, როგორც ლოგიკური განვითარება, — სვლა აბსტრაქტულიდან კონკრეტულისაკენ — იმავე დროს ახსნაცაა.

დეფინიცია, ამბობს ს. წერეთელი, საგნის არსების გამომთქმელი და ცნების დამდგენი მსჯელობაა. ამდენად ცნებისა და მისი დამდგენი მსჯელობის სახით საგანი შემოდის დასაბუთებაში ანუ დასაბუთებას აქვს საგნობრივ-ობიექტური ხასიათი. ეს ობიექტურობა ჭეშმარიტების ობიექტურობაა. ეს ნიშნავს, რომ „ლოგიკაში ისეთი რამ იგულისხმება, რომელიც არსებითია შემეცნების თეორიაშიც"[124]. ეს გარემოება კი მათ იგივეობაზე მიუთითებს გარკვეული ასპექტით. ლოგიკა არის ცოდნის ლოგიკა. მაგრამ ვინაიდან აზრის ობიექტურობა და ცნება-მსჯელობის ბუნება დიალექტიკურია, ამიტომ ეს ლოგიკა, რომელიც შემეცნების თეორიაცაა, არის დიალექტიკური ლოგიკა.

ს. წერეთელი ფიქრობს, რომ გარკვეული ასპექტით ცოდნის ობიექტურობა და ლოგიკურის ობიექტურობა ერთმანეთს ემთხვევა.

---

123 დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

124 იქვე, გვ. 160.

ცოდნის ობიექტურობა ჭეშმარიტების ობიექტურობას ნიშნავს, ეს უკანასკნელი კი მის აბსოლუტურობაში მდგომარეობს. მაგრამ ჭეშმარიტების ობიექტურობა ლოგიკური აუცილებლობის ბუნებას განსაზღვრავს როგორც აბსოლუტურობის, ისე რელატიურობის მხრივ. ამ აზრითაც გარკვეული ასპექტით ლოგიკური და გნოსეოლოგიური ერთმანეთს ემთხვევა.

ს. წერეთელი თვლის, რომ ლოგიკურ აუცილებლობას ყოველთვის კატეგორიალური ხასიათი აქვს და მისი ოდნავ შერბილებაც კი შეუძლებელია. აქედან გამომდინარეობს, რომ ლოგიკურ აუცილებლობას არა აქვს ხარისხები; იგი არავითარ გამონაკლისს, შემთხვევითს არ უშვებს.

ლოგიკური აუცილებლობა ყველაზე მეტად იმაში ულიდნება, რომ „ლოგიკურის ლოგიკურად უარყოფა შეუძლებელია და მისი უარყოფით იგივე დგინდება“[125]. ლოგიკურის ეს აუცილებლობა მისი აბსოლუტურობის მაჩვენებელია, რაც ჭეშმარიტების აბსოლუტურობით განისაზღვრება. აქაც ლოგიკა და შემეცნების თეორია გარკვეული ასპექტით იგივეობრივია.

ლოგიკურის სინთეზურობა, ს. წერეთლის აზრით, აუცილებელია; ხოლო თუ ლოგიკური სინთეზურია, მაშინ ის შემეცნებითი ბუნებისაც იქნება, ვინაიდან იგი შემეცნებასთან, არსის ცოდნასთანაა დაკავშირებული. სინთეზურობა კი განსხვავებულობაში, საბოლოოდ, უარყოფაში მდგომარეობს. ეს უარყოფა შინაგანია, აქედან გამომდინარეობს, რომ ლოგიკურის სინთეზურობას დიალექტიკური ხასიათი აქვს.

ს. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნია ლოგიკურის სინთეზურობის უარყოფა და მისი მხოლოდ ანალიზურობის აღიარება. წმინდა ანალიზურობის შემთხვევაში დასაბუთება აზრს დაკარგავს, ვინაიდან დამსაბუთებლისა და დასასაბუთებლის იგივეობა ლოგიკურ წრეს ქმნის და დასკვნასაც აზრი ეკარგება.

ლოგიკური აზროვნების ფორმების განვითარებითი კავშირი სინთეზური კავშირია. აქ ერთმანეთს ემთხვევა დასაბუთება და შემეცნება. ხოლო ლოგიკურის, შემეცნებითის და დიალექტიკურის დამთხვევა ლოგიკის, შემეცნების თეორიისა და დიალექტიკის იგივეობას ნიშნავს.

ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, ამტკიცებს ს. წერეთელი, რომ ლოგიკურ ფორმებს შინაარსეული ხასიათი აქვთ; ეს კი თავის მხრივ იმას ნიშნავს, რომ 1. ლოგიკურ ფორმებს საგნობ-

---

125 დასახ. ნაშრომი, გვ. 164.

რივ-ობიექტური შინაარსი გააჩნიათ; 2. თვითონ ლოგიკურ ფორმებსაც აქვთ საკუთარი შინაარსი; შინაარსის გარეშე ფორმა საერთოდ შეუძლებელია. „საგნის დიალექტიკურობა განსაზღვრავს აზრის ფორმას, რომელიც ცოდნის ფორმას წარმოადგენს. ამიტომ შესაძლებელია ლოგიკის, დიალექტიკისა და შემეცნების — ცოდნის — თეორიის იგივეობა“[126].

დიალექტიკურ ლოგიკას საქმე აქვს კატეგორიებთან; ეს უკანასკნელი შემეცნების საშუალებებიცაა და ლოგიკური საშუალებებიც. კატეგორიების კავშირები ისეთი გადასვლებია, რომლებიც ერთსა და იმავე დროს რეალურიცაა, შემეცნებითიც და ლოგიკურიც. ეს ნიშნავს, რომ „კატეგორიულობის ასპექტში ლოგიკური, შემეცნებითი და დიალექტიკური, ამის საფუძველზე კი შესატყვისი მეცნიერებები, ერთი და იგივეა“[127].

ლოგიკური, ამტკიცებს ს. წერეთელი, თავისი ბუნებით რეფლექსურია; ლოგიკური წესები კატეგორიისათვის შინაგანია; ისინი მოიხმარებიან ყველაფრის მიმართ და თავის თავის მიმართაც. ასევე ლოგიკურ ზოგადობას რეფლექსური ხასიათი აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ვრცელდება არა მარტო სხვაზე, არამედ თავის თავზეც, ლოგიკურის კატეგორიების უარყოფა შეუძლებელია; ცნების უარყოფა ისევ ცნებას გვაძლევს, მსჯელობის უარყოფაც მსჯელობაა. ეს კი ლოგიკურის რეფლექსურობაზე მიუთითებს.

ლოგიკურის რეფლექსურობა, ამტკიცებს ს. წერეთელი, დაკავშირებულია ერთგვარ შინაგან გაორებასთან, ორმნიშვნელოვნებასთან. აქ აზრის ფორმა საკუთარ შინაარსად გამოდის. ასეთია ცნება ცნების შესახებ, მსჯელობა მსჯელობის შესახებ და ა. შ. ეს შინაარსი, რაც ლოგიკურის რეფლექსურობას ახასიათებს, ლოგიკურიცაა, შემეცნებითიც და დიალექტიკურიც (ვინაიდან იგი გაორებაა). აქ ორმნიშვნელოვნება გაურკვევლობას კი არ ქმნის, არამედ გარკვეულობის აუცილებელი პირობაა; ზოგადი შეუძლებელია კერძოს გარეშე და პირიქით, უსასრულო — სასრულის გარეშე და პირიქით, აბსოლუტური — რელატიურის გარეშე და პირიქით და ა. შ. დაპირისპირებულნი ერთმანეთის გარეშე აზრს კარგავენ, სწორედ ამიტომ აქ ორმნიშვნელოვნება აუცილებელია. ამრგიდა, „ლოგიკური რეფლექსურობის ასპექტში ლოგიკა, დიალექტიკა და შემეცნების თეორია იგივეობრივი უნდა იყოს“[128].

---

126 დასახ. ნაშრომი, გვ. 169.
127 იქვე, გვ. 170.
128 იქვე, გვ. 172.

ლოგიკა, ამბობს ს. წერეთელი, ცოდნის ფორმათა ლოგიკაა; ცოდნა არის აზრი არსის შესახებ. არსი განსაზღვრავს აზრს, ცოდნას, ხოლო ამ უკანასკნელის ლოგიკური ფორმები ლოგიკის საგანს შეადგენს. ამიტომ ლოგიკა ონტოლოგიას ემყარება; იგი, ს. წერეთლის აზრით, არის ონტოლოგიური ლოგიკა. ასეთი ლოგიკა ამავე დროს შემეცნების თეორიაც იქნება და დიალექტიკაც.

აზრისა და ცოდნის ფორმები, ს. წერეთლის მიხედვით, ერთი და იგივეა. მაგალითად, ცნება აზროვნების ფორმაცაა და ცოდნის ფორმაც. ასევეა მსჯელობა და დასკვნა. „საგანი განსაზღვრავს ცოდნას არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის მხრივაც. ამიტომ დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივე უნდა იყოს“[129]. ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ ლოგიკურში სპეციფიკური ფორმით უნდა მოქმედებდეს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი, რომელიც დიალექტიკის უნივერსალურ კანონს წარმოადგენს. ყოველი სინთეზური კავშირი აუცილებლობით შეიცავს უარყოფის მომენტს — შინაგან შედარებით უარყოფას, რომელიც კატეგორიებში წინააღმდეგობასა და დაპირისპირებამდე ადის. ამ სფეროში უარყოფა იმავე დროს დადგენაცაა; ურთიერთდაპირისპირებულთა აუცილებლობა ყველაზე სრულად იქ წარმოსდგება, როცა რაიმეს უარყოფით მისიეე აუცილებლობა დგინდება. ყოველივე ეს დიალექტიკის კანონების უნივერსალური ხასიათის შედეგია, რაც დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის საფუძველსაც ქმნის. „რადგან დიალექტიკის კანონები არსის, შემეცნების და ლოგიკურის კანონებს წარმოადგენენ, — წერს ს. წერეთელი, — ამიტომ, ცხადია, დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა სწორედ ამ კანონების ასპექტში“[130].

აზროვნებისა და ცოდნის ფორმებისა და კანონების იგივეობიდან ს. წერეთელი დასკვნას აკეთებს ლოგიკური მეთოდებისა და შემეცნების ძირითადი მეთოდების იგივეობის შესახებ. ს. წერეთელი ერთმანეთისაგან განასხვავებს კერძო ლოგიკურ მეთოდებსა და ფილოსოფიის უნივერსალურ მეთოდს. ეს მეთოდები განსაზღვრავენ შემეცნების თეორიას (ასე იყო ფილოსოფიის ისტორიაშიც). ამასთანავე ვინაიდან უნივერსალურ მეთოდს დიალექტიკური მეთოდი წარმოადგენს, ამიტომ ყველაფერი მას ემორჩილება და ამ ასპექტში დიალექტიკა, ლოგიკა და შემეცნების თეორია ერთი და იგივეა.

---

129 დასახ. ნაშრომი, გვ. 176.

130 იქვე, გვ. 179.

დასაბუთების ანუ ლოგიკურის მეთოდებს ს. წერეთელი უწოდებს ისეთ მეთოდებს, „რომელთა განხორციელებაში დაუსაბუთებლობის მომენტი აუცილებლობით მონაწილეობს". ლოგიკურის უნივერსალური მეთოდის განხორციელებაში კი დაუსაბუთებელი გამორიცხულია. ამდენად კერძო მეთოდები ცალმხრივი და არასრულია, უნივერსალური მეთოდი კი სრულ მეთოდს წარმოადგენს. ლოგიკურის კერძო მეთოდებია, მაგალითად, ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი, რომლებიც დაუსაბუთებელს ემყარებიან. მაგ., დედუქცია დაუსაბუთებელ ზოგად დებულებებს, როგორც წანამძღვრებს, ემყარება და ამდენად დედუქციური მეთოდით მიღებული დასაბუთების მთელი სისტემა დაუსაბუთებლიდან ამოდის. დახლოებით ასეთივე ნაკლი აქვს ინდუქციის მეთოდს, რომელშიც კერძოდან ზოგადზე გადასვლას ალბათური ხასიათი აქვს და, მაშასადმე, ლოგიკური აუცილებლობა არ ხორციელდება. აქვე ს. წერეთელი აღნიშნავს, რომ არ შეიძლება აქსიომატური მეთოდის ჩათვლა ფილოსოფიური ლოგიკის მეთოდად. იგი გამოსაყენებელია სპეციალურ მეცნიერებებში, მათ შორის მათემატიკურ ლოგიკაშიც, მაგრამ არა ფილოსოფიაში; ფილოსოფიური ლოგიკის აქსიომატიზაცია შეუძლებელია.

კერძო ლოგიკური მეთოდები, ს. წერეთელის აზრით, უნივერსალურ ლოგიკურ მეთოდს მოითხოვენ. ასეთია დიალექტიკური მეთოდი, რომლის მომენტებს კერძო ლოგიკური მეთოდები წარმოადგენენ. აქაც — დიალექტიკური მეთოდის სფეროში — დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა დასტურდება.

საკვლევ პრობლემასთან დაკავშირებით ს. წერეთელი ერთხელ კიდევ განიხილავს დიალექტიკურ-ლოგიკურის ცნებას. იგი თვლის, რომ ფორმალური ლოგიკა სასრულის კატეგორიას ემყარება და, მაშასადამე, იგი სასრულის ლოგიკაა. სასრული აქ გაგებულია როგორც ის, რაც სხვით დგინდება და უარიყოფა. მაგალითად, დასკვნა არის რაიმეს დადგენა სხვის საფუძველზე, ასევეა დასაბუთება და ა. შ. სასრულის კატეგორია, ს. წერეთლის აზრით, ლოგიკურისათვის საკმარისი არ არის. ამ უკანასკნელისათვის აუცილებელია უსასრულო ლოგიკური, რომელიც წინააღმდეგობის ერთიანობას წარმოადგენს.

სასრული ლოგიკური, ამტკიცებს ს. წერეთელი, პირობითლოგიკურია, ვინაიდან იგი სხვას ემყარება, სხვითაა განპირობებული; უსასრულო ლოგიკური კი უპირობო ლოგიკურია, ვინაიდან იგი სხვას არ ემყარება. ასეთი ლოგიკურის უარყოფა მისივე დად-

გენაა და, მაშასადამე, მას რეფლექსური ხასიათი აქვს — თვითდადგენას წარმოადგენს. ასეთი შუალობითი კავშირები— შინაგანი უარყოფით თვითდადგენა — არის წინააღმდეგობის ერთიანობა, რომლის ერთ მხარეს სასრული ანუ ფორმალურ-ლოგიკური წარმოადგენს. ეს ნიშნავს, რომ „დიალექტიკურ-ლოგიკური ფორმალურ-ლოგიკურს თავის თავში შეიცავს მოხსნილ-შენახული სახით, მომენტის სახით“[131].

ამრიგად, ს. წერეთელი დაასკვნის, რომ დიალექტიკურ-ლოგიკური წინააღმდეგობის ერთიანობაა; სწორედ ამიტომ შემეცნების დიალექტიკური მეთოდი იმავე დროს დასაბუთების მეთოდსაც წარმოადგენს.

ს. წერეთელი აღნიშნავს, რომ დიალექტიკურ ლოგიკაში დასაბუთება არის ლოგიკური დალაგება, რომელსაც განვითარების ხასიათი აქვს. ეს არის ლოგიკური განვითარება, რომელიც ისტორიულს ასახავს. დასაბუთება არის კატეგორიების განვითარების სისტემა. დიალექტიკური მეთოდი შემეცნებისა და დასაბუთების მეთოდსაც წარმოადგენს და ამ სამი მეცნიერების იგივეობას ადასტურებს.

ამრიგად, დიალექტიკური მეთოდი, როგორც დასაბუთების მეთოდი, ს. წერეთლის მიხედვით, ლოგიკური განვითარების მეთოდია. ლოგიკური აუცილებლობა ლოგიკურ განვითარებაში ხორციელდება, რის გამოც იგი დასაბუთებას წარმოადგენს. ლოგიკა ერთსადა იმავე დროს მეცნიერებაცაა და დასაბუთების სისტემაც, ვინაიდან მეცნიერება დასაბუთების სისტემას უნდა წარმოადგენდეს. ასეთი უნდა იყოს ლოგიკაც, როგორც სისტემა. აზრის ფორმების განვითარებითი სისტემა დიალექტიკური ლოგიკაა. უფრო ფართოდ ს. წერეთელი დიალექტიკურ ლოგიკას განსაზღვრავს როგორც „საერთოდ ლოგიკური კატეგორიების ლოგიკურ სისტემას“[132]. კატეგორიები სინამდვილის უზოგადესი მხარის ამსახველი ცნებებია, შემეცნების „საკვანძო პუნქტებია“. სწორედ ამიტომ, დაასკვნის ს. წერეთელი, „ასეთი კატეგორიების ლოგიკური განვითარებითი სისტემა არის დიალექტიკაც, ლოგიკაც და შემეცნების თეორიაც; იგი ერთი მეცნიერებაა“[133].

ასეთია ს. წერეთლის თვალსაზრისი დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობის შესახებ.

---

131 დასახ. ნაშრომი, გვ. 186.
132 იქვე, გვ. 194.
133 იქვე.

თავი მეხუთე

ფილოსოფიის ისტორიკოსი

§ 1. წინასწარი შენიშვნები

ს. წერეთელი ფილოსოფიის ისტორიის ბრწყინვალე მცოდნე იყო; მას ღრმად ჰქონდა შესწავლილი არა მხოლოდ ანტიკური ფილოსოფია (განსაკუთრებით პლატონი და არისტოტელე), არამედ ახალი ფილოსოფიაც ჰეგელის ჩათვლით. ბუნებრივია, რომ დიალექტიკური ლოგიკის მკვლევარისათვის ყველაზე დიდ ინტერესს მაინც ჰეგელის დიალექტიკა წარმოადგენდა; იგი იცნობდა ჰეგელის ფილოსოფიას თვით დეტალებშიც კი, იცნობდა ისე, როგორც დიდ სპეციალისტს მოეთხოვება, თუმცა მას საკუთრივ ჰეგელის ფილოსოფია არასოდეს არ უკვლევია; თვითონ წიგნიც „რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში" მიზნად ისახავს არა საკუთრივ ჰეგელის დასკვნის თეორიის გამოკვლევას, არამედ იმ რაციონალური მარცვლების პოვნას, რაც ს. წერეთელმა უსასრულო დასკვნის თეორიაში გამოიყენა.

მიუხედავად დიდი ფილოსოფიურ-ისტორიული ერუდიციისა, ს. წერეთელმა ამ დარგში ძირითადად მხოლოდ ერთი წიგნი (ისიც დაუმთავრებელი) დაგვიტოვა; ეს არის „ანტიკური ფილოსოფია", რომელიც ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა. ამ წიგნში განსაკუთრებით ვრცლადაა განხილული პლატონის ფილოსოფიური მოძღვრება; ავტორს განზრახული ჰქონდა ასევე ვრცლად განეხილა არისტოტელეს ფილოსოფიაც (მეორე ნაწილის სახით), მაგრამ ეს განზრახვა ვერ განახორციელა. ზემოხსენებულ გამოცემაში (რედ. გ. თევზაძე) „მეორე ნაწილის" სახით შეტანილია ს. წერეთლის მიერ ფილოსოფიის ისტორიის მოკლე კურსისათვის დაწერილი პლატონის მომდევნო ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები (შუა საუკუნეების ჩათვლით).

ს. წერეთლის „ანტიკური ფილოსოფია“ არ არის ფილოსოფიის ჩვეულებრივი კურსი (თუმცა იგი ნავარაუდევია ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის). იგი დაწერილია იმ პრობლემების თვალთახედვის კუთხით, რომელიც ავტორის უშუალო ინტერესს შეადგენდა. ამის შესახებ თვითონ ს. წერეთელიც მიუთითებს წიგნის წინასიტყვაობაში: „ფილოსოფიის ისტორიის ზღვა მასალიდან — წერს იგი — მასში წინ წამოწეულია უფრო გამძლე და ყოველი დროისათვის საჭირბოროტო პრობლემები. მასალა განხილულია განვითარებაში მატერიალისტური დიალექტიკის თვალსაზრისით. ყურადღება გამახვილებულია იმ მასალაზე, რომელიც აუცილებელია აზროვნების კულტურის განვითარებისათვის, დასაბუთებითი აზროვნების სრულქმნისათვის“[1].

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ ს. წერეთლის ყურადღების ცენტრში ყოველთვის დიალექტიკურ-ლოგიკური პრობლემატიკა იდგა. იგი ყველა ფილოსოფიურ პრობლემას ამ პოზიციებიდან განიხილავდა და ყველაფერში თავისი ფუნდამენტური ლოგიკური თვალსაზრისის დასაბუთებას ეძებდა.

§ 2 ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ს. წერეთლის თვალსაზრისს ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, მისი საგნის, ამოცანების, მნიშვნელობისა და პერიოდიზაციის შესახებ, რაც გადმოცემულია „ანტიკური ფილოსოფიის“ შესავალში. ეს უკანასკნელი (შესავალი) მცირეოდენი ცვლილებებით დაიბეჭდა ფილოფიის ინსტიტუტის „შრომებში“ (ტ. IX, 1960).

მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, ამტკიცებს ს. წერეთელი ამ წიგნში, ყველაფერი იცვლება და ვითარდება, ყველაფერს თავისი ისტორია აქვს. ასევე ვითარდება ფილოსოფიური აზროვნებაც. „მეცნიერებას, რომელიც ფილოსოფიის განვითარებას სწავლობს, ფილოსოფიის ისტორია ეწოდება“[2]. კერძოდ, ფილოსოფიის ისტორია სწავლობს ფილოსოფიურ მოძღვრებათა განვითარებას. ეს არის, ს. წერეთლის აზრით, ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, საგანი.

ფილოსოფიური აზრის განვითარებამ, ამბობს ს. წერეთელი, წარმოშვა დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც ერთადერთი

---

[1] ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, თბილისი, 1968, წინასიტყვაობა.

[2] ი ქ ვ ე ე, გვ. 5.

მეცნიერული ფილოსოფია. სწორედ ამიტომ ფილოსოფიის ისტორია, როგორც ფილოსოფიური მეცნიერება, სრულიად კონკრეტულ ურთიერთობაშია როგორც დიალექტიკურ მატერიალიზმთან, ასევე სხვა ფილოსოფიურ დისციპლინებთან. მას გარკვეული კავშირი აქვს სპეციალურ მეცნიერებათა განვითარებასთანაც. ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, ანალიზი ამ კავშირურთიერთობათა გარკვევას გულისხმობს.

ამ მიმართულებით ს. წერეთელი, უწინარეს ყოვლისა, იკვლევს ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლობის პრობლემას. იგი ებრძვის იმათ, ვინც ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლობას უარყოფენ და საწინააღმდეგო თვალსაზრისს ასაბუთებს.

მთავარი არგუმენტი ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლობის წინააღმდეგ, ამტკიცებს ს. წერეთელი, ამოღებულია თვითონ ფილოსოფიის ისტორიიდან. ამ არგუმენტის თანახმად, ფილოსოფიისა და ისტორიის ცნებები ერთმანეთთან შეუთანხმებელია, ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ფილოსოფიური თეორიები ერთიმეორეს უპირისპირდებიან და ამდენად ფილოსოფიის ერთ ცნებას შეუძლებელს ხდიან. სწორედ ამიტომ შეუძლებელია ფილოსოფიის ისტორიაც, როგორც მეცნიერება. ასეთ თვალსაზრისს ჯერ კიდევ ძველი სკეპტიკოსები იცავდნენ.

მართლაც, ფილოსოფიური აზროვნების ისტორიაში, აღნიშნავს ს. წერეთელი, ფილოსოფია სხვადასხვაგვარად ესმოდათ. მაგალითად, უძველეს დროში ფილოსოფიის ქვეშ გულისხმობდნენ ცოდნას საერთოდ. პლატონისათვის გეომეტრიაც ფილოსოფიას წარმოადგენდა. მეორე მხრივ ფილოსოფიას უწოდებდნენ არა ცოდნას, სიბრძნეს, არამედ სიბრძნის სიყვარულს („ფილეო" — მიყვარს, „სოფია" — სიბრძნე). სიბრძნე ადამიანისათვის მიუწვდომელია; მას შეუძლია სიბრძნის მხოლოდ სიყვარული; ფილოსოფოსობა კი სიბრძნის სიყვარულს ნიშნავს. შუა საუკუნეებში ფილოსოფიის ცნების ქვეშ თეოლოგიის მსახური ესმოდათ. ახალ დროში საფუძველი ჩაეყარა ფილოსოფიის გაგებას, როგორც მეცნიერებათა მეცნიერებისა, დიალექტიკურ მატერიალიზმში ფილოსოფია გაგებულია როგორც მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზე და სხვ.

ერთი სიტყვით, დაასკვნის ს. წერეთელი, ფილოსოფიის სხვადასხვაგვარი გაგება ფაქტია, რასაც ფილოსოფიის ისტორიის უარმყოფლები საბუთად იყენებენ. ისინი თვლიან, რომ ისტორია შეიძლება ჰქონდეს იმას, რაც ერთია, ე. ი. განვითარების ცნება ერ-

თი გარკვეულის არსებობას გულისხმობს, სახელდობრ იმას, რაც ვითარდეაა, სხვადასხვა საფეხუოს გადის. ფილოსოფიის ისტორია მხოლოდ ეაეინ იარსებებდა, თუკი ფილოსოფიის ცოება ერთი აზრით იხძარებოდეს. ფილოსოფიის ცნების სხვადასხვაობა, საბოლოოდ, ფილოსოფიურ კონცეფციათა ურთიერთდაპირისპირებულობა კი ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლოიას გამორიცხავს. ასეთია ერთ-ერთი მოსაზრება ფილოსოფიის ისტორიის შესაძლებლობის წინააღმდეგ.

ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, უარმყოფლები, აძბობს ს. წერეთელი, ფილოსოფიურ მოძღვრებებს (სისტემებს) უბრალოდ ფილოსოფიურ შეხედულებებს უწოდებენ, ხოლო შეხედულების ცნების ქვეშ ესმით სუბიექტური აზრი, სუბიექტური წარმოდგენა, რომელსაც ზოგადობის მნიშვნელობა არა აქვს. თალესი სამყაროს საწყისად („არხე") წყალს ძიიჩნევდა, ჰერაკლიტე — ცეცხლს, დემოკრიტე — ატომებს და ა. შ. ყველა ისინი, ამ კონცეფციის დამცველთა აზრით, სუბიექტური შეხედულებანია, რომელთა შეცდომას საპირისპირო შეხედულება ამეღვავებს. ამდენად გამოდის, რომ ფილოსოფიის ისტორია ძეცდომების ია ტორიაა; ამ სუბიექტურ, მცდარ შეხედულებებს შორის არავითარი კავშირი არაა; ისინი ერთმანეთისგან ძოწყვეტილია, არ არსებობს ერთი მთლიანი აზრი, რომელიც მათ ერთმანეთთან დააკავშირებდა. ისინი გვაგონებენ ცალკეულ ბგერებს, რომლებიც ჰარმონიას (ურთიერთშეწყობას) მოკლებულია და, მაშასადამე, „მუსიკალურ ნაწარმოებს" ვერ ქმნიან.

ამ შეხედულების წინააღმდეგ ს. წერეთელი ჰეგელის მოსაზრებებს იყენებს; ჰეგელი თვლიდა, რომ ფილოსოფიური შეხედულების ცნება უაზრობას წარმოადგენს, ვინაიდან შეხედულება სუბიექტურია, ხოლო ფილოსოფია ობიექტურ ჭეშმარიტებას გამოხატავს; სუბიექტური შეხედულებანი არ არის და არც შეიძლება იყოს ფილოსოფია. „ფილოსოფიის ისტორია ჭეშმარიტი მოძღვრებების, ობიექტური ჭეშმარიტების შემცველი მოძღვრებების მეცნიერული ისტორია უნდა იყოს"[3].

მაგრამ, მეორე მხრივ, აღნიშნავს ს. წერეთელი, თითოეული ფილოსოფიური მოძღვრების ჭეშმარიტების აღიარება იმავე დროს მათი მცდარობის დასაბუთებაცაა და, მაშასადამე, ფილოსოფიის ისტორია, როგორც ერთი მეცნიერება, კვლავ შეუძლებელი ხდება. ფილოსოფიის ისტორიაში ძალიან ხშირად გვხვდება ურთიერთდა-

---

3 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 9.

პირისპირებული და ურთიერთგამომრიცხავი ფილოსოფიური თეორიები. ერთ-ერთი მათგანის ჭეშმარიტად ჩათვლა მეორე მათგანის ჭეშმარიტების უარყოფაა და პირიქით. თუ ფილოსოფიის ისტორია მეცნიერებაა, მაშინ, ს. წერეთლის აზრით, ფილოსოფიური მოძღვრებანი ერთ მთლიანობაში უნდა წარმოსდგნენ, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ შეუძლებელი იქნება ფილოსოფიის ისტორიაც. „ფილოსოფიის ფაქტიური ისტორია მაშინ იარსებებს და ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ განსხვავებულ და საპირისპირო ფილოსოფიურ მოძღვრებებში ზოგადიც არსებობს, თუ ისინი ერთიანობაშიც არიან"[4]. ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, შესაძლებლობის დასაბუთებას ს. წერეთელი ამ ზოგადის არსებობის, ერთიანობის აღმოჩენის შესაძლებლობაში ხედავს.

ფილოსოფიის ისტორიის, როგორც მეცნიერების, უარმყოფელ მოაზროვნეებს ფილოსოფიის ქვეშ ესმით მოძღვრება აბსოლუტურ, მარადიულ ჭეშმარიტებაზე. ფილოსოფია ამ თვალსაზრისის მიხედვით, ჭეშმარიტებას ეძიებს და პოულობს; ჭეშმარიტება კი აბსოლუტურია, უცვლელია, მას არა აქვს ისტორია. ისტორია ცვალებადობასა და მოძრაობას ნიშნავს; მას საქმე აქვს არამარადიულთან, წარმავალთან. სწორედ ამიტომ ფილოსოფიას თითქოს არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ისტორია, ისევე როგორც ჭეშმარიტებას არა აქვს ისტორია. ის, რასაც ისტორია აქვს, ე. ი. რაც ცვალებადი და წარმავალია, არ არის ჭეშმარიტი, არ მიეკუთვნება ფილოსოფიას. ამდენად თითქოს ფილოსოფიისა და ისტორიის ცნებები შეუთავსებადია და, მაშასადამე, ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება, შეუძლებელია.

თუკი ფილოსოფიური სისტემები, ამბობს ს. წერეთელი, ერთმანეთს მხოლოდ გამორიცხავდნენ, მაშინ ფილოსოფიის ისტორია მართლაც შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ სწორედ ამ ამოსავალ დებულებაშია შეცდომა დაშვებული. სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემები, ამტკიცებს იგი, არა მარტო განსხვავდებიან და ხშირად კიდეც უპირისპირდებიან ერთმანეთს, არამედ მათ შორის, იმავე დროს ყოველთვის რაღაც საერთოა, ზოგადია, რაც მათ, მიუხედავად წინააღმდეგობისა, აერთიანებთ. სხვა რომ არა იყოს რა, ყველა ისინი ფილოსოფიური სისტემებია და, მაშასადამე, რაღაც ზოგადს შეიცავენ. „თუ ფილოსოფიურ სისტემებში პასუხები გარკვეულ კითხვებზე ერთიმეორეს გამორიცხავენ, თვითონ საკითხები, პრობ-

---

4 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 10.

ბლემატიკა მაინც უნდა აერთიანებდეთ მათ. ერთი სიტყვით, რაღაც საერთო, ზოგადი აუცილებელია ყველა ფილოსოფიური მოძღვრებისათვის... უნდა არსებობდეს აუცილებელი ერთიანობა, რაღაც ერთი ხაზი, რათა ისტორია არსებობდეს და მასზე მეცნიერება იყოს შესაძლებელი"[5].

აზროვნების ისტორიაში ერთმანეთს ებრძოდნენ მატერიალიზმი და იდეალიზმი, დიალექტიკა და მეტაფიზიკა, რომლებიც დიამეტრალურად დაპირისპირებული პრინციპებიდან ამოდიან და, მაშასადამე, შეურიგებელ მოძღვრებებს წარმოადგენენ. მიუხედავად ამისა, ამტკიცებს ს. წერეთელი, მათ შორის მაინც რაღაც საერთოა, თუნდაც ის, რომ ორივე მათგანი ერთსა და იმავე პრობლემას (სხვადასხვა მიმართულებით) წყვეტენ. საერთოს არსებობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი განხილვა ერთ ისტორიაში; ერთი სიტყვით, შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიის ისტორია.

ს. წერეთელი აკრიტიკებს იმ თვალსაზრისს, რომელიც წარსულის რეალობას უარყოფს და ერთადერთ სინამდვილედ აწმყოს თვლის. წარსული, ამ თვალსაზრისის მიხედვით, წარსულია, იგი უკვე აღარ არსებობს და, მაშასადამე, მეცნიერებაც მის შესახებ, ე. ი. ისტორია შეუძლებელია. მეცნიერებამ არსებული უნდა შეისწავლოს, ხოლო არარსებული ვერ იქნება მეცნიერების საგანი. წინააღმდეგ ამ შეხედულებისა ს. წერეთელი ამტკიცებს, რომ „ისტორია არ ნიშნავს დაკარგვას. ცვალებადობაში, რომლის გარეშე ისტორია შეუძლებელია, ყველაფერი არ იკარგება, რაღაც ინახება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი გარკვეული ისტორიაც არ იარსებებდა"[6].

ასევე ფილოსოფიური მოძღვრებანი ერთმანეთთან გარკვეულ აუცილებელ კავშირშია; ამის გარეშე ფილოსოფიის ისტორია არ იარსებებდა. „ფილოსოფიის ისტორია ფილოსოფიურ სისტემათა აუცილებელ კავშირს უნდა წარმოადგენდეს"[7]. ფილოსოფიის ისტორიის საგნად ს. წერეთელი ფილოსოფიურ მოძღვრებათა შორის არსებული აუცილებელი კავშირის გამოკვლევას თვლის.

ფილოსოფიური მოძღვრების ურთიერთდაპირისპირებულობის გამო მათში აუცილებელი კავშირის აღმოჩენა რთულია; ფილოსოფიის ისტორიის მიზანს ამ სირთულის დაძლევა წარმოადგენს. ს. წერეთელი თვლის, რომ ფილოსოფიურ სისტემათა შორის აუცი-

---

5 იქვე, გვ. 11.
6 იქვე, გვ. 11.
7 იქვე, გვ. 12.

ლებელი კავშირის აღმოჩენა თუმცა ძნელია, მაგრამ მაინც შეიძლება. „ამა თუ იმ ეპოქაში წამოჭრილი სიძნელეები გადაიჭრებოდა მომდევნო ეპოქის მიერ და ა. შ. ამიტომ ფილოსოფიის ისტორია სიძნელეთა აღმოჩენისა და გადაწყვეტის ისტორიაა გარკვეულ სფეროში, სახელდობრ, ფილოსოფიის სფეროში"[8]. ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიის ისტორია არ არის სხვადასხვა მოძღვრებათა ცვალებადობის ისტორია, არამედ ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაა.

ფილოსოფიის ისტორია, ამტკიცებს ს. წერეთელი, არის განვითარება, ზეაღმავალი პროცესი, რომელსაც საფეხურები გააჩნია. ყოველგვარი განვითარება და, კერძოდ, ფილოსოფიის ისტორიაც, როგორც განვითარება, მარტივიდან რთულისაკენ სვლაა; განვითარებაში მყოფი ფილოსოფიური სისტემები ერთმანეთს უპირისპირდებიან, ერთი უარყოფსა და ხსნის მეორეს და ა. შ. მაგრამ აქ ადგილი აქვს არა მექანიკურ უარყოფას, არამედ დიალექტიკურ მოხსნა-შენახვას. დიალექტიკური უარყოფის (დადებითის შენახვის) გარეშე საქმე ყოველთვის თავიდან დაიწყებოდა და, მაშასადამე, ფილოსოფიის ისტორიაც, როგორც განვითარება, შეუძლებელი იქნებოდა. განვითარების მამოძრავებელ ძალას, მატერიალისტური დიალექტიკის თანახმად, წინააღმდეგობა და შინაგანი უარყოფა წარმოადგენს. ეს ამოძრავებს ფილოსოფიის ისტორიასაც, ეს ქმნის ფილოსოფიის ისტორიას, როგორც განვითარებას. „ფილოსოფიის ისტორია — წერს ს. წერეთელი — როგორც მარტივიდან რთულისაკენ სვლის პროცესი, წინააღმდეგობრივი ბუნებისაა; იგი ხორციელდება უარყოფის საშუალებით"[9].

თუ ფილოსოფიის ისტორია განვითარებაა, მაშინ იგი ნახტომებსაც უნდა შეიცავდეს. მართლაც ს. წერეთელი თვლის, რომ ფილოსოფიის ისტორიას არა აქვს ევოლუციური ხასიათი, არამედ იგი ნახტომებსაც გულისხმობს. ევოლუცია ამზადებს რევოლუციას, ნახტომებს, ერთი თვისებრიობიდან ახალ თვისებრიობაში გადასვლას. ასეთია მარქსისტული ფილოსოფია, რომელიც წინა ფილოსოფიური სისტემებისაგან თვისებრივად განსხვავება და, მაშასადამე, წარმოადგენს რევოლუციას ფილოსოფიური აზრის ისტორიაში.

წინააღმდეგობა და ურთიერთდაპირისპირება ზატერიალიზმსა და იდეალიზმს, დიალექტიკასა და მეტაფიზიკას შორის, აღნიშნავს ს. წერეთელი, კი არ ანგრევს ფილოსოფიის ისტორიას, არამედ პირი-

---

8 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 12.

9 ი ქ ვ ე, გვ. 13.

ქით, მის შინაგან წყაროს, მის მამოძრავებელს წარმოადგენს. განვითარებას აქაც დიალექტიკური ხასიათი აქვს; ამიტომ იგი დიალექტიკური მეთოდით უნდა იქნას განხილული. კერძოდ, „ფილოსოფიის ისტორიის პრობლემატიკის განხილვის დროს წინააღმდეგობის ერთიანობის კანონი უნდა იქნეს გამოყენებული. არც მხოლოდ ერთიანობა არსებობს და არც მხოლოდ დაპირისპირება. დაპირისპირებულთა ერთიანობის გზით მიდის ფილოსოფიის ისტორიის განვითარების პროცესი და ამიტომ მხოლოდ დაპირისპირებულთა ერთიანობა აგვიხსნის ფილოსოფიურ სისტემათა შინაარსს და მათი დამოკიდებულების ხასიათს, ახალი ფილოსოფიური სისტემების წარმოშობასა და ძველის დაძლევას"[10]. აქ უკვე აშკარად ჩანს ის, რის შესახებ ზემოთ მივუთითეთ; ს. წერეთელი ფილოსოფიის ისტორიას სრულიად გარკვეული თვალსაზრისით განიხილავს; მისი ფილოსოფიის ისტორია მარტოოდენ ფაქტობრივი ვითარების აღნიშვნას კი არ წარმოადგენს, არამედ გარკვეული იდეის (კერძოდ, დიალექტიკური კონცეფციის) განხორციელების პროცესს; თვითონ ფაქტობრივი მასალაც კი ამ იდეის მიხედვითაა შერჩეული და მისდამი დაქვემდებარებული.

იქვე ს. წერეთელი მიუთითებს თავისი თვალსაზრისის მსგავსება-განსხვავებაზე ჰეგელის ფილოსოფიურ-ისტორიულ კონცეფციასთან. ჰეგელსაც ფილოსოფიის ისტორია ესმოდა როგორც განვითარება. მაგრამ ჰეგელის შეცდომას ს. წერეთელი იმაში ხედავს, რომ მან ფილოსოფიის ისტორია აბსოლუტური სულის თვითშეცნების ზეაღმავალ პროცესად წარმოიდგინა. ს. წერეთელი კი ფიქრობს, რომ ფილოსოფიის ისტორიას საზოგადოების განვითარება, კერძოდ, მატერიალური ბაზისის განვითარება განსაზღვრავს, ვინაიდან თვითონ ზედნაშენური მოვლენაა; ფილოსოფიური მოძღვრებები გარკვეული ეპოქის პირმშოა და მის ასახვას წარმოადგენენ. საზოგადოებრივი ყოფიერება ამ შემთხვევაშიც განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას.

ს. წერეთელი თვლის, რომ ფილოსოფიის ისტორიის განვითარებადი ხასიათი აბსოლუტური და რელატიური ჭეშმარიტების ურთიერთობით აიხსნება. ყველა ფილოსოფიური სისტემა აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ ისწრაფვის, თუმც მას ვერ აღწევს. მაგრამ ეს არ ნიშნავს მის აბსოლუტურ მცდარობას. იგი შეფარდებით ჭეშმარიტია და არა აბსოლუტურად; ეს ნიშნავს, რომ თითოეული ფილოსოფიური სისტემა, მართალია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას არ წარ-

---

10 ი ქ ვ ე, გვ.14.

მოადგენს, მაგრამ თავის თავში შეიცავს აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებს. ეს ითქმის თვითონ პლატონის ობიექტურ იდეალიზმზეც კი, რაც დიალექტიკური მატერიალიზმისათვის პრინციპულად მიუღებელია. სწორედ აქ ჩანს ფილოსოფიური აზრის ისტორიის განვითარებადი ბუნება. „ყოველი ფილოსოფიური სისტემა — წერს ს. წერეთელი — წინა სისტემიდან წარმოიშობა, მაგრამ მის უარყოფასაც წარმოადგენს. იგი წინა ფილოსოფიურ სისტემას უარყოფს, მაგრამ მასში არსებული ჭეშმარიტების მარცვლებს ინახავს. ამ გზით მიდის ფილოსოფიის ისტორია წინ და სწორედ ასეთი მოხსნა-შენახვით ხდება განვითარება, როგორც მარტივიდან რთულზე ასვლა, ერთგვარი გამდიდრების, გაღრმავებისა და კონკრეტიზაციის პროცესი“[11].

ფილოსოფიის ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით ს. წერეთელი განიხილავს ფილოსოფიისა და ფილოსოფიის ისტორიის ურთიერთდამოკიდებულებას. ფილოსოფიის ისტორია, ამტკიცებს იგი, ფილოსოფიით განისაზღვრება, რის ისტორიასაც იგი წარმოადგენს. როგორიცაა ფილოსოფია, ისეთივეა მისი ისტორია. ფილოსოფიის ცნების ქვეშ ხშირად სხვადასხვა შინაარსი ესმით; ფილოსოფიის ისტორიაც იმითაა განსაზღვრული, თუ რა ესმით ფილოსოფიის ქვეშ. „ფილოსოფიის გარკვეული შინაარსი საშუალებას გვაძლევს ამოვარჩიოთ პრობლემები აზროვნების ისტორიიდან, გამოვყოთ ფილოსოფიის საკითხები ცოდნის სხვა სფეროთა საკითხებიდან და დავალაგოთ სწორედ ფილოსოფიის ისტორიის მასალა და არა სხვა რაჰ“[12].

ეს ნიშნავს, რომ ფილოსოფიის ისტორიის გადმოცემას წინ უსწრებს გარკვეული თვალსაზრისი; „უთვალსაზრისოდ არ შეიძლება ფილოსოფიის ისტორიის შინაარსის გაგება“. უნდა ამოვიდეთ იქიდან, თუ რა გვესმის ფილოსოფიის ქვეშ და ამისდა მიხედვით წარმოვიდგინოთ ფილოსოფიის ისტორია, აზროვნების ისტორიიდან მასალა ამოვარჩიოთ გარკვეული თვალსაზრისის მიხედვით. ს. წერეთელი გვაფრთხილებს, რომ ეს არ უნდა გავიგოთ როგორც სუბიექტივიზმი; იგი „უთვალსაზრისობის უარყოფაა“ და არა სუბიექტივიზმის ქადაგება ფილოსოფიის ისტორიაში. უარსაყოფია სუბიექტივიზმიც და წმინდა ობიექტივიზმიც. „თუ ჩვენ ნამდვილი გაგება გვაქვს მეცნიერული ფილოსოფიისა, ნამდვილი ფილოსოფიისა, ე. ი. თუ ნამდვილი, ჭეშმარიტი ფილოსოფიის პო-

---

11 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 16.

12 ი ქ ვ ე.

ზიციებზე ვდგავართ, მაშინ ჩვენი ფილოსოფიური თვალსაზრისით ფილოსოფიის ისტორიის საკითხების განხილვა ძაბი ნაძდეილი ობიექტური გაგება იქნება"[13]. ამ შემთხვევაში გარკვეული თვალსაზრისის მიხედვით ფილოსოფიის ისტორიის გადმოცემა დაემთხვა ფილოსოფიური აზრის ისტორიის ობიექტური შინაარსის გადმოცემას. ფილოსოფიის ისტორია კანტიანური თვალსაზრისით დაალაგა კანტიანელმა ვინდელბანდმა, ჰეგელიანური ფილოსოფიის თვალსაზრისით დაწერა ფილოსოფიის ისტორია კ. ფიშერმა; მათი შეცდომა, ს. წერეთლის აზრით, ის კი არაა, რომ ისინი გარკვეული თვალსაზრისიდან ამოდიოდნენ, არამედ შეცდომა თვითონ. ამ თვალსაზრისებშია.

მარქსისტული ფილოსოფიის ისტორია დაწერილი უნდა იყოს სწორედ მარქსისტული ფილოსოფიის თვალსაზრისით; ფილოსოფიის ხასიათი ამჯერადაც განსაზღვრავს ფილოსოფიის ისტორიის ხასიათს. დიალექტიკური მატერიალიზმი არის მოძღვრება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების უზოგადეს კანონებზე. ამის შესაბამისად, დიალექტიკური მატერიალიზმის თვალსაზრისით დაწერილმა ფილოსოფიის ისტორიამ უნდა განიხილოს ფილოსოფიური მოძღვრებები ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების შესახებ. მან უნდა წარმოადგინოს აგრეთვე მატერიალიზმისა და დიალექტიკის ისტორიაც. მაგრამ ვინაიდან მატერიალიზმი და დიალექტიკა იდეალიზმსა და მეტაფიზიკასთან დაპირისპირებაში ვითარდება, ამიტომ ეს დაპირისპირება ფილოსოფიის ისტორიაშიც უნდა აისახოს. ამასთანავე მატერიალისტური დიალექტიკა შემეცნების თეორიაცაა და ლოგიკაც (დიალექტიკური ლოგიკა); სწორედ ამიტომ ფილოსოფიის ისტორიაში შევა გნოსეოლოგიისა და ლოგიკის ძირითადი კონცეფციებიც.

ის გარემოება, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი მთელი ფილოსოფიური აზროვნების (და, საერთოდ, აზროვნების) განვითარების შედეგს წარმოადგენს, შენიშნავს ს. წერეთელი, არ უნდა გავიგოთ როგორც მათი გაიგივება. იგივეობრივია, ს. წერეთლის აზრით, მარქსისტული ფილოსოფიის ისტორია და დიალექტიკური მატერიალიზმი და არა საერთოდ ფილოსოფიის ისტორია და დიალექტიკური მატერიალიზმი. ეს უკანასკნელი ოვისებრივად ახალი მოძღვრებაა, თუმცა ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიას ემყარება.

ვინაიდან ფილოსოფიის ისტორიის ხასიათს ფილოსოფიის ხასიათი განსაზღვრავს, ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის საგანიც

---

[13] იქვე, გვ. 17.

ფილოსოფიის საგნის მიხედვით უნდა გაირკვეს. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის (არსისა და აზრის დამოკიდებულების საკითხი) ორგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობის შესაბამისად არსებობენ მატერიალისტური და იდეალისტური მიმართულებანი; ამასთანავე მეცნიერება, ამბობს ს. წერეთელი, არსს, მატერიალურ სინამდვილეს პირველადად თვლის და, მაშასადამე, მატერიალიზმის მხარდამხარ გამოდის; „ამიტომ ნამდვილი, მეცნიერული ფილოსოფია მატერიალიზმია; იგი მეცნიერულ ცოდნას ეყრდნობა და თვითონაც აეეთ ცოდნას წარმოადგენს"[14]. ვინაიდან მატერიალისტური და დიალექტიკური თეორიები დაკავშირებულია დიალექტიკური და მეტაფიზიკური მეთოდების არსებობასთან, ამიტომ ფილოსოფიის ისტორიაში განხილულ უნდა იქნას დიალექტიკური და მეტაფიზიკური მეთოდების ურთიერთდაპირისპირებაც. ამის საფუძველზე ს. წერეთელი ამბობს, რომ „ფილოსოფიის ისტორია არის არა მარტო მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორია, არამედ დიალექტიკისა და მეტაფიზიკის ბრძოლის ისტორიაც"[15].

მართალია, დიალექტიკა მატერიალისტურ თეორიას მოითხოვს და არა იდეალისტურს, მაგრამ ისტორიულად მარქსამდელ თეორიებში დიალექტიკა სწორედ იდეალისტურ მსოფლმხედველობაში ვითარდებოდა. ამიტომ ს. წერეთელი აუცილებლად თვლის „იდეალისტური სისტემების განხილვას დიალექტიკის ისტორიის თვალსაზრისით". იდეალისტურ დიალექტიკურ სისტემებში ჰეშმარიტების მარცვალიც გვხვდება, ამიტომ „მათი ცოდნა ფილოსოფიის ისტორიის აუცილებელი მხარეა". კიდევ მეტიც, „ჰეგელის იდეალისტური, მაგრამ დიალექტიკური ფილოსოფიის გაგების გარეშე შეუძლებელია მატერიალისტური დიალექტიკის გაგება, მისი წარმოშობის მეცნიერული ახსნა"[16].

ს. წერეთელს მიაჩნია, რომ ვინაიდან დიალექტიკური მატერიალიზმი არის მეცნიერება ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების უზოგადეს კანონებზე, ამიტომ „ფილოსოფიის ისტორიაში საჭიროა წარმოდგენილ იქნას ლოგიკური მოძღვრებაც — მოძღვრება აზროვნების კანონებისა და წესების შესახებ". სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ფილოსოფიის ისტორია ლოგიკის ისტორიასაც შეიცავს". სწორედ ამიტომ ფილოსოფიის ისტორიაში განხილული იქნება ძირითადი ლოგიკური თეორიები, ხოლო სპეციალურად იგი ლოგიკის ისტორიის საგანია.

---

14 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 20.

15 ი ქ ვ ე, გვ. 21.

16 ი ქ ვ ე.

ძირითადი ლოგიკური თეორიები, ამტკიცებს ს. წერეთელი, ხშირად იწვევენ შემობრუნებას ფილოსოფიის ისტორიაშიც. მაგალითად, სოკრატემ წემოიტანა მოძღვრება ცნების შესახებ, რომელიც ჯერ პლატონთან განვითარდა, ხოლო შემდეგ საფუძვლად დაედო არისტოტელეს ლოგიკის შექმნას, რაც, თავის მხრივ, შემობრუნების პუნქტი იყო ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. ასევე ფ. ბეკონის მიერ შემოტანილმა მეცნიერული ინდუქციის მეთოდმა „დიდი გავლენა მოახდინა ახალი დროის როგორც სპეციალურ მეცნიერებათა, ისე ფილოსოფიის განვითარებაზე". იგივე შეიძლება ითქვას კანტის ტრანსცენდენტალური მეთოდის, ჰეგელის დიალექტიკისა და სხვა ლოგიკური მეთოდების შესახებ, რომლებმაც განსაზღვრეს მრავალი ფილოსოფიური სისტემის ხასიათი. ეს გარემოება, ს. წერეთლის აზრით, ერთხელ კიდევ ადასტურებს ლოგიკური თეორიების განხილვის აუცილებლობას ფილოსოფიის ისტორიაში.

ს. წერეთელი უარყოფს ფილოსოფიის საგნის უცვლელობის თვალსაზრისს და თვლის, რომ ფილოსოფიის საგნის ცვალებადობა ფილოსოფიის ისტორიის შესაძლებლობის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. არსისა და აზრის ურთიერთობის გამორკვევა, რაც ფილოსოფიის ძირითად ამოცანას წეადგენს, სულ უფრო და უფრო ღრმა და თვისებრივად ახალ ხასიათს იღებდა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების პროცესში. მიუხედავად ამ ცვალებადობისა, ამტკიცებს ს. წერეთელი, ერთი საერთო ხაზი არ იკარგებოდა, რაც შესაძლებელს ხდიდა ფილოსოფიის ისტორიის, როგორც განვითარების, არსებობას.

ს. წერეთელი თვლის, რომ ფილოსოფიის განვითარებას ერთგვარი შედარებითი დამოუკიდებლობა ახასიათებს; ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიის ისტორიის არსებობა, ვინაიდან ფილოსოფიას არ ექნებოდა საკუთარი ისტორია. „ფილოსოფიური სისტემები ისტორიის მანძილზე განვითარების გარკვეულ საფეხურებს წარმოადგენენ". ეს განვითარება დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ნახტომების გზით ხორციელდება. ფილოსოფიის განვითარებას, ცხადია არა აქვს აბსოლუტური დამოუკიდებლობა, როგორც ამას ჰეგელი ფიქრობდა; იგი „ისტორიულად განსაზღვრული ეპოქების ამსახველი თეორიის განვითარებაა". სხვაგვარად რომ ვთქვათ, „ფილოსოფიის განვითარება საზოგადოების განვითარების პროდუქტია და საზოგადოების განვითარების კანონებით განისაზღვრება". ერთი სიტყვით, „ფილოსოფიის განვი-

თარების ახსნა უნდა ვეძიოთ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებაში"[17].

ფილოსოფიის ისტორიის, როგორც განვითარების, გასაგებად ს. წერეთელი აბსოლუტური და რელატიური ჭეშმარიტების ურთიერთობის დიალექტიკურ კონცეფციას მიმართავს. იგი წერს: „გარკვეულ ისტორიულ პირობებში მოიპოვება ჭეშმარიტების გარკვეული მარცვლები, ყალიბდება შეფარდებითი ჭეშმარიტება, რომელიც აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებს შეიცავს. ამიტომ ფილოსოფიის ისტორია არის განვითარება, როგორც ჭეშმარიტების მარცვლების მიმატება აბსოლუტური ჭეშარიტების მისაღებად, — ეს არის გზა აბსოლუტური ჭეშმარიტებისაკენ, რომელიც საბოლოოდ არასოდეს არ მიიღწევა, პროცესი, რომელიც არ სრულდება. ასეთია არა მარტო ფილოსოფიის, არამედ საერთოდ ყოველი მეცნიერების გზა"[18].

ს. წერეთლისათვის მიუღებელია ის თვალსაზრისი, რომელიც სინამდვილეს მარტოოდენ სპეციალურ მეცნიერებათა საგნად თვლის, ხოლო ფილოსოფია ესმის როგორც მოძღვრება მეცნიერების შესახებ. ეს შეხედულება დასაბამს კანტთან იღებს, რომელიც თანამედროვე ფილოსოფიაში სხვადასხვა ფორმით წარმოსდგა. ფილოსოფიის საგნის ამგვარი გადაწყვეტით „ფილოსოფია მოწყდა სინამდვილეს"; ასეთი ფილოსოფია კი იდეალიზმია.

ფ. ენგელსის ცნობილი დებულება, რომ ძველი ფილოსოფიიდან დარჩა მოძღვრება აზროვნების შესახებ — დიალექტიკა და ფორმალური ლოგიკა, ამბობს, ს. წერეთელი, ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თითქოს ფილოსოფიას საქმე აღარ აქვს სინამდვილესთან და მან თავის საგნად თითქოს მარტოოდენ აზროვნება გაიხადა. ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — არსისა და აზრის დამოკიდებულების — გარკვევა არსის ბუნების გარკვევასაც გულისხმობს და, მაშასადამე, ფილოსოფია სინამდვილის უზოგადეს კანონზომიერებასაც სწავლობს.

ს. წერეთელი იმ თვალსაზრისს იზიარებს, რომ მატერიალისტური დიალექტიკა სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიას წარმოადგენს. სპეციალური მეცნიერებანი იყენებენ ფილოსოფიის კატეგორიებს და ამდენად ფილოსოფიას ემყარებიან. კატეგორიების აღმოჩენა ფილოსოფიის ისტორიაში ხდება; ამიტომ ფილოსო-

---

17 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 23.
18 ი ქ ვ ე. გვ. 24.

ფიის ისტორია შეიძლება განვიხილოთ როგორც „კატეგორიების ალმოჩენის ისტორია“.

საბოლოოდ ს. წერეთელი ფილოსოფიის ისტორიის ასეთ განსაზღვრებას იძლევა: „ფილოსოფიის ისტორია არის მატერიალიზმისა და დიალექტიკის წარმოშობა-განვითარების ისტორია, მატერიალიზმისა და დიალექტიკის იდეალიზმსა და მეტაფიზიკასთან ბრძოლის ისტორია“[19].

ს. წერეთელი შენიშნავს, რომ ფილოსოფიის ისტორია კანონზომიერ პროცესად პირველად ჰეგელმა წარმოადგინა, რაც მისი მოძღვრების რაციონალურ მარცვლად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ჰეგელის იდეალისტურმა სისტემამ ხელი შეუშალა ამ რაციონალური მარცვლის განვითარებას. ფილოსოფიის ისტორია ჰეგელმა წარმოადგინა როგორც აბსოლუტის განვითარება, რომლის საფეხურებს ფილოსოფიური სისტემები ქმნიან.

ჰეგელმა ისიც სწორად შენიშნა, ამბობს ს. წერეთელი, რომ ფილოსოფიურ-ისტორიული განვითარება წინააღმდეგობის გზით სრულდება; მაგრამ ჰეგელს ფილოსოფიის ისტორია არ მიაჩნია მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის ისტორიად; იგი მატერიალისტურ სისტემებს „დედინაცვალივით ეპყრობა“, არ თვლის ნამდვილ ფილოსოფიად. მან ფილოსოფიის ისტორიაში არსებული წინააღმდეგობანი იდეალისტურ სისტემებში არსებულ ლოგიკურ წინააღმდეგობებთან გააიგივა, რასაც ს. წერეთელი ჰეგელის ერთ-ერთ შეცდომად თვლის.

ს. წერეთლისათვის მისაღებია ჰეგელის მიერ ლოგიკურისა და ისტორიულის ურთიერთკავშირის მოთხოვნა, მაგრამ უარყოფს მათ ჰეგელისეულ გაიგივებას. შეუძლებელია ფილოსოფიის ისტორიის გაიგივება მის ლოგიკასთან; ეს ნიშნავს, ამბობს ს. წერეთელი, ფილოსოფიის ისტორიის მოხსნას და მხოლოდ ჰეგელის ფილოსოფიის დატოვებას. გარდა ამისა, ჰეგელს ფილოსოფიის განვითარება არსებითად ესმის როგორც „რევოლუციური ნახტომების არსებობის უარყოფა“, რასაც ს. წერეთელი ფაქტობრივი ვითარების დამახინჯებად თვლის.

ჰეგელის მთავარი შეცდომა, ს. წერეთლის აზრით, ამ შემთხვევაში ისაა, რომ მან ფილოსოფიის ისტორია იდეის თვითმოძრაობად წარმოიდგინა, ფილოსოფიის განვითარება თავის თავიდან სცადა და მის რეალურ საფუძველს მოწყვიტა. კერძოდ, მან ვერ გაიგო, რომ ფილოსოფია საზოგადოებრივი ცნობიერების

---

19 იქვე, გვ. 27.

ერთ-ერთი ფორმაა და, მაშასადამე, თვითონ ფილოსოფიის ისტორიაც ამის საფუძველზე უნდა აიხსნას.

ფილოსოფიის გამოცხადება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმად, ამტკიცებს ს. წერეთელი, ნიშნავს იმას, რომ „ფილოსოფიური იდეები, თეორიები წარმოიშობა და განისაზღვრება საზოგადოების გარკვეული ეკონომიური სტრუქტურით“ და, მაშასადამე, ისინი „საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონზომიერებით აიხსნებიან“[20]. ფილოსოფიური მოძღვრებები ზედნაშენურ მოვლენებს შეადგენენ, განისაზღვრებიან შესაბამისი ბაზისით და ემსახურებიან მას. ამდენად ფილოსოფია საერთოდ გარკვეული ბაზისის ასახვას წარმოადგენს.

ცნობილია, რომ არა მხოლოდ ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს, არამედ ეს უკანასკნელიც ბაზისზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს. ფილოსოფიაც, როგორც გარკვეული ზედნაშენური მოვლენა, მის ბაზისზე მოქმედებს. ასეთი აქტიურობით ხასიათდებიან როგორც მატერიალისტური, ასევე იდეალისტური ფილოსოფიური სისტემები.

ვინაიდან ფილოსოფია ზედნაშენურ მოვლენას წარმოადგენს, ამიტომ მისი განვითარების ახსნა შესაძლებელია მარტოოდენ საზოგადობის განვითარების კანონზომიერების საფუძველზე. საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებს კი ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის; აქედან ს. წერეთელი დაასკვნის, რომ „ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება, მხოლოდ ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზეა შესაძლებელი. სწორედ ამის გამო ფილოსოფიის ისტორია საზოგადოებრივ მეცნიერებათა ჯგუფს ეკუთვნის; იგი საზოგადოებრივი მეცნიერებაა“[21].

ფილოსოფიის ისტორია, ამტკიცებს ს. წერეთელი, არ არის იდეათა ფილიაცია, როგორც ეს ჰეგელს ეგონა, არამედ იგი ეკონომიკით განისაზღვრება, ბაზისის ასახვას წარმოადგენს; მაგრამ, იმავე დროს, მას შინაგანი აუცილებლობაც ახასიათებს, „ყოველი ფილოსოფიური სისტემა წინა ფილოსოფიური სისტემიდან თუ სისტემებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს“. ამის გარეშე ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება, შეუძლებელი იქნებოდა.

ფილოსოფიის ისტორიის მასალის გადმოცემისას ს. წერეთელი მოითხოვს ობიექტურობის პრინციპის დაცვას; „ისტორია არ

---

20 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 29.

21 ი ქ ვ ე, გვ. 31.

უნდა შევაკეთოთ“, ფილოსოფიური მოძღვრებები ისტორიულად უნდა განვიხილოთ, ე. ი. უნდა განვიხილოთ იმ ისტორიული პირობების გათვალისწინებით, რომელშიც ისინი წარმოიშვა. ფილოსოფიის ისტორიის გარკვეული თვალსაზრისით განხილვა არ ნიშნავს ისტორიული ვითარების დამახინჯებას, მასში ჩვენი თვალსაზრისის შეტანას. მიუღებელია ფილოსოფიის ისტორიის როგორც სუბიექტივისტური, ასევე ობიექტივისტური გაგება. ორივე მათგანი უკიდურესობებს ქმნიან და, მაშასადამე, მცდარია. ისტორია ობიექტურად უნდა გადმოვცეთ, იგი არ უნდა შევაკეთოთ, მაგრამ ფილოსოფიური მოძღვრებები მაინც გარკვეული თვალსაზრისით, კერძოდ, დიალექტიკური მატერიალიზმის პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ.

ს. წერეთელი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას. ფილოსოფიის ისტორია, ამბობს იგი, არ არის „მოაზროვნე გმირების გალერეა“; თუმცა ასეთი გმირები ფილოსოფიაში მართლაც არსებობენ; სახელდობრ, „დიდი ფილოსოფოსები თეორიული აზროვნების... გმირებს წარმოადგენენ“[22]. მათი შესწავლა თეორიული აზროვნების განვითარების აუცილებელი საწინდარია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ს. წერეთელი მიუთითებს ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობაზე სპეციალური მეცნიერების ისტორიის შესწავლისათვის. ანტიკურ ეპოქაში ფილოსოფია და სპეციალური მეცნიერებანი დიფერენცირებული არ იყვნენ; ამიტომ სპეციალურ მეცნიერებათა ისტორიის შესწავლა იმ სტადიაზე ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია. შემდგომ ეპოქებშიც კი, თანამედროვეობის ჩათვლით, ფილოსოფია და სპეციალური მეცნიერებანი, რომლებიც განცალკევდნენ და დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მჭიდრო კავშირში იმყოფებიან; საკმარისია ითქვას, რომ ფილოსოფია არის სპეციალურ მეცნიერებათა მეთოდოლოგია; ფილოსოფიური კატეგორიები სპეციალურ მეცნიერებათა საფუძვლებს ქმნიან; ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის შესწავლას სპეციალურ მეცნიერებათა გასაგებად უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ამით უფრო დიდია ფილოსოფიის ისტორიის შესწავლის მნიშვნელობა დიალექტიკური მატერიალიზმის გასაგებად; ფილოსოფიის ძირითადი საკითხების დიალექტიკურ-მატერიალისტური გადაწყვეტის გაგება საჭიროებს იმ სიძნელეების ცოდნას, რასაც ად-

---

22 იქვე, 33-34.

გილი ჰქონდა ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ისტორიაში. დიალექტიკური მატერიალიზმის, როგორც თვისებრივად ახალი ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გაგება, ამბობს, ს. წერეთელი, შესაძლებელია ძველი ფილოსოფიური სისტემების ცოდნის საფუძველზე. ერთი სიტყვით, „ფილოსოფიის ისტორია არის საშუალება, დიალექტიკური მატერიალიზმი კი — მიზანი. ფილოსოფიის ისტორია უნდა შეკისწავლოთ არა ფილოსოფიის ისტორიისათვის, არამედ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ღრმად შესწავლისა და განვითარებისათვის“[23].

ს. წერეთელი მიუთითებს აგრეთვე ფილოსოფიის ისტორიის ცოდნის აუცილებლობაზე თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის კრიტიკული ათვისებისათვის. თანამედროვე ფილოსოფიაში არსებული მიმართულებანი ხშირად ძველი ფილოსოფიიდან მომდინარეობენ (მაგ., ნეოთომიზმი — თომა აქვინელიდან, ნეოპოზიტივიზმი — ბერკლისა და იუმიდან და ა. შ.); სწორედ ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის ცოდნის გარეშე თანამედროვე ფილოსოფიის გაგება შეუძლებელია.

დასასრულ, ს. წერეთელს ფილოსოფიის ისტორიის ცოდნა აუცილებლად მიაჩნია დიალექტიკური ლოგიკის პრობლემების დამუშავებისათვის. „დალექტიკური ლოგიკის აქტუალური პრობლემების დამუშავება ფილოსოფიის ისტორიის მასალის ცოდნის გარეშე შეუძლებელია“[24]. ისტორიულად არსებული ფილოსოფიური სიძნელეების ცოდნა აუცილებელი პირობაა დიალექტიკური ლოგიკისა და, საერთოდ, ფილოსოფიის სადავო პრობლემების გადასაჭრელად.

ს. წერეთელი განიხილავს ფილოსოფის ისტორიის პერიოდიზაციის საკითხსაც; ფილოსოფია, როგორც ზედნაშენური მოვლენა, ბაზისით განისაზღვრება. „ამიტომ ფილოსოფიის ისტორიის პერიოდიზაცია საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციების საფუძველზე უნდა მოხდეს“[25]. ფილოსოფია ყოველთვის გარკვეული კლასის მსოფლმხედველობა იყო და არის. ამის საფუძველზე ს. წერეთელი ასახელებს ფილოსოფიის განვითარების შემდეგ პერიოდებს. მონათმფლობელური საზოგადოების ფილოსოფია, ფეოდალური საზოგადოების ფილოსოფია, კაპიტალისტური საზოგადოების ფილოსოფია. ყველა ისინი ერთად მარქსამდელ ფილოსოფიას შეად-

---

23 ს. წ ე რ ე თ ე ლ ი, ანტიკური ფილოსოფია, გვ. 36.
24 ი ქ ვ ე, გვ. 36—37.
25 ი ქ ვ ე, გვ. 38.

გენენ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია — დიალექტიკური მატერიალიზმი — არის პროლეტარიატის მსოფლმხედველობა, რომელიც ძველი ფილოსოფიისაგან თვისებრივად განსხვავდება.

ფილოსოფიის ისტორიის ამ მეთოდოლოგიური საკითხების განხილვის შემდეგ ს. წერეთელი გადადის საკუთრივ ფილოსოფიის ისტორიის პრობლემების ანალიზზე. აქ იგი იწყებს თალესით და ამთავრებს აღორძინების ხანის ფილოსოფოსის ნ. კუზანელის ნაზრევის განხილვით. წიგნში „ანტიკური ფილოსოფია" განსაკუთრებით ვრცლად და დეტალურად გარჩეულია პლატონის იდეალიზმი. ავტორს განზრახული ჰქონდა ამ წიგნის გამოცემა ორ ნაწილად, სადაც მეორე ნაწილის სახით ასევე ვრცლად იქნებოდა განხილული არისტოტელეს და მისი მომდევნო ანტიკური ეპოქის მოაზროვნების ფილოსოფია, მაგრამ ამ განზრახვის შესრულება მან ვერ მოასწრო. წიგნის გამომცემელმა (პროფ. გ. თევზაძემ) მეორე ნაწილის სახით დაურთო ავტორის მიერ ფილოსოფიის ისტორიის მოკლე კურსისათვის დაწერილი ნარკვევი არისტოტელედან ნ. კუზანელის ჩათვლით.

ასეთია ფილოსოფიური მემკვიდრეობა შესანიშნავი ქართველი მეცნიერისა, რომელიც დიდხანს დარჩება ნიშანსვეტად ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაში.

დამატება

ს. წერეთლის გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ბიბლიოგრაფია

1936

1. არისტოტელესა და კანტის მოძღვრებათა ურთიერთობისათვის კატეგორიების შესახებ. „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", ტ. III.

1939

2. რა არის ფილოსოფია? „ახალგაზრდა კომუნისტი", 16 ივნისი.
3. ასახვის ლენინური თეორია, „ახალგაზრდა კომუნისტი", 11 აგვისტო.

1940

4. ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულების საკითხისათვის კ. მარქსის მოძღვრებაში, „თბილისის სახ. უნივერსიტეტეტის შრომები", ტ. XIV.
5. მატერიის პირველადობა და ცნობიერების მეორადობა. „პარტიული მშენებლობა", № 5.

1941

6. დიალექტიკისა და მეტაფიზიკის შესახებ, „პარტიული მშენებლობა", № 7.

1942

7. დასაბუთების ხასიათისათვის არისტოტელეს სილოგისტიკაში. „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", ტ. XXIV.
8. ფიხტეს „მეცნიერების თეორია" და დიალექტიკა, „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები", ტ. XXV.

1949

9. დასკვნის პრობლემისათვის. „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. 1.

1950

10. ჭეშმარიტების დიალექტიკური ბუნების ლენინური გაგებისათვის, „ფილოსოფიის ინსტ. შრომები“, ტ. II.
11. დიალექტიკის სტალინური განსაზღვრების ბუნებისათვის. „ფილოსოფიის ინსტ. შრომები“, ტ. II.
12. ი. ბ. სტალინის ნაშრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ახალი საფეხურია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განვითარებაში, „ფილოსოფიის ინსტ. შრომები“, ტ. II.
13. ლენინის დიადი დროშით, „სახალხო განათლება“, 22 აპრილი.

1951

14. საშუალო ცნების ბუნებისათვის, „ფილოსოფიის ინსტ. შრომები“, ტ. III.
15. К вопросу о природе логического, „თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები“, ტ. 43.

1952

16. ლოგიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგებისათვის, „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. IV.

1955

17. მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ, სახელგამი.
18. დიალექტიკა და მეტაფიზიკა. სახელმძღვანელოში: „დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.
19. მატერიალისტური დიალექტიკის ძირითადი კანონები. სახელმძღვანელოში: „დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

1956

20. ლოგიკური კავშირის დიალექტიკური ბუნების შესახებ. სახელგამი.

1957

21. იდეალიზმის მიერ ღმერთის არსებობის დასაბუთებისათვის წამოყენებული ძირითად არგუმენტთა ანტიმეცნიერული და

რეაქციული ხასიათი. კრებულში: რელიგიისა და ათეიზმის საკითხები.
22. О природе связи основания и следствия, «Вопросы философии», № 1.
23. I თავის § 5, 6, 7, სახელმძღვანელოში „ისტორიული მატერიალიზმი“, თსუ გამოცემა.

1958

24. ლოგიკური აუცილებლობის ბუნების შესახებ. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, № 6.
25. О природе логической необходимости, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, № 6.
26. О некоторых недостатках в освещении немецкой и русской философии XIX века во втором томе «История философии», „Вопросы философии“ № 5 (თანაავტორები: კ. ბაქრაძე პ. გუჯაბიძე, შ. გაბილაია).
27. ერთი რეცენზიის გამო, „მნათობი“, 1956, № 9 (თანაავტორები: კ. ბაქრაძე, პ. გუჯაბიძე).

1959

28. რაციონალური მარცვალი ჰეგელის დასკვნის თეორიაში, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის გამომცემლობა.
29. დიდი მატერიალისტი და ათეისტი (ეპიკურე), „კომუნისტი“, 19 აპრილი.

1960

30. Über die Natur der logischen Notwendigkeit (der Fehler einer Formalisierung der Logik), Atti del XII congresso Internazionale de Filosofia, 4, გვ. გვ. 399—401.
31. ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება. „ფილოსოფიის ინსტ. შრომები“, ტ. IX.
32. ჰეშმარიტების ლენინური გაგების ზოგიერთი საკითხი. გამომც. „საბჭოთა საქართველო“.
33. К ленинскому пониманию диалектической природы истины, «Вопросы философии», № 4.
34. ჰეშმარიტების დიალექტიკური ბუნების ლენინური გაგებისათვის, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“ („მაცნე“), ტ. 1.
35. ჰეშმარიტების დასაცავად. „მნათობი“, № 9.

1961

36. დასაბუთების საწყისის შესახებ. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XXVII, № 3.
37. О начале доказательства, „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, XXVII, № 3.
38. ფილოსოფია საქართველოში ორმოცი წლის მანძილზე (1921—1960), „ფილოსოფიის ინსტიტუტის შრომები“, ტ. X.
39. მოხსენება და საბოლოო სიტყვა დისკუსიაზე ფორმალური და დიალექტიკური ლოგიკის ურთიერთობის შესახებ. „საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე“ („მაცნე“), № 2.

1962

40. შესავალი, II თავი და რამდენიმე პარაგრაფი წიგნისა: „ფილოსოფიის ისტორია“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

1963

41. დასაბუთების საწყისი. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
42. თანდათანობა და ნახტომები განვითარებაში. „საქართველოს კომუნისტი“, № 12.

1964

43. О природе философского доказательства, «Вопросы философии», № 10.

1965

44. დიალექტიკური ლოგიკის ცნებისათვის, „მაცნე“, № 1.
45. დიალექტიკური ლოგიკა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა.
46. К понятию диалектической логики, «Вопросы философии», № 3.

1966

47. წინააღმდეგობის შესახებ განვითარებაში. „საქართველოს კომუნისტი“, № 8.
48. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობისათვის. კრებ. „დიალექტიკური მატერიალიზმის შემეცნების თეორიის პრობლემები“.

1967

49. О системе логического развития форм мысли, «Вопросы философии», № 2.

1968

50. ანტიკური ფილოსოფია. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

1970

51. დიალექტიკა და მეტაფიზიკა. სახელმძღვანელოში: „დიალექტიკური მატერიალიზმი“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.
52. რაოდენობრივი ცვლილებების თვისებრივში გადასვლის კანონი. სახელმძღვანელოში: „დიალექტიკური მატერიალიზმი“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.
53. დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი (გვ. გვ. 318—327); სახელმძღვანელოში: „დიალექტიკური მატერიალიზმი“, თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამოცემა.

1971

54. Диалектическая логика, გამომც. „მეცნიერება“.

შინაარსი

წინასიტყვაობა 3

თავი პირველი

ცხოვრება და მოღვაწეობა 6

თავი მეორე

უსასრულო დასკვნის თეორიის ევოლუცია

1. ახალი ლოგიკური თეორიის ძიება 47
2. უსასრულო დასკვნის ცნების დაფუძნება 60
3. უსასრულო დასკვნის თეორიის ჩამოყალიბება 68
4. ლოგიკური აუცილებლობის ბუნება 79
5. ჰეგელის დასკვნის თეორიის კრიტიკა 82
6. დასაბუთების საწყისის პრობლემა 85

თავი მესამე

დიალექტიკური ლოგიკის პრინციპები

1. წინასწარი შენიშვნები 90
2. დიალექტიკური ლოგიკის შესავალი 91
3. აზრის ლოგიკური ფორმები 110
4. დასაბუთება 130

თავი მეოთხე

დიალექტიკური მატერიალიზმის მკვლევარი

1. წინასწარი შენიშვნები 145
2. მატერიალისტური დიალექტიკის თეორიის პრობლემები 146
3. ჭეშმარიტების პრობლემა 180
4. დიალექტიკის, ლოგიკისა და შემეცნების თეორიის იგივეობა 196

თავი მეხუთე

ფილოსოფიის ისტორიკოსი

1. წინასწარი შენიშვნები 206
2. ფილოსოფიის ისტორია, როგორც მეცნიერება 207

დამატება 224

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფ ე ი ქ რ ი შ ვ ი ლ ი
ტექრედაქტორი ლ. ჯ ვ ე ბ ე ნ ა ვ ა
მხატვარი გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე
კორექტორი ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა

გადაეცა წარმოებას 27.3.1973; ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.6.1973;
ქაღალდის ზომა 60×90 1/16; ნაბეჭდი თაბახი 14.38;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12.67;
უე 01071; ტირაჟი 1500; შეკვეთა 949

ფასი 1 მან. 35 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН ГССР, Тбилиси, 380060, Кутузова, 19

შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზეიდან	ქვევიდან		
19	9		მ. გოგობერიძე	მ. გოგიბერიძე
43	13		‹ ვის	თავის
58	7		კერძოდ ან	კერძოდან
58	7		ციას)	ცია)
66	19		კატეგორიული	—კატეგორიული
107	13		სპეციალური	სპეციფიკური
136	3		არა	არ
153		17	განხილვა მოძრაობა—განვითარებაში	შეიძლია, რაც წარმოიშვა, როგორც ახალი.
185	5		ქეშმარიტება	ქეშმარიტება
189	15		ან,	ან.

ს. ავალიანი